



ჩვენს მსოფლიოში


გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

17 მაისი 2013

№10 (192)

ჰომეროსი და ჯეიმზ ჯოისი
გივი ალხაზიშვილის დღიური
უილიამ ფოლკნერის ჰალსტუხი
იოსებ ჭუმბურიძე რეზო ჭეიშვილზე
დავით წერედიანის კრიტიკული ჩანახატი
ბოლო ათწლეულის არქიტექტურა
გია ხოფერია მამუკა ნიკლაურზე
ნატა ვარადას საგალობლები
მაკა ჩარკვიანის მოთხრობა
ქეთი დოლიძის ლექსები



შინაარსი

რჩეული	2	იოსებ ჭუმბურიძე ვინ იქნებოდა არაგულწრფელი (ქუთაისში, რეზო ჭეიშვილის იუბილეზე...)
თქმა მართლისა	3	იკა ქადაგიძე ბრავო, კონკისტადორავო!
მსპრან-ინტერვიუ	6	დავით წერეთლიანი „ ზრანსუა ვარ “...
პროზა	7	შალვა საბაშვილი „არ მოსთხოვო სხვებს უფრო მეტი, ვიდრე საკუთარ თავს“ (მომზადა ნატა ვარადაძე)
პოეზია	9	მაკა ჩარკვიანი აღმართი
	20	ქეთი დოლიძე სულის ბარათი და სხვა ლექსები
	22	ნატა ვარადა ზაფხულის ბოლო ღამის მანტრა — სანგარი წმინდაა სიყვარულივით
უსხმოთის სმოკრაბიდან	25	თემურ გაბუნია ჰომეროსი და ჯეიმზ ჯოისი
ღიალოგი	30	უსამსი მნარლოვა — მიზეზთა შედეგი (თამთა ცეცაძეს ესაუბრება დიანა ძიდიგური)
აკა გუჯიაშვილი	34	ეკა ბუჯიაშვილი ბოლო ათწლეულის არქიტექტურა საქართველოში (ვახტანგ დავითაიას საჯარო ლექცია)
ჩანახატი	38	ნინო ჩხიკვიშვილი გურული ვარ, ჩოსბათურის რაიონიდან! (შეხვედრები ნოდარ დუმბაძესა და მანანა დუმბაძესთან)
წუთები და წლები	40	როსტომ ჩხეიძე ისევ ოთხშაბათობით (ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული სემინარები)
აინტოლა	48	მიხეილ ჭონქაძე იქნებ „საბანთიადოდ გაიცრიცოს“ ღრუბელი... (ღია წერილი ბატონ როსტომ ჩხეიძეს)
კინო	49	მურმან ჯგუზურია ნანახის კვალდაკვალ (ლევან კოლუაშვილის დოკუმენტური ფილმი „ქართველი მანდილოსნები ამერიკაში“)
კრიტიკა	50	გია ხოფერია სიკვდილ-სიცოცხლის ომი (მამუკა ნიკლაურის „შავი არაგვის შვილები“ და „დიაოხის მინა“)
ფიქრები	53	გივი ალხაზიშვილი დღიური
ლიბერალური სმოკრაბა	61	ბესიკ გვაზავა ახალი სიტყვა ახალ ურთიერთობებში (განხილვა ნომადი ბართაიას წიგნისა „საქართველო და ირანი“)
	62	სალომე ქავთარაძე „ლურჯი ფანჯრიდან“ სივრცეში
ახალი თარგმანები	63	უილიამ ფოლკნერი ჰალსტუხი (რომანიდან „პალატი“)
მემორიალი	68	თამარ შაიშველაშვილი წმინდა დიმიტრის ხსენების დღე ქვიშხეთში
ნაკვასები	69	მასვილსიტყვაობის ნიმუშები
მოუაია	71	ინგლისელი მხატვარი და ჩვენი მოძღვარი



ორკვირეული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თაიი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დევანოძე
დაკაბადონება	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

იოსებ ჭუმბურიძე

ვინ იქნებოდა არაგულნრფელი?

(ქუთაისში, რაზო ჭიჭიშვილის იუბილეზე...)



„ქუთაისი იყო მუდამ პოეტების მახანდა“ — **ლადო ასათიანის** ამ სტრიქონს **ემზარ კვიციანიშვილი** გაიხსენებს და დასძენს, პროზაიკოსების მახანდაც იყოო...

მოგვიანებით **დავით თედორაძე** იტყვის, ძნელია **დავით კლდიაშვილისა** და **ნიკოლორთქიფანიძის** იმერეთში დიდი პროზაიკოსის სახელის მოხვეჭა, მაგრამ ჩვენმა იუბილარმა ეს გამორჩეული ნიჭით შეძლოო...

ეს და ბევრი სხვა აღმატებული ეპითეტი ქუთაისში, მესხიშვილის თეატრის სცენიდან, 80 წლის **რეზო ჭიჭიშვილის** საიუბილო საღამოზე ითქმება.

საბედნიეროდ, ერთი ეპითეტიც არ იქნება იუბილარზე აღმატებული.

ითქმება ის, რაც რეზო ჭიჭიშვილს ჭეშმარიტად ეკუთვნოდა.

როსტომ ჩხეიძემაც სწორედ ამას გაუსვა ხაზი და იუბილარს საქვეყნო კაცი უწოდა.

ვის გავაკვირებ, თუ ვიტყვი, როსტომი კარგად გამოვიდამეთქი, მაგრამ ეს მაინც სხვა გამოსვლა იყო — იუბილარის შემოქმედების სიღრმისეული პლასტიკის წარმოჩენითა და, ზოგადად, პრინციპული მოსაზრებებით. მან ვაჟასეული სარკაზმიც გაიხსენა („იუბილეი გახშირდა...“) და აღნიშნა, სამწუხაროდ, იუბილეს ყოველთვის ღირსეულს როდი უხდია. შემდეგ კი ნამდვილად ღირსეული იუბილარის შემოქმედების უმთავრესი ნიშანი გამოკვეთა — ის, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს მის თხზულებებში თითქოსდა ორი შეუთავსებელი რამ — სატირა და მისტიციზმი.

როსტომ ჩხეიძემ, ვინც ნაუკითხავს ნობელიანტებს კი არა, იაკინთე ლისაშვილსაც (თანამედროვე იაკინთეებსაც!) არ ტოვებს, თქვა ის, რაც მას ყველაზე მეტად დაეფერება: თუ ვინმე იმსახურებს დღეს ქართველ მწერალთაგან ნობელის პრემიას, უპირველესად — რეზო ჭიჭიშვილი! ის არც ერთ თანამედროვე ნობელიანტს არ ჩამოუვარდება, პირიქით, ბევრს აღემატება კიდევო.

ეს აზრი ყველა მომდევნო გამოსვლელება აიტაცა.

გამოსვლებზე ვსაუბრობ, არადა, ამ საღამოს მთავარ ხიბლს სულ სხვა რამ ქმნიდა — ორიგინალური სცენარი და რეჟისურა. პირველი **თორნიკე მარჯანიშვილს** ეკუთვნოდა, მეორე — **გიორგი სიხარულიძეს**.

სცენა — ეს იყო ბალი, სადაც ორი მსახიობი შემოუძღვა კაცს, რომელიც ერთ-ერთ მერხზე ჩამოჯდა და გაზეთის კითხვა დაიწყო. გაზეთი სახეს ისე უფარავდა, რომ ჩვენ „არ იცოდით“, ვინ იყო.

მარცხნიდან და მარჯვნიდან ორი მსახიობი გვიკითხავდა „ვილაცის“ ბიოგრაფიას.

ბოლოს საღამოს წამყვანი იმ კაცს გაზეთს ააცლის და გვეტყვის: „რეზო ჭიჭიშვილი ყოფილა!“ „ვითომ არ იცოდი, ვინც ვიყავი“, — ეტყვის ის ჩვეული იუმორით. მერე რა, რომ ეს სცენარით არ იყო გათვალისწინებული. ჭიჭიშვილს არტახებში ხომ ვერ მოაქცევ-

...შემდეგ კი ვისმენდით დილოგს წამყვანსა და იუბილარს შორის.

წამყვანი **გიზო თავაძე** იყო. კი გვითხრა, ამ ამპლუაში სრულიად გამოუცდელი ვარო, მაგრამ ეს ნამდვილად არ იგრძნობოდა.

ამ დილოგში აისახა იუბილარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი ეპიზოდები, გამოჩნდა მისი დიახაც საქვეყნო კაცობა.

ხანგამოშვებით ეკრანზე გვიჩვენებდნენ რეზო ჭიჭიშვილის სცენარით გადაღებული ფილმების („ცისფერი მთები“ და სხვა) ფრაგმენტებს; დროადადრო სცენაზე შემოდოდა სიმღერა, **მიმი ჯავახიშვილის** შესრულებით. უმადურობა იქნებოდა, არ აღგვენიშნა ახალგაზრდა მომღერლის ვოკალური მონაცემები, გულწრფელი ემოცია და გარეგნული მომხიბვლელობაც, მაგრამ მაინც უნდა ითქვას: ასე ორიგინალურად დადგმულ (დიახ, სპექტაკლივით დადგმულ) საღამოს, მწერლის იუბილეს უფრო სხვაგვარად ჩაცმული მომღერალი მოუხდებოდა, კიდევ უფრო მეტად კი, ალბათ, ტრიო დაამშვენებდა, გიტარითა და ლირიკული, იმერეთივით „ტკბილი“ მელოდიებით...

ისიც უკეთესი იქნებოდა, თუ საღამო ორ ნაწილად არ გაიყოფოდა — წარმოდგენად და ტრადიციულ გამოსვლებად.

პირველი მართლაც ორიგინალური და არატრადიციული იყო. მეორე კი, რაღაცით, მაინც ძველს, საბჭოურს მოგვაგონებდა.

კიდევ კარგი, რომ ამ ყოველივეს შველოდა გამომსვლელთა გულწრფელობა და ის, რომ თვითონ იუბილარი იყო ნამდვილად ღირსეული.

კიდევ კარგი, რომ არ მოვიღმინეთ მწერალთა კავშირის საბჭოური „მისალმება“ („თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები...“), სადაც იუბილარს მისსავე ბიოგრაფიას უყვევიან (?!).

გამოსვლები იყო გულწრფელი, აბა ვინ ეტყოდა იუბილარს არაგულწრფელ სიტყვას — **ელდარ შენგელაია** თუ **გივი შაჰნაზარი**, **გენო კალანდია**, **ბალათერ არაბული**, **ელგუჯა თავბერიძე**, **თეიმურაზ ლანჩავა** თუ **ნიკო კაჭკაჭიშვილი** (დანარჩენები ზემოთ ვახსენე).

მაგრამ, გავიმეორებთ, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, თუ ეს გამოსვლები (მაქსიმუმ ოთხი ან ხუთი) განაწილდებოდა და საღამო-წარმოდგენის ერთიან ქსოვილში ორგანულად ჩაერთვებოდა.

თუმცა ეს შენიშვნები ნამდვილად ვერ დაჩრდილავენ ამ მართლაც ორიგინალურ საღამოს, რომელსაც ჰყავდა უდავოდ ნიჭიერი სცენარისტი და რეჟისორი და ჰყავდა ჭეშმარიტად ღირსეული პროტაგონისტი — ვთქვათ თამამად: დიდი ქართველი მწერალი რეზო ჭიჭიშვილი, ვისი იუმორიც (და ამჯერად არა სატირა) ათბობდა 24 აპრილის უჩვეულოდ ცივ ამინდს.

ბარემ ესეც ვთქვათ: სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ რეზო ჭიჭიშვილის შემოქმედება ევროპამ გაიცნოს. და იქნებ ეს ოცნებაც მალე აგვიხდეს: საქართველოსაც რომ ჰყავდეს თავისი ნობელიანტი.

P.S. ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდიც: საღამოს მიწურულს, ახალგაზრდა მოქანდაკემ **გიორგი კიკვაძემ** (ექვთიმე თაყაიშვილის ჩინებული ძეგლის ავტორი) სცენაზე რეზო ჭიჭიშვილის შესანიშნავი სკულპტურული პორტრეტი შემოიტანა. იუბილარს უხუმრია, აჯობებდა პირდაპირ პანთეონში წაგელოთო. გიზო თავაძეს, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ მიუგია, ასი წლის შემდეგო. ამინ! თუმცა მე ამ ბიუსტს უფრო ხელოვნების მუზეუმში ნავილებდი...

იკა ქადაგიძე

ბრავო, კონკისტადორებო!

ბილნთ არ შავეკერი ზავითა!
ვაჟა

ბიბლიოთეკის გაყინულ დარბაზში დრო-ჟამისაგან შეღახული გაზეთის ფურცლებსაც შავი დღე ადგათ, შემცივრულ თითებში უგემურად შრიალებდნენ, აბსურდული ტექსტების გაცოცხლებას უტყვი სიკერპით ეწინააღმდეგებოდნენ. ინდუსტრიული ალტკინებით შედუღებულ პროპაგანდისტულ ბოდვას ვერაფრით შეთვისებოდნენ, არ სურდათ მაკულატურის ბედი ეწვინათ, მაგრამ ბოლშევიკური იდეოლოგიის მჭახე ლოზუნგი მდინარეთა კალაპოტის შეცვლას ნინასწარმეტყველებდა და აზროვნების გარდაქმნას (უფრო სწორად, დანაგვიანებას) წინ ვინ ალუდებოდა?! სატანური ქადილით შეგულიანებული თავი ვინ მივარეს უღერებდა მუშტს, დროა ცის კაბადონი ძლევისი ნამგალსა და უროს დაუთმო, სანამ მშრომელი ამხანაგი ცარგვალიდან კინისკვრით გადმოგადგებო, ვინ შლეგური „შთაგონებით“ გაბრუნებული თავმომწონებდა, რომ რევოლუციის გასამარჯვებლად დედ-მამასაც სასიკვდილოდ გაიმეტებდა, მავანი ტაძრებსა და ხატებს შეურაცხყოფდა. გაზეთებში უღმერთობის ნიაღვარი ჩაგუბებულიყო და შეხებისთანავე ბოლშევიკური ობის სიმძაფრე გაუთბობელი შენობის სიპირქუშეში უბოდიშო მხურვალეობით იჭრებოდა.

უახლესი ქართული ლიტერატურის კურსი ყველა მიმართულებისა და მიმდინარეობის (ვიდრე წითელი ძალა შემოქმედთა დაჯგუფებებს გააუქმებდა და ერთ, საბჭოური უღელში შეებაძდა) შესწავლას ითვალისწინებდა. მეტწილად ხელმისაწვდომ საბუთებსა და მანანდე აკრძალულ ლიტერატურულ მასალას საარქივო სიღრმიდან გამოიხმობდა, რათა დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნის ცოდნამონყურებულ ახალგაზრდობას ობიექტური სინამდვილე მიუკერძოებლად დაედგინა, საბჭოური იდეოლოგიისგან ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლებულიყო და ეროვნული მოთხოვნის ნაძალადევი ჩარევის გარეშე დაეკმაყოფილებინა.

კომუნისტური საგაზეთო სივრცე სიყალბეს „ავი“ თვალისგან საიმედოდ იცავდა. მწერლობაში განვეული სტახანოველები, კონსტანტინე გამსახურდიამ შემოქმედებით პლანში უნუგემოებდნენ რომ მონათლა, ყაბალახიან მთვარეს პარტიულად უღერებდნენ და „ვინტოკის“ დახმარებით გზას მედგრად იკვალავდნენ. მსუყე პრემიებსა და ორდენებზე დაგეშილები განსხვავებული მრწამსის ხელოვანებზე შეუსვენებლად ნადირობდნენ, რაც განსაკუთრებით ყურადსაღებია. დასაბეზღელები წერილების თხზვა უპირველეს მონოდებად ექციათ.

ჩვენს თვალწინ პროლეტმწერალთა სამარცხვინო საქმიანობა გაშიშვლდა უშეღავათოდ, შეულამაზებლად, იმჭრილში წარმოჩინდა, რომელმაც ტოტალურ სიყალბეს ისტორიული განაჩენი გამოუტანა.

კიდევ ერთი ტაბუ გამჟღავნდა. გაირკვა, რომ ქართველ მწერალთა (და არა საბჭოთა მწერალთა) კავშირი ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია იყო, რომელიც ევროპაში ჩამოყალიბდა. ძნელბედობის მიუხედავად ქართველი ცოდნის წყურვილითა და ღვთისგან მომადლებული უნარით პირველობას არ თმობდა, იმ ნიჭს ვერ ელეოდა, ბერძენი სასულიერო პირებიც რომ განაცვიფრა და დიდი გიორგი მთაწმინდელის ტალანტით აღფრთოვანებულებს აღიარებინა, რომ

„ბარბაროსი“ განსწავლულობით ყველას აღემატებოდა.

პროლეტმწერლებისთვის განკუთვნილი სივრცე „ტილების რადიომდე“ ჩამოქვეითებულიყო და სახელმძღვანელო მწერალსა და მამულიშვილს, მიხილ ჯავახიშვილს სასიკვდილო ლახვარს გულდასმით უღერებდა. დრო-ჟამის პარადოქსული დრამატიზმი ეპოქათა სარჩულს წალმა-უკულმა აბრუნებდა, ნებით თუ უნებლიეთ ავგიასის თავლას გვერდს ვერ აუვლიდი. სიმართლის მისაკვლევად მკვდრადშობილი, ტენდენციური გაზეთების დაგემოვნება აუცილებელ საჭიროებად ქცეულიყო.



ყველაფრით შეზღუდული ერის დამონება გარდაუვალი ჩანდა. ნამდვილი მწერალი ნამდვილ მამულიშვილთან გაიგვიებულიყო, ვისაც ნამდვილი სისხლისმსმელები სინდისის ქენჯრის გარეშე მუსრს ავლებდნენ. ახალი „კადრის“ მოზიდვით შეთხელებული რიგები ხელოვნურად იზრდებოდა. დიდ თურქობას საბჭოური განუკითხობა ჩანაცვლებოდა, მწერლის ადგილს პარტიული სწორხაზოვნებით დაავადებული უბირი, უნიჭო და ქლესა კარიერისტი იკავებდა.

„მწერლობაში განვეული უნდა იქნენ ის პროლეტარები, რომელნიც პრაქტიკაში ანხორციელებდნენ ბოლშევიკური ჩაქურჩის და ბოლშევიკური კალმის კავშირს“ („სალიტერატურო გაზეთი“, 1931).

ვისაც „ბოლშევიკური“ კალმის სიკვდილის ცელივით მოქნევა არ შეეძლო, უსიტყვოდ გაიწირა. ბოლშევიკური კალმის საპირწონე კალამი — გოლგოთაა („ქართული კალამი გოლგოთაა“ მიხილ ჯავახიშვილის შეფასებით), რაც სამწუხაროდ არაერთ ეროვნულ მოღვაწეს ავბედიდად აუცხადდა. თანდათან მგზნებარე ბოლშევიკი, იგივე სტახანოველი მწერალი ლოიალურ ინტელიგენტად გარდაიქმნა, თუმცა ლოიალობის საფარველქვეშ კონფორმიზმი გაბატონებულიყო.

ერთხელ, სუსხიან დარბაზში მორიგი ოდიზოური „სიბრძნის“ დაგემოვნებისას შეუკავებელმა სიცილმა დამრია ხელი. სიცივისგან აძაგდაგებული, ქარიშხალში აცეკვებული აივანოვის მცხრე ტალღასავით ავხმარდი, პირქუშსახიან ბიბლიოთეკართა ყინულმოვანი მზერა გვიან წამომენია. გაზეთებში თავჩარგული მუდამ წყნარად ვიჯექი. უცხად ღმერთი რომ გამიწყრა და „ავიშვი“, ცოტა არ იყოს უნდობლობით გაჭიანურებული გაცივება დამადევნეს. ჩემს ანაზღეულ სიცილს ჰომერული ხარხარი არ ეთქმოდა. ამაზრუნე მოვლენების შეთავსებით დაზაფრული კაცის დაძაბულ მხიარულებასა და სიმწარეში გადაზრდილიყო.

ცრემლწარევი იუმორის დიდოსტატი დავით კლდიაშვილი თხრობას ერთი შეხედვით სასაცილო სიუჟეტზე აგებს. საკმარისია სიღრმეში შეტოპო, მრავალწახანგოვანი ტრაგედიის თანამონაწილედ გამწესდები. ფინალამდე ვერაფრით იჯერებ, თვალსაჩინო მწერალი და საზოგადო მოღვაწე მკითხველში რავგარ პასუხიმგებლობას აღვიძებს! ჰოდა, ზღვა სიყალბის გააზრებისას ნერვებმა მიმტყუნა და საცავებში სანთლებით მოსიარულე პერსონალის რისხვას ვერ ავცდი. პირობების საგრძობლად გაუმჯობესების მიუხედავად (ორი-სამი ბიბლიოთეკის კეთილმონყობის ფონზე „პერიფერიულიები“ ზედიზედ უქმდება!) ბიბლიოთეკარებში გამოუჩორკნავი, დაუძღვევლი აგრესია დაუთმობლად სახლობს და შხამიანი ღიმილის პარალელურად „ვინტოკასავით“ წინ გამოიბრძის.

მოგეხსენებათ, მოჩვენებითი კეთილმოსურნეობის ექო თავისი არსით არამდგრადია და ყველაზე შეუფერებელ დროს იჩენს ხოლმე თავს.

ცალკეულ მცდელობათა მიუხედავად, ჩვენში ფანტასტიკის ჟანრსაც არ ღირსებია ჯეროვანი ყურადღება. ერთ-ერთი საინტერესო გერმანელი მწერლის ინტუიციაგამახვილებული პერსონაჟის ამბავი გამახსენდა.

უგზოუკვლოდ დაკარგული, მოულოდნელად ახლობლებს გამოეცხადება და მათი დათაფლული ტექსტის მიღმა მჟონავ ფიქრს შეუმცდარად ამოიკითხავს. გაირკვევა, რომ იგი მთელი ცხოვრება ტოტალური სიცრუის მსხვერპლია. ამის განხორციელებისთანავე ლოგიკური გადანყვეტილებაც არ დააყოვნებს, იგი კვლავ კოსმოსში, ამოუძირკვევი სევდის თანხლებით მარტოდმარტო უჩინარდება. ტყუილის ბაცილასთან დაუზავებელს ფარისეველთა გარემოცვაში გაძლების უნარი აღარ შესწევს. ურღვევი სიყვარულის მითი იმსხვერვა.

ჩვენში დარჩეს, ადრე მოთხრობის ფინალი უდავოდ მომაჯადოებდა, ამაღლებული ნოსტალგიის მაქმანით მოოჭვილი კეთილშობილი იმედგაცრუება ავტორისადმი სიმპატიით განმანყობდა. დღევანდელი გადასახედიდან ჩემთვის ნანარქობის ფინალი „სუსტია“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პასუხისმგებლობის ჰიმნის უსარგებლო ნაღველით საკარნახევი საქციელი, ყველაფერთან შეგუებას რომ ქადაგებს.

მახსოვს, სკოლაში, მოსაწყენ გაკვეთილზე, მერხქვეშ ჯექ ლონდონის „მექსიკელს“ ვკითხულობდი. მასწავლებელი თავზე შეუმჩნევლად წამომადგა და წიგნის წართმევა დამიპირა. რა თქმა უნდა, არ დავანებე. ეს განზრახვა ჩემმა უცვლელმა თავაზიანობამ ჩააგონა და როცა ზემოქმედება გააძლიერა, მისი სიკერპით მკვახედ შევეუძახე:

— მაცალე ქალო, „მექსიკელს“ ვკითხულობ და ხელს ნუ მიშლი! — ჩემგან წამოსროლილი „მაცალე, ქალო!“ ანეკდოტად იქცა და მთელი სკოლა მოიარა, არავის სჯეროდა, მსგავსი ფრაზის ავტორობაზე ხელს თუ მოვანერდი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. „მექსიკელის“ მუხტმა ჩემს ჯავშანშიც შემოაღწია და ქმედებისკენ მიბიძგა.

ძველი გაზეთების შიგთავსზე ვსაუბრობდით, საბჭოურ წნეხზე, რომლისგანაც თავი დავიხსენით, სხვათა შორის ახლანდელ პრესაში მოულოდნელად ძველებურ გადმონამთს ნაანყდეები, თუკი თანამედროვე გაზეთების გაცნობას ჯერ კიდევ ახერხებ. აბსურდი გრძელდება, როგორი ალსაქმელია, როდესაც ბოლშევიკური კომისრის შინელში გამოწყობილ ძეგლს ილია მართლის თავს დაადგამენ და ერთ-ერთი საკურორტო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ზარ-ზეიმით აღმართავენ. ძეგლების ციებ-ცხელება ცალკე ეპოპეა, ამ თემას ერთი მოზრდილი მონოგრაფია ვერ დაიტევს. უბედურებად არ გვეყოფოდა, სულმნათი აღმაშენებელი ქალაქიდან რომ გავაძვევთ (დიდომში რუსის ჯარის შესაშინებლად თუ გადაიტანეს, სხვა „სტრატეგიაა!“) და უცხოელ მოკეთებებს თბილისის ცენტრში პრესტიჟული ადგილები გამოვუთავისუფლეთ. „სტუმარი ღვთისააო“, ნათქვამია, მაგრამ ძეგლის ხელშეუხებლობის „მანდატიც“ რომ გასაცემია, ფაქტია. მოკლედ, კომუნისტური ეპოქის ქანდაკებათა ახლებური წესით ათვისება სადაური ეკონომ-პაკეტი, როცა ისტორიულ კატაკლიზმში მოყოლილ ფიგურას ვისი თავი ამშვენებს, ძნელი გასარკვევია. ბოლშევიკის სხეულს უთავო მხედრის, უიღბლო პერსონაჟის, კეთილშობილი ჰენრი პოინ დექსტერის კი არა, პროფესორ დოულის სიბრძნით ქებულ თავსაც ვერ „აკადრებ“, ქართველ მოწამეზე რომ აღარაფერი ითქვას! ნუთუ კვლავ საბჭოური ცნობიერება მძლავრობს? აბა, მსგავს ანომალიას რა გამართლება მოეძებნება?! წმინდანის თავი სატანის მიმდევრის სხეულზე რა ძალის მიერაა დადუღებული?!

საყოველთაო არეულობის ფონზე იერემიას გოდებასავით ჩაგვესმის: „დღევანდელი ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერება, მეტად მცირე გამონაკლისის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია!“

ნება და მეცნიერება, მეტად მცირე გამონაკლისის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია!“

ამ გულისშემძვრელი სტრიქონების ავტორს, მიხეილ ჯავახიშვილს, ეს ქანდაკება რომ ეხილა, ირწმუნებდა, რომ დემოკრატიულ ეპოქაში ვცხოვრობთ და საბჭოური იდეოლოგიისგან გავთავისუფლდით?

საუკეთესო მამულიშვილების თავგანწირვამ ეროვნული სული ვერ ჩაკლა, ქართველობა გადარჩა. და მაინც, ოთხმოცდაათიანებიდან, ბოლო ოცი წლის მანძილზე ფესვგადგმული განუკითხაობის ფონზე ქართული მწერლობის სადავეები რეალურად ვინ გადაიბარა? ამ კითხვას ქართული ხელოვნების გულშემატკივარი ვერსად გაექცევა. თუ რა თქმა უნდა პატიოსანი მწერლის (ზოგადად ხელოვანის) სტატუსს სოცრეალისტურ უტოპიაში ჩამარხვას არ მივუსჯით.

მწერლობის შემბლაღავთა ავან-ჩავანი საზოგადოებას მშვენივრად მოეხსენება. ვინც წიგნის წასაკითხად ვერ იცლის. ტელევიზიისგან დისტანცირებას, უნდა-არ უნდა, მაინც ვერ მოახერხებს. შესაბამისად, შემზარავ კადრებსა და გადაცემებს რა გამოლევს. ამ მხრივ არც ლიტერატურული სივრცეა გამონაკლისი, მწერლების შეხლა-შემოხლას რა გამოძახილი მოჰყვა, საყოველთაოდ ცნობილია.

ნამდვილი კლასიკოსები და წესიერი მწერლები საფლავებიდან რომ გადმოახედა, უსინდისო ალბ-მიცემობას, ლიტერატურულ ენაზე პრემიების მიკუთვნება-მისაკუთრება რომ ენოდება და არაჯანსაღ ვენებათაღელვას აკანონებს, როგორ შეაფასებდნენ? რამდენად ისურვებდნენ მათ სახელებსა და ავტორიტეტს შეხიზნული ადამიანები კოლეგების დასაჩაგრად წინამორბედთა განუზომელ ღვაწლს თავიანთი შავნელი საქმეების მოსაგვარებლად იმონებდნენ და იყენებდნენ! ღია სპეკულირების მემშვეობით ფულს ცალკე ხვეტდნენ და უცხოეთში ქართული მწერლობის სახელით ავანტიურებში გაბმასაც არ თაკილობდნენ, რომელი ერთი ჩამოვთვალეთ? ხელმძღვანელობის ავ საქმეთა აღსაწესხად კალამიცა და თაბახიც თანაბრად გაცვდება. ყარაბაღული ვოიაჟის ამბავი კვაჭი კვაჭანტირაძესაც შურით ალაგსებდა და მრავლისმომსწრე მკერდზე მჯიღს ააბაგუნებინებდა, ასპარეზზე ჩემი სწორი მეტოქე გამოჩნდა და ვაითუ ფათერაკების მასშტაბმა წინამძღოლობიდან „ჩამომწეროსო“. პრემირებული თავგადასავლების მოყვარულების (მათ ამიერიდან მწერალთა კავშირის კონკისტადორებად მოვიხსენიებ) არეალი, აგრეთვე რაოდენობა მართლაც შემამინებლად ფართოვდება. ბოლო ყრილობის მონაცემების შემდეგ კავშირის 428 წევრი 475-მდე გამრავლებულა. კავშირში ჩინური მოდელი მიჰინვარებს. ვინც „ხელდამსხმელებს“ მიესალმება, ნევრობა გარანტირებული აქვს! ჩვენში დარჩეს, სად სად და დემოგრაფიული სიმეჩხრე ამ ორგანიზაციაში ნამდვილად არ იგონება. ერთიც ვნახოთ და ხელმძღვანელობის მრავალშტოიანი ფრთის წარმომადგენლებმა ქვემო ქართლის კომპლექსი უკუაგდონ და თავისუფალი არჩევანის სურვილი მოუზღვავდეთ (წამხედურობას წინ რა უდგას?! — იქაურობა ბაბილონის გოდოლს დაემსგავსება.

ეს ხუმრობით, თორემ დამკვრელი ძალები არ თვლემენ და შერყეული პოზიციების გასამყარებლად მეზობელ გაერთიანებებს ხელახლა უმოყვრდებიან. ახალი სისხლის გადასხმა ძველ წყენას დროებით აქარწყლებს. რა ბედენაა, ახალ ძალად შემოსაღებული ნაცნობი კადრი ნილებისა და პრემიების უთანაბრო გაყოფის გამო ერთმანეთს თუ ემდუროდა და ყველგან უშვერი სიტყვებით ამკობდა. კულუარებში საბრძოლო ხელოვნების დემონსტრირება ქცევის უფრო თამამ ფორმასაც ემყარება, „მუხამბაზური“ განწყობაც ბუნებრივად იბადება: „აბა, მუშტი-კრივი მნახე ვინა ვარ!“ და ა.შ.

მოკლედ, უვადოდ გაჯანჯლებულ ყრილობამდე მწერალთა კავშირში ვორონცოვის მიერ დანერგილი პოლიტიკის გატარება დაჩქარებული წესით მიმდინარეობს.

საითაც გაიხედავ, პრემიების ცვენაა. ფაქტია, ვიღაცას საგანგებო დავთარი შეუდგენია და „რჩეულთა“ გამოვლენის ვერაგული წესით ხელმძღვანელობს.

„ხელდასხმელთა“ ფავორიტების მრავალჯერადი დაჯილდოება აღარავის უკვირს. ფულად ჯილდოს ტომეულების უსასრულო სოლიდური არტილერიისთვის დამახასიათებელ სიმძიმეს აკისრებს. პოპულარობა, უფრო თანამედროვე ენით — „ცნობადობა“, „თვალი ჭამს და თვალი სვამს“ პრინციპზე დაიყვანება და, რა გასაკვირია, პრემიებისა და ორდენების აბჯრით შეჭურვილ ძღვევამოსილებს საზოგადოება არ ეთავყვანოს — მართალია, ილიასა და ვაჟას პრემია კი არა, ტაშიც არაფრად ექაშნიკებოდათ, სამაგიეროდ, ვინც ბუმბერაზთა სახელობის საპატიო ტვირთის, უკაცრავად პრემიის მფლობელია, მქუხარე აპლოდისმენტების გარეშე ტრიბუნასთან მისვლას არ იკადრებს, და თუ „კუთვნილი“ ტაში ეშმაკის მანქანებით ჭიანჭურდება, ყინჩად მოითხოვს იმით დაასაჩუქრონ, რის მოსაპოვებლადაც აქლემის ყუნწში განარნარებაც არ ეძნელება.

პრემიების უხვმოსავლიანობა აშკარად ეშმაკურ სტრატეგიას ისახავს მიზნად. ხელმძღვანელობა მანამდე „შეუმჩნევდნენ“ ღირსეულ მწერლებს შემთხვევით დაუტკბა?

საერთო ჯამში, პრეზიდენტის დამადლებული წყალობისა არ იყოს, მათი ღვანლი საკუთარი ინტერესების გასაკეთილმოზილებლად და ქულების დასაგროვებლად სჭირდებათ. პატიოსანი მწერლების გასაჩუქებლად გამოჭედული ბორკილი, რომელსაც პრემიის ფორმა გააჩნია, ორმაგი უხერხულობითაა დანწეხილი. სხვათა შორის, შედეგი უკვე იგრძნობა: სინანულითა და დარცხვენით ნათქვამი ფრაზები გახშირდა: „რა ვქნა, ნიგნი გამოიცივს“, „პრემია მომანიჭეს, რაც დუმის მავალდებულებს“ და ა.შ. ხათრი ხათრია, მაგრამ კულუარებში წუნწინი, ხუთასი ლარიდან მხოლოდ ას ორმოცდაათი მოგვიგდეს სამადლოდ, მონმობს, რეალურად რა ვითარებაა. ქართული სიბრძნის თანახმად: „ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაეცინჯება“.

ბიბლია უფრო მკაცრ კრიტიკიუმს ემყარება: „ორ ბატონს არ ემსახურებთან“. ასე რომ, უმჯობესია ჯილდო უსიტყვოდ შეირგო და ზურგსუკან „მწყალობლის“ განქიქებაზე ხელი აიღო. ვინ დაგიჯერებს, თითქოს შემთხვევით ავირჩიეს და გამოგაჩინეს. ყოველივე მკაცრად შემუშავებული გეგმის ნაწილია, სადაც როლები მიზანმიმართულად რიგდება.

ღმერთი, რჯული, პრემიების გაუქმებისკენ არავის მოეუწოდებ, პირიქით, კეისარს კეისრისა უნდა მივაგოთ, მხოლოდ ჯილდოს ღირებულება იმით განისაზღვრება, საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს ზურგს ვინ უმაგრებს. ნამდვილი ავტორიტეტი და მოღვაწე, რომლის ღვანლსაც ჩრდილი არ მიკარებია და ხალხის თვალში ნდობით სარგებლობს თუ საეჭვო პირი, ვისთვისაც ყველას პაიკის როლი ეკისრება.

ხათრი სიმართლის გასატანად იდეალური მეგობარი სულაც არ გახლავთ და რაოდენ დასანანიცა, მის საცეცებში კეთილსინდისიერი ხელოვანი თუ მოხვდა და მტრის წისკვილზე დაასხა წყალი!

მწერალთა კავშირში ღირსეული მწერლების პლეადა ნამდვილად არსებობს. აქედან გამომდინარე, მოლიპულ გზაზე სასიარულოდ ისინი მავანთა ზემოქმედებას გაუმკლავდებიან, შეურცხვენლად მოტანილ სახელს ლაფში არ ამოსვრიან და ერისა და ბერის სალაპარაკოდ თავს არ გაიხდიან. თორემ განსაცდელი, პრემიებისა არ იყოს, უხვადაა მომრავლებული.

ახლახან მწერალთა კავშირმა კიდევ ერთი „გრანდიოზული წყალობა“ გაიღო და ვალაკტიონის პრემია ბ-ნ ვაჟა დოლბაიას, იგივე ეგრისელს მიაკუთვნა. კამერების წინ გაჯგიმული პოეტი თავმომწონედ აცხადებდა, რომ მსგავს ჯილდოს იოლად არავის აძლევენ და ამისთვის ბ-ნ რეზო მიშველაძეს მხურვალე მადლობას საჯაროდ უხდოდა. ჯვრით მოსირმული ხევისურული ქუდით თავდამმვენებული ეგრისელი

ჩვეულ „სიმალღებზე“ იდგა. კოლხური ციკლის შემოქმედს (სხვათა შორის, წყალობებული ლექსები არ აქვს) გინესების ნიგნში მოხვედრის ჟინი უცხოველდება და, რა გასაკვირია, მრავალტომეულის ავტორს ცხადშიც და სიზმარშიც ნობელიანტობა ეზმანებოდეს. ხუმრობა ხომ არ არის ძველი ფიზიკულტურელის შემართებაზე გათვლილი უზარმაზარი ტომეულები დაუბრკოლებლად აზიდო. ნიგნი, გირზე მეტს რომ იწონის, აშკარად დაფასების ღირსია! აკი ბ-ნ დოლბაიას თავისი აქტივისტები რუსთაველზე სახელმძღვანელო დემიურგად აღიარებენ. პოეტების მეფის სახელობის პრემიასაც, მეტი რომ არ შეიძლება, დროულად გამოჰკრა ხელი!

ამ სასიკეთო საქმის მოთავის რეკლამირებაც არ დავინწყებია. თუ ვინმე „ჩამონერა“, ჩინებული პოეტი და ზნეობრივი გმირი შალვა მჭედლიშვილია, რომელსაც სიცოცხლის მიმწუხრს თავის გამომცემლობაში ნიგნები დაუსტამბა. ფინანსურად არცთუ დალხენილი დისიდენტის რომანების დაბეჭდვას, გაუთვალისწინებელი ხარჯის სახით, სიძის ნაჩუქარი მანქანა შეენერა.

— ამასაც არ დავეძებ შეილო! მოვითმენდი, მაგრამ საჯაროდ მაყვედრის, თითქოს ნიგნები უსასყიდლოდ გამომიცა. ამის ჯავრი საფლავში არ ჩამატანო!

ბატონმა შალვამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე შემომტირა. არც ის დაუმაღლავს, მწერალთა კავშირში გამართულ რეპრესირებულთა შეხვედრაზე დერეფანში რომ მიატოვეს, სიტყვაც ბრძოლით რომ მოიპოვა და კავშირის მესვეურებს პირში მიახალა, ნაკატორლალ მწერლებს ჭკუას ნუ ასწავლიდნენ, მათ ჭირვარამზე თვითონ ყასიდად ნუ ჟღურტულებდნენ და ჯოჯობეთ-გამოვლილი პოეტებისთვის ლაპარაკის უფლება მიეცათ!

არც ჭოლა ლომთათიძის სახელობის „მოკრძალებულ პრემიაზე“ (პატიმარი პატიმრის ხვედრს თანაუგრძნობს, ბუნებრივია) დასწყევტია გული, თუმცა ყბადალებული ორასი ლარი თვალითაც არ უნახავს. აბა, ჩინით უფროსი და ასაკით უმრწემესი „ძმობილი“ ეგრისელი ხომ არ შეანევედა სიტყვას: ჯერ სამშობლოსთვის ვალმოხდით მამულიშვილს მიაგეთ პატივი, მე მოვიცდით. გარდაცვალებამდე ინტრიგანი მოსისხარები კარს რომ მიაყენა და ხანდაზმული მასპინძელი ქირქილითა და გესლნარევი ტირადებით აღანძლინა. საჯაროდ ამასაც ხომ ვერ გაახმოვანებდა, იმიჯი შეელახებოდა! საყოველთაოდ ცნობილია, კავშირის მესვეურნი მსოფლიო კლასიკას არ კითხულობენ და ნაკატორლალი დისიდენტის სულისშემძვრელ აღსარებას დროს „ფუჭად“ როგორ დაახარჯავდნენ. მიცვალებულის ხსოვნის საღამო (განამანით რომ დათქვეს) ორჯერ ისე სამარცხვინოდ ჩაშალეს, წარბიც არ შეუხრიათ.

არც სახელოვანი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, მეორე იაკოვ გოგებაშვილად ნოდებულ მიო მღვიმელის ქალიშვილის (ჩინებული მწერლისა და დრამატურგის ქეთევან ქუჩუკაშვილის) გამო გამოუდიათ თავი. შარშან, 96 წლის შემოქმედის გარდაცვალების ამბავი რომ შეიტყვეს, ჩვეული უდარდებლობით აიჩჩეს მხრები. არც გვეგონა, ცოცხლებში თუ კიდევ ეწერა, ნეტავ სული რითი ედგაო. ისიც დაენანათ, საფლავზე უხუცესი მწერლის ასაკოვან მეგობართა ისტორიული მოგონებანი საყოველთაო კამერით მაინც ჩაენერათ. ის თუ დაგეგმეს, პირველად კავშირის თავმჯდომარისთვის მიეცათ სიტყვა, მაშინ როდესაც ქალბატონ ქეთევანზე განსაკუთრებული ამაგი ცნობილ მეცნიერსა და პროფესორს რუსუდან ნიშნაიძეს მიუძღოდა, ჩანანერის შენახვას წინ რა ეღობებოდა?! დაკრძალვაზე კენტად მისულ თავმჯდომარეს თავისი ამაღის მეოთხედით თან რომ ხლებოდა, ვიღაც გულუბრყვილოს კიდევ დააჯერებდნენ, რომ უფროსი თაობის ლეგენდად ქვეულ პატიოსან და ხალისი ნიჭით დაჯილდოებულ მწერლებს კრძალვით ეპყრობოდნენ და სიცოცხლეშივე მზრუნველობას არ აკლებდნენ. როგორც ჩანს, თავმჯდომარის ჯამ-ჭურჭელი (მოხუცებთან კარდაკარ ქვაბებით დავდივარო, — ყრილობაზე გულისამაჩუყებლად განაცხა-

და) ელექტორატის გამოკვებას შეეწირა და იმათ ვერ გასწვდა, ვინც ახალი საბჭოელებისგან არასდროს არაფერს ითხოვდა და დაუმსახურებელ უყურადღებობასა და დაუფასებლობას ღირსეულად ითმენდა.

არ გამიკვირდება, ნაირნაირი პრემიებით დახუნძლულებს დევნილების სახელები ანაზღად გაახსენდეთ, რათა სიცოცხლეში იგნორირებულ კოლეგათა სახელობის პრემიებიც თვითონ გაიფორმონ და ახალი ზღაპრებიც ოსტატურად გამოაცხონ!

ამდენი მაგალითის მერე ვინ დაიჯერებს, რომ ხელმძღვანელები მაინცდამაინც ბ-ნი ეგრისელის მრავალტომეულის შესწავლისას გაჭაღარავდნენ. სამწუხაროდ, მიცვალებულს მკვდრეთით ვერანაირი პრემია ვერ აღადგენს, თუმცა ცოცხლებშიც მოიძებნება გამორჩეული ბიოგრაფიის პატრონი უმშვენიერესი პოეტი ქალი, განგებამ ყავარჯნით გადაადგილება რომ მიუსაჯა და, ურთულესი ხვედრის მიუხედავად, იმის ძალა და მადლი მიანიჭა, გაბოროტების ნაცვლად უნარშეზღუდულ ადამიანებს ბრძოლისა და გამძლეობის მაგალითი დაუსახოს.

ამ შემთხვევას კომუნისტებიც არ გაუშვებდნენ ხელიდან, მითუფრო, რომ ნიჭიერი შემოქმედი, რა დასამალია, და კავშირის უფროსობისადმი (ყველაფრის მიუხედავად) გულთბილად განწყობილი, შეძლებისდაგვარად მხარში უდგას და ხშირად „ხელდამსხმელთა“ შავზნელ საქმეთა გამო მათთვის განკუთვნილი ისრების სამიზნედაც ქცეულა. თუ დაფასებაა, უკეთეს კანდიდატურას ვერც ინატრებენ. ხალხიც წამით ირწმუნებს, რომ მხოლოდ ყალბისმქნელებთან არ არიან შეკრულები და ცოდვა — მადლის უნარს მოჩვენებითად მაინც ამჟღავნებენ.

ვიმედოვნებ, ვინმე ქრისტიანი ჩემი წერილის შინაარსს მათ ყურამდე მიიტანს (რადგან კითხვას არ კადრულობენ და!) და იმ სათნო მგოსანზე ჩამოუგდებს სიტყვას, ნიჭისა და ბიოგრაფიის გამო დიდხანია ერთ პრემიას ნამდვილად რომ იმსახურებს, რადგანაც განუხრელად სწამს, რომ წინაპართა სახელობის ჯილდო ყოველდღიურობას გაულამაზებს, და კუთვნილ სახსოვარს ჩვეული ღირსებით ატარებს.

ყველა ბ-ნი ეგრისელს ვერ მიედრება და თავის გამოჩენის მიზნით პოეტების დასაპატიმრებლად ტაძარში პოლიციას ვერ გამოიძახებს! მართალია, განმეორება ცოდნის დედაა, მაგრამ სამართალდამცავებთან ლაციცი პოეტურ სტრიქონთან ჯახირვალე ოდნავ სახიფათო მგონია. ბ-ნი დოღბაია ახალაიას ციხეში ისე უყოყმანოდ გვისტუმრებდა, გენიალური წინამორბედის, ვისი პრემიაც ესოდენ ემაყება, სიტყვები რატომღაც არ გახსენებია: „ჩემთვის დღესავით არის ნათელი რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა!“

იქ, ტაძარში, ვიდრე პოლიციას უხმობდა, ჩემი ხვესურული თავსამკაული ამერიკულ ქუდად მოეჩვენა და: არიქა, ეროვნულობა არ დამასწრონო, — პრემიის მიღებამდე ჯვრით მოსირმული ხვესურული ქუდი სასწრაფოდ მოირგო. აბა, ნადირობისას დამარცხებული როსტევენივით თავმიშველი ხომ ვერ ეჩვენებოდა კავშირის კონკრეტადორებს, გალაკტიონის პრემია რიხით რომ მიაკუთვნეს. „ფიგარო აქ, ფიგარო იქ“, ფიგარო ყველა განზომილებაში, ზნეობა თურმე ძველმოდური სალაფავია! ხელმძღვანელები გრგვინავენ, „უძლეველი არმადა“ ჩვენთან რა სახსენებელია, პრემიების წონა და სიმრავლე საიმედოდ გვიცავს, „ტახტრევენებიდან“ იოლად ვერ დაგვძრავენო!



ფრანსუა ვაინონი

„ფრანსუა ვარ“...

ბატონო როსტომ, სულ ახლახან გავიგე, რომ გამოცემლობა „ინტელექტს“ ფრანსუა ვაინონის „ოთხტაყედი“ გამოუცია, თითქმის ყველა ვერსია, მათ შორის ჩემი თარგმანიც.

რიგმა და რიგმა გამომცემლობებმა დროის შესაფერისი განუკითხაობა წესად იქციეს, შენს ტექსტს ისე დაბეჭდავენ, პირის მოსანმენდაც არაფერს გეკითხებიან, გინდ ყოფილხარ, გინდ არა, რასაც არასოდეს კადრულობს ზოგიერთი სხვა

გამომცემლობა, ბაკურ სულაკაურისა, მაგალითად, ვინც მე ვიცი.

აქვე მინდა ხსენებული წიგნის დანაკლისი თქვენს ჟურნალში შევავსო, მაგ ტაყებს სხვადასხვა დროს რამდენჯერმე მივუბრუნდი, ერთი ვარიანტი ოდესღაც, ვაინონის კრებულის გამოსვლამდე კარგახნით ადრე, „ცისკარშიც“ დაიბეჭდა. ათამდე თარგმანი მაინც დამიგროვდა,

ამჟერად სამ მათგანს გთავაზობთ. პირველი ნეიტრალური ტონალობისაა.

ფრანსუა ვარ დანაჯენი, მძიმეც შემხვდა განაჩენი, მალე ვნახავ ჩემი კისრით, რას იწონის გავა ჩემი.

მეორე შედარებით უხეშია, ორ-სამჯერ ეს ტონიც მოვსინჯე;

ფრანსუა ვარ, საქმე ხრაკი, ვიბრიდები ხმარაკრაკი, კიდევ ვნახავ ჩემი კისრით, რას იწონის

მაგრამ დედანთან მიმართება, ამ ტიპის თარგმანებში, ჩემთანაც და სხვებთანაც, ემოციურად საკმაოდ ფარულალაა. ფრანგული სიტყვები, როგორც წესი, ქართულზე ბევრად მოკლეა. ბოლო სხარტი სტრიქონი ქართულში ორ სტრიქონად გაშლას საჭიროებს, ფრანგულად კი სუფთად ეტევა ერთ რვამარცვლედში, ამდენად, ზოგი რამ, გინდა-არ გინდა, ტექსტს გარეთ რჩება და, რაც მთავარია, ლექსის ბუნებრივი სვლა ძირითადად დაკარგულია. ვფიქრობ, ყველაზე სწორი იქნება, დაახლოებით იმდაგვარადვე დაინეროს, როგორც ვახტანგ მეექვსე და მისი კარის მგოსნები დანერდნენ. ვთქვათ, ასე:

ტაჰპი, თქმული ფრანსუა ვაინონისაგან, ოდეს დიღებს მჯდარი ჩამოხრჩობას ელოდა

ფრანსუა ვარ, მაგას ვტირი, ეგე მჭირდა თავში საცი, პონტუაზთან პარიზს გეტყვით,

მუნ ვიშვი და ვიხვაცხვაცი.

ძელზე თოკი, თოკზე კაცი, სასიკვდილე დამდეს ცაცი, ხამს, შევიტყო ჩემის კისრით, რას იწონის ჩემი ნაცი.

პატივისცემით
დავით ნარედიანი

შალვა საბაშვილი

„არ მოსთხოვო სხვებს მეტი, ვიდრე საკუთარ თავს“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— ჯერ ვიტყვი, რომ ანკეტიის კითხვებს სიცხადე აკლიათ. მაგალითად, საყვარელი პოეტი, მხატვარი და ა.შ. შეიძლება ასეულობით გყავდეს; რიგ კითხვებს ღრმა ნიაღვრის სტირდებით; სრულ პასუხებს ვერ ჩატევთ, არასრული პასუხი კი პიროვნების მცდარ ხატს შექმნის. აი, თუნდაც: პირველივე კითხვაში სიტყვა „გაჭირვებული“ ნივთიერ ხელმოკლეობაზე მიაჩნდება. „გამოუვალი“ რომ ეწეროს, ვუპასუხებდი: თავისუფლების აღკვეთა; უკუჩვენებელი სენი; უახლოესი ადამიანის სიკვდილი; გაუზიარებელი გრძნობა; საზრისის დაკარგვა...



— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— არსად საქართველოს გარეთ. ჩემი ქვეყნის მზიური ბუნება და ჩემი ხალხის ასევე მზიური მსოფლალქმა ჩემთვის ერთადერთ დასაშვებ საარსებო გარემოს ქმნის.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ბედნიერება განუმარტავი ცნებაა. ისე კი მრავალნივრთაა. ჩემთვის ბედნიერებაა: მზის ამოსვლა; ტყეში ყოფნა; „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა; „მთვარის სონატის“ მოსმენა; სიყვარული; შემოქმედებითი პროცესი; რთველი;... ბედნიერებაა, თუ შენი დანახვა უხარიათ; როცა შვილიშვილი კისკისებს;... უფრო ღრმა ბედნიერებაა, თუ შენი სიცოცხლე ერის ცხოვრებას ერწყმის, და უფრო ღრმაც — თუ კაცობრიობის მიერ შექმნილი მთელი სულიერი სიმდიდრით ხარ გაუღენთილი. უმაღლეს ბედნიერებად კი ყველა არსის ჰარმონია მესახება.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— თარაშ ემხვარი; დათა თუთაშხია; იგი; ლევინი; ავთანდილი; ჰამლეტი; შვლის ნუკრი; პეტრე („სარჩობელაზე“); სხვაც უამრავი!

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ემოციის ასპექტით: თევდორე მღვდელი; თამარ მეფე; ლვანთი — დავით აღმაშენებელი; ვახტანგ VI; მსოფლიო სივრცეში — სამხედრო საქმის გენიოსები: ალექსანდრე მაკედონელი; ნაპოლეონი; მასშტაბით — ზეადამიანური ნიჭისა და გამოაგნებელი ნებისყოფის პიროვნება სტალინი...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— კაკაბაძე; ფიროსმანი; ალორძინების გენიოსები (ლეონარდო და ვინჩი; რაფაელი...); ვან გოგი; არ დამავიწყდება ივანოვის „ქრისტეს გამოცხადება ხალხთან“, ვერემჩაგინის „ომის აპოთეოზი“, პიკასოს „გერნიკა“, აივანოვისკის ზღვის სერია, კუინჯის ტილოები, ... მსოფლიო ფერწერა ოკეანეა!

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ფალიაშვილი; ბეთჰოვენი; ჩაიკოვსკი; ბახი; მოცარტი (მის „რეკვიემში“ სიცოცხლის მთელი ფილოსოფიაა); სხვანიც მრავალი; ქართული ხალხური მუსიკალური გენია; გრძნეული მუსიკის სმენისას აღარც მჯერა, რომ მას სხვა რამ შესწევდება. თუმცა, მაინც: „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— გულწრფელობას; მაღალ სულს; სიტყვისკაცობას; ნებისყოფას; დამოუკიდებელ აზრს; მიმტევებლობას; მოყვასის სიყვარულს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— იმავს. და კიდევ: სინაზეს; კდემამოსილებას; უნიკალურობას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— კეთილგანწყობა; მზაობა — შეარბილოს დაძაბულობანი ადამიანთა შორის.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ლექსების წერა; ენებში ჩაღრმავება; ლექციების კითხვა სამყაროზე; ბუნებაში ყოფნა; წიგნების წერა და თარგმნა; ბაზარში სიარული; ხეტილი უცხო ქალაქში;

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— არავინ. ადამიანის ღირებულება მის განუმეორებლობაშია. ისე, ოდესღაც მესიზმრა, თითქოს არსაკიდე ვიყავი; კოშკში გამომწყვდეულს ბრბო გარედან მრისხანედ მეძახდა: „გამოდი!“ — ალბათ, ჩასაქოლად. მთელი შეგრძნებით ვიყავი სხვადაცქეული.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— რამდენიმეა, ტოლძალოვანი. 1. ღრმად მძულს ყოველგვარი ფიზიკური ძალადობა (ჩხუბი; ომი); 2. არ მიყვარს განმეორებანი: ლიტერატურულ თემებსაც კი გამოცდებზე მუდამ პირდაპირ თეთრად ვწერდი. 3. მიზიდავს მოულოდნელი ასპექტები. ერთ ჟურნალისტს კითხვაზე — როგორ სწავლობდითო — ვუპასუხე: ცოტა მრცხვენია, მაგრამ სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე-მეთქი. და განვუმარტე: შეუძლებელია ყველა საგანი გიყვარდეს, და ღირს კი ფრიადისთვის უინტერესო საგნებზე დროის კარგვა? საკმაოდ ჩავაფიქრე. 4. სულიერის პრიმატი მატერიალურზე; 5. მიზიდულობა საპირისპიროებისადმი (ნიმუში: პოეზია და მათემატიკა).

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ჩვეულებრივი გაგებით ისინი არ მყავს — მიძნელებდა სხვათა ცხოვრებაში მონაწილეობა. მეგობრად მიმაჩნია ყველა, ვინც ჩემთან სულიერად ახლოსაა.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— 1. დროის ფლანგვა (მიძიძი კონცენტრირება „მთავარზე“); 2. ჭარბი მგრძნობელობა; 3. მცდარად ვაფასებ ადამიანებს (უკეთესნი მგონია, ვიდრე არიან!).

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— უკვე ვიპასუხეთ. ვამატებ: მარტოობა; ბავშვობა; ახლოს ყოფნა ზოგ ადამიანთან და შორს ყოფნა ზოგისგან (თვითონვე ამოიცნობენ, ვინ ვინაა!). ვალის არქონა; როცა აღაფრთოვანებ სხვებს.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— მტრის შემოსევა; უარესიც — სამოქალაქო ომი; ქართული ენის გაქრობა.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— 1. ყოვლისშემძლე (რათა ბოროტებანი აღმეკვეთა); 2. უსხეულო; 3. საერთოდ არ ვყოფილიყავი (ზოგის უმსგავსობა მართლა გაძულებს სიცოცხლეს!).

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ყველა მშვენიერია თავის ადგილას: წითელი დაისი; ლურჯი ზღვა; მწვანე მდელი. მთავარი კი ფერთა თუ ბგერათა თანანწყობებია! ისე: ცისფერი — ფერი სიმშრის, მარადისობის.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— უკლებლივ ყველა. გამორჩევით: ზამბახი; დილის ყვავილი; პატარძალი; მზესუმზირა; ია; ნარგიზი; ვაშლის, ატმის, ყვავილები...

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბელურა; გულყვითელი; მტრედი; გვრიტი; მერცხალი; ...ფრინველი ასახიერებს ჩვენს ნატურას სივრცის დაუფლებზე.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— კ. გამსახურდია; ლ. ტოლსტოი; დოსტოევსკი; შექსპირი; ბალზაკი; კაფკა; ...გამორჩეულად: პასკალი; ლეოპარდი;...

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— აქაც ზღვაა: გალაკტიონ ტაბიძე (უხერხულია შემოქმედის მარტო სახელით ხსენება. წარმოიდგინეთ: “ რუსი პოეტი ალექსანდრე,, “ინგლისელი პოეტი ჯორჯი.”); ტერენტი გრანელი; ესენინი; ფეტი; ლი ბო; დუ ფუ; ისიკავა ტაკუბოკუ; თაგორი; ედგარ პო; ლერმონტოვი;... სად უნდა შეჩერდე? მარტო რუსთაველი — ოკეანეა. ვაჟა ფშაველა? “ხალხური” პოეზია? ივანე ნიკლაურის “რამ დამაბერა” მსოფლიო პოეზიის მწვერვალზედგანაა.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ოთარაანთ ქერიცი; კატერინა მასლოვა; ანა კარენინა; შორენა; დიდედა, ვერა (“ხრამი”)...

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ყველა შემოქმედი თუ მშრომელი ადამიანი. ერთეულნი? ექვთიმე თაყაიშვილი; ექიმი ჟორდანიანი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ოჯახისა და ქვეყნის ერთგული ყველა ქალი.; სააკაძის მეუღლე; ცხრა ძმის დედა; ქეთევან დედოფალი; ძვ. ბერძენები: ჰიპატია (ასტრონომი) და საფო (პოეტესა). აზროვნებაც ხომ გმირობაა?

— საყვარელი სახელი?

— წმინდა ქართულინი: ცისია; მთვარისა; თამარი; ნარგიზი; ვეფხია... შვილებს ვაჟა და კახა დავარქვით, შვილიშვილებს — თეონა და ნატა.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— მდაბალისგან მაღალის კიცხვას; ეგოისტის ხალხზე პატრიოტად შერაცხვას; ბილნსიტყვაობას, განსაკუთრებით ქალისაგან.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?

— 1. ომის დამწყებნი. 2. ვინც ძმა, შვილი თუ მამა მოკლა მეფობის მოსაპოვებლად; 3. ვინც ერი გახლიჩა პირადი სარგებლისთვის.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— მტრის განდევნა სამშობლოდან. და ესეც — მხოლოდ თანაგრძნობას და არა ალტაცებას (მტრის ჯარისკაცთაგან მრავალია ომში ჩათრეული!).

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევთ?

— სიკვდილით დასჯის გაუქმება. მოკვდინება ამაზრზენია! აჯობებდა კი ისეთი რეფორმა, ველურ ქცევებს რომ გამორიცხავდა და სიკვდილით დასჯის საჭიროებასაც მოხსნიდა!

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— უჩინარობის; ფრენის; წარსულსა და მომავალში გადასვლის; და მთავარი: უზნეო ადამიანთა მაღალსულიერ არსებებად გარდაქმნის ნიჭი!

— როგორი გინდოდათ, რომ მომკვდარიყავით?

— არანაირი! შეგრძნებებისა და აზროვნების დაკარგვა არ მსურს! ისე, შესაძლოა სიკვდილი არც არსებობს. გამოუქვეყნებელ ლექს “დელტა”-ში ეს თემა გავშალე.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— გაორებული. სიცოცხლე იწურება, შემოქმედების გამოძეურება კი ლამის დასაწყისშია (ისე, ერთმა ტელევიზიამ გადასცა, თითქოს მინიმუმ ორას წელს ვიცოცხლებ!). არც ისტორიის დინება მომწონს: ირგვლივ უსამართლობების ზღვაა!

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ყველა, რაც ჩადენილია მხოლოდ გარემოებათა ზემოქმედებით.

— თქვენი დევიზი?

— არ მაქვს: უფრო მჭვრეტელი ვარ, ვიდრე მოქმედი! და მაინც: 1. არ მოვთხოვო სხვებს მეტი, ვიდრე საკუთარ თავს. 2. (მონაფეობისას მოფიქრებული) არ არსებობს მდგომარეობა, რომლის გაუარესება არ შეიძლებოდეს.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— შეუძლებელია დავრწმუნდე, რომ ნამდვილად ღმერთს შეხვდით. თუ ეს მაინც მოხდა, ვისურვებდი აეხსნა: 1. როგორ უძლებს გული — არ ააცილოს ადამიანებს ურიცხვი უბედურებანი? 2. აქვს თუ არა საკუთარი თავისათვის შექმნილი აბი მცნების მსგავსი რამ? 3. არ სურს თუ არ ძალუქს ადამიანთა გაკეთილშობილება? ისე, მიკვირს, ღმერთისგან ბევრს ყველაფრის მიტევების მოსმენა რომ სურს. მე ვერავისგან ვერანაირი მიტევება იოტისოდენა შევბასაც ვერ მომგვრიდა. უფრო პირიქით! თვითონ ვერასოდეს ვაპატიებ თავს, თუკი რამ შეუფერებელი ჩამიდენია. ტრაგიზმი კი იმაშია, რომ მომხდარს უკვე ველარასოდეს შევცვლი!

ალმართი ცხოვრებასავით

ქართულ ლიტერატურულ სივრცეში კიდევ ერთი ახალი ნიგნი დაიბადა, რომლის სრულშეცდამაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა.

„ნანვიმარი მოგონება“, ასე უწოდა ნოდარ მამაცაშვილმა თავის მეოთხე ნიგნს. კრებულში ბოლო წლებში შექმნილი ნოველები და მინიატურები გაერთიანდა. აღსანიშნავია, რომ ამ ნიგნში შევიდა მოთხრობა „ძალაუფლების მიმზიდველობის კანონი“, რომელმაც 2011 წელს რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია მიიღო.

ღონისძიებას უძღვებოდნენ ლიტერატორები ამირან ლოლაძე და ცირა ვეფხვაძე. ახალი ნიგნის გამოცემა მიულოცეს ავტორს ახლობლებმა, მწერლებმა და სამომავლოდ შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს.

თამრი ფხაკაძე: „ვულოცავ ნოდარს ამ დღეს. მისი ყველა მოთხრობა არის ძალიან ადამიანური, მგრძნობიარე, ლაკონური, მათში ყოველთვის ჩანს ნამდვილი სამწერლო ხელოვნება“.

ნინო ლათანიძე: „ნოდარის მოთხრობებში მკითხველი აღმოაჩენს უდიდეს ეპოქალურ მოვლენებს, ფსიქოლოგიზმით აღბეჭდილ



ხასიათებს. მას შეუძლია ძალიან კარგად დაინახოს ქალის ფსიქოლოგია და მკითხველი დაინტერესოს სიუჟეტის მოულოდნელი განვითარებით“.

როგორც ნოდარ მამაცაშვილის მეგობრები ამბობენ, მის მოთხრობებში ისეთი სევდაა, გაფანტვა რომ არ მოგინდება. ყველა ტკივილს ფერი აქვს და ეს ფერი მწერალმა თავის მოთხრობებში ასახა, ყურით დანახული სამყარო დაუხატა მკითხველს. მის პერსონაჟებს სჯერათ, რომ „ოცნებასაც თავისი გამოყენების ვადა აქვს“, მათ იციან, რომ „აღმართიც ცხოვრებასავითაა, ხან მიიმედ მიუყვები, ხანაც ღლინ-ღლინით, გაჩნია რა გულით მიუყვები, რა გულით და რა ტვირთით“. „გვიყვარდი, გვიყვარხარ და გვეყვარები“, ეს ის სიტყვებია, რომლებიც მეგობრებმა მწერალს უსახსოვრეს.

დასასრულს ნოდარ მამაცაშვილმა მადლობა გადაუხადა ყველას სიტბოსთვის, სიყვარულისთვის, თანადგომისთვის და დასძინა: „თქვენი თვლები ლამაზად აღიქვამენ სამყაროს და ესაა ყველაზე მთავარი“.

ნათია გოგიჩაიშვილი

მაკა ჩარკვიანი

ალმართი

სამი მთის კალთას შემოხვეული ჭრელი ქალაქი იყო. ქალაქი, დაბა თუ სოფელი — ღმერთმა უწყის — ნარციმარისი ერქვა... გადმოცემით, როგორც არის ხოლმე, ოდესღაც, საუკუნეების მიღმა, სამ ძმას თითო მთაზე თითო ციხე აუშენებია და დასახლებულა, გამრავლებულა, გაზრდილა და, ბოლოს, ისევ ერთად შეყრილა, ერთ დიდ სამყაროდ ქცეულა... ჭრელი საბანივით ეზურა ქალაქი, სოფელი თუ დაბა სამ გოლიათ მთას... ნარჩენი ნაჭრებისგან შეკერილ საბანს ჰგავსო, კოხტად გაკეთებული ბმულებითო, ლამაზი გვირისტებითა და უნაკლო ფერებითო, ჩემგან ასეთი ჩანსო — ჰყვებოდა თავისი თვალით დანახულს გადამთიელი ქალი, მღვიმეში განმარტოებით მცხოვრები ნათელმზილველი და მკურნალი, სახელად მაგა. ერთ მთაზე ვერდატეული სახლები ჯერ მათაა შორის უბეებში იკარგებოდნენ, მერე კი ფეხაკრეფით, მაგრამ უყოყმანოდ ამოდიოდნენ მეზობელ ფერდობზე და ახლა იქიდან, გადაღმიდან შემოგებებულ სახლებს უერთდებოდნენ, მათში იჭრებოდნენ, ისე იჭრებოდნენ, რომ დასაშვებ სიახლოვეს არასდროს არღვევდნენ, ზღვარს არასდროს გადადიოდნენ, შეთანხმებულებს ჰგავდნენ, ცეკვას ჰგავდა მათი შეთანხმება, უზადო იყო მათი მოძრაობა, ორმხრივი იყო მათი ლტოლვა — ღვედებით იკავებდნენ და კრავდნენ ბუმბერაზ მთებს მენამული სახლები, სიყვარული იყო მათი საძირკველი, ასე უნდა ყოფილიყო...

ქალს ჰგავდა ამ ქალაქის, სოფლისა თუ დაბის ეს მოქნილ-მოხდენილი მიხაზულ-მოხაზულობა, ნელში ტეხადი წვრილ-კოჭა სინატიფე, გამომწვევი მიხრა-მოხრა, ვნების აღმძვრელი ღრმულები და ბორცვები, აფოფრილ-აშლილი შავთმიანი ტყეები და აბრეშუმის მაქმანეები თუ არშია-მდინარეები. მხოლოდ სამი ციხე, ქედზე შემდგარი სამი სიმაგრე განასახიერებდა კაცის ურყევ და სტატიკურ ძალას, ადასტურებდა დროისა და კანონის მიღმა არსებულ მის დაუნერულ, მაგრამ ოდითგანვე ნაგულისხმევ უპირატესობას... არსად არავითარი წინააღმდეგობა, ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა, უნდა ჰქონოდა.. და მინც... არ იყო მთლად ასე...

რალაც არ მოსწონდა მაგას, გრძნობდა, ვილაცას უჭირდა მის საყვარელ ნარციმარისში, კედელზე გამოსახული უზარმაზარი ხატივით რომ ჩანდა გადაღმამთიელი ქალის სარკმლიდან. დროს არ კარგავდა, გამუდმებით ხარშავდა წინასწარმეტყველურ წვენებს, ტყის მთელს მწვანე უდაბურებას ჩანურავდა ქაშანურის ჯამში და მზის ჩასვლამდე დაჟინებით უმზერდა ამღვრეულ ნახარშს, თვალებს წამოსწევდა, შეიკუმშებოდა, გაირინდებოდა, ჩასაფრებულ ფოცხვერს დაემსგავსებოდა, თუ დალანდავდა რაიმეს.

შორეული ცხელი ქვეყნიდან, ხორშაკიანი ველებიდან იყო მაგა, ოდესღაც რალაცას თუ ვილაცას გამოქცევია, მომთაბარეობა დაუნყია და ბოლოს აქ, ნარციმარისის პირისპირ უპოვია ნავსაყუდელი, ვეღარ მოსწვევტია აქაურობას, შეჰყვარებია, ძალზე შეჰყვარებია ეს ქალაქი, დაბა თუ სოფელი და სამუდამოდ დარჩენილა... თავიდან რომ დავიბადო, აქ მინდა დავიბადო — ფიქრობდა და ამბობდა კიდევ... გამუდმებით სთხოვდნენ ბინადრები, ნარციმარისში, მათ გვერდით დასახლებულნი იყვნენ, თბილ და მყუდრო ბინასაც პირდებოდნენ, მაგრამ არა და არა, კლდეზე ერჩივნა დასაყდრება, კლდიდან ამოზრდილს ჰგავდა და კლდესავით პირქუში, გამძლე და შეუდრეკელი იყო. მანდ რომ გადმოვსახლდე, ნარციმარისს ველარ დავინახავო, მე კი მისი ჭვრეტა მა-

ცოცხლებსო, ასე ამბობდა სხვების გასაგონად, კიდევ ამბობდა — რაც ძალზე გიყვარს, იმას შორიდან უნდა უმზიროო... და იდგა ხოლმე, ხან ქაფურას სრესდა, ხან — დანა-სისხლად მოპოვებულ მანდრაგორას ფესვებს, და თან აყიყისფერ დაისს გაჰყურებდა, ნარციმარისის ქედსმიღმა ცერად ჩამავალ მზეს...

იმ საღამოს ანსუმისკენ გაურბოდა გონება, მის სახეს ხედავდა, მხოლოდ ჯამში კი არა, არამედ ნაადრევად ამოსული მთვარის მოხაზულობაში. ფერმერთალი იყო ანსუმის ლამაზი ნაკვთები, შემცბარიც, ანდა იქნებ მთვარე იყო უშუქო და გაუბედავი ჯერკიდევარჩასული მზის ფონზე?

მერე წარსულის დაღმართს დაუყვა მთვარესმიშტერებული ქალის ფიქრი, მოიგონა, რა დიდხანს ელოდნენ ანსუმის მშობლები შვილის დაბადებას, ანსუმის მშობლები და თვითონაც, მათთან ერთად. მოიგონა შვიდი წლის მანძილზე როგორ დადიოდა ლამამობით უღრან ტყეში და დანიშნულ საათზე აკითხავდა საიდუმლო ბუჩქს, მანდრაგორას რომ ეძახდნენ ან ონანას. მაგასთვის ის ყოველ ჯერზე იცვლიდა სახელს, მაგრამ მისგან დამზადებულ ნაყენს რომ მიუტანდა ანსუმის დედას — მთვარის ვაზი მიირთვითო, ასე ეუბნებოდა, რატომღაც ანსუმის დაბადებამდე შვიდი წლით ადრე კი, იმ დალოცვილ ლამეს, პირველად არ იკითხა მთვარის ვაზმა არაფერი, პირველად არ გაჯიუტდა, უსიტყვოდ ამოყარა ფესვები, უმტკივნეულოდ გასცა საკუთარი სხეულის ნაწილები და მერე წლების მანძილზე კვება საკუთარი სისხლით ანსუმის დედა. გაუკვირდა მაგას, სხვა დროს ბებიაქალივით ემზადებოდა ხოლმე მთვარის ვაზთან შესახვედრად, უფრო საგულდაგულოდაც კი, ყოველთვის იცოდა, რა რთულად მისალწვევი იყო მისი თანხმობა, რა მტკივნეული იყო მცენარისთვისაც საკუთარი ფესვების გაცემა და რა ძნელი იყო მაგასთვის ამ სასწაულმოქმედი ნაწილების მოპოვება. ახლა კი რა მოხდა?... ასე იყო თუ ისე, იმ დღიდან შვიდი წლის მანძილზე მაგას არცერთი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, პირიქით, თითქოს თვითონვე ეგებებოდა მცენარე დათქმულ დროს მოსულ ქალს. მეშვიდე წელს კი ანსუმიც დაიბადა. მთელი ორმოცი დღე ნარციმარისში უჩვეულოდ თავბრუდამხვევი სუნი იდგა, ტყეში კი გიჟურად ხარობდა უკარება და უცნაური მანდრაგორა.

მოიგონა და თავიდან განიცადა მაგამ ის შვიდი წელი. მერე ანსუმის დაბადება, მერე მისი ბავშვობა და ახლა ნელ-ნელა ისევ აქეთ, ანმყოსკენ წამოჰყვა დროს, არსად შეფერხებულა, მხოლოდ ერთ დღეზე, იმ დღეზე შეჩერდა, როცა პირველად შეხვდა ანსუმი გირხას.

მართლაცადა, რა დღე იყო ის დღე, როგორი იყო ვარსკვლავების წყობა ან რა ჩანაფიქრი ჰქონდა მალლა ღმერთს, როგორ გადაიკვეთა მრავალწლოვანი მათი გზები — არავინ უწყის, მაგრამ უდიდესი სასწაული კი შედგა — იმ დღეს ისინი შეხვდნენ ერთმანეთს და იცნეს ერთმანეთი, უკვე ორთავემ იცოდა რალაც, ჯერაც ამოუხსნელი, შემაშინებლად რთული, მაგრამ უდავოდ აღსასრულბელი. სამუდამოდ აღიბეჭდა გირხას გონებაში შენელებული, მაგრამ მარად მოძრავი კადრი — კარიდან გამავალი ანსუმის ხატება, მისი კაბის შრიალი, შემდეგი ნაბიჯისთვის წამოწეული ტერფი, უკან დარჩენილი შიშველი მკლავი და ჯერ კიდევ ღია კა-



რის კიდევ აცოცებული ხელის მტევანი. ჩახვეული ფირით მეორდებოდა და გონებას უბინდავდა ეს მოგონება, ლამაზი და მოქნილი ტანის ეს დაფარული სიმრგვალებები, გამომწვევი სისადავე, ქალური სისუსტი შენიღბული ნამღეკავი ძალა, ზურგით ნაგრძობი სასიყვარულო მზერა და ზურგიდანვე ასხლეტილი საპასუხო სიყვარული. გადიოდა, ისევ და ისევ გადიოდა ანსუმი, ისევ შრიალებდა კარს აქეთ დარჩენილი კაბის ბოლო, ისევ მოუჩანდა შიშველი მკლავი, ისევ, ისევ — ...არა, არასდროს მიუხურავს მას კარი...

დრო რომ მოვიდა, მივიდა გირხა ანსუმთან, “დრო მოვიდაო”, უთხრა. თავი დაუქნია ანსუმმა და პირველად მიეცნენ თავდავიწყებას. ამ დროს ნარციმარისში წამი შეჩერდა, აფორიქდნენ ბინადრები, მზე არა და არ ჩავიდა, გალობა გაუგრძელდათ ნახშირით შავ და ნითელისკარტა შაშვებს, მდინარე ადგილიდან აღარ იძვროდა... ჰმ, ხელდასხმულები შეერთდნენო, გაიფიქრა კლდის ქიმზე ქანდაკებასავით წამომართულმა მაგამ, ისიც იცოდა, ვინ იქნებოდა ეს ხელდასხმული... მერე კი, როცა ჰაერში ნისლივით ჩამოწვა მანდრაგორას სუნი, ჰო, ანსუმიო, თქვა და მოჰყვა გაუთავებელ დუღუნს, გაუგონარი წარსულიდან ამოღებულ ენაზე ლოცვას. გადაღმა კი შემოვრთებული ნარციმარისელები მზეს მიმტერებოდნენ, მზეს, რომელიც აღარსად ჩქარობდა, ჯიუტად ატალღებდა საღამოსფერ ჰაერს და თამბი ჩაყრილი ოქროსავით აბრწყვილებდა ნარციმარისის გიშრისფერ ტყეებს. მერე, ცოტა მოგვიანებით, ატმოსფერო თითქოს შეტორტმანდა, თითქოს ძილისგან გამოერკვა, ტყიდან სიგრილემ დაუბერა და კედარის სურნელი მოიტანა, მზეც ნელ-ნელა მიეფარა თვალს.

მეორე დღეს მაგასთან გაემართნენ, რა ხდება ჩვენს თავსო... მოგეჩვენათო — ამ სიტყვებით გამოისტუმრა კლდის ქალმა... ქვის მთლებებამაც იგივე თქვეს, არაფერი შეგვიწინავსო, დღე გაიზარდა, გაზაფხულის პირიო, ეს არის და ესო. ორ დღეში აღარავის ახსოვდა ეს ამბავი...

იმ დღეს, გირხა რომ სახლში ბრუნდებოდა, შუალამე კარგახნის გადასული იყო. ანსუმმა კიბემდე გააცილა და ის იყო კარი მიხურა, რომ უკვე ზურგშექცეული და დაღმართსდაყოლილი კაცი პირით შემოტრიალდა სახლისკენ. მერე დიდხანს იდგა ასე — ცას შესცქეროდა გაოგნებული და ამ ცის ფონზე უფრო მუქად გამოკვეთილ საიდუმლოებით მოცულ სახლს, საიდანაც, აი, სულ ახლახანს თვითონ გამოვიდა. ხეებსაც შესქეროდა, კიდევ უფრო მუქ ხეებს — ცოცხალ არსებებს, დღისით რომ ფარავენ თავიანთ ჭეშმარიტ არსს და ღამით რომ ცოცხლებიან, ურყევი, მედგარი ჯარისკაცებივით რომ ადგანან თავს და იცავენ მას, ვინც უყვართ. სწორედ ასე იდგნენ ეს ვეება ნაძვები გირხას საყვარელი ქალის სახლთან, მის სადარაჯოზე და გესლს არ აჩერებდნენ მის ახლო-მახლო. ვინ თქვა ღამის სიშავო, გაიფიქრა გირხამ, ასეთი ლურჯი ფერი თვალთ არასდროს ენახა.

იმ დილას ძალზე ადრე გაელვია ანსუმს, ბედნიერს, სავეს და იცოდა, დღეს აკაცია რომ აყვავდებოდა. გარეთ კი ტყიდან გამოპარული და მზით გამთბარი ნიავი უბერავდა სულს თოკზე გაკიდებულ პუკლებიან პერანგს.

მთის წვერზე ცხოვრობდა ანსუმი, უფრო ზევით მხოლოდ კოშკი იყო, გირხაც მთის წვერზე ცხოვრობდა — მეორე მთის წვერზე, მათი სახლები პირისპირ უყურებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ანსუმთან მისასვლელად გირხა ჯერ მთის ძირამდე უნდა ჩამოსულიყო, გვერდითა მთაზე გადასულიყო და ისევ აღმართს აჰყოლიყო, ყოველი დღე უნდა დაეპყრო და თავიდან დაეძლია სიმაღლე, თავიდან მოეპოვებინა საყვარელი ქალის ხილვის ბედნიერება. გავაკება არც უყვარდა გირხას, რთულ და ეკლიან გზას ირჩევდა ყოველთვის, ძლიერი მუხლი და შეუდრეკელი ხასიათი ჰქონდა. ჰოდა, რამდენჯერ გაიარა ეს გზა, რამდენჯერ შემოხაზა ცისკენ აღმართული ეს

ნალისებრი რკალი. სხვა გზაც იყო, უფრო მოკლე, ეზობსა და სახლებს შორის გამავალი, მაგრამ არასდროს სარგებლობდნენ ნარციმარისელები ამ გზებით, არასდროს არღვევდნენ უსიტყვოდ შეთანხმებულ და დათქმულ მანძილს, არასდროს მიუახლოვდებოდნენ ერთმანეთს იმაზე მეტად, ვიდრე ამას რიდი და მონინება ითხოვდა, არასდროს ჩაუძვრებოდნენ სულში და არ გამოსტყუებდნენ ერთმანეთს იქნებადა ნაძალადევი სალამს, მოულოდნელად არასდროს წაადგებოდნენ თავს ვაიდა უგუნებოდ მყოფ, ან ეგებადა ნეტარ სიმარტოვეს თავსმიცემულ ადამიანს. გირხამაც შორი გზა არჩია, ყველასათვის განკუთვნილი, მაგრამ ძალიან შორი. არც უნდოდა საყვარელ ქალთან მიხვეულ-მოხვეულით ეარა.

დრო რომ გავიდა, ვნება და ყინი, დაუოკებელი ლტოლვა და სხეულთა ალღუმი სულიერ ზეიმში გადაიზარდა. ორი არსი სამუდამოდ შეერწყა და შეენივთა ერთმანეთს. “სიყვარულით ანთებულ და შეერთებულ ორ გულს ვერასდროს დაამორებს ადამიანური სისუსტე. მათი მტრების ნებისმიერი მცდელობა წარუმატებელი იქნება, თავად ღმერთები იცავენ მათო” — ლოცვასავით იმეორებდა ანსუმი მაგასგან გაგონილ შეგონებას. მართლაც ასე უნდა ყოფილიყო... უნდა ყოფილიყო...

ჰაპანაქება ზაფხული იდგა, იმ დღეს კი განსაკუთრებით ცხელია, შუადღე ჯერ არ გადასულიყო, ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. ჩიტები არსად ჩანდნენ, არც შაშვი გალობდა, მძიმე და ცხელი სიჩუმე იდგა. მხოლოდ გველბოკერამ გამოიხედა ერთხელ თავისივე ფერის ბალახებიდან — ეს იყო და ეს... სამყაროს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. გირხა კი უკვე აღმართს შესდგომოდა, გზადაგზა გაჩერდებოდა, ხელით თვალებს დაიჩრდილავდა და გახედავდა გასავლელ გზას. უკვე ანსუმის მთაზე გადმოსულს ჰატარა სახლის წინ უნდა აველო, გზის პირას რომ იდგა. ამ სახლს რომ გასცდა, ცოტა შეისვენა, მდულარე ჰაერი შეისუნთქა და ის იყო უნდა დაძრულიყო — “წყალს მოგართმევთო” — ზურგიდან დაენია ფრთხილი და შემპარავი ხმა. შეყოვნდა... მომესმაო, გაიფიქრა, მაინც შემობრუნდა და მართლაც ვერავინ დაინახა. მაგრამ იმავე წამს სახლის კარი გაიღო და ვილაც გამოვიდა. გავარვარებული მზის ფონზე სუსტად, მაგრამ მაინც გამოიკვეთა ახალგაზრდა ქალის ფიგურა, დიდი ვერცხლის თასი მოჰქონდა ორივე ხელით, აუჩქარებლად მიუახლოვდა გირხას, თავი დახარა და მუხლიც მოიდრიკა თასს რომ აწვდიდა, თითქოს ომში მიმავალ რაინდს სცემდა თავყვანს. ლივლივც წყალი გაუგონარი სიხარბით ირეკლავდა მზის სხივებს, უცნაურ შუქში ჰფენდა და აკეთილშობილებდა მასში ასახული ქალის მორცხვად დახრილ სახეს. არ სწყუროდა გირხას, მაგრამ თასი გამოართვა და წყალი დალია — ცივი და სუფთა. ბოლომდე მიიკლა თავსმოხვეული წყურვილი და მადლობის ნიშნად თბილად გაუღიმა უცნობ კეთილისმყოფელს. მერე ისევ აღმართს შეუდგა. უდაბნოში გაჩენილ ზმანებას ჰგავდა ეს ყველაფერი, უცნაური დღე იყო, სიზმრისეული და ბუნდოვანი.

გზაში აბდა-უბდა და ერთმანეთთან დაუკავშირებელი აზრები მოსდიოდა, ერთი შეხედვით მშვენიერი იყო ეს ხილვა, წყლითა და მზის ათინათებით სავსე ჯამი, უანგაროდ ხელგამოწვდილი ქალი, ხელიდან ხელში გადასული სასმისი და სიცხიან ბურუსში ჩაკარგული დანარჩენი სამყარო — თვალსაც ღამაზად დაამახსოვრდა, სულშიც ღამაზად აღიბეჭდა ეს სიცხადით შენიღბული მოლანდება. იქნებ მართლაც ყველაფერი მომეჩვენაო, ისევ გაიფიქრა უკვე მთლად დასიცხულმა გირხამ, ცოტა არ იყოს, უნდოდა კიდევ, რომ მოსჩვენებოდა, რადგან სილამაზის გარდა, რაღაც გაუგებარი და უსიამოვნო განცდაც წამოჰყვა თან, თითქოს წყალთან ერთად რაღაც ისეთი დალია, რამაც მოსვენება დააკარგინა — დანაშაულის გრძობას წააგავდა ეს განცდა, თითქოს სიტყვა გატეხა, თითქოს ვილაც გაანბილა. იქნებ, წყალი არ

უნდა დაელია სხვისი ხელიდან, იქნებ, თასი არ უნდა სჭეროდა ხელში, მაგრამ რატომ? ათასი ეჭვი და ვარაუდი გაუჩნდა, სიცხის ბრალიაო, გადანყვობა. სამაგიეროდ, ამ ფიქრში გართული ისე მიადგა ანსუმის სახლს, რომ ერთხელაც აღარ შეუსვენია... გრილმა ჰაერმა დაუბერა, ნაცნობმა პეპლებმა და კედარის სუნმა გამოაფხიზლა სიცხით გაბრუებული და ფიქრით დაღლილი მგზავრი. იქვე მეორედ გამოჰყო თავი გველბოკერამ, ყოვლისმომსწრემ და თვითმზილველმა...

ბევრი ისაუბრეს იმ დღეს ანსუმმა და გირხამ, მერე სასაცილო ამბებს ჰყვებოდნენ, კისკისებდა ანსუმი, ბედნიერებისგან და სიყვარულისგან გული აღარ ეტეოდა საგულეში... როცა ჩამოლამდა, კვარი დაანთო ქალმა და უმაღლ მოფრინდა ნაცნობი ფარვანა.

ბევრი კი ისაუბრეს, მაგრამ ვერაფრით დაინყო გირხამ წყლით სავსე თასზე ლაპარაკი, თან სურვილი სძალავდა — მოყოლა სურდა, თან გაუგებარი ძალა აკავებდა. ბოლოს და ბოლოს ისე მოხდა, რომ ვერ თქვა, დამალა, ჰო, დამალა საყვარელი ქალისაგან რაღაც, თითქოსდა, სრულიად უმნიშვნელო და არადრისაგადები.

ერთი რამ უცნაურობაც დასჩემდა გირხას. გაცილებით ადრე, სანამ წყალს დალევდა, მაგრამ საცა წყალი დალია, სწორედ იმ ადგილიდან, ათიოდე ნაბიჯით ზემოთ, გზის გადაღმა კლდოვანი ამონაზარდი შენიშნა, მცირე ზომის, ბრტყელი, ნაფეხურს ჰგავდა და ზედმეტად იყო მოშიშველებული მინის დანარჩენ აბიზინებულ და აყვავებულ საფართან შედარებით. ჯერ ქვა ეგონა, ხელით მის განწევას შეეცადა, ამაოდ... მერე ფეხი დაადგა — თითქოს მისივე ნაფეხური იყო, ისე ზუსტად მოერგო უცნაური ამონაზარდი მისივე ტერფს... აღმატებულობისა და სიდიადის შერგონება გაუჩინა ამ უმნიშვნელო რიტუალმა, მერე თავისთვის გაიფიქრა: რაინდმა, რომელსაც ანსუმამდე მიღწევა განუზრახავს, ჯერ ამ ქვას უნდა დაადგას ფეხიო — გაეცინა საკუთარ ზღაპრულ გამოწვევებზე... გაეცინა, მაგრამ მას მერე აღარასდროს გაუვლია ისე, იმ პატარა კვარცხლბეკზე ფეხი რომ არ შეედგა. მხოლოდ იმ დღეს დაავიწყდა, წყალი რომ დალია სხვისი თასიდან და კიდევ ერთხელ — მეორე დღეს — წინა დღის თასიან ქალზე ფიქრში გართულმა გვერდი რომ აუარა “რაინდის ნაკვალევს” და სიცხიანი რომ დაუხვდა ანსუმი. ღამე ციებ-ცხელება დაენყო, ლოგინში ხტოდა, კანკალებდა, გონებას კარგავდა, ბოდავდა... მთელი ღამე თავთან ეჯდა და ცივ საფენებს ადებდა გირხა. შიში არ იცოდა რა იყო, მაგრამ შეშინდა, იმ დღეს ძალზე შეშინდა — ცოტაც და სიცოცხლეს გამოესალმებოდა ანსუმი... ქვაზე ფეხის დადგმა დამავიწყდაო — უცებ შხამივით ჩაენვეთა გირხას ეს ფიქრი, ფიქრი, რომელიც გარედან შემოვიდა, თითქოს ვილაცამ მოახვია თავს, ვილაცამ შთააგონა... კიდევ უფრო შეშინდა. დილას სიცხემაც იკლო და სადღაც შუადღისას გონს მოვიდა სანთელივით ფერმკრთალი და ღონემიხდილი ქალი... მას მერე ქვაზე ფეხის დადგმა გარდაუვალი, შემანუხებელი და ნაძალადევი გახდა, თითქოს ეშმაკის წინაშე ჰქონდა ვალდებულება აღებული — არ უნდოდა, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო.

იცოდა ანსუმმა ქვის ამბავი და სხვა დროს გულიანად იცინოდნენ გირხას ამ უწყინარ უცნაურობაზე, ხშირად

ეკითხებოდა ქალი, ფეხდაუდგმელი ხომ არ მოხვედი ჩემთანო... რა თქმა უნდა, არაო — გირხა ეტყოდა მაშინ მობრძანდი, რაინდო, შენთვის ღიაა ჩემი გულის კარიო, იცინოდა ქალი. ეს ქვა ჩვენი ურთიერთობის ქვაკუთხედიო, ხუმრობდა გირხა. მერე, როცა ხუმრობა ასე ცუდად შემოუბრუნდა, ეს ამბავიც მოუყვა. არა, წყლის ამბავი კი არა, მხოლოდ ის, ქვაზე რომ დაავიწყდა ფეხის დადგმა და ანსუმი რომ კინალამ სიცოცხლეს გამოეთხოვა იმ დღეს. რაღაც კავშირს, უეჭველ კავშირს ხედავდა ამ ორ მოვლენას შორის, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეყოლა, უჭირდა გადმოცემა, შერცხვენილიც იყო — არ ვარ ცრუმორწმუნეო, იმტიკიცებოდა... ვიცი, დანამდვილებით ვიცი, უბრალოდ დაემთხვა შენი იმდღევანდელი ავადმყოფობა ამ წყეულ ქვაზე ფეხის დადგმას თუ არადადგმას, მაგრამ ამეკვიატა, უკვე ამეკვიატა და თავიდან ველარ ვიშორებო, მაინცდამაინც ის დღე იყო, კინალამ რომ მომიკვდიო... — ჰყვებოდა ალელვებული გირხა. ისევ გაცივება სცადა ანსუმმა, მნიშვნელობა უნდოდა მოეკლო თითიდან გამონოვლილი შფოთვისთვის, მაგრამ შეატყო, არ იყო მთლად სასაცილოდ საქმე... ისე, სიამოვნება კი ჩაეღვარა სულში, მის სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული და სიკვდილთან მეტროლი გირხა რომ მოაგონდა იმ ჯოჯოხეთურ ღამეს — ალბათ, ძალიან შეგაშინეო, ნაზად გაილიმა და ზურგიდან მოეხვია დაფეთებულ კაცს, მაგრამ თითქოს რაღაც უსიცოცხლოს შეეხოო — გაბატონებულ ფიქრს შეყინული სხეულის სიხისტე და სულგამოცლილი, გასაგნებული სიცივე შეიგრძნო. შეეშინდა და ხელი გაუშვა — იმ წუთს გირხა მასთან აღარ იყო,



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

სადღაც შორს, ანსუმისთვის უცნობ სამყაროში დაეხეტებოდა მისი სული. სიჩუმე გაგრძელდა, ანსუმმა რამდენიმეჯერ სახელით მიმართა საყვარელ კაცს, პასუხი ვერ მიიღო, მერე უფრო ხმამაღლა და უფრო მკაცრად გაიმეორა მისი სახელი — ისევ არაფერი. კიდევ უფრო დამძიმდა ისედაც ლოდივით მძიმე ჰაერი, რაღაც გაუგონარ ხმაზე დაინივლა გარეთ უცნობმა ფრინველმა. სახე აელენა ქალს, ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ცრემლი მოადგა და ვერ ატირდა, მერე უგონო ყვირილი მოჰყვა, რაღაც გაუგებარ სიტყვებს გაიძახოდა, მაგრამ არავინ გამოეხმაურა — მის წინ უსიცოცხლო სხეული იდო, რომელსაც ის არასდროს იცნობდა, გარეთ კი სამარისეპური სიჩუმე იდგა, გულგრილი და დამცინავი. საკუთარი ხმაც ეუცხოვა, ყვირილი შეწყვიტა, მიიხედ-მოიხედა და კუთხეში მიყუდებულ ნაჯახს ეცა, ცოტა შეიცადა, შეშინებული თვალები ისევ მიმოავლო უკვე მთლად უცხო და მიუსაფარ ოთახს, ნაჯახი შემოაბრუნა და მთელი ძალით, დაუზოგავად დაარტყა მაგიდის უზარმაზარ ზედაპირს. არნახული ძალა მიეცა და ისევ დაარტყა, მერე ისევ კუნთებს ველარ გრძნობდა, ვედარაფერს ხედავდა, ურტყამდა და ხმაური სიამოვნებდა, თავდავიწყებით ებრძოდა რაღაც ბოროტ ძალას, დაუკითხავად რომ შემოსულიყო მის სამყაროში, ხმაურით უნდოდა განყვეტილი წამის შეერთება, შეჩერებული დროის აღდგენა, შეჩვეული სინამდვილის გამოლვიძება და ახლადმოსულის დაფრთხობა. მოგვიანებით, ზურგიდან ვილაც უფრო ძლიერმა მოხვია ხელი, გააჩერა, ნაჯახი გააგდევ-

ბინა და თავისკენ შემობრუნა – გირხა იყო. ცოტაც და ანსუმი ისევ ლოგინში იწვა და ისევ გირხა ადებდა შუბლზე ბალახის ნახევარს ამოვლებულ საფენებს. სიცხის ბრალიაო, ეუბნებოდა კაცი, ვითომ სხვა არაფერი ჰქონდა სათქმელი, ვითომ მარტო ანსუმს ჰქონდა გასაჭირი, ვითომ თვითონ არაფერი დამართნია. ღონემიხდომი ანსუმს გაკვირვების ძალაც აღარ ჰქონდა, იწვა და უმეტყველო თვალებით უყურებდა საიდანაც მობრუნებულ ადამიანს.

მეორე დილას სიზმარით გაახსენდა ანსუმს წუხანდელი უცნაური ამბავი და ერთი სული ჰქონდა, გირხას როდის დაინახავდა.

ახლად ამოსული მზე უკვე მცხუნვარე და მწველი იყო, თუმცა შუადღისას წვიმაც მოვიდა და ცოტა ამოასუნთქა დასიცხული ბუნება და ადამიანები. გირხა დილაადრიან წასულიყო, იმ დღეს აღარ გამოჩენილა, არც მეორე დღეს. შენუხდა ანსუმი, ასეთი დღე ჯერ არ გასთენებია, გირხა რომ არ ენახა, დაიღალაო, გაიფიქრა. მეორე დღეს უფრო შენუხდა, სულისნამღები მარტოობა იგრძნო და ვეღარ მიხვდა, უნდა სწყენოდა თუ მის მოსაკითხად წასულიყო. მერე უმოწყალოდ დაჩქქვილ მაგიდას რომ შეხედა, თავიდან დაუარა შიშის ტალღამ, სასწრაფოდ ჩაიცვა და დაღმართს დაუყვა.

ის დღე იგადა, ბუნება რომ ფერს იცვლის ხოლმე, ზვიდან ვილაც რომ გადმოჰყოფს დაკაპინებულ მკლავებს და ერთიანად რომ ნახიკავს მინის პირიდან პაპანაქებასა და სიცხეს, ცეცხლსა და სივარვარეს, კვამლსა და ოხშივარს. ხელის ერთი მოსმით რომ გამოცოცხლდება ხოლმე გამომშრალი და გადახუნებული ფერები. ამ დღესაც ასე მოხდა, ჰაერმა იმატა, საგნები გამოიკვეთა, ცას სილურჯე დაუბრუნდა, ბალახს – სიმწვანე, სამყარო უფრო ხილული გახდა და წვიმაც სხვაგვარი მოვიდა — უფრო გრილი და უფრო წყლიანი... ყურძენსა და ღვინოს მიირთმევდნენ იმ დღეს ნარციმარისელები, გრძელტარანი ორშიმოები დასტრიალებდნენ თავს ახილ ქვერებს, ქარვისა და სისხლისფრად ივსებოდა თავები.

ჩქარობდა ანსუმი, გარეთ ხალხი ირეოდა, მას კი შეუმჩნეველი უნდოდა ყოფილიყო. უკვე მთის ძირს უახლოვდებოდა, გირხას ქვაც ჩავლილი ჰქონდა, როცა გვერდიდან ჟინიანი მზერა იგრძნო, თითქოს ერთი დიდი და ავი თვალთ უყურებდა ვილაც, თითქოს სულში უძვრებოდა და უკან ადევნება სურდა. შენუხდა ანსუმი, უხერხულად ააჩქარა ნაბიჯი და ისე გაიარა, გვერდზე არც გაუხედავს... ცოტაც და მდინარესთან რკალი შემოხაზა, მეზობელ მთაზე გადავიდა და თვალს მიეფარა. აღმართი გულდამძიმებულმა აიარა გირხას სახლის კარი ურდულით გადარაზული დახვდა, გაუკვირდა, არავინ რაზავდა ნარციმარისში კარს, უშუქო ფანჯრებში სიცოცხლის ნიშანსაც არ ჩანდა, სახლი მიტოვებულს ჰგავდა. უნებლიედ მაინც დააკაკუნა, მერე კარს დაეჯაჯგურა გამობრუნდა უფრო ზევით, ტყისკენ გაემართა, ტყის პირამდე რომ მივიდა, მიმოიხედა, დახვებულ ფოთლებში ჩაჯდა და ხეს მიეყრდნო. პირველად ახლა დაინახა ფერნაცვალი ბუნება, ჟანგბადით სავსე ჰაერი შეისუნთქა, ამჩატდა, გაურკვეველი, უმიზეზოდ მოსული სიხარული იგრძნო, თვალები დახუჭა და ნახევრად მთვლემარე აბდა-უბდა ფიქრს მიეცა: “სულმა იცის სილაღე, რამდენჯერ დაუნგრევია ამ სამყაროს ფიზიკური კანონები, ისე უცეკვია, რომ ფეხი მიწას არ შეხებია, ისე უმღერია, ისე გაფრენილა, ისე ჰყვარებია, რომ მერე აქ მობრუნება გასტყირვებია და დამდურებია ქვეყანას, დამდურებია — თვითონაც არ იცის რატომ, ალბათ ასე რომაა მოწყობილი, მხოლოდ სული რომ გრძნობს და სხეული რომ არ გემორჩილება. სიზმარში კი გაუტანია თავისი, ცხადში — ყველაფერი ხისტი და უხეში დახვედრია. განზრახვა ჰქონია გაფრენის და ვერ გაფრენილა, მხოლოდ სულში, სიზმარში, ოცნებაში, აღმაფრენაში... აქ კი მიწაზე მდგარა, აღარ სდო-

მია დგომა, მაგრამ მაინც მდგარა, რადგან სხვა ადგილი ვერ მოუძებნია. მერე სამოთხე უნატრია, უგრძნია, მაგრამ ეჭვი შეუტანია მის არსებობაში და უფრო დამძიმებულა, სიმართლვე მორევია, უტირია, უდარდია, იქ, აღთქმულ ქვეყანაში მოსდომებია დაბრუნება, თითქოს, გახსენებია, რომ საიდანაც არის მოსული და მონატრებია ის უდრტვინველი გამჭვირვალე ადგილი, სადაც ნეტარება და სიყვარული დაუტოვებია. მერე რაღაცას მაინც მოუტანია სიმშვიდე, მუსიკას თუ გამოყოლილ სიყვარულს, ჰაერს თუ მზეს, მოუტანია და დიდხანს დაუტოვებია, სანამ ისევ ეჭვი არ მოსულა და ქარისთვის არ გაუტანებია ძლივს მოპოვებული შვება, ძლივს დაბრუნებული რწმენა... მერე ისევ თავიდან უძებნია, უთმენია, უწვავლია და სამუდამო სიმშვიდე მოსდომია და წასულა ამ ქვეყნიდან, ისე წასულა, რომ ამბის მთქმელი არ დაუტოვებია... დაუკითხავად, დაუნანებლად წასულა, თან წაუღია ყველაფერი, რაც ებადა, სულიერი, ფიზიკური კი — არა, რომელიც არც აქ გამოსდგომა, რამეთუ დაუძიმებია, დაუღლია, შეუნუხებია. იქ სილაღე უპოვია, ისე უცეკვია, რომ ფეხი მიწაზე არ დაუდგამს, მიწაზე, რომელიც იქ არც ყოფილა, იქ უკვდავებას ზიარებია და მფარველ ანგელოზად მოვლენია აქ დარჩენილ მოკვდავთ, რომლებმაც იცოდნენ სილაღე, ოღონდ მხოლოდ სულიერად, რადგან სხეული კანონები ვერ დაურღვევიათ, შვება და ხალისი უძებნიათ და აქ ვერ უპოვიათ, მხოლოდ სიყვარულის აჩრდილი უპოვიათ, მერე მათაც დაუტოვებიათ აქაურობა და ისე წასულან, ამბის მთქმელი არ დაუტოვებიათ, მხოლოდ ნივთები დაუტოვებიათ, რადგან იქ არ დასტირვებიათ, აღარ სდომებიათ, წასულან და მათაც სამუდამო ნეტარება უპოვიათ და ისინიც მფარველ ანგელოზებად მოვლენიან აქ დარჩენილთ, რომლებსაც მუსიკა შეუქმნიათ, მაგრამ სიმშვიდე მაინც ვერ უპოვიათ... მერე ისინიც წასულან სამუდამო ნეტარებას მისცემიან, არაფერზე უდარდიათ, მხოლოდ ერთზე, როგორმე ხმა მიენვდინათ აქ მყოფთათვის, ეთქვათ, როგორი ამაოა ჭმუნვა... რაღაცით კი უგრძნიათ აქ დარჩენილთ, მაგრამ ფიზიკურად მიწას მაინც ვერ მოსწყვეტიან, სანამ ისინიც არ წასულან... რომ წასულან, ნეტარება უგრძნიათ, მაგრამ მაინც შენუხებულან, აქ დარჩენილთათვის რომ ვერ ჩაუგონებიათ სამარადისო შვების არსებობა და ისინიც ანგელოზებად მოვლენიან, ხელგანვიდლ ანგელოზებად, თითქოს თავად შველა რომ მოუთხოვიათ, მხოლოდ ერთი რამ სურვილი ჰქონებიათ, ამბავი ემცნოთ აქ მყოფთათვის, რომ სამუდამო სილაღე არსებულა და ამ სილაღის სრულყოფილებას მხოლოდ ის დაჰკლებია, რომ აქ მყოფ საყვარელ არსებებს ბოლომდე ვერ დაუჯერებიათ და თავი გაუნვალებიათ, თავი რომ გაუნვალებიათ, ანგელოზებიც განვალებულან, სანუკვარ ამბავს რომ ვერ ატყობინებდნენ აქ მყოფთ... აქ მყოფთაგან ვილაცებს კი დაუნახავთ მათი გამონვდილი ხელები და მოლაპარაკე ბაგეები. განცვიფრებული მზერა და ფერდაკარგული სახეები, უგრძნიათ მარადიული ბედნიერების შეტყობინების განწირული სულისკვეთება, ვილაცას ხმაც კი გაუგონია, სამოთხე მართლა არსებობს, გაიხარეთო, მაგრამ მაინც არ დაუჯერებია, რადგან ხელი ვერ შეუხია, მხოლოდ სულიერად უგრძნია, რწმენა განუმტკიცებია, მაგრამ მერე ისევ ეჭვი შეჰპარვია... როგორ განვალებულან, მაგრამ ანგელოზები კიდევ მეტად განვალებულან, ვიდრე აქ მყოფები, განვალებულან, რადგან ხმა ვერ მიუწვდენიათ აქ დარჩენილი საყვარელი არსებებისთვის, ვერ დაუმშვიდებიათ, მათი სულები ვერ დაუამებიათ, მხოლოდ დროებით და მხოლოდ ხანგამოშვებით თუკი აქ მყოფთ დაამშვიდებდნენ, თვითონაც აღარ იწვალებდნენ, ბოლომდე მიეცემოდნენ ნეტარებას...” სადღაც წავიდა ანსუმი, არ ეძინა, მაგრამ არც ეღვიძა, სადღაც დაფრინავდა და გაიფიქრა — “ახლა ჩემი მფარველი ანგელოზი, ალბათ, ნეტარი და ბედნი-

ერიო” მერე ჩაეძინა კიდეც. კვილიმა გამოაფხიზლა, ლამის ფეხზე წამოახტუნა და ზევით აახედა, კუნაპეტი სიბნელე იყო, ხის უზარმაზარი ვარჯიდან ყვითლად ანათებდა ქოტის ორი გაკვირვებული თვალი.

ისე დაუყვა დაღმართს, გირხას სახლისკენ აღარც გაუხედავს. გზად პატარა ძალი აეკიდა, იმ ღამესავით შავი და გონიერი, ვერც ხედავდა ანსუმი ამ კეთილ არსებას, მხოლოდ ძალღური ხშირი სუნთქვა ესმოდა და შეხებას გრძობდა შიგადაშიგ, წინ მიუძლოდა, გზას უკვლევდა, აცილებდა კი არა, მეორე მთაზეც გადმოჰყვა მერე რომელიღაც მონაკვეთი ღრენითა და ყვეთი ამოიარა, ყეფას კარის უცაბედი მოჯახუნების ხმა მოჰყვა – როგორც ჩანს, ვიღაცას არ ეძინა დანარჩენი გზა მშვიდად აიარეს, სახლშიც შეიპატიჟა ანსუმი, მაგრამ არაფრით შეჰყვა, კეთილი თვალებით უყურებდა და კუდს აქიცინებდა. ალბათ, შიშო, გაიფიქრა ქალმა და სახლიდან პურის მოზრდილი ნაჭერი გამოიტანა, მაგრამ გარეთ აღარავინ დახვდა.

სახლში შესვლისთანავე რაღაც ეუცხოვა ანსუმს, ოთახი გაუგებრად შეცვლილიყო, თუმცა, ერთი შეხედვით, ყველაფერი ადგილზე იყო... ვიღაცის უხილავი კვალი, ვიღაც აქ მყოფის და უკვე ნასულის არსებობა შეიგრძნო... მიდგა, მოდგა, კი, ყველაფერი ადგილზე იყო, სკამზე უნებლიეთ მიგდებული მოსასხამიც ხელუხლებლად ეკიდა, მაგრამ რაღაც ამბავს მაინც ინახავდა, თითქოს რაღაცის მომსწრე გამხდარიყო ანსუმის არყოფნაში... მერე ქარმა დაუბერა, ამრიგადნენ ნაძვები, ოთახში გამჭოლი ჰაერის მძლავრი ნაკადი შემოიჭრა და ტყის მანდრაგორანარევი სუნი შემოიტანა... განიავდა, გასუფთავდა ანსუმის მყუდრო სავანე, მაგრამ ფიქრი არ აძლევდა მოსვენებას, ნეტავ, რა ხდება ჩემს თავსო... დაკარგული გირხა, ჩარაზული სახლი, ადევნებული ძალი, უცნაური მზერა, ქურდულად დარღვეული სიმყუდროვე... თითქოს, არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ რაღაც ნიშნებს მაინც ხედავდა ამ ყველაფერში ანსუმი. ქოტი? გირხას გაშეშებული მზერა და გაქვავებული სხეული? შიშს არ იცნობდა ანსუმი, მაგრამ ეს ცუდის მომასწავებელი ახალი განცდა სხვა რა იყო, თუ არა შიში? ტუჩები აუთრთოლდა, ფეხები აუკანკალდა... სამყაროს მიენდო — მაგა ეტყოდა ხოლმე — როცა რაიმე გაგიჭირდება, სამყაროს მიენდე, გულს ნუ ჩახურავ, პირიქით, გაიხსენიო... შორს, შორს, კოშკების, მთვარის, ცის მიღმა გაიხედა გადაღლილმა ქალმა და ცოტაოდენი შვება იგრძნო.

დილას გირხას ფეხის ხმამ გამოაღვიძა, ბანზე დაგებული ჭილობზე ჩასძინებოდა ანსუმს, წამოხტა და კისერზე ჩამოეკიდა კიბეზე ამომავალ კაცს, დიდხანს კოცნიდა და ეფერებოდა — სახეზე, თავზე, მხრებზე ეხებოდა ხელებით, თითქოს სინჯავდა, ხომ არ მეჩვენებო, სიტყვები აღარ ჰყოფნიდა, მონატრება რომ გამოეხატა, თან გუშინდელ ამბავს უყვებოდა, დაულაგებლად უყვებოდა, თავი და ბოლო ერეოდა, ჯერ ქოტი იწყებდა, მერე, ხის ქვეშ რომ ჩაეძინა, მერე ძალი რომ აედევნა... ვერაფერი გაიგო გირხამ. სახლში ვიღაც იყო, ჩემს არყოფნაში, ესეც უთხრა, მაგრამ ვერ დაასაბუთა... შენ სად იყავი, კარი რატომ გქონდა ჩარაზულიო, ეკითხებოდა და პასუხს არ ელოდა, იქვე სხვა ამბავს უყვებოდა, თან მერამდენედ... საკუთარ თავს ვერ სცნობდა ანსუმი, გაურკვეველი შიში და სევდა შეჰპარვოდა მის ლალ და თავისუფალ ბუნებას... გირხაც სხვაგვარი ეჩვენა, უთქმელი და ნაღვლიანი... მერე ერთიანად მოწყდა, სავარძელში ჩაესვენა და მხოლოდ ახლავა გაახსენდა, ნაწყენიც რომ იყო, სად იყავიო, ჰკითხა... მოუსვენრობა ეტყობოდა გირხას, თითქოს, რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ბედავდა, ბოლოს, არ ვიცო, აღმოთქვა.

— რაა? — ყველაფერს ელოდა ამ პასუხის გარდა — არ იცი?

— ჰო, არ ვიცი — მის ხმაში რაღაც ისეთი ბგერა გაისმა, ნერტილის დასმას რომ ითხოვდა, უპირობოდ ითხოვდა.

სულში ჩაუგუბდა ანსუმს შეკავებული კითხვები, გარეთ კი ვიღაც ტყისკენ მიმავალმა თავშეუკავებლად დააცემინა და გული მოიოხა. მერე სიჩუმე გახანგრძლივდა... ზევით აიხედა ქალმა, თეთრად შეფეთილ ჭერს ბზარი გასჩნოდა... მოუსვენრად იყო, სამზარეულოში გავიდა — კერძის მზადებას შეუდგა, მაგრამ პირი არ დაუკარებია არც ერთს უკვე გამზადებული საუზმისთვის... ქვისმთლელებს ვთხოვ და ჭერს შეფეთქავენო — დაარღვია ანსუმმა სიჩუმე... უმეტყველო თვალებით ახედა გირხამ ჭერს, არაფერი უთქვამს... ხელები დაიბანა, მერე სახეზე წყალი შეისხა და სახლში წავიდა, თავის ტკივილი მოიმიზეზა...

დათვითი მიძინებულებდა გირხა დაღმართზე, უგუნებოდ იყო, გაურკვეველი მიზეზებით დამძიმებოდა სული და გზის სიშორეზე ფიქრობდა, ნეტავ იქ ცხოვრობდეს ანსუმი, საცა ის “მერწყული” ქალი — გაიფიქრა და იმავ წამს თავად ქალიც გამოჩნდა, მგონი ის იყო, კარგად არ ახსოვდა გირხას მისი სახე, კი ის იყო, — “წყალი გნებავთო?” ორაზროვანი ღიმილით ჰკითხა. გმადლობთ, ამჯერად არ მწყურიაო — უპასუხა და გზა განაგრძო... უკმარისობის გრძობამ უკან შემოაბრუნა — რა გქვიათო, უნდა ეკითხა და ჰკითხა კიდეც, მაგრამ ახლა სხვა სახე დაინახა, ქალი აღარ ილიმოდა, მის თვალებში რაღაც აზრს ჩაბლაუჭებული უსიამოვნო და ყვითელი მზერა გამოეჭვიოდა, ზირაო — უპასუხა. მე გირხა მქვიაო, თქვა კაცმა და ისევ ძუნძულით ჩაუყვა თავდაღმართს, უკან აღარ მოუხედავს. ზირამ თვალი გააყოლა, მერე ქურდულად მიმოიხედა და სადღაც ისე გაძვრა, თითქოს სამყაროს მიემალა...

მთელი ღამე დასუნსულებდა ვიღაც, აკაკუნებდა, აჭედებდა, ფათურობდა, ცხოველის ფუსფუსს ჰგავდა ეს ყველაფერი.. დილისკენ უკვე ჩამიჩუმე აღარ ისმოდა, სანამ ჩიტებმა არ გაიღვიძეს. მერე გათენდა კიდეც...

კარგ გუნებაზე გაღვიძა გირხას, თითქოს ძილიდან გამოერკვა — ეს რამდენიმე უცნაური დღე ნისლივით გაფანტულიყო და გონებადამნებელი, ძველებური შემართებით გაეშურა საყვარელი ქალისკენ... მოენატრა ანსუმი, მისი სუფთა სხეული და ბედნიერი სახე, გულამოსკვნილი კისკისი და მეტყველი ხელები... სათქმელიც ბევრი დაუგროვდა, აღსარებასავით უნდოდა მოეყოლა ყველაფერი, რაც კი ანუხებდა, მაგრამ დღეს ხომ აღარაფერი ანუხებდა, ბედნიერი იყო ... ნეტავ ანსუმი როგორ არისო, გაიფიქრა, არ უნდოდა, ნაწყენი დახვედროდა. ფეხს აუჩქარა. თავისი მთა რომ ჩაიარა, ანსუმისას აუყვა და იმ ქვასთან შეჩერდა... არა, აღარაფრით იზიდავდა უმიზეზოდ ამოხეცილი, მინით დაუფარავი ქარაფი, თავისუფლება მოეძალა, “აღარო”, გულში გადანყვიტა, ჭეშმარიტად გადანყვიტა და საკუთარ შიშზე გამარჯვებულმა მთელი ძალით უკანასკნელად ჩაჰკრა ფეხი ავბედით ქვას. მერე ის იყო, რომ ტკივილისაგან გონება გაეყინა, გული წაუვიდა და მოცელივით დასცა მიწაზე. შორიდან ვიღაცამ შენიშნა და საშველად მივარდა, მიცვივდნენ სხვა ნარციმარისელები, წყალიო, ერთმა დაიყვირა და ფანჯარაში მიუკაკუნა იმ სახლის ბინადარს, რომლის სარკმელი სწორედ ამ მხარეს გამოდიოდა... სარკმლიდან ზირამ გამოიხედა, ეს რა მომხდარაო, შეიცხადა, მერე ვერცხლის თასით წყალი გამოიტანა და მარაქაში გაერია. როგორც იქნა, მოაბრუნეს გონდაკარგული და მერეღა შეამჩნიეს, რომ ცალი ფეხით მიწას იყო მიჯაჭვული... ამასობაში ქვის მთლელებმა გამოიარეს და რაღაც მანქანებით, ძლივძლივობით მოსწყვიტეს კაცი მიწის ზედაპირს... სისხლმა იხუვლა — ვიღაცას ქვაში საგანგებოდ ჩაეჭვდა და ჭილიბებით თუ ლურსმნებით ოსტატურად გაემაგრებინა ბასრი დანა, ქვებითა და კენჭებით ამოევსო ღრიჭოები... დაიზაფრნენ ბინადრები, ასეთი რამ ნარციმარისში არასდროს მომხდარა, მითქმა-

მოთქმა ატყდა, შენუხდა ხალხი, ნაწილი საქმის ვითარებას არკვევდა, ნაწილი დაჭრილზე ზრუნავდა. რა თქმა უნდა, გირხა უახლოეს სახლში, ზირასთან შეიყვანეს, ვილაცამ ჭრილობა ჩამოჭბანა დაშავებულს, ვილაცამ სალბუნი დაადო და ფეხი შეუხვია, მოგვიანებით მაგაც მოვიდა, სალამომდე ეჯდა დასახიჩრებული კაცის მტკივან ფეხს და თავისი ჯადოსნური ნახარშით ჰბანდა და უხორცებდა იარას. დილამდე ასე იწვესო, თქვა და წავიდა. ის ღამე გირხამ უცხო სახლში, უცხო ლოგინზე გაათია. დილას კი ქვის მთლები მოვიდნენ და სახლში გადაიყვანეს.

იმავე საღამოს ესტუმრა ზირა ღონემიხდელ მწოლიარე კაცს. ახლადდაკრეფილი მოცვი და მაყვალი მიუტანა, მიერთვით, მოგიხდებათო... შორიასხლოს ჩამოჯდა ხის სამფეხა სკამზე, თან თვალებით ჭამდა, ხარბად ათვალეირებდა ოთახს. მერე ქადაგად დაეცა, საოცარი დამთხვევაა, რაღა იქ დადგით ფეხიო... ისეთი პირბასრი და წაწვეტილი იყო... პასუხს არავინ სცემდა. ნეტავ, ვისთვის იყო ეს ხაფანგი მოწყობილი... ალბათ, ჩემთვისო, ვითომ გაიხუმრა გირხამ და კედლისკენ გადაბრუნდა. ზირამაც გაიღიმა თავისი უმნა და წვრილი ტუჩებით და მალევე წავიდა. მეორე დღესაც ესტუმრა ზირა, მესმე დღესაც, გაუმიწაურდა, თქვენობით აღარ ელაპარაკებოდა... ანსუმი კი არსად ჩანდა. მხოლოდ სამი დღის მერე გამოჩნდა — უძინარი, უჭმელი, თვალეზამოღამებული. განგაშიანი იყო მისი მზერა და შველას ითხოვდა. არაფერი იცოდა, გირხასგან გაიგო პირველად ფეხის ამბავი და თითქოს არც გაკვირვებიაო, თავი დააქნია... კი, რაღაც უწმინდური და უხილავი ძალა გვებრძვისო, მხოლოდ ეს თქვა და ღვარად წამოუვიდა ცრემლები. ჰმ, სამაგიეროდ, დანის პირი იყო წმინდა და ხილული — წარმოთქვა გირხამ, თან ჭერში იყურებოდა, მის ხმაში სრულიად უცხო, მისთვის უჩვეულო უღმობლად დამცინავმა ბგერამ გაიჟღერა. ანსუმი წამით ვამუშდა, გაიაზრა გირხას ნათქვამი, ყურებს არ დაუჯერა. რა, რისი თქმა გინდა, გირხა, რომ მე, მე — ენა დაეხა ანსუმს. აბა, შენ თვითონ დაფიქრდი, ჩემო ანსუმ, შენს მეტმა არავინ იცოდა იმ ქვის ამბავი — ნიშნისმოგებით მიუგო კაცმა. “ჩემო ანსუმ” — გულში გაიმეორა ქალმა წამის წინ გაგონილი თავისი სახელი, რომელიც ვერ იცნო, მერე კარგა ხანს მიაშტერდა გირხას, გაფართოებული და აცრემლებული თვალებით ათვალეირებდა მის უსულგულო და გაყინულ მზერას — არა, ვერც ის იცნო, ეს ის კაცი არ იყო, მას რომ უყვარდა, დანამდვილებით არ იყო — თავბრუ დაეხვა, ჰაერი ველარ ჩაისუნთქა, პირში სიტყვა გაუცივდა, ბოლოს, როგორც იქნა — ჰო, მარტო მე ვიცოდით — უსიცოცხლო ხმით ამოღერდა და ლანდით გამოვიდა გირხას სახლიდან... არავინ გამოდევნებია, არავის მიუბრუნებია... გირხა იწვა და ისევ ჭერში იყურებოდა. უკვე შორს იყო ანსუმი, საკმაოდ შორს, გირხას სახლიდან კაცის არაადამიანური ხარხარი თუ გოდება რომ მოესმა.

ტყეში წავიდა თავგზააბნეული ქალი, ონანა მოინახულა, ამბავი მაქვს მოსაყოლო, თავი დაადო მინით დაფარულ მის მსუქან ფესვებს და დიდი ხნით მიეძინა. თვალუწვდენელ სიმალეზე იდგა ანსუმი, შემოზღუდული გაღავნილი იყო რებოდა, უკიდევანო ქვესკნელი იყო მის ქვეშ, უცებ საკუთარი ჩრდილი გადაუვარდა, კინაღამ თვითონაც გადაიყოლა. დაძახება უნდოდა, მაგრამ სახელი არ იცოდა. გადაიხედა, სადღაც ქარაფებს შორის გაჩხერილი დაინახა, მერე ისიც დაინახა, ძლივძლივობით რომ დააღწია თავი იმ ადგილს და უფრო ზევით ამობობდა, მერე კიდევ ცოტა, მერე კიდევ, რის წვალებითა და ვაი-ვაგლახით, თითქოს მიუახლოვდა მწვერვალს, მაგრამ ფეხი დაუცდა და ისევ უფსკრულში გადაეშვა. თვალს მიეფარა, მერე თავიდან გამოჩნდა. ხელეზს იქნედა ანსუმი, აქეთ, აქეთო, ყვიროდა, მაგრამ

სახელი არ იცოდა, არადა, სახელი იყო მთავარი, სახელი უნდა დაეძახა... ცოტა ხანში სხვა ჩრდილებიც შენიშნა, მერე ისიც დაინახა, რომ სავესე იყო ჩრდილებით უფსკრული, ზევით მოიწვედნენ, ვილაც უფრო ახლოს იყო, ვილაც — ძალიან შორს, ისე შორს, რომ მზერაც კი ვერ აღწევდა იქამდე... ველარ იცნო, დაკარგა ანსუმმა საკუთარი ჩრდილი, თვალეზი აუჭრელდა, შავი გამჭვირვალე სხეულები თავგამოდებით იწვედნენ სიმაღლისკენ, მერე უკვე ერთ დიდ მასად ქცეული ჩრდილი კვამლივით ამოდიოდა ჯურღმულიდან, შავი ღრუბელივით ეფინებოდა თვალუწვდენელ ციკაბო კლედს და ანსუმისკენ მიიწვედა, აღმართს იპყრობდა, მოძრაობდა, მოძრაობდა და მაინც ერთ ადგილას იდგა, ვერასდროს აღწევდა მწვერვალს. სახელი, სახელი მოიგონეო, შეუძახა საკუთარ თავს, მაგრამ ამ დროს გაეღვიძა კიდევ.

ამასობაში ონანას თავისი ორი ფესვი ამოეყარა და ანსუმს უწვდიდა, წასაღებად. დღეს არ მითხოვიაო, ამისთვის არ მოვსულვარო, უხსნიდა ანსუმი, თან თვალეზს იმშენებდა, მაგრამ ონანას ორი ფესვი ორი განვდილი ხელივით იწვედა მისკენ, წამილეო, არწმუნებდა. . . სიზმრის არ იყოს, რაღაც ენიშნა ანსუმს, ნაიარევი ადგილები დაუკოცნა მცენარეს და წამოიღო ძვირფასი ნაწილები. ერთი ფესვი ქვისმთელი ჰაზირისთვის მიჰქონდა ხოლმე, მისი მტკივანი და უსინათლო თვალეზის საამებლად, მეორეს კი თავისთვის იტოვებდა... ასე იყო ყოველთვის. იქნებ, ჰაზირთან წასვლას ახსენებდა ონანა, ვინ იცის. მართლაც დიდი ხანი გავიდა მას მერე, რაც ბოლოჯერ მოინახულა თეთრწვერა ბრძენი. დღესვე ვნახავო — ამ გადამწყვეტილებით ბრუნდებოდა ანსუმი სახლში. ტყიდან გამოსულს, ნისლი შეეფეთა — მსუბუქი და სუფთა, ცოტა ხანში კი ისე ჩამოწვა, რომ გზის გაგნებაც გაუჭირდა, ბრმად მიიწვედა წინ რძისფერ სივრცეში და მაგრად უჭერდა ხელს მანდრაგორას უნატიფეს ფესვებს. მერე ფეხზე რაღაც თბილი და ცოცხალი შეეხო, გაჭირვებით, მაგრამ მაინც დაინახა შავი ძალი, გასაოცარი გულმოდგინებით რომ გაერღვია ნისლის შრე, შემოჭრილიყო და ოსტატურად ჩატეულიყო ალაღბებულ მოარული ქალის უმცირეს ხილულ სამყაროში. ფეხდაფეხ მიჰყვა გონიერ არსებას და მალე საკუთარი სახლის კიბის საფეხურთან აღმოჩნდა. ფრთხილად აიარა კიბე, ფესვები იქვე ბანზე დაანყო და ოთახის კარი გააღო. ოთახის სიღრმიდან თბილი და მკაფიო შუქი გამოდიოდა, გარეთ კი, უკვე შორს, რძისფერ საფარს მიღმა, ყრუდ მოისმოდა ნისლში მიმოფანტული ყველა.

ტანისამოსი გამოიცვალა ანსუმმა, განსაკუთრებული კვართი მოიცვა, ზედ ქათქათა წინსაფარი გაიკეთა. თავზე ტილოს თეთრი თავსაბურავი გაიკრა და ფეხშიშველი შეუდგა ონანას დამუშავებას. საგულდაგულოდ გარეცხა ფესვები, ისე ამოძრავებდა ხელეზს, თითქოს ახალშობილ პირმშოს აბანავებდა. ფრთხილად გაამშრალა მიტკლის ნაჭრით და მაგიდაზე წინასწარმომზადებულ ძონისფერ აბრეშუმზე დაასვენა. ჯერ ონანას ფესვები ქერქისგან უნდა გაეთავისუფლებინა, მერე შიგთავსიდან მენამული წვენი უნდა გამოედინა — ვერცხლის სიმზე დაკიდებდა ხოლმე უკვე შიშველ ფესვს და ქვეშ აზარფემას შეუდგამდა, ბოლომდე რომ ჩამოინრიტებოდა წვენი, დარჩენილი, უკვე გამომშრალი ნაწილი ისევ ონანასთვის უნდა დაებრუნებინა, მინაში ჩაეფლო იქ, საიდანაც ამოიღო. ქერქი კი ჰაერიითა და მთვარის შუქით უნდა გამოემრო. ქერქი ისე უნდა გაეხადა ფესვისათვის, რომ არსად გაეჭრა, არ დაენანევერებინა.

ხის ბოძზე ბებუთი ეკიდა, ჰაზირის ნაჩუქარი, საგანგებოდ ნაჩუქარი. წმინდა ბებუთად მოიხსენიებდნენ ქვისმთლები, რადგან არასდროს არავის ამოულია უხსოვარდროს ჩამოსხმული იარაღი საცვეთიდან, არასდროს შეხებია მისი აღესილი პირი ცოცხალ არსებას, არასდროს აურეკლავს ისხელი მის სარკესავით წმინდა ზედაპირს. არა-

და, ისეთი ბასრი იყო, დადებდა ვერ მოასწრებდა კაცი, თვითონვე მისრიალებდა ონანას ფესვის უმძლავრეს ქერქში. სანამ დანას ამოიღებდა ოქროთი მოვარაყებულ რქის ბუდიდან, ანსუმი, ჯერ სასიყვარულო ლოცვას იტყოდა, მადლობას გადაიხდიდა, რაღაც ერთმარცვლიან გაგრძელებულ ხმაურს გამოსცემდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეეხებოდა უკვე გამოშვლებული დანით ონანას უნატიფეს სხეულს. ამ დროს ყოველთვის აგონდებოდა, პირველად რომ სჭრიდა ონანას ფესვს და რომ ვერაფრით ბედავდა დანის დაკარგვას, ეტკინებოდა, მაგას ეუბნებოდა. “ნუ შიშობ, ონანას ფესვის გრძნეული ქერქი, სრულიად უგრძობობა ტკივილის მიმართ, ისევე, როგორც ხარის რქა ან ფოცხვერის კლანჭი, ამიტომ, რომ არ ატკინო მხოლოდ ქერქს უნდა შეეხო და ხორცი არ დააზიანო” – დაბეჯითებით უხსნიდა მაგა. ანსუმმა ისე ლაზათიანად ისწავლა ამის კეთება, არასდროს შეხებია დანით მცენარის მგრძობიარე ნაწილს. არც იმას იტყოდა ოდესმე — “ქერქი მოვაჭერიო”, არამედ — “გავხადეო” — ასე ამბობდა ანსუმიც და მაგაც. ჰოდა, ქერქს რომ გახდიდა ანსუმი, შემდეგ დანას საგულდაგულოდ გარეცხავდა, გააშრობდა, ბუდეში ჩადებდა და ისევ ბოძზე დაკიდებდა, ამ დროს ისევ მადლობას გადაიხდიდა, გაგრძელებულ მარცვალს წარმოთქვამდა და ამით აღასრულებდა იმთავითვე დაკისრებულ მოვალეობას.

იმ დღესაც უკვე ყველაფერი მზად იყო, ოთახში უკვე ტრიალებდა ონანას დამატრობელი სუნი, სახელოები დაიკაპინა ანსუმმა და დანის ასაღებად გაემართა, მერე, დაბნეული, უკან გამობრუნდა და ისევ დანის ასაღებად გაემართა, მესამედაც, მეოთხედაც. მერე გარეთ გავიდა, ანგარიშიუცემლად შემოუარა სახლს — ნისლში ჩაკარგულიყო მთაგრეხილის კეხიანი ქედები და ღრუბელი ფარავდა ალბათ უკვე ჩამავალ მზეს.

სახლში დაბრუნდა და ახალი შემართებით ისევ იქით გაემართა, საცა ბებუთი ეგულებოდა. ვინ იცის, რამდენჯერ გაემართა ღონემხილი ქალი იქით, საცა ბებუთი ეგულებოდა, მაგრამ ხის ბოძზე, ოდესღაც მიჭედებული ლურსმნისა და მასზე დაკიდებული ოქროთი მოვარაყებულ ცარიელი ბუდის გარდა, ველარაფერი ნახა.

ეს სწორედ ის სალამო იყო, მაგას რომ ანსუმისკენ გაურბოდა გონება, მის ვაცრეცილ სახეს რომ ხედავდა ნაადრევად ამოსული მთვარის მოხაზულობაში. კლდის ქიმზე იდგა ქალი და იცოდა, ხვალ ანსუმს იხილავდა, უეჭველად იხილავდა.

რამდენიმე დღეში ფეხზე წამოდგა გირხა, გაჭირვებით, მაგრამ მაინც გაიარა... კიდევ ცოტა ხანში უფრო მოლონიერდა და ფეხიც უფრო უშიშრად და მყარად დაადგა მინას.

ბენჯზე მიუსწრო აქოშინებულმა ზირამ... გირხას ტყისკენ აელო გეზი, სული მეხუთებო, გასეირნებას ვაპირებდიო. მეც გამოგყვებით — ღრმად ჩაისუნთქა და ძლივს ამოაყოლა ჰაერს სათქმელი ქალმა, ხშირად სუნთქავდა, მკერდი ადი-ჩაუდიოდა. კოშკთან ავიდნენ, მერე მთის გადაღმა გაუდგნენ გზას, ტყეც იქვე იწყებოდა, დაბურული, უღრანი... ნელ-ნელა, ტატიტ მიდიოდნენ, იმ დღეს ძალზე აწუხებდა მტკივანი ფეხი გირხას, ირიბად აბიჯებდა, კოჭლობდა. საკმაოდ ღრმად შევიდნენ, კოდალას ხმაური უკან ჩამოიტოვებს, სადღაც შორს შიგადაშიგ უცხო ფრინველი დაიჭყვივლებდა და დაადრევედა ტყის სულისნამღებ დუმილს. მერე ნაქცეულ ხეს მიადგნენ და ჩამოსხდნენ. მოუსვენრობა ეტყობოდა ქალს, ცქმუტავდა, ქოშინებდა, შესამჩნევი იყო მისი ღელვა. მაგრამ კაცმა რომ არაფერი შეიმჩნია — მეშინიაო — თვითონვე დაარღვია სიჩუმე ზირამ. რისი გეშინია, მე აქ ვარო — შეურაცხყოფილი ჩანდა კაცი. დამიცავო? ცოტაოდენი შეყოვნების შემდეგ იკითხა

ქალმა და ფეხზე წამოდგა, რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისევ შემოტრიალდა, ახლა უკან წამოვიდა. პირველად შეხედა გირხამ, პირველად შეხედა სხვა თვალთ — სიბნელე იყო ტყეში, მაგრამ რაღაც მაინც ჩანდა — გარეულ ცხოველს ჰგავდა ქალი, სანადიროდ გამოსულ ხვადს, განწინილი თმებით, ჩახსნილი საკინძითა და თვალებში ჩამდგარი დაუფარავი ჟინით. დამიცავო? ისევ იკითხა და ისევ ახლოს მივიდა კაცთან, ლამის მუცელი მიადო სახეზე. ცოტა ხანში უხერხულად ამრიალდნენ მინაზე ჩამოცვენილი ფოთლები. იმ დღეს მეორედ შესვა გირხამ სხვისი თასიდან, მეორედ მოიკლა უმისამართოდ გაჩენილი წყურვილი.

მეორე დღეს დილაუთენია გაემართა ანსუმი მაგასთან. ონანას ფესვებიც თან გაიყოლა, რადგან ანსუმის გარდა მხოლოდ მას შეეძლო ფესვის მოვლა და დაბინავება. მაგა უკვე მდინარის გადაღმა ელოდებოდა და სანამ ანსუმი ორჩხომელაში ჩაჯდა და მეორე ნაპირზე გადავიდა, ის გაუძრევლად იდგა კლდოვან ფლატეზე და უკვე ხელის გასაშვერად ემზადებოდა, რომ ანსუმი ნავიდან უსაფრთხოდ გამოეყვანა. უჩუმარი იყო მათი შეხვედრა, ანსუმმა უსიტყვოდ გადასცა მიტკალში და აბრეშუმში გახვეული ონანა. პირქუში, უთქმელი იყო ანსუმი, არც იცოდა, საიდან დაეწყო. მღვიმეში რომ შევიდნენ, ნესტიანი ჰაერი დახვდა, იმავე წამს დაუშინდა და დაეტალა ისედაც ხვეული თმა. მცივაო, თქვა და მაგამ სასწრაფოდ გააღვივა ნახევრადმჭეუბი ბუხარი, ცეცხლი აგივრიდა და ანსუმსაც დაიწყო მოყოლა. პირველი სიტყვის თქმა ვერ მოასწრო, რომ თვალზე დიდი ცრემლები მოადგა და აქვითინდა. მერე მიაყოლა და მიაყოლა სათქმელი. შიშსა და ეჭვზე იყო მისი ხმა აწყობილი, ტკივილი და ტანჯვა ატოკებდა მის დაძაბულ ნაკვთებს, წარბებს შორის დიდი ღარი გასჩენოდა. ჰყვებოდა — ჰყვებოდა დაუსრულებლად, თავი და ბოლო ეყოდა, ცნობიერების მოვარდინილი ნაკადი აზვირთებული მდინარესავით შეედინებოდა და გაედინებოდა მისი გონებიდან და ნაფოტებივით შემოჰქონდა მასში შავ-ბნელი აზრები და გზადნამოლეკილი სხვა ათასი სისაძაგლე. შიგადაშიგ, გრძობები მოეძალებოდა და დაკარგულ სიყვარულზე მოსთქვამდა... მერე ჯანდაბას იქით გზავნიდა სიყვარულსაც და იმასაც, ვისაც მისტიროდა... ბოლოს, დანის დაკარვის ამბავიც რომ მიუყვანა, ცოტა დაშოშმინდა და ისიც დააყოლა, უეჭველად ვიღაც მესამეა ჩვენს ურთიერთობაში შემოჭრილი და ეს ისაა, ვინც ჩემს სახლში იყო და ბებუთი მოიპარაო.

ყურადღებთ უსმენდა მაგა, თან ნაკვერჩხალს აღვივებდა და შიგადაშიგ ჯამში ჩასხმულ სითხეს ათობდა, მერე ორი თითი ჩაჰყო ნაზავში და საფეთქლებზე, თვალის ქუთუთოებზე და ტუჩებზე მოუსვა გონებაამღვრეულ ქალს. ყველაფერი იცოდა მაგამ, ისიც იცოდა ვინ იყო ის მესამე, მაგრამ დუმდა.

- რაღაცას მიმალავ, მაგა — თქვა ანსუმმა.
- ჰო, იმას გიმალავ, რაც შენ თვითონ უნდა გაიგო, ისე უკვე ყველაფერი გცოდნია, ის მესამე მართლაც არსებობს.
- ქალია? — სულმოუთქმელად იკითხა ანსუმმა და მაჯავზე ნაუჭირა მაგას ხელი.
- ჰო — ახლა მაგამ დაადო მაჯავზე ნაჭერილ მტევანს ხელი — ქალია. უფრო სწორად, ქალის კაბაში გამოწყობილი არსი, ბოროტი მარცვალი, რომელიც უნდა აღმოიფხვრას, რამეთუ სრულყოფილ სიბოროტედ არ იქცეს და ეს თქვენ უნდა გააკეთოთ. ბოროტი მარცვალი, რომელიც მხოლოდ შენი და გირხას სიყვარულის გამოა ბოროტი, თორემ თავისთავად ის არც ბოროტია, არც კეთილი — ის საერთოდ არაა. თავისუფლად შეიძლება ქალის მაგივრად სხვა სენი შეგ-

ყროდათ, სხვაგვარი გამოცდა მოეწყო სამყაროს. მაგრამ გამოცდა გარდაუვალი იყო და ეს შენ იცოდი.

— რა ჰქვია? ლამაზია? — თავს ძალა დაატანა ანსუმმა, ამ წუთას ეს თითქოს ყველაზე გადამწყვეტი იყო მისთვის.

— მას სახელი ჰქვია და ის ზუსტად ისეთია, როგორიც უნდა იყოს.

ბინდი გადაეფარა გონებაზე ანსუმს, ქალის გაგონებაზე ტვინში აასხა ლალატისა და ტყუილის შემზარავმა განცდამ, ეჭვმა კრიჭა შეუკრა და დიდხანს ებრძოდა ბნელის ჯოჯოხეთურ შემოტევას. მერე ონანას მძაფრმა სუნმა დააბრუნა სამყაროში.

— ყველაფერს უნდა ელოდე, ანსუმ — დაიწყო მაგამ — და ყველაფერს თავისი აზრი აქვს, შემთხვევით არაფერი ხდება, ეს შენ იცი. ისიც იცი, რომ დაბრკოლება — საცდურია. თუ როგორ გადალახავ მას — ეს უკვე შენი საქმეა. შეგიძლია უკეთურებას ბოროტებითვე დაუპირისპირდე, ეს ადვილი გზაა და თითქოს უფრო ბუნებრივიც, რადგან ზიზღი და სიძულვილი, რომელიც აუცილებლად დაიბადება შენში, თვითონვე გიკარნახებს, საით ნახვიდე, როგორ აგებინო პასუხი მტერს. შესაძლოა, გაიმარჯვო და დარწმუნებული ვარ, ამ გზით კიდევ უფრო სწრაფად მიიღწევ შედეგს, მაგრამ ბრძოლაში გამარჯვება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ომში გამარჯვებას. თუმცა, არც ომში გამარჯვებაა დიდი ბედენა... საბოლოოდ გამარჯვებული მხოლოდ მაშინ ხარ, როცა დამარცხებული არავინაა...

მე ვერ გიკარნახებ, როგორ მოიქცე. მე მხოლოდ ის ვიცი, მე როგორ მოვიქცეოდი, თუმცა, არც ეს ვიცი გვარიანად. მართალს გეტყვი, არ ვისურვებდი შენს მდგომარეობაში ყოფნას — რთულია და იმიტომ. კი, როგორ არ შემიძლია, რაიმე სასიკეთო რჩევა მოგცე, მაგრამ მეშინია, ამასობაში შენი საკუთარი გულისხმა წყვილადღი არ დაიკარგოს, რადგან ის სუსტია, მყიფე და მის გაგებასა და მოძიებას განსაკუთრებული მგრძობილობა სჭირდება — მოსმენა უნდა შეგეძლოს, გაფაციცებული, ყოველნამიერი. ჩემმა ხმამ კი, რომელიც განსხვავებულია, რამეთუ ყურით გესმის, შესაძლოა, გადაფაროს ან გაფანტოს შენი სულიდან ამონათქვამი. ამიტომ არ მოგცემ რჩევას, მხოლოდ ერთს გეტყვი, საკუთარ ხმას ენდე, ისიც მაშინ, როდესაც ის სუფთა და მდუმარე გონებაზე აღმოცენდება. სიგიჟის ჟამს ამოთესილი შხამიანი აზრი — უწმინდურისაა და ამაოა, იცოდე.

ისევ სითხე მოუსვა საფეთქლებსა და ტუჩებზე. თითქოს დაშოშმინდა ანსუმში, შალის ფარდაგს მიეყრდნო და რამე მომიყვებო, მაგას სთხოვა, შენი ცხოვრებიდან მომიყევი რამეო.

რამდენიმე წუთი არცერთს ხმა არ გაუღია, მხოლოდ ბუხარში გაჩაღებული ტკაცვა-ტკუცი ისმოდა. მერე უცაბედად მაგას ხმაც გაისმა:

მეზღვაურის ცოლობა მინდოდა, ლოდინი მიყვარდა, ზღვაც მიყვარდა, მაგრამ ლოდინი უფრო.. მსუბუქ და სასიამოვნო ჩქროლას ვგრძნობდი სხეულში, როცა ველოდი... მერე მართლაც შემიყვარდა მეზღვაური და ცოლადაც გავეყვი, მაგრამ მაინც ლოდინი მერჩივნა. მეზღვაურიც მიყვარდა, მაგრამ უფრო მაშინ, როცა ზღვაში იყო. ვის ელოდებო, როცა მკითხავდნენ, მეზღვაურს-მეთქი, ვპასუხობდი, ქმარს ვერ ვეძახდი, რაღაც მიშლიდა ხელს, ვერ წარმომედგინა ქმრად, თუ თვითონ ვერ ვგრძნობდი თავს ცოლად... ან, იქნება, ძალზე პატარა ვიყავი. ამაზე მხოლოდ მაშინ დავფიქრდი, როცა მიმითითეს, მანამ კი მეზღვაურს ვეძახდი და მეზღვაურს ველოდი, კიდევ... ფერად ნიჟარებს, მძივებად ასხმულს...

— კიდევ, კიდევ რას ელოდი? — იკითხა ანსუმმა.

— კიდევ? — სადღაც გაიხედა მაგამ, თითქოს სიცარიელეში ეძებდა სათქმელს, თითქოს ახლა ცდილობდა გაეგო,

რას ელოდა მაშინ... ცოტა მოგვიანებით, გეგონება ზღაპარს ჰყვებო, განაგრძო — კიდევ, მონატრებულ სითბოს, კიდევ ახალ ამბებს, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას მიღმიდან მოტანილს, უცხო, მაგრამ უკვე ნაცნობ სუნს, ძალიან შორიდან თან რომ მოჰყვებოდა გემზე დახვავებულ მთელს ამ ნადავლს, ამბად მოსაყოლსა თუ ხელიდან ხელში გადასაცემს — გაჩერდა, ღიმილმა გაუნათა სახე და დაამატა — სუნს, რომელიც მეზღვაურის გარუჯულ ტანს ისე ეკვროდა, როგორც ოდესლაც მძივებად ასხმულ იმ ნიჟარებს — მათივე ბინადრები... ჰმ, სიყვარულს ველოდებოდი, სხვა რას? სიყვარულს და ბედნიერებას — კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა...

— მერე, მერე? ხომ ჩამოდიოდა შენი მეზღვაური, ხომ იყავი ბედნიერი! — მოუთმენლად ეკითხებოდა ანსუმში.

— კი, ვიყავი, მხოლოდ ერთი დღე, სულ ერთი დღე... სიხარულისა და ნეტარების მოლოდინს, მთელს იმ მოლოდინს, თვეები რომ ინელებოდა, ერთ დღეში ვატყვდი, ერთ დღეში ვხარჯავდი... გემი რომ გამოჩნდებოდა, აღარაფერი მახსოვდა, მეგონა, კანიდან ამოვძვრებოდი ბედნიერებისგან და ისიც მეგონა, ამ განცდას ბოლო არ ექნებოდა, არც დრო ექნებოდა და საზღვარი, მაგრამ მერე ყველაფერი ფერმკრთალდებოდა და დღეები მოსაწყენი და შავ-თეთრი ხდებოდა, მეზღვაურიც ისეთი იყო, როგორც სხვა არამეზღვაურები, არაფრით განსხვავდებოდა მათგან, მე კი ნამდვილი მეზღვაური მიყვარდა, კაცი, რომელსაც მინაზე არ ედგა ფეხი, კაცი, რომელიც უსასრულო სივრცეში მოგზაურობდა, კაცი, რომელიც იმიტომ მიდიოდა, რომ მერე უფრო სავსე და მდიდარი ჩამოსულიყო... ჰო, მდიდარი, მარგალიტებით კი არა, რომელიც, სხვათა შორის, პეშვებით ჩამოჰქონდათ მეზღვაურებს და მეც იმდენი მქონდა, აღარ ვიცოდი, სად წამელო... მე ნიჟარები და ბროლის საკინძე მერჩივნა... ჰო, რას ვამბობდი? ის მეზღვაური მიყვარდა, მინაზე რომ ფეხი არ ედგა-მეთქი. ეს კი, ეს კი ინვა და ბუზებს ითვლიდა, ეძინა, ჭამდა, თითქოს დასასვენებლად ჩამოდიოდა, მე კი პირიქით მინდოდა, პირიქით მეგონა... მეგონა, ზღვაში უნდა დაესვენა და აქ სიყვარულისთვის ჩამოსულიყო, ნიჟარების გარდა, მეგონა, ჩემთვის დრო და მთელი სამყარო უნდა ჩამოეტანა, მაგრამ არ იყო ასე... ინვა და დასვენება უნდოდა. მერე, ცოტა მოგვიანებით, ერთი ხუთი ჩამოსვლის მერე მითხრა კიდევ, დამასვენე, რა დროს სიყვარულიაო... მერე მითხრა, უცნაურს გეძახიანო, ვერ გიგებნო, ამდენი განცდა და ამდენი სითბო რა საჭიროაო... ვერ ვაპატიე, ისევ ლოდინი ვარჩიე, მერე ლოდინიც მომბეზრდა და სამუდამოდ მომინდა მისგან დასვენება — მეზღვაურისგან... ერთ-ერთი ნასვლის მერე აღარც დაბრუნებულა, მე კი ჩემს სამშობლოში დავბრუნდი, სადაც სულ სხვა გემი მოადგა სულ სხვა ნაპირებს... იქ, ჩემს სამშობლოში არავინ მთვლიდა უცნაურად, იქ, ჩემს სამშობლოში არ იყო ზღვა...

— რა გემი, რა ნაპირებს, ეგეც მომიყევი...

— ამას სხვა დროს მოგიყევი, ანსუმ.

— ლოდინი აღარ გიყვარს, აღარაფერს ელოდები?

— ლოდინი უსარგებლოა, ის, რასაც ელოდები, მხოლოდ ეფემერაა... არასდროს მოდის ის, რასაც ელოდები, შესაძლოა რაიმე უკეთესი ან უარესი მოვიდეს, მაგრამ არა ის, რასაც შენს გონებაში ხატავდი. ამიტომ მე აღარაფერს ველოდები, უბრალოდ ვიცდი, მაგალითად როდის გამოიღვამს ფესვებს ონანა, ვიცდი და ვიცი, რომ გამოიღვამს, და ისიც ვიცი, რომ ხუთი ფესვიდან ორს მომცემს, სამი კი უნდა დავეუტოვო... ისიც ვიცი, რომ შენ, როგორც უნდა დაიგვიანო, მაინც უთუოდ მოხვალ, რადგან შენ ისედაც ყოველთვის აქ ხარ... ჩემთან.

— სიყვარულიც ეფემერაა?

— შეიდი რიში რომ დაგიჯდეს, მაინც ვერ გეტყვის, რა არის სიყვარული, ეს შენ თვითონ უნდა გაიგო, ვერაფერ

გეტყვის, ვერც მე. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ შენ ხელდასხმული ხარ...

— ვინ თქვა, რომ ხელდასხმული ვარ, მერამდენედ მესმის ეს უზარობა... არ მინდა, ხელდასხმული ვიყო, არც ვიცი, რას ნიშნავს... რა პასუხისმგებლობას მკიდებთ, რა გინდათ ჩემგან?! — მოულოდნელად გაღიზიანდა ძლივს დაშოშმინებული ანსუმი.

— ქალი, რომელსაც არ ეშინია სიბნელის და სიკვდილის, ღირსია და იქნება კიდევ ხელდასხმული — დაბეჯითებით მიუზღო მაგამ.

— მე მეშინია, მეშინია სიბნელის, საშინლად მეშინია... სიკვდილის ხომ იმთავითვე, ყოველთვის მეშინოდა და ახლაც ტანში ჟრუანტელი მივლის, როცა მასზე გავიფიქრებ... შხამიანი კრაზანა ვერ მომიკლავს, რადგან მისი შხამის უფრო არ მეშინია, ვიდრე მისი სიკვდილის, არაფერი მზარავს ისე, როგორც სიკვდილი — ყვიროდა ანსუმი — არ ვარ ხელდასხმული, არც განდობილი ვარ, არავის განვდობივარ, არც ფიცი დამიღია ვინმესთან, არავის არაფერს დავპირებოვარ... ერთი სუსტი ქალი ვარ, რომელიც ვიღაც ავადმყოფს გადაეყარა, რომელმაც მაჯლაჯუნა ამჯობინა ჩემს თავს, ავადმყოფს, რომელმაც ისე გამყიდა და გამწირა, უკან არ მოუხედავს... ვის გვეყვებოდა, რა ხელდასხმული, რატომ მკიდებთ ამ აუტანელ ტვირთს, რატომ არ მკითხვით, საერთოდ მინდოდა თუ არა ამ ქვეყნად დაბადება, რისთვის ნვალობდით ის შვიდი წელი და რატომ არ იფიქრეთ, იქნებ იქ, სადაც ვიყავი — უკეთ ვიყავი, რატომ არ დამანებეთ თავი, დაუკითხავად რატომ მომავლინეთ ქვეყანას, რა ძალადობა... და ახლა კიდევ რაღაცას მთხოვთ, რაღაც ისეთს, რაც მე არ შემძლია... დავილაღე... დავილაღე... — ხმით და ცხარე ცრემლით ატირდა ანსუმი, დიდხანს ტიროდა... მაგა ჩუმად იყო, ზურგით იდგა და წარმოსახულ მტვერს ამორებდა დიდხანს ხელუხლებელ ნივთებს — არადა, არ არსებობდა მტვერი წარციმარისში... მერე, როდესაც, სლუკუნიც შეწყვიტა ანსუმმა.

— ქალი, რომელსაც არ ეშინია სიბნელის და სიკვდილის, ღირსია და იქნება კიდევ ხელდასხმული — კიდევ უფრო დაბეჯითებით გაიმეორა მაგამ — სიყვარულით ანთებულ და შეერთებულ ორ გულს ვერასდროს დაამორებს ადამიანური სისუსტე. მათი მტრების ნებისმიერი მცდელობა წარუმატებელი იქნება, თავად ღმერთები იცავენ მათი — დააყოლა ცოტა ხნის დუმილის მერე და გულში ჩაიკრა ანსუმი.

— მეშინია, მაგა...

— რწმენა მოიკრიბე და აზრი ჩადე იმაში, რასაც განგება გთავაზობს და რის გაკეთებასაც გთხოვს — სხვა იარაღი არ გჭირდება აბა, კარგად დაფიქრდი, რწმენა და აზრი გამოაცალე ჯვარზე გაკრული ღმერთთა ცხოვრებას, რა დარჩება მისგან? ერთი წარუმატებელი და დამარცხებული სულიერი. ან ის მოიგონე მრუმეძირას მწარე წვეს რომ ვასმევ და ცალკედელას წვეტიან ეკალს რომ ვარჭობ ბნედიანს და სისხლს რომ ვადენ, ვინ ვარ მაშინ — მწვალბელი? ხომ არა? არა — იმიტომ რომ აზრი დევს ამაში — უნდა გადავარჩინო და ამიტომ უნდა ვატკინო, გესმის რას გეუბნები? შენც ისჯები იმიტომ, რომ არ დაისაჯო, იმიტომ, რომ გადარჩე, გესმის, რას გეუბნები? უნდა გადარჩე ანსუმ, უნდა გადარჩე — რაღაც გაუგონარი ჟინითა და მონდომებით აღმოთქვა მაგამ. ანსუმს კი მის გულზე მისძინოდა.

ის ღამე მაგასთან გაათია ანსუმმა, ბუხრისპირას, ტახტზე ეძინა. მთელი ღამე ფუსფუსებდა მაგა, მთელი ღამე ღვიოდა ნაკვერჩხალი.

მეორე დღეს ჰაზირთან უნდა წასულიყო ანსუმი. მაგამ ონანა მოამზადა, შესაფერის ჭურჭელში ჩაუსხა წვენი, თავის სათქმელს მოხუცი გეტყვისო, დააყოლა და გამოსიტუმრა.

ქვისმთლელები ანსუმის სახლიდან არცთუ ისე მოშორებით ბინადრობდნენ, მათი საცხოვრებელი ნახევრად ტყეში იყო შეჭრილი და გარს ქვის უზარმაზარი გალავანი ჰქონდა შემოვლებული, რომელიც თითქმის არც ჩანდა, რადგან გალავნის გასწვრივ, მთელს წრეზე შიგნიდანაც და გარედანაც კვიპაროსები იყო ჩამწკრივებული. გასაოცარი იყო ის, რომ ყოველ კვიპაროსს თავისი მენყვილე ჰყავდა, რომლისგანაც გალავანი ჰყოფდა, მაგრამ ვარჯებით ისე იყვნენ ერთმანეთისკენ გადაწოლილები, რომ მთლიანობაში უნაკლოდ სწორ თაღს, თუ გვირაბს ქმნიდნენ, რომლის შიგნითაც გადიოდა სწორედ ეს ქვის გალავანი.

შიგნით, გალავანს მიღმა ერთი დიდი შენობა და ირგვლივ პატარა ქვის სახლები იდგა. დიდ შენობაში მუშაობდნენ, ხოლო პატარებში ცხოვრობდნენ ქვისმთლელები.

ანსუმი ნაშუადღევს მიადგა ქვისმთლელოთა სამყოფელს და ჭიშკარი შეაღო. პირდაპირ ჰაზირის სახლისკენ გაემართა, ღია კარზე მიაკაკუნა და შევიდა. დედაბოძთან იჯდა უხუცესი და ხელში კრიალოსანს ათამაშებდა, მისი უსინათლო თვალებიდან მრავლისმეტყველი მზერა გამოსჭვიოდა — რაღაც ისეთს ხედავდა, რასაც ვერ ხედავს ხილული თვალი. ონანა მოვიტანეო, ანსუმმა უთხრა, ჭურჭელი იქვე, პატარა ხნის ტაბლაზე დადო და გადაეხვია თეთრწვერა მოხუცს.

— დაჯექი, ანსუმ, ვიცი, სათქმელი გაქვს...

— წმინდა ბებუთი დაიკარგა, ჰაზირ — პირდაპირ უთხრა ანსუმმა — მაგრამ ეს ნახევარი უბედურებაა, ის აღარაა წმინდა, რადგან სისხლს შეეხო.

ცოტაოდენი დუმილის შემდეგ მოხუცმა ისევ აათამაშა კრიალოსანი.

— ნუ შიშობ, ანსუმ, ბებუთი არ შეიხებდა სისხლს. შენი სწორფერი სხვა დანითაა დაჭრილი, ის დანა აქაა, ჩვენთან — ქვისმთლელებმა იმ ამბის მერე, მაშინვე აქ მოიტანეს.

— აბა, რისთვის ნაიღეს ბებუთი ჩემი სახლიდან?

— სინამდვილე და ძალა წაგართვეს... ის თვითონ დაგიბრუნდება, როცა დრო მოვა... მხოლოდ...

— მხოლოდ, რა? — მოუთმენლად იკითხა ანსუმმა.

მოხუცი გაჩერდა სადღაც უსასრულოებაში გაიხედა.

— არაფერი, უბრალოდ, ცხელ გონებაზე ნურაფერს მოიმოქმედებ და ნუ დაწვრილმანდები — ამკარად სხვა რამ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა მოხუცმა. არადა, სწორედ დაწვრილმანება სურდა ანსუმს, ცნობისწადილი სწავდა, ამ საიდუმლოებით მოცულ ამბავში უნდოდა ხელის ფათური. ზოგადი შეგონებების წვდომის ძალა არ ჰქონდა.

— არაფერი მესმის, მე ხომ მხოლოდ სიყვარული მინდოდა — გამბედაობა მოიკრიბა და სიჩუმე დაარღვია ანსუმმა, იმ იმედით, რომ რაიმეს მაინც ეტყოდა ჰაზირი, უკვე მზამზარეულს და არსებითს.

— დიდ სიყვარულს დიდი მსხვერპლმწიფი სჭირდება. საკმარისი არაა შენს სულიერ ორეულს რომ შეხვდები და შეიცნობ, მთავარი მერე იწყება. ერთმანეთის ბოლომდე მოპოვება დიდ ტკივილთანაა დაკავშირებული. კაცი უფრო ადვილად ფერხდება, მას სიმაღლე აქვს დასაპყრობი და, შესაძლოა, დაილალოს ან ფეხი დაუცდეს და სხვა, უფრო ადვილი გზა არჩიოს, რომელიც რაიმე საცდურთან მიიყვანს და ეს საცდური, შესაძლოა, ქალი იყოს, რომელიც არ იქნება მისი სწორფერი — ასეც ხდება ხოლმე.

— წავალ მასთან და ყველაფერს ავუხსნი...

— არა, — სიტყვა გაანყვებინა მოხუცმა — ვერაფერს გახდები, ახლა მის სულს სძინავს.

— აბა, რა ვქნა? — ისევ გაისმა ანსუმის სასონარკვეთილი ხმა.

— არაფერი — მკაცრად თქვა ჰაზირმა — იქ იდექი, საცა დგახარ, არ ჩამოქვეითდე.

მერე კიდევ დიდხანს ესმოდა ანსუმს მოხუცის ლაპარაკი, მხოლოდ ყურით ესმოდა და სამერმიოდ ინახავდა ვაგონილს, ახლა მის მოზღვავებულ და აბდაუბდა ფიქრებში არაფრით ეტეოდა სივრცეში განფენილი შეგონებები. მხოლოდ აქა-იქ, წყლის სუსტი ჭავლივით შეაღწევდა ხოლმე მის გონებრივ ხანძარში ერთეული ფრაზები — “ვერაჟინ მოხედება სამოთხეში, სანამ ერთი მაინც დარჩება ჯოჯოხეთში”... “სხვისი ცოდვები არ არსებობს, ჩვენ ყველანი ერთმანეთის ცოდვებს ვატარებთ მხრებით”... მოგვიანებით კიდევ გამოტყვრა რალაც დაუკავშირებელი ფრაზები — ვერ მიჰყვებოდა აზრის დინებას, ველარ ხვდებოდა, რა სიტყვა რა წინადადებას ეკუთვნოდა, რომელი წინადადება რომელს მოსდევდა, რისთვის მოსდევდა, ანდა რას ემსახურებოდა მთელი ეს დაუნაწევრებელი ხმაური. ბოლოს თვითონვე უთხრა მოხუცმა — ახლა, მაინც უსარგებლოა ყველა სიტყვა, რომელსაც ჩემგან ისმენ, რადგან ანთებული და ხმაურიანია შენი გონება, მერე კი, როცა დადუმდება — თავად გაიკვლევი გზასო...

წამოვიდა ანსუმი, არა, არ უნდოდა შეგონებები, სხვა პასუხების მოსმენა სწყუროდა, სხვაგან ქროდა მისი გონება და ყველა საქმე თუ მოვალეობა საზარელ ტვირთად აწვა მხრებზე, არადა, რალაცას ითხოვდნენ მისგან, ძალიან რთულსა და შეუძლებელს, რალაცას არ ამბობდა ბოლომდე არც ჰაზირი და არც მაგა. ქვისმთლელთა სავანე რომ დატოვა, სიკვდილი ინატრა, ობლად, უღვთოდ დარჩენილივით იყო ამ ქვეყანაზე გირხას გარეშე.

იმ ღამეს თვალს რული არ მიჰკარებია. მერე, როგორც იქნა, გათენდა. თითქოს რალაცას კარნახობდა თუ ითხოვდა მათათა მიღმიდან სულ ახლახან ამოჭრილი მზის სპეტაკი სხივი. მაგრამ რას?

დღე ფიქრში გაილია, მერე ისევ მოსალამოვდა, დაღამდა და მეორე დილაც გათენდა, შემდეგ — მესამე. ერთი დღე მეორეს ცვლიდა და არაფერი მოჰქონდა სიცარიელისა და ამაოების გარდა. სამყაროს გაუწყრა ანსუმი, ცას საყვედურით ახედა და ხარბად დაენაფა შავფოთილას ძილისმომგვრელ წვენს.

იტანჯებოდა გირხა, სამოძრაოდ უხმობდა მის არსში ღრმად ჩამარხული გრძნობა — ეძახდა, უბიძგებდა და წინსვლას აძილებდა — წინსვლას ოდითგანვე არსებული და უპირობო მიმართულებით. მაგრამ ველარ იგონებდა ნალისებრ გზას, ვინ იცის, რამდენჯერ განვლილს. და მაინც, “საცა ქარი წამიღებოს” — ამ აზრით გაიხურავდა კარს და ანგარიშმიუცემლად დაუყვებოდა დაღმართს, ისევ ჩაივლიდა მთას, ისევ გადავიდოდა მეზობელ ფერდობზე, ისევ დაადგებოდა აღმართს და მალევე გაჩერდებოდა... გაჩერდებოდა, რადგან აქ წყდებოდა სავალი ბილიკი, იქით კი გაუკვალავი იწყებოდა. უკმარისობის მტანჯველი განცდა დაეუფლებოდა, ბორგვას იწყებდა, შორს გახედავდა აღმართს, მაგრამ ველარაფერს დაინახავდა — ისე გამქრალიყო აღმა სავალი გზა, თითქოს არც არასდროს ყოფილაო. არც არასდროს ყოფილაო — დაუდასტურებდა ზირა, რომელიც გეშით იგრძნობდა კაცის სიახლოვეს და მაშინვე გამოსხლტებოდა თავისი სადგომიდან — ჰო, სწორედ ზირას სახლთან წყდებოდა სამყაროს წესრიგი, ზევით აღარაფერი იყო დასალიერის გარდა. ჩემთან მოხვედით, ურცხვი თავდაჯერებით ეტყოდა ქალი, ვითომ არ იცოდა, საით მიჰყავდა გირხა არქა-

ულ მოგონებას. რამ ამოიყვანა ეს ეკალბარდებიო — თავისთვის იკითხავდა კაცი... ყოველთვის ასე იყო — რიოში დიმილით მიუგებდა ქალი და უმაღლ ბანზე აუგდებდა სიტყვას, თან ჯამით წყალს გამოუტანდა აქოშინებულ კაცს, თითქოს წყლით უნდოდა ჩაეკლა მასში სიმაღლის დაპყრობის დაუოკებელი წყურვილი. მერე მხრებს აჩჩეჩავდა გირხა, ისევ უკან გაბრუნდებოდა და შინისკენ აიღებდა გეზს. ზირა კი უკან აედევნებოდა, ბოლომდე აედევნებოდა, სახლშიც შეჰყვებოდა, ისე რომ პატიუს არ დაელოდებოდა. თუმცა, გირხასაც არაფერი ჰქონდა სანინაალმდეგო, რადგან უკვე შეეჩვია ქალის უსიამოვნო ნაკვთებს, უღაზათო დუხჭირ სხეულს, მოწონა კიდევ, აპატია ქალს უგვანობა და ამაგი დაუფასა. ყვავილებს უკრეფდა, მადლობას უხდიდა თავდადებისთვის, ელოდა კიდევ, ხშირად განზრახდა გვიანებულ სახიჩარს. მერე ისევ დაადგებოდა ნალისებრი გზის კაბადონს, რალაც განსაკუთრებული შემართებით დაადგებოდა, მაგრამ ისევ მოჭრილი ხვდებოდა გზა, ისევ იმავე ადგილას გაჩერდებოდა, ისევ ბორგვას დაიწყებდა — თითქოს საკუთარ სულს ტკეპნიდა და თელავდა თავისივე გადაუდგმელი ნაბიჯებით... მაგრამ რა ექნა? აღმართს რომ ახედავდა, ერთმანეთზე დახვავებული ეკალბარდები ისეთი ჩახლართულ-ჩაკვანძული, ისეთი ურმანი და გაუვალა იყო, უნასაც კი გაუჭირდებოდა გზის გაკვლევა. გირხაც ისევ სახლისკენ იბრუნებდა პირს...

დრო გადიოდა, ამასობაში მტვერი გაჩნდა ნარციმარისში, ნაცრისფრად შეერია და სულ მალე გასარეცხად მიგდებულ ჭინჭს დაამსგავსა სამყარო.

ბოლო დროს ხშირად იდგა მაგა კლდის ქიმზე, ფეხისწვერებზე შემდგარი, ზეცისკენ ამართულიყო და ურყევი განზრახვით ჩასციებოდა მზეს. თვალს უზრმავებდა მნათობი, მაგრამ ჯიუტად უსწორებდა მზერას შეუპოვარი ქალი, ელცნაური მოლოდინი ედგა თვალებში — კარგს არაფერი უცოდა, მაგრამ რწმენის ნატამალი მაინც აღბეჭდოდა უზადო და მკაცრ ნაკვთებზე. დღე რომ შუადღისკენ გადაიხრებოდა და ცის კაბადონზე მზე რომ უმაღლეს წერტილს მიაღწევდა, მიწაზე დაეშვებოდა მაგა და შვებით ამოისუნთქავდა.

თუმცა ერთ მშვენიერ დღეს, აი, სულ ცოტა ხნის უკან ამოწვერილი მზე ერთ ალაგას გაშეშდა, სხივები მიმოფანტა, ერთხანს ინრიალა, ინვალა, ველარ ნახა აღმა სავალი გზა და... უკან გაბრუნდა — იქით, საიდანაც ახლახანს ამოსულიყო...

ორი დღე მოიცადა მაგამ და იგივე რომ განმეორდა, “დროაო” თქვა, ჩაჯდა თავის ნაეში და გადალახა ჭუჭყიანი და აშმორებული მდინარე, გადალმა ნაპირზე გადავიდა.

სალათას ძილით ეძინათ ნარციმარისელებს, არავის უგრძენია თავს მოწეული უბედურება... მხოლოდ გირხა დაიარებოდა მორკალულ გზაზე... ირგვლივ მინა დამსკდარიყო. ხეებს ფოთლები შეჰყინოდა, ბალახს — ცვარი... დაჭკნა ვარდი და ია, ახლახანს დამნიფებული ბროწეულები სულს ღაფავდნენ და პირდაფრენილები ელოდნენ საშველს, წისკარტები გაუხუნდათ შაშველს.

ღრმად ეძინა ანსუმს, სიზმარს ხედავდა, ბნელ და ნოტიო მღვიმეში ბორიალობდა, გამაყრუებელი სიჩუმე იდგა, მხოლოდ დროგამოშვებით სადღაც შორს გაისმოდა წყლის წვეთის ხმა და მთელს მღვიმეს ექოდ ედებოდა. “მომიყევი მაგა, მომიყევი შენი ამბავი, რა სხვა გემი მოადგა სხვა ნაპირს, მომიყევი”, ითხოვა სიჩუმისგან დამფრთხალმა ანსუმმა, თუმცა მაგას ვერსად ხედავდა. ცოტა ხანში მღვიმეში მართლაც

ენაცვლებოდა ერთმანეთს ორი არაამქვეყნიური ხმა — ხან მაგა ჰყვებოდა ამბავს, ხანაც საკუთარი სხეულით დამძიმებული ნყლის უზარმაზარი წვეთი მოსწყდებოდა მოლიპულ კლდეს და სადღაც უსასრულობაში ჩაეშვებოდა, მერე ისევ მაგა აგრძელებდა ... “ქარავანს გამოეყვივი ფარულად, ცოდვას გამოეყვივი”, ჩაესმა ანსუმს და წვეთიც მოსწყდა ადგილს... “ადამიანი მხოლოდ მაშინ იტანჯება, როცა სცოდავს... მეც შეეცოდე, როცა ის შემეყვარდა, რადგან ცოლი ჰყავდა. ვინ იცის, რამდენი დღე დავყავი უდაბნოში, გზაში ეჭვი მღრღნიდა, იქნებ, არასწორად მოვიქეცი-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ უკვე გვიანი იყო, გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა და გზა — უკვე განვლილი, გამომშრალ უდაბნოში საკუთარ ცრემლებს ვსვამდი... ის უკან გამომედევნა და მიპოვა კიდევ, არ ვიცი, როგორ... ცოდვის არ ჩადენა ზოგჯერ გამოუსწორებელი ცოდვააო, მითხრა... ასე გადაწყვიტა და სამუდამოდ მიატოვა წარსული, სანაცვლოდ თვალის სინათლე დაუტოვა. მრავალი მთაგრეხილი გადმოვიარეთ ერთად, შორს, შორს წამოვედით ჩვენი სამშობლოდან და აღარასდროს მიგვიხედავს უკან, მაგრამ მაშინ არ ვიცოდით, რატომ შეგვეერთა ბედმა... არა, ერთად ყოფნა არ გვეწერა, აგრძელებდა მაგა, რაღაც უფრო აღმატებული, ბევრად აღმატებული რამ დაგვაკისრა განგებამ”... მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, უკვე სამჯერ გაისმა მონწყვეტილი წვეთის ხმა, მაგა კი დუმდა... “რა, მაგა, რა დაგვაკისრა, რაა სიყვარულზე აღმატებული?” ახლა, თითქოს ლოდი ჩავარდა წყალში, ისე ახლოს გაისმა ხმა, მღვიმე შეზანზარდა და კედლებიდან გამოჟონა მაგას დაგვიანებულმა ხმამ — “სიყვარულზე აღმატებული, აღმატებული სიყვარულია, ანსუმ”.

“მოვდიოდით და გზაში რაღაც ზებუნებრივ ძალას ვიკრებდით, უცნაური ნდობით აღიჭურვა ზეცა ჩვენს მიმართ, უანგაროდ გვიხსნიდა სამყაროს ჩანაფიქრს. და მაინც, წლები დაგვჭირდა იმისთვის, რომ გავგვეგო, რას ითხოვდა ჩვენგან განგება. წლები დაგვჭირდა, რომ აქამდე მოგვეღწინა...” “რას, რას ითხოვდა განგება თქვენგან?” — ეკითხებოდა ანსუმი. “სულიერი შვილები უნდა გავგეჩინა და თან წმინდა ბებუთი ჩამოგვეტანა...”

“რააა? წმინდა ბებუთი?... ჰაზირი?” — აღმოხდა ანსუმს. მღვიმე გაიზარდა, თითქოს ფილტვები დაებერა, ხარბად შეინოვა ჟანგბადი, მერე ერთიანად ამოსუნქა და — “ჰო, ჰაზირიო” ჰაერს ამოაყოლა სათქმელი. ძილში შეხტა ანსუმი, ლამის გამოეღვიძა, მაგრამ ისევ ჩაიძირა სიზმარში, მღვიმე სადღაც გამქრალიყო, ახლა მთის წვერზე, გაუგონარ სიმაღლეზე იდგა და თავის ჩრდილს უხმობდა, რაღაც უცხო, მაგრამ უკვე მიგნებულ სახელს ეძახდა. ამავე დროს ვიღაც ნაცნობი და ახლობელი მოაპობდა ჩრდილების შავ მძიმე ღრუბელს, შუქი ეჭირა ხელში და აღმართს ებრძოდა. აქეთ, აქეთო, ანსუმი ეძახდა, აშკარად გირხა იყო. მერე ნელ-ნელა ღრუბელი გაიფანტა და სუფთა, ცარიელი მდელი გამოჩნდა, ზედ ადამიანები მიდი-მოდიოდნენ და ფეხებთან ირიბად გართხმულ ჩრდილებს დაატარებდნენ თან. ბოლოს და ბოლოს, ოდესღაც მწვერვალზე გირხამაც ამოაღწია, მზე მოჰქონდა, ხელები ეწვოდა, ანსუმმა მზე გამოართვა და ადგილზე დააბრუნა. მერე სიზმარიც გაქრა.

იმ დღეს ისევ ზირას სახლთან გაჩერდა გირხა, ისევ გახედა ჯოჯოხეთის ხლართებით გადარაზულ გზას, ამღვრეული და დაღლილი თვალები გაუსწორა სიმაღლეს და გაშეშდა... შორს, ძალიან შორს თავგანწირვით ჰკიოდა ონანა და თავის მძაფრ სუნს ატანდა ზემოდან ზვავივით ჩამოშლილ მტვრიან ჰაერს. ერთხანს ასე იდგა გირხა, გაშეშებული, რაღაცას იგონებდა, მერე შეტორტმანდა, გამოფხიზლდა, ნა-

ჯახიო, არაადამიანური ხმით დაიძახა და ადგილს მოსწყდა. გზა გადაუღობა ქალმა, არ მაქვს ნაჯახიო — მიუხვდა ჩანაფიქრს, მაგრამ აღარაფერი ესმოდა გირხას, ხელის მძიმე მოძრაობით მოიშორა ქალი და სახლში შევარდა. ქარიშხალივით ტრიალებდა ოთახებში, ნივთებს ისროდა, სკივრებს აპირქვავებდა, მაგრამ ვერსად ვერაფერი ნახა. ბოლოს მთელი ძალით აჰკრა ფეხი და თითქმის ჰაერში აისროლა ფანჯარასთან მიმდგარი ტახტი. სახლი შეზანზარდა და ზღართან მოადინა მინაზე დაბრუნებულმა ხის ძველმა სანოლმა, ქვეშაგებიდან კი გველივით გამოსრიალდა რაღაც ძალიან ნაცნობი, ბრჭყვიალა და ბასრი. ცოფიანივით მივარდა ზირა და ხელი სტაცა ბებუთს, ზურგს უკან გადამალა, არ მოგცემო, ყვითელი თვალები შეაფეთა კაცს... ერთხანს იჭიდავეს... მერე ძლივს მოპოვებული იარაღით ხელში გამოვარდა გირხა სახლიდან და გზის გაკაფვა დაიწყო, ცნობამიხდელი სერავე და შხამიან ეკალ-ბარდებს, გამომხმარ და გაქვავებულ ტოტებს, არაფერი ახსოვდა, მხოლოდ მიმართულება — ზევით უნდა აეღწია როგორმე... შიგადაშიგ გაიელვებდა უღრანი ბუჩქნარიდან ბებუთის სარკესავით მბრწყინავი ზედაპირი, და გამოჰკრთებოდა მისი წკრიალა ხმა.

დილა იყო, მზე ისევ იმ ადგილს უახლოვდებოდა, საცა აგრე უკვე მესამე დღეა ჩერდებოდა და ცოტაოდენი ყოყმანის მერე უკანვე ბრუნდებოდა. ახლაც გაჭირვებით მოჰქონდა ფერმკრთალი სხეული, თითქოს აზვირთებულ ტალღებს უწევდა წინააღმდეგობას.

ამასობაში მაგაც გამოჩნდა, ზეცას ახედა, თვალთ მოწინა რაღაც ადგილი და ტაატით დაადგა აღმართს, გირხას გაკვალულ ბილიკზე შედგა და ფეხდაფეხ მიჰყვა მწვერვალისკენ ბრძოლით მიმავალ კაცს. მერე ქარი ამოვარდა, ხმაურით აიტანა ცაში, ერთიანად წახიკა მინის პირიდან მტვერი და უკვე მოჭრილი თუ ამოძირკვეული ეკალ-ბარდები, გრგვინვით გადაუარა სამყაროს და მიჩუმდა.

თბილი და ხორკლიანი ენით ულოკავდა ვიღაც ხელებს. თვალი გაახილა ანსუმმა, შავი ძალლი იჯდა მის სანოლთან. ღიმილმა გაუნათა სახე და წამოდგა. გარეთ რომ გავიდა, ჯერ გირხა დაინახა — ზურგით იდგა და წმინდა ბებუთი ეჭირა ხელში, გვერდზე ჰაზირი იჯდა ხის პატარა სკამზე და კრიალოსანს ათამაშებდა, ფეხისწვერებზე შემდგარი მაგა კი გამაღებით იყურებოდა ცაში. ღრუბელი ფარავდა მზეს. ანსუმი ჰაზირის გვერდით ჩაიცუცქა და თავი მუხლზე დაადლო.

— ჰაზირ, რაღაც უცხო სიტყვა ამეკვიცია — სიზმრიდან გამომყვა — ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს?

— რა სიტყვა, ანსუმ?

— ზირა, ზირა ...

— ზირა ჩვენს ენაზე დაკარგულ ჩრდილს ნიშნავს... როცა ადამიანს ნათელი მოაკლდება, ის ჩრდილს კარგავს, დაკარგული ჩრდილი კი ბოროტებად იქცევა ხოლმე. ამიტომ იქ სადაც შუქია, ზირა არ არსებობს.

— ჩვენს ენაზე, შენ თქვი... რომელ ენაზე, ჰაზირ?

— იმ ენაზე, რომელზედაც მე და მაგა ვლაპარაკობთ.

— ნარციმარისიც ნიშნავს თქვენს ენაზე რაიმეს?

— კი, ნუთისოფელს.

მერე რაღაც აენტო გირხას ხელებში, ანსუმს გახედა და გაუნოდა — წმინდა ბებუთი იყო, რომელიც ღრუბლიდან გამოღწეულ მზის პირველ სხივს ირეკლავდა. კარგა ხანს ოთხივე ზეცას შეჰყურებდა, ჰაზირიც კი ხედავდა, როგორ დაიძრა მზე და ისევ ძველებურად როგორ დაადგა მარადიულ გზას. ხასხასა მდელივით კი შავი ძალლი დაკუნტრუშებდა და მხიარულად ეთამაშებოდა თავისივე ჩრდილს.



ქეთევან დოლიძე

უფალო

რა ერქვა იმ განცდას, ძვლები რომ ჩამიფქვა?!
არ ვიცი, ვინ ვიყავ, არ მახსოვს რა მერქვა...

მახსოვს, რომ სული და სხეული კიოდა
და შენი ნალურსმი ხელები მტკიოდა...

უსუსურ მინის მტვერს, სუსტსა და ფეხშველას
რარიგად მინდოდა, რომ შენთვის მეშველა...

არა ვარ, უფალო, ხორბალი საყანე,
თუ გინდა სხეულის ბორკილი ამყარე.

ცოდვების უფსკრულმა მიშვილა კინალამ...
ზეციურ საუნჯეს გულში რომ ვინახავ, —

ეს შენ ხარ, უფალო... არ მინდა დიდობა...
ვიცი, რომ მოხვალ და... რომ იტყვი — მშვიდობა!..

* * *

მისა ხელაშვილს

ლექსო, კლდის ნაპრაღში შენახულო,
მრავალ ქარ-წვიმისგან შელახულო...

ქვებში ამომსკდარო მუხის ყლორტო,
ოლონდ არასოდეს დამილონდე...

დედის გულო, ხანჯლით ნაჩხვლეტარო...
მწუხრზე დახვრეტილო კელაპტარო...

კაცო, ერთგულო და საყდრის მცველო,
ცხენზე შეგდებულო ბედისწერად.

ლექსო, ბუხრის ძირში ჩანაცრულო,
მაგრამ თვით იესოს განათლულო.

ფშავში დის ხურჯინში ჩანყობილო,
ჩემო დაჩეხილო საქართველო.

მერე ლუკმა-ლუკმად დამარხულო
ძვლებო, არასოდეს განაღმულო...

ჩემო ბარისახოს დიაკვანო,
მინამ გაიქიმოს, გაიკვანოს...

ქვეყნის კაცობავ... და... ხელაშვილო...
მინადარბეულო... მზეაშვილო!..

კიდობანი — ნაფოტი

ველარ ჩამოიცალა თეთრი სეტყვის საბადო,
მცია, როგორც ზამთარი და ვინატრე — ნაბადი...

გავხდი, როგორც ქვესკნელი, ზესკნელს შემონაფეთი
და ჟასმინის სურნელით აღმაფრენანაპენტი...

ღმერთო, სიბრძნე მოგვეცი ზეთისხილად გაფოთვლის,
ცაზე აგვიყვავილე კიდობანი — ნაფოტი,

რომ ტივტივა სამყარო რწმენით გადავარჩინოთ,
სხვისი დარდი ვიდარდოთ, სხვისი ჭირი ვიჭიროთ...

და ცოდვებით აღსავსე დავიბერტყოთ გულეში,
დავიბერტყოთ სულეში... თორემ სეტყვის ქულები

დაგვიყენებს თოვლის მთებს... გაცივდება სამყარო...
ველარავინ ვერ გვეტყვის: „სიყვარულისა ხარო!“

ღმერთო, სიბრძნე მოგვეცი, ზეთისხილად გაფოთვლის,
ცაზე აგვიყვავილე კიდობანი — ნაფოტი!..

თუ ვერ გაიგე...

თუ ვერ გაიგე, რად არ ხდება, როგორც გინდა,
დღესასწაულებს ნუ მოელი გახსნილი ციდან...

აქ ფიროსმანის მეეზოვეც ცხოვრებას ჰგვიდა,
იქნება იგრძნო, რომ უფალი ცრიატში გცდიდა.

უნდა ერთხელაც ჩამოკემსო ნაცვეთი წინდა,
მთელი ოჯახი დააპურო გახრული ძვლიდან,

ბედისწერასაც მიუტევეო, გატეხო ნავსი,
მინის დაყნოსვით რომ შეიგრძნო სიცოცხლის ფასი.

გეძვირფასება ტკივილებიც ახეულ ლანჩად,
რადგანაც ღმერთი უხვად გჩუქნის ლალსა და მარჯანს.

ვიცი, პოეტი როცა წავა, მაშინ ფასდება,
დღეს კი დაცემაც სხვების დგომას ეტოლფასება.

ერთი ხომ იყო სინანულის... ათასი ქვიდან...
აქ ფიროსმანის მეეზოვეც ცხოვრებას ჰგვიდა...

სულის ბარათი

2010 წლის 22 თებერვალს
ქარმა მომიტაცა. მეათე დღეა ვწევარ.
4 მარტს, გარდაცვლილი ზურაბ ჯაფარიძისაგან,
ქარის ეტრატით, ასეთი ბარათი მივიღე

გთხოვ, მაპატიე, გამოპარვა იმ სამყაროდან,
სადაც ვსულდგმულობ მეთხუთმეტე წელიწადია...
მაშინაც შენთან მოვფრინავდი, მომიხაროდა
და ჩავიყინე, ქვის სხეულში სული ვათიე.

შენ კი დაგინდო ბედისწერამ, ალბათ უყვარდი...
სიკვილი-სიცოცხლის ბუნვის ხიდმა ცა რომ გასერა...
მახსოვს, ფიფქებით შენდებოდა თოვლი მუხლამდე...
დამფარა ბოლოს... ტვირთსიმძიმე დრომ შემახსენა.

ქარიშხლის სხეულს ჩავეკირე, ჩავეგვირისტე
და მომენატრე, ფრთაფარფატავ, როგორც არასდროს.

აღარ შემეძლო... ბედისწერა ვერ ავირიდე,
ჩემშიც აჯანყდა გაზაფხული, მკვდარი ამანთო.

ქარიშხლის ფესვებს ამოვეყვი ჩანაკირები,
თითქოს ათასი ქარ-ბორიო ერთად მორეკეს,
შემოგაღენე ნეკნები და კაბის ლილები,
კინალამ ხელში შემომაკვდი... გონს რომ მოვეგე,

მოჰგავდი უკვე გაფურცვლილ და ნატანჯ გვირილებს...
და შემებრალე, ჩაიბრუნე სულის კვირტები,
აჯანყებული გაზაფხულიც ჩავიტრიალე
დახეულ ჯიბედ... რომ მოგიყვე გაგიკვირდება...

ქარიშხლის ძვლებში ჩავიკრიფე... ძვირად დამიჯდა
იმ სამყაროდან გამოპარვა, ძალა მეფუთი...
როგორ დაგინდო ერთმა ნამმა, ერთმა ნაბიჯმა...
გთხოვ, მაპატიე, რომ დაგარქვეს ქარნაღებულნი.

პასუხი კითხვაზე — როგორ ხარ?

პოეტ თენგი ავსაჯანიშვილს

როგორღა გითხრა... ცაცხვი დაკვირფე,
ჭიქას არაყი ჩავთალე მარტომ...
ვერ დავენევი თიფნიფ-ნაფნიფებს,
თითისტრების და ფიქრების ნართო.

წუთისოფელს რომ აეგორგალე,
შენით მოქსოვეს ლექსი-სამოსი,
კალმახები თუ თერგში ბორგავენ,
შენ მთებში სახლობ, როგორც სალოსი.

მე კი ვენტები და კვლავ მაქრობენ,
როგორ ვიქნები, ჩემო მოხევე,
ციცქნა ბუდისთვის ჩალებს ვაგროვებ,
ვიდრე ქარები ამ გულს მოხევენ.

ვცხოვრობ ჩიტივით ღვთისანაბარა,
უფალი არის მხოლოდ პატრონი,
ყინულ-ზამთრებში ფრთები მაფარა,
დღეს ბარტყები მყავს ჩემი ნატოლი.

ნეტა იცოდე, როგორ გაგზარდე,
წვიმები ვასვი, ლექსებით ვკვებე...
წყვდიად ღამეში როგორ ვესანთლე...
ახლა კი ვუცდით უფლისწულ-მეფეს.

ალუბალი

მე ვარ პატარა ალუბალი, თქეში და მოთქმა...
არ შეატოვოთ ეს ნაყოფი ღორების მოდგმას.

აქვეა დედა ალუბალიც, ალუბალთ შორის,
უსასტიკესი მაგალითი ბრძოლის და შრომის.

აქვეა ვაშლი, გარგარი და მსხალთა ბატონი,
ყველას თავისი ნაყოფი და დრო აქვს ნატოლი.

მე ვერვინ მამჩნევს, ვერვინ მხედავს, ვერ მიქვითკირებს...
ვერვინ ამომძოვს საფლავიდან სულს, რომ ფითქინებს.

მე ვარ პატარა ალუბალი, თქეში და მოთქმა...
არ შეაჭამოთ ეს ნაყოფი ღორების მოდგმას!

ღაბაღება

*სიკვდილი მაინც არ დაარქვიათ გარდაცვალებას...
რეზო თაბუკაშვილი*

ჩვენი მგზავრობა არყოფნისკენ ყოფნა ყოფილა...
სულს შევიმოსავთ შეგროვილი მადლის სიმნიფით,
თუ გვიფიქრია, როგორ წავალთ დედიშობილა?!
ალბათ, სირცხვილი შეგვანუხებს, ანდა სიცივე.

მოსიარულე ჭურჭლებს ქარი გამოგვაქარვებს...
წვიმად ჩაშრება ცრემლები და სურვილი ზრუნვის...
გავიხდით სხეულს... უსათუოდ დავტოვებთ გვამებს
და თოთო სულებს დედამინის გაჰყვება სუნი.

გვირაბის მიღმა სამყარო თუ აგვიმწვანდება,
სულიერ ტკივილს დაგვაგინყებს ნაგროვი მადლი
და დაბადება დაერქმევა გარდაცვალებას,
დედის ნიაღში დავბრუნდებით ნამცეცად ნათლის.

ჩვენი მგზავრობა არყოფნისკენ ყოფნა ყოფილა...
სულს შევიმოსავთ შეგროვილი მადლის სიმნიფით,
თუ გვიფიქრია, როგორ წავალთ დედიშობილა?!
იქნებ სირცხვილის გვემინია, ანდა სიცივის?!

თუშეთს

ვიქნები შენი ნაწალი,
დამხვდი მშვიდობით ომალო,
„ცხრაჯერ ჩაშლილი ნაწნავით“
მთებიდან გარდამოვალო.

ლამის გადავდნე ახლიდან, —
თიხაში ამოვეზელო,
ჩემი სამშობლო, სახლი და
ნისლ-საუფლო ხარ, კესელო.

შენად დობილად მიგულე,
ზეცამდე უნდა შეგაქო,
იქნება შეძლო როგორმე
ჩემო დიკლო და შენაქო.

„ნაპირმოტეხილ ზეციდან“
ღრუბლებად ამანანწალო...
ნაჭრილობევი მენვის და
დარდები ჩამამაცალო.

ჩამამქნა თუშურ ფარდაგად,
ნექტარი გვედგას ურმებით...
ფიცვერცხლი ვჭამოთ ბადაგად,
გავიფითქინოთ სულები.

* * *

ქარს შევატოვებ ერქვანს...
მომენატრე და... რა ვქნა...
ნეტავ რა უნდა ერქვას
დარდის არშია-მაქმანს?!
შევემატები ბუხარს,
გადავიტყევი სულად,
მხოლოდ სიზმარი თუ ხარ,
არ გავიღვიძებ სულაც.



ნატა ვარადა

ზაფხულის ბოლო ღამის მანტრა — სანბარი წმინდაა სიყვარულივით

აღამიანი ტილაჰი

თმაში შეფრენილები,
სისხლით დატიკნულები,
ქიმიურ მინარევიან საღებავით გამქრალნი,
როდი დამეხსნენ, უფრო დამეხსნენ.
ისინი ჩააფრინდნენ დიდებს და როცა
მეც გავდიდდი,
შემთხვევით გამვლელებს,
სიტყვების მაგიერ პირებიდან
ნეკა თითის ხელა ტილები ცვივით.
შემომაცოცდებიან, გესლით დამძლარი
სიტყვები, ბავშვობიდან.
თავს როგორ გამანებებდნენ,
ისინი იყვნენ ჩემი
წმინდანობის მოსურვეები,
ყველაზე ბოლოს ან არსად არ გამოვჩენილიყავი,
მზის ქვეშეთში,
ვმდგარიყავი ან ბოლოს ან არსად,
და არაფერი არ მომეთხოვა,
გარდა ამ თმის
უხორცო პარაზიტების დანებებისა.

პლანტაინის ახალშობილი

ჩემო პატარა ურჩხულო,
ჩემი და მთვარის სიყვარული იწყება ასე,
უშუქობისას გამწყდარ ღამეებს,
პატარაობის,
ცაზე თავისით ენთებოდა მთვარე-ლამპარი
და ღრუბლების მოძრაობისას,
მე მივყვებოდი საკუთარ გრძნობებს,
რადიოს დიჯეების ხმას და გემოვნებას,
და ნავთის ღამპას ვლალატობდი ფანჯრის რაფაზე,
შემომჯდარი,
ესეც ჰგავდა მაშინ გაფრენას.

ჩემო პატარა ურჩხულო,
მე გაგიმხელ ერთ საიდუმლოს,
გაზაფხულზე, როცა ვარდებმა გაიშალეს

სისხლის კოკრები,
მე პირველად დამეწყო ციკლი და
ეს წესი, მოულოდნელი, აუხსნელი
ჩემი პირველი ისტერიკის გახდა საბაბი.
მაშინ ვტიროდი, და ცრემლებიც იყო მარილის,
სისხლის ტბაში ჩამდნარი, დამლაშებული
ქალწულობის.

შენ ახლა იცი,
შუალამისას, თვეში ერთხელ,
თვალდახუჭული ვდგებოდი ღამით,
ახალ მთვარეზე. მივყვებოდი ხმას,
ქარის მსგავსად, ჩემს სახელს რომ მიმღეროდა,
და მივყავდი მდინარის პირას,
ჯვებირს მიღმა, მაღალ ლოდებთან,
და მე სიყვარულს ვეცემოდი, ძილში, არ მახსოვს,
უნახავივით. ვთლიდი
მთელ სხეულს ნანაზარდებად.
ხორცმეტებივით ვარიგებდი უსასყიდლოდ.
ის კი ძლებოდა, ძლებოდა და ვერ კი ძლებოდა.
მაშინ, როცა ჩემი მშობლები წვებოდნენ
ისე, რომ შიოდათ და მუცლები უჭრიალებდათ,
გაუზეთავი ჭიშკარივით.

ჩემო პატარა, ურჩო ურჩხულო,
მჯეროდა მაშინ,
გზაში იყავი, და მწამდა, როგორც
რელიგია ცხადში ღმერთად აცხადებოდი,
თურმე წარმართის ცრუ რწმენისათვის
წმინდანივით ვითმენდი გესვლას,
და ამიტომაც, თაბაშირის კერპის მსგავსო,
გამსხვრევ მინაზე და
კრძალვით.

ჰაკუში

ნაწილი I.

შენ ერთადერთი შემორჩი ჩემს
ვაკუუმში, როცა მე
სიჯიუტით განაყოფიერებული
უშიშრად მივიწვევ პროკურატურის
რუხ და უსარკმლო შენობისაკენ,
დილაობით, როცა მზე,
წმინდანივით სისხლგაცლილი
წევს გზაზე და იქ, კი პრემიის
მოლოდინით ქანცაცლილი
დეპარტამენტი მხვდება გამწკრივებული,
ხეების მუნჯი ჯარივით და
სათითაოდ, ათივე თითს ჩემსკენ იშვერს:
— ამას აკლია, ეს გიჟია,
მაგას ჩვენ ხმას როგორ გავცემთ?
გიჟ-პოეტაა, გიჟ-პოეტა.
პროკურატურის შენობაში,
ხელის დაბანა ავი ჩვევაა.

ჩემს ერთადერთ შემორჩენილს,
შენ,
ვაკუუმიდან შეგიყვან მათ ეიფორიისკენ
გავძვრებით, ისე, თითქმის
ავგაროზაცმულ ავთვალუნახავ
თევზს რომ სჩვევია.

ნაწილი II.

მე მკლავებზე ხორცი ჩამომიგრძელდა,
მე ამ წამებულ მზის სისხლში ჩამოვდნი,
ორივე ხელს ვაჯვარედინებ,
ჩვილივით გულთან ახლოს გიხუტებ.

შენ ქარმაგი მამაკაცი,
თითქმის უთმო, წელში მოხრილი
უსქესო ემბრიონი,
მეკვრი ცახცახით, თვალდახუჭული
და ვაკუუმიდან უკანასკნელ ჰაერს მთხოვ.
აჰა, ვინველი
ჩემს სიჩუმეს შენ სუნთქვაში ვანვევ.
ეს რისკის ჯგუფის
მზის გარდამოსხნა ციდან ჩამოსხნას და
ერთ ლამეში აფეთქებულ ვაშლის ხეს ჰგავს.
სამახსოვროდ მოგიტყებ.

ნაწილი III.

არ ეკარება ქალაქს სიჩუმე.
სამოთხის ჩიტებს
ცა ნისკარტებით დაუჩხვლეტიათ,
ამ დროს განვიმდა.

არაკანონიჭური მინიატურა

*გუნდა, გუნდა, მეთამაშოს ვისაც უნდა.
ნაწყვეტი საბავშვო სიმღერიდან*

კრატერი, მე ვიცი მთვარეზე ქვიშრობის,
ან როგორ ემსგავსე ამომშრალ ნიადაგს,
რომ, თითქმის ვივინყებ, ოდესღაც, მეც როგორ
დამბალი ვიყავი სისხლში და ჩავეფალ
ხორცის უფუარ ხმიადს.
სულ არ არის გულმავიწყი მთავარი სული,
მან იცის შეკრებით ჯამი არ იცვლება.
ის გადის დეფიციტში წამლების ბაზარზე
და სპეციალურ აბებს იმარაგებს,
რომ არ დაავინყდეს არც ერთი წამი, რაც ჩემზე მოხდა.
ათასჯერ მეტად გაეზრდებოდა
მაკრატლით ნაჭრილი ფრთები წყვილ ქათამს,
რა დრო გავიდა,
მათი დაკვლაც კი აღარ მახსოვს.
მე რომ ისე ძირში მოვჭერი, სისხლი სდიოდათ.
ცუგას ოინებსაც ცხადივით იხსენებს,
დედა ძალი რომ ვეგონე და სტუდენტს გოგოს
პირდაპირ ლოგინში შემომიხტა,
მასტურბაციით გაბეზრებულს თავი გამოშიგნული,
გაყინული სადიის ქათამი რომ მეგონა და
თავში ფლოსტების ჩარტყმით გავლიეთ
ის ღამეც და მერე მეორეც.
დიდად ბელურა ჩიტების და თეთრი პეპლებისაც არ
მჯერა, რომ ისინი საიდუმლოდ შეინახავდნენ,
ტირის თოფით და სათევზაო, დაკემსილი ბადით,
ხელნაკეთი კაკანათით
როგორ ვატყვევებდი და ვიმონებდი,
მათ უაზრო თავისუფლებას.
სამხედრო ბიძამ დამიზნება ზუსტი მასწავლა,
მხარზე მიბჯენით, სუნთქვის შეკავებით,
ყველა ფრინველი საკონტროლო, თავში ტყვიით
ჩემი დის ხელით სამარდებოდა თუთის ხის ქვეშ,

ენყობოდა მათი დატირება,
ზამბახებითა და რადიოთი გადმოცემული ბალანჩივადის
არიათი.
მაგრამ,
გოგრა ბალისგან ამას მე არ ველოდი.
მას უენო, ჟესტების ენით, თუ ტოტების,
მაისში რომ ვატეხდი და მეზობლის კაცს
ისტერიკამდე მივიყვანდი, მერე გავრბოდი.
ახლა ბეზღება წამოუნყია.
ის კი არ ახსოვს, იმ მეზობელმაც იძია შური,
მილიონჯერ შეხსნა ეზოს ღობე და
ასე, ჩვენს მინაზე გადმოინია.
მაგრამ, ჯანდაბას, ახლა მე მამართლებს, კეთროვანივით,
ქარში ან თავ-სხვა გინდ თავსხმა აგვისტოს
ნერვულ ჭექა-ქუხილში, მარტოდმარტო გავდიოდი
სოფლის ბოლოსკენ,
და მინის პირზე დაბალ საყდარში,
ყველანმინდას მარიამისთვის,
მიმქონდა ჩემი ფერადი სიზმარი.
ერთადერთი რამ რაც იმ შავ-ბნელ ბავშვობას
გამაჩნდა და მინიანი ხელებით,
ზედაშეს ძირში მინიანი ხელებით ვრგავდი -
როგორ მწამდა, აყვავდებოდა.

ცის გახსნა

ნუ ელი,
ეს არც წელიწადში ერთხელ ხდება,
არც ოდესმე ახდება.
ნაძვის ხესთან გაფიქრებულ ოცნების
ნახევარ დაა, თუ
მხოლოდ სურვილად, მოარულ თქმად,
შემორჩენიათ ყორანივით გაშავებულ
ბებიების მტრედისფერ გულებს,
ვარქმევ: ცის გახსნას.

არადა,
სოფლის გაზაფხულები, აყვავებული ვაშლის და ატმის
ხეების ბაღში, მდინარის პირას,
თოვლში ამოჭრილ თეთრ ენძელების
უსიტყვებო სიხარულივით,
როცა ქარი ჩრდილოეთს გარეკავდა
ბატკნებივით ფუმფულა ღრუბლებს ოკეანისკენ.
როცა ზღვის და მზის სიყვარული,
ზღაპრების ბოლოს სრულდებოდა,
როგორც სინამდვილე.
მაშინ, შენ იჯექი,
შენი ძველი და მოჩვენებებით ავსებულ სახლის
სახურავზე, ფენმორთხმით და არა მუხლებზე,
ასცქეროდი უმთვარო ღამეს,
ვარსკვლავებს რომ ანთებასავით გამოეყარა
და ელოდი, ცის გახსნას.

ნუ ელი, ნუ.
სურვილები ახლადგავლებულ ჩურჩხლებივით
ჩამოიცილა სიტკობებისგან
და ახლა მხოლოდ, დაფებია აღმოსავლეთის
თაფლიან მზეში გამოკიდული,
თვალსასიეროდ.
რომც მოხდეს და ცა გაიხსნას,
და დახე,

შენი ნატვრები, სურვილები, ოცნებები,
სიზმრებიც კი
ფრთებგაბუმბულნი დასალიერს შესეულნი,
მიფრინავენ, მიფრინავენ, მიფრინავენ შორს,
და რამდენი...
იმდენი ხნის წინ გესიზმრებოდა,
შენამდე ახდა.

აზარტული თამაშებიდან

გველს მივბაძე. ხეს ავაცოცდი.
შუაში ვყავარ გაჩხერილი ვინმე უხილავს.
ცა დამახრჩობს და,
სანამ მინა ძვლებს გამომიხრავს,
ბავშვივით უნდა შევეგუო
უენოდ თვალთვალს.

კუდი მოუჩანს სასაცილოდ
ამ თამაშს, როგორც ბოლო.
მეც
ასე მობეზრება ვიცი ზამთრობით.
ქერცლის, პერანგის მოცილებას,
ჭგავს და არ ვიშლი, ეს მერამდენე
სულს მოვიცვლი. და ამოძვრები
სხეულიდან. თვალს ვეფარები,
სანამ მოვძებნი ახალ ხეს და განმარტოებით
ავაცოცდები, რომ გავეჩხირო ვინმეს სასულეს,
ან გულს დავადგე,
და ცა მახრჩობდეს, სანამ მინა ხორცივით შემქამს,
ცეცხლი აინთოს
რომ თამაში დაიწყოს და ცოტა გავერთოთ,
საკუთარი სიცოცხლის ფასად.

ქართული ნანა

*აქ, სიკვდილო, ნაცილ ნაჭამო,
მზის კუბო გადავირნიე,
ჩაგინვინე ძე, სამსხვერპლოდ,
ხელცარიელს არ გაგიშვებ.
შავი ყვავების ნისკარტებით და ფრთებით
დაფხრენილი ზეცის კალთა —
ამ მინდვრის ბოლო,
ცერა თითზე დავიხვიე, დავართე.
განა რუ და ნაკადული,
სისხლით ნითლად შეიფერა,
განა რა, ეს ყაყაჩო გაიწურა,
ისე შერცხვა ამ ამბის.*

მოდი, ვითამაშოთ სულ სხვა
თამაში,
ნამდვილი სანადირო თოფით
ჩასაფრებით,
მეძებრებად განვრთნილი ბოროტი
ვნებებით.
ოლონდ მკვლელი, მკვლელი,
პირდაუბანელო აცხადდა.

რა ჩამოგაყოლო, ბავშვობის მეგობარო,
გზად მიმავალს,
საიდანაც მომბრუნებელი არვინ გვინახავს.
არჩევანი შენია.

გული, რომელიც ტყვიით გასკდა,
ჩემი გულით არ გამთელდება.
მე შემიძლია ამის შემდეგ,
აქეთობას და იქეთობისას,
ვფიქრობდე შენზე და გზის პირას
ავვავებულ ხეების ძირში გხედავდე
შენსავე სისხლში მწოლარეს, ეძინოს სოფელს.
გაზაფხული დარცხვნილი ცას შერჩენოდეს
და არავის სჯეროდეს მისი.
ეს თამაში ნამდვილი სანადირო თოფით
და ნამდვილი ტყვიებით,
როდის იქცა ცხოვრება?! როდის დავბერდით,
რომ დავადექით იმ ორღობეს,
სადაც პაპები, ბებიები გულზე ხელებდაკრეფილნი,
წვანან უძრავად.
მე თან გაყოლებ ამბებს, რომელიც
მშიერ ბავშვობას ერთად ვიხდენდით.
უშუქობა, ომის ხმა დამხრჩვალ
შავ-თეთრ კადრებით,
სკოლის მერე წასვლა მინდვრად,
მოსამკელად გამზადებულ შერის ყანაში.
სადაც ვთამაშობთ დაჭერობანას,
სადაც დავრბივართ შლეგიანები,
ბიჭები, მდინარის არხის გასწვრივ გადებულ ბოგირს,
გადადიხართ სათითაოდ და არ ვვარდებით.
სახეზე ხელებაფარებულნი ვიჭყიტებით,
ხდებით გმირები.
რა უბრალო და წმინდა იყო,
ის მინდვრებში გასეირნება,
ზღაპარით დაუჯერებელი ბოლოთი.
და მაშინაც, გზის პირას დავგვხვდა კაცი,
მეძებრით და მხარზე სანადირო თოფმოკიდებული,
და მაშინაც, ჩვენ დავგვამუნჯა იმ უეცარმა
დახვედრამ, ჩასაფრებამ.
და ძალიან უხმაუროდ გავიკრიფეთ
სახლებისაკენ. თან ერთმანეთის ნაბიჯებს ვაყურადებდით,
ერთმანეთს ვარჩენდით.
შენ ახლა წევხარ გულდაფლეთილი,
სოფლის გზის პირას,
სანადირო თოფით, თებერვლის დაგეშილი სიგიჟით
ზამთრის კუდის მოქნევას
გაჰყურებ, სისხლის წმინდა ნაკადულებით
ირწყვება შერის დათესილი ყანები.
მე, გაყინულ მეგაპოლისში,
მეტროს ვაგონში ვიხსენებ მზესუმზირის მინდვრებში
დაფანტულ ბავშვობას, ქარია, ცრის.
ეს მინა სხვისია,
სხვისია ეს ქვეყანა,
აქ, ჩვენ ყველას გვიპოვნიან დახვერტილებს,
გზის პირას,
სისხლიან-გულცომიანი,
კუტი და ნაცრიანი ხორბლის პურებიან
გულისტოლა მუშტებით.
აქ, ჩვენ მინას ისე შევერევით,
ოკეანეც რომ გადავცუროთ,
პოლისები და მატერიკები ჩამოვიტოვოთ,
მინიდან ამომსკდარი ერთმანეთისკენ მოძახილი
ნაპრალებად დავგაბრუნებს, ველარსად გაგვიშვებს.



თემურ გაბუნია

ჰომეროსი და ჯეიმზ ჯოისი

I მრუდე სარკაიზი

ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ მკითხველი რაღაცით ლაბირინთში მოხვედრილ ადამიანსაც ჰგავს. უმეტესობა ვერც ბედავს ღრმად შესვლას, რადგან იმ უცხო და მისთვის გაუგებარ სამყაროში ყველაფერი აღიზიანებს... ის თავს ანებებს კითხვას, ნიგნს გვერდზე დებს და აღარასოდეს უბრუნდება... შედარებით ჯიუტები, ცნობისმოყვარეები და გამბედავები კი ასე თუ ისე ახერხებენ ოდნავ ღრმად შესვლას, მაგრამ მალე ისინიც ჩერდებიან, რათა მერე, წლების შემდეგ, კვლავ განაგრძონ კითხვა... მიღებული გამოცდილება მეორე და მესამე ჯერზე მათ ეხმარება უფრო შორს გაიკვილონ გზა.

მანაც რა აფრთხობთ „ულისეს“ მკითხველებს? ზოგს იგი „მომაკვდინებლად მოსაწყენი“ ეჩვენება, „ბარბაროსული სტილის ლაბირინთებისა და უზომო რაოდენობის გვერდების გამო“. „მასში არ არის ამბავი, სიუჟეტი, თხრობა; არ არის კონფლიქტი თუ მოტივირება. სახეები ზოგჯერ გამოჩნდება, რათა კვლავ მიიკარგოს სიტყვების ზღვაში... როგორც ხელოვნების ნამუშევარი, იგი შეიძლება შევადაროთ მხოლოდ იმ სურათს, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ სამხატვრო გალერეაში სიცილი გამოიწვია — „კიბეზე ჩამავალი შიშველი ქალი“, რომელშიც არც შიშველი ქალი იყო გამოსახული და არც კიბე და რომელშიც მხოლოდ ხელოვნება იყო ჩამავალი...“ აი, ასეთი „შეფასება მისცა „დი კარნეჯი მეგეზინის“ ანონიმურმა რეკენზენტმა 1934 წლის თებერვლის ნომერში“ ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“.

ეს ციტატა, ნიკო ყიასაშვილს რომ აქვს მოყვანილი „ულისეს“ წინასიტყვაობაში, საკმაოდ მრავლისმთქმელია, რადგან მასში ჩანს იმ მიზეზების ერთობლიობა, რამაც „ულისეს“ მკითხველი შეიძლება დააფრთხოს: 1) არატრადიციული სტილი და სიუჟეტი; 2) პერსონაჟთა შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნის სირთულე; 3) ხელოვნების ახლებური ხედვა.

ჯოისის ანონიმი ოპონენტი საკმაოდ გულწრფელია თავის შეფასებებში, თუმცა მას გამორჩა კიდევ ერთი უმთავრესი მიზეზი, „ულისეს“ გაგების სირთულე მხოლოდ სტილსა და ცნობიერების ნაკადში როდია, მას ასე თუ ისე შეეჩვევი. „ულისე“ რომ გაიგო, დიდი ერუდიციაც უნდა გქონდეს, სხვაგვარად ალუზიები სხვადასხვა ეპოქის მწერალთა და ფილოსოფოსთა ნააზრევებიდან გაუგებარი დარჩება, კითხვაც მალე მოგებზრდება და თავს მიანებებ.

თუმცა ლაბირინთში გზის გასაკვლევად არც მხოლოდ ერუდიცია კმარა, საჭიროა ალლოც, რადგან რომანის სიუჟეტი ორ პლანში ვითარდება, რეალურსა და მისტიკურში. ჯოისის ანონიმი ოპონენტი, როგორც ჩანს, ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ ერქვა ამ ნიგნს „ულისე“ (ოდისევსის ლათინური სახელი), თორემ მას დიუშამის ცნობილ ნახატს არ შეადარებდა. მაშასადამე, ოპონენტს მიაჩნდა, რომ რომანს არაფერი ჰქონდა საერთო ჰომეროსის „ოდისეასთან“.

რამდენად სერიოზულია ეს ბრალდება?

„ულისეს“ პირველივე თავების კითხვისას ჩვენ ვხვდებით, რომ სტივენი ტელემაქესთან უნდა დავაკავშიროთ, სკოლის დირექტორი — ნესტორთან, ხოლო სხვადასხვა სახის მიღების ნიჭით დაჯილდოებული „ზღვათა უფსკრულების მკვიდრი გრძნეული პროტევისი“ — იმ სახეცვლილებებთან, სტივენის ცნობიერებაში რომ ხდება. „სტივენი აზროვნებს ხან არისტოტელეს, ხან ბიომის, ხან ჰამლეტის, ხან ბლეიკის, ხან ლესინგის კატეგორიებით... თანაც, სტივენის ფიქრთა დინება ინგლისურიდან უცვებ ბერძნულ, იტალიურ თუ გერმანულ ენაზე ხორციელდება“ (ნიკო ყიასაშვილი, „ულისე“, წინასიტყვაობა).

ამრიგად, ჯოისი სულ სხვა, ახალ სამყაროში შესვლას გვთავაზობს და თუკი მკითხველი შინაგანად დათანხმდება, ხელოვნების მისეული აღქმა გაიზიაროს, ის აუცილებლად დაინახავს თანამედროვე ტელემაქეს, ოდისევსს, ნესტორს, პენელოპეს, ასევე ადამიანის დამთრგუნველ საინფორმაციო ნაკადებზე ქცეულ მითურ ურჩხულებს — სკილასა და ქარიბდას... მკითხველს ყურში შეიძლება წარმართი ღმერთების ხარხარიც ჩაესმას და შეკრთეს. ნუთუ ისინი არსად წასულან? ქრისტიანობამ ხომ დაამხო კერპები და ყველას დაუმტკიცა, რომ მხოლოდ უსულო საგნები იყვნენ?

„ულისეს“ კითხვისას კი ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს წარმართი ღმერთები ყოველდღიურად ცოცხლდებიან და კვდებიან, ისინი რაღაც მაგიური ძალით რომანის პერსონაჟებში სახლდებიან და მკითხველს სხვადასხვა სახით ეჩვენებიან... აი, მაგალითად, ქარების ღმერთი ეოლოსი გაზეთის რედაქტორ მაილზ კროფორდად ქცეულა, რომელიც ჯერ თავაზიანად ისტუმრებს ბლუმს რედაქციიდან, ბოლოს კი უკვე უხეშადაც, ისევე, როგორც ეოლოსი — ოდისევსს. ითაკის მბრძანებლის გზა ეოლოსის კუნძულიდან სამშობლომდე და უკან კი პილანდრომის რიტორიკულ ხერხთან ასოცირდება, ჯოისი განზრახ ხმარობს ისეთ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც უკულმა „ნაკითხვის შემთხვევაშიც კი არ კარგავენ აზრს“. მწერალი ცდილობს ქარის ეფექტი შექმნას არა მხოლოდ „რიტმული განწყობილებით“, არამედ ნატურალისტურადაც. „მთელი ეპიზოდის მანძილზე რედაქციის შენობაში უბერავს ქარი, საკორექტურო ფურცლები შრიალებენ, პერსონაჟთა ოხუნჯობანი სავსეა ქართან დაკავშირებული სახეებით“ (იქვე). ერთი სიტყვით, ეოლოსი ყველგანაა... მისი ქარები კი ბლუმს აქეთ-იქით აბურთავებენ. აი, ასეთ ტრანსფორმაციას განიცდის ქარების მბრძანებელი ჯეიმზ ჯოისის „ულისეში“.

თუმცა არანაკლებ შეცვლილია ბლუმიც — ოდისევსის პაროდული ორეული. განსხვავება მათ შორის განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნობა „ჰადესის“ ეპიზოდში, სადაც ლეოპოლდი წარმოდგენილია უთვისტომო, დაბეჩავებულ ადამიანად. „მას არავინ ანგარიშს არ უწევს, არავინ მიიჩნევს სრულფასოვან მოქალაქედ“, უფრო მეტიც, „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მისი სახელიც კი სწორად არავინ იცის“ საკუთარი ცოლის გარდა“ (იქვე). თითქოს დუბლინელები ადამიანად არც კი თვლიან.

ისმის კითხვა, რა საერთო აქვს მას ოდისევსთან, ვისი სახელიც ყველას პირზე ეკერა მთელ ანტიკურ სამყაროში? ითაკის ბასილევსი არა მხოლოდ დიდი მხედართმთავარი და მოხერხებული ადამიანი იყო, რომელმაც ტროას ომის ბედი გადაწყვიტა, ის გახლდათ გონიერი გმირიც, რომელსაც ზეციურ ძალებთან ჰქონდა კავშირი. იგი თითქოს გრძნობდა, როდის ებრძოლა და როდის არა. „განა დამჭირდება სხვა მშველელი, როცა ზევსი და ათინა ამომიდგებიან მხარში?“ ამბობს ის სასიძობთან შებმის წინ, რომელთა რაოდენობაც ასეულს აღემატებოდა.

ჰომეროსი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ცალკეულ ერებსა და პიროვნებებს ზეციური ძალები ანიჭებდნენ რაღა-

ცის გაკეთების უფლებას. მთელი მისი შემოქმედება გამსჭვალულია იმ რწმენით, რომ ადამიანი ღვთის შენევის გარეშე ვერაფერს მიაღწევდა. ოდისევს კი მას დახატული ჰყავს ისეთ ადამიანად, რომელსაც პირდაპირი კავშირი ჰქონდა ზეციურ ძალებთან, ის დაჯილდოებული იყო ისეთი სულიერი თვისებებითაც, როგორიცაა საზრიანობა, მოთმინება, მჭევრმეტყველების გამორჩეული უნარი. მისი მსმენელები ჯერ იწუხებოდნენ, მერე კი ხვდებოდნენ, თუ რა დიდი ძალა ჰქონდა სიტყვას. აი, ასე ახასიათებს ოდისევს ტროას მეფე პრიამოსი:

დინჯად ძირს მიწას დასცქეროდა თვალებდახრილი, კვერთხს არ არხევდა, მარჯვენაში ეჭირა მტკიცედ, ჩვეულებრივი მეომარი გვეგონებოდა ჰგავდა ან უგუნურს ან რამზე განანყენებულს, მაგრამ როგორც კი მძლავრ ხორხიდან ბგერას დაძრავდა, თოვლის ბუქივით ბაგეთაგან ბორგავდა სიტყვა! ვინ გაბედავდა გამირისათვის სიტყვა მოეჭრა! კარგად ვიცნობდით ტროელები მაშინ ოდისევს.

ასეთი სახელგანთქმული იყო ოდისევსი! მთელ ლაშქარში, რომელიც მრავალი ტომისა და მოდგმის რჩეული მეომრებისგან შედგებოდა, ის მეორე იყო სიძლიერით აქილევსის მერე. ასპარეზობაში გოლიათ აიანტსაც კი არ უდებდა ტოლს, მაგალითად ჭიდაობაში მათ თანაბრად გაიყვეს აქილევსის დანესებული ჯილდოები, სირბილში კი მეტოქე დაჯაბნა კიდევ... თუმცა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ბერძნებმა აიანტს ოდისევსი ამჯობინეს. თვით აქილევსის დედამ უბოძა მას გარდაცვლილი შვილის საჭურველი. ეს კი უდიდესი პატივი გახლდათ...

ამრიგად, მკითხველისთვის უკვე ნათელი ხდება, რომ მსგავსება ლეოპოლდ ბლუმსა და ოდისევს შორის საკმაოდ პირობითია. ისინი ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც სიცილის ოთახში შესული კაცი — საკუთარ ანარეკლს. მრუდე სარკე მხოლოდ გამოსახულებას როდი ამახინჯებს, როცა ადამიანი მარჯვენა ხელს აწევს, მისი ორეული მარცხენას აღმართავს, თუკი მარცხენას გაიქნევს, ის მეორე, პირიქით, მარჯვენას აამოძრავებს და ასე დაუსრულებლად...

შეცბუნებულ მკითხველს კვლავ უჩნდება სურვილი ყველაფერს თავი მიანებოს და ლაბირინთიდან ამოვიდეს, მაგრამ ცნობისმოყვარეობას მაინც თავისი გააქვს და ისიც გზას აგრძელებს. ახლა მოგზაური უკვე ცდილობს უფრო ზუსტი წარმოდგენა შეიქმნას „ულისეს“ პერსონაჟზე. გაარკვიოს, ვინ არიან ისინი, ეს კი საკმაოდ რთულია. ცნობიერების ნაკადი ხომ თავში უნებლიეთ მოსული აზრებისგანაც შედგება და ნაწილობრივ ლოგიკური თანმიმდევრული მსჯელობისგანაც. შინაგანი კინო ამ ყველაფრის ნაზავია. მასში აღრეულია წარსული, აწმყო, მომავალი... რეალური და წარმოსახვითი მოვლენები... ამიტომ ძალიან ძნელია, ცნობიერების ნაკადზე დაყრდნობით გარკვეული ცალსახა წარმოდგენა შეიქმნა „ულისეს“ პერსონაჟზე, რადგან არათუ ლეოპოლდსა და მოლის, თვით დიდ წმინდანებსაც კი მოსდიოდათ თავში შემთხვევით ბილნი აზრები, და რა? ნუთუ ისინიც ცუდი ადამიანები იყვნენ?!

და აი, მკითხველი კვლავ ჩერდება, რათა ძაფი არ დაკარგოს, თორემ ლაბირინთში გზას ვეღარ გაიკვლევს. დიახ, ადამიანი ფასდება ჩადენილი ქმედებებით და არა თავში შემთხვევით მოსული აზრებით, ასევე გაცნობიერებულად, შეგნებულად ნათქვამი სიტყვებით... თუმცა კვლავ სიფრთხილეა საჭირო და მკვლევარიც არ უნდა აჩქარდეს (დიახ, თუკი ასეთ სიღრმეში შევიდა, მკითხველი უკვე მკვლევარი ხდება), მან გეოლოგივით უნდა იმუშაოს, ერთმანეთისგან გამოიწონოს მის-

ტიკური და რეალური შრეები; არსებითი და შემთხვევითი მოვლენები; გაშიფროს ალუზიები; დასკვნა გამოიტანოს ნაკითხულიდან. მაგრამ ამ პროცესში ის კიდევ ერთი სირთულის წინაშე დგება, მუსიკალური თვალსაზრისით ჯოისის თხრობა ისეთი მიმზიდველია, იმდენად საინტერესოა ერთდროულად ორ სივრცეში ყოფნა — რეალურსა და მისტიკურში; ისე იტაცებს ადამიანს მითოლოგიური და ბიბლიური პარალელების ძიება, რომ მის წარმოსახვაში პერსონაჟთა პორტრეტები გარკვეულწილად ფერმკრთალდება. ის უკვე აღარც კი ფიქრობს, როგორები არიან „ულისეს“ გმირები და, იმის ნაცვლად, რომ მათზე რაღაც წარმოდგენა შეიქმნას, ცნობიერების ნაკადს უღრმავდება... არადა, ძველ ტრადიციულ პროზაში ყველაფერი სხვაგვარად იყო, ყველა პერსონაჟს ჰქონდა თავისი მკვეთრად გამოკვეთილი სახე: დევიდ კოპერფილდს, ანდრეი ბოლკონსკის, მარტინ იდენს... „ულისეს“ პერსონაჟების მოხელთება კი რთულია, როგორები არიან სინამდვილეში სტივენნი, მოლი, ლეოპოლდი? აი, კითხვები, ლაბირინთში მოხვედრილს უნებლიეთ რომ ებადება...

II პენელოპე და მოლი ბლუმი

ჰომეროსი ჯოისის „ულისეს“ რომ გაცნობოდა, განსაკუთრებით მის ბოლო თავს — „პენელოპე“, უთუოდ გაოცდებოდა საკუთარი ლიტერატურული გმირის სახეცვლილებით. ოდისევსის წარმართი მეუღლე გაცილებით უფრო ღირსეულია, ვიდრე თანამედროვე პენელოპედ შერაცხული მოლი ბლუმი, რომელიც თვით საკუთარ მოძღვარ კორიგანზე ფიქრის დროსაც კი ვერ თავისუფლდება ეროტიკულ-სექსუალურ ინსტინქტთა ტყვეობისგან. „კობტა პუტკუნა ხელი ჰქონდა ხელისგული მუდამ ნოტიო არ შემზიზღდებოდა რომ შემხებოდა ვგონებ მასაც რასაც მისი უღლიანი ხარის კისერი მაფიქრებინებდა... მინდა რომ რომელიმე ჩამიხუტოს თავის შესამოსელში და საკმევლის სუნი რომ ასდის პაპივით თანაც მღვდელთან საშიში არ არის გათხოვილი თუ ხარ თვითონაც ძალიან ფრთხილობს მერე აძლიოს რაღაც მის უწმინდესობას პაპს ცოდვის გამოსასყიდად...“ აი, ნაწყვეტი „ულისეს“ ბოლო თავიდან — „პენელოპე“.

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ამ ციტატის გაცნობისას? ალბათ იმის, რომ მოლი ისე განსხვავდება საკუთარი წარმართი წინასახისგან, როგორც დღე ღამისგან. პენელოპე ის იშვიათი ადამიანია, ოცი წელი რომ ელოდა ომში წასულ ქმარს და არ უღალატა, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი მსმცემლები თავს ეხვეოდნენ. ჰომეროსის ეპითეტები არ დანაწილია პენელოპეს საქებად. მას ხოტბას ასხამენ ერისმთავრებიც და მდაბიონიც, ღმერთებიც და თვით მიცვალებულთა სულებიც კი.

აი, რას ამბობს მის შესახებ გარდაცვლილი აგამემონის სული: „ბედნიერი ხარ, ოდისევს... რომ ასეთი ზნესრული ქალი შეირთე. ხედავ, როგორ უერთგულა გონიერმა პენელოპემ პირველშეყრილ ქმარს! არა, არასდროს წარვიხოცება მისი დიდება! ხმატკბილი აედები მუდამ ქებით მოიხსენიებენ მის სათნოებას. არა ჰგავს იგი პანდარევისს უზნეო ასულს, რომელმაც მზაკვრობით მოაკვლევინა პირველშეყრილი თავისი ქმარი და სამუდამოდ ლაფში ამოსვარა არა მარტო საკუთარი თავი, არამედ ქალთა მთელი ჯილაგი, ისინიც კი, ვისაც უმნიკვლოდ უცხოვრია ამქვეყნად!“

ოდისევსის მოლოდინში ღამეების თეთრად გამთენებელ ერთგულ ადამიანად მოიხსენიებს პენელოპეს ქალღმერთი ათინა. პატიოსან ქალად ახასიათებენ მას მდაბიონიც — მელორე ევმეოსი, ტელემაქეს მოხუცი გადია ევრიკლეა და

სხვები, რაც ოდისევსის მეუღლესთან დაკავშირებით ყოველგვარ ეჭვსა და უნდობლობას გამორიცხავს. ზოგადად, „ილიადასა“ და „ოდისეაში“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო მეტი ზნეობრივი და დადებითი გმირია გამოყვანილი, ვიდრე ჯოისის მთელ შემოქმედებაში. გავიხსენოთ ჰექტორი, პატროკლე, პენელოპე, ტელემაქე და თუნდაც ოდისევსი, რომელიც მიუხედავად ცბიერებისა და სისასტიკისა, მეგობრების, თანამებრძოლების, სამშობლოსა და საკუთარი ოჯახის მოყვარული ადამიანია. მას ითაკიდან აღენილი კვამლის დანახვა ურჩევნია მარადიულ სიჭაბუქესა და უკვდავებას, ქალღმერთი კალიფსო რომ სთავაზობს.

ასევე, გაცხადებს ინვესი ერთგულების ის თანდაყოლილი ნიჭი, „ოდისეაში“ მეორეხარისხოვან პერსონაჟებს რომ ახასიათებთ. შინაგანი პატიოსნების განსახიერებაა მელორე ევმეოსი, მონა-ქალი ევრიკლეა, რომელიც „გმირმა ლაერტემ ოდესღაც ოც ძროხად იყიდა... მაშინ ყმანვილი ქალი იყო ევრიკლეა და პატრონისგან მეუღლის დარად პატივდებული. მაგრამ ლაერტეს ცოლის რიდით არასდროს შეუბღალავს მისი სარეცელი... ტელემაქე მისი გაზრდილი იყო და ამიტომ ყველაზე მეტად უყვარდა“. არანაკლები კდემამოსილებითა და თავდაჭერილობით გამოირჩეოდა ფეაკელთა მეფის ასული ნავზიკეა, რომელიც ოდისევსს ურჩევს ცალ-ცალკე მივიდნენ მეფე ალკინოეს სასახლეში, რადგან, მისი აზრით, გაუთხოვარი ქალი ქორწინებამდე უცხო მამაკაცებთან ურთიერთობას უნდა ერიდოს. „მეც გავკიცხავდი იმ ქალწულს, ვინც დედ-მამის უკითხავად ქორწინებამდე გაუშინაურდებოდა უცხო მამაკაცს“.

ჰომეროსს დახატული აქვს უარყოფითი ქალების პორტრეტებიც: აგამემონონის მოლაღატე მეუღლესი; პენელოპეს მსახური ქალებისა, სასიძოებთან რომ მრუშობენ; საკმაოდ იმპულსურია ელენეც, რომლის გამოც ადენი ტროელი და ბერძენი ვაჟკაცი დაიღუპა... ბუნებრივია, ისმის კითხვა, რაღა მაინცდამაინც პენელოპეს შეადარა ჯოისმა მოლი და არა, ვთქვით, ელენეს ან კლიტემესტრას? ამ კითხვებზე ერთადერთი პასუხი არსებობს, ჯოისმა მიმართა პაროდირების ხერხს, რის შედეგადაც არა მხოლოდ პენელოპე-მოლი, არამედ ტელემაქე-სტივენნი და თვით ლეოპოლდ ბლუმთან შედარებული ოდისევსიც კი სრულიად სახემეცვლილნი წარმოჩინდნენ. ჩვენ ამ შემთხვევაში ჯოისის განუმეორებელ ნიჭსა და ოსტატობაში კი არ შეგვაქვს ეჭვი, არამედ ანტიკური ეპოქის ლეგენდების გაშარჟების მართებულობაში.

ღირდა კი ერთგულების სიმბოლოდ ქცეულ პენელოპეს მოლი ბლუმად ქცევა, ქალად, რომელიც ურცხვად ამაცობს იმით, ქმარიც რომ ჰყავს და საყვარელიც და ბევრ კაცთან უცხოვრია? „15 წლის ასაკში მეტი ვიცოდი კაცებზე და ცხოვრებაზე ვიდრე მათ (იგულისხმება სხვა ქალები — თ. გ.) 50 წლისას ეცოდინებათ... ჯერ ისეთი ქმარი იშოვონ შესახედად რომ არ დაინუნებოდეს და ისეთი ქალიშვილი მე რომ მყავს ანდა ვნახოთ თუ შეძლებენ ისეთი ჯიბესქელი მოჩანგლონ როგორც ბოილანია რომელიც თვითონ ირჩევს ვინ მოესურვება და ჩახუტებულებმა ოთხჯერ ან ხუთჯერ ქნან“.



გიორგი ჯოისი

აი, ასე უგებს ნიშანს მოლი სხვა ქალებს, ხოლო მრუშობა რაღაც საგმირო საქმე ჰგონია. პენელოპე კი ათასგვარ ხრიკს იგონებდა, ოღონდაც აბეზარი სასიძოები თავიდან მოეშორებინა. ხან სუდარას ქსოვდა, რომლის დამთავრების შემდეგაც ვითომდაც უნდა გათხოვილიყო, ლამაზობით კი მაშხალების შუქზე თავისსავე მოქსოვილ ქსელს შლიდა; ხანაც სასიძოებს ცალ-ცალკე უგზავნიდა შუამავლებს, მათთვის თავგზის ასარევად. პენელოპეს მიაჩნდა, რომ ოდისევსი არ იყო ლაღატის ღირსი, მოლი კი საკუთარ ქმარს ადანაშაულებს, საყვარელი რომ ჰყავს: „ახია მაგაზე სულ მაგის ბრალია თუ ვმრუშობ.“ აი, ასე განსხვავდება ერთმანეთისგან ეს ორი ქალბატონი. ჯეიმზ ჯოისი თავის პაროდულ პარალელებში კიდევ უფრო შორს მიდის, როცა ოდისევსისა და პენელოპეს ტროაში ომის დაწყებით გამოწვეულ განშორებას ცოლ-ქმარ ბლუმებს შორის ნორმალური სექსუალური ურთიერთობის განწყვეტასთან აკავშირებს, მის აღდგენას კი ოდისევსის დაბრუნებასთან...

ჰომეროსისა და ჯოისის წარმოსახვითი შეხვედრა შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ბერძენი პოეტი „ულისეს“ შემქმნელს ალბათ უსაყვედურებდა, რომ მან ერთგულების სიმბოლოდ მიჩნეული პენელოპე ცრუ და მოლაღატე ქალად აქცია, სახელგანთქმული ოდისევსი კი — ლეოპოლდ ბლუმად, რომლის სახელიც წესიერად არავინ იცოდა, ცოლის გარდა... და მართლაც, თანამედროვე ლიტერატურამ ჩვენ შეგვაჩვია გაორებულ პერსონაჟებს: თვითმკვლელებს, დადებით პიროვნებებად რომ არიან წარმოჩენილები; მექალთანე მღვდლებს, ქრისტიანულ საიდუმლოებებში ეჭვი რომ ეპარებათ; რელიგიათა სინთეზირების მომხრე სასულიერო პირებს; ქალებს, რომლებიც ამაცობენ თავიანთი მრუშობით...

დაიხ, ჩვენ როგორღაც შეგუებულნიც კი ვართ მსგავს ლიტერატურულ გმირებს, თუმცა საკმარისია ჰომეროსის პოემებს ჩავუღრმავდეთ, რომ უნებლიეთ გაცხება გვიპყრობს, მართლაც, რატომ არიან ქრისტიანული ეპოქის მწერალთა პერსონაჟები უფრო გაორებულები, ვიდრე წარმართულის? რითი შეიძლება აიხსნას ეს?

III მესამე განზომილება

ჰომეროსის ნაწარმოებთა კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს მოქმედება სამგანზომილებიან სივრცეში ვითარდებოდეს: ყოფითში, ისტორიულ-ეპოქალურსა და ღვთაებრივში. მისი შემოქმედება იმდენად სრულყოფილია, რომ თვით ყველაზე უმნიშვნელო ყოფითი ეპიზოდებიც კი სამუდამოდ ამახსოვრდება მკითხველს. აი, თუნდაც ბასილევსის შეხვედრა ოცი წლის უნახავ ძალთან, არგუსთან, „რომელიც თავისი ხელით გამოეკვება და გაენვრთნა. მაგრამ ილიონს ნასულს, ამ ძალლით ნადირობა ვედარ მოესწრო“. ის ახლა „უპატრონოდ ეგდო ჭიშკართან დახვავებულ ნაკელზე“ და ჯლიბები დასეოდა. „ოდისევსის სიახლოვე რა

იგრძნო, ყურები ჩამოყარა და კუდი გააქიცინა. ღონემილე-ულს პატრონამდე მისვლის თავიც აღარ ჰქონდა. ამის შემ-ხედვარე ოდისევს ცრემლი მოერია“, ვკითხულობთ „ოდი-სეაში“. დიახ, მრავალჭირნახი ბასილევსი, წარბშეუხრე-ლად რომ იტანდა ყველაფერს, პატარა ბავშვივით ტირის და, რადგანაც იმჯერად საკუთარი ვინაობის გამხელა ნაადრე-ვად მიაჩნია, თვალს უჩუმრად იმშრალეხს. „ხოლო ოდისე-ვის ძაღლს, არგუსს, მას შემდეგ, რაც ოცი წლის უნახავი პატრონი იცნო, შავი სიკვდილის მოირა ეწვია“.

აი, ასე შთამბეჭდავად გადმოგვცემს ჰომეროსი ჩვეუ-ლებრივ და, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ყოფით დეტა-ლებს. ის სრულყოფილად და ვირტუოზულად აღწერს ისტო-რიულ-ეპოქალურ მოვლენებსაც: ილიონის დაცემას, ტროას ომში მონაწილე სხვადასხვა მოდგმისა და ტომის ხალხებს. მეცნიერებს მისი პოემები მშვენიერ ინფორმაციას აწვდის ამა თუ იმ ქალაქ-სახელმწიფოსა და კუნძულის ეთნიკურ შე-მადგენლობაზე, სახელმწიფო წყობასა და სოციალურ ურ-თიერთობებზე. აი, რას ვკითხულობთ „ოდისეაში“ კუნძულ კრეტის შესახებ: „ოთხმოცდაათი ქალაქი დგას ამ კუნძულ-ზე, ხალხმრავალი. სხვადასხვა ტომი ირევა იქ: ნამდვილკრე-ტელები, აქაველები, კიდონელები, სამ თემად გაყოფილი დორი-ელები და პელაზგების უძველესი ტომი“.

სიტყვა უძველესი ამ შემთხვევაში მიგვანიშნებს, რომ სწორედ პელაზგები უნდა ყოფილიყვნენ აბორიგენები, წინა-რებერძული ცივილიზაციის ბირთვი, რომლებიც იქ სხვა, შედარებით გვიან ჩამოსახლებულ ტომებზე ადრე ცხოვ-რობდნენ (თუმცა, ჰომეროსის პოემებიდან ისიც ჩანს, რომ ამ უძველესი ტომის ერთობა რღვევის პროცესშია, პელაზ-გების ერთი ნაწილი იბრძვის აგამემნონის, ხოლო მეორე — ტროელთა მხარდასაჭერად).

ჰომეროსი საკმაოდ შორს იყო წასული მესამე განზომილე-ბაშიც — ღვთაებრივშიც. მეტიც, მისი რელიგიური შეხედუ-ლებანი წარმართული აზროვნების ჩარჩოებს სცილდებოდა და რაღაცით ბიბლიურსაც კი ჰგავდა. მაგალითად, მას უცი-ლობელ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, რომ ყოველ ერსა და ტომს ჰყავდა თავისი ზეციური მფარველი და რომ მათ შორის ხანდა-ხან დაპირისპირებაც კი ხდებოდა. მსგავს სურათს ვაწყდებით ბიბლიაში. დარიოს მიდიელის გამეფების მესამე წელს დანიე-ლი მხურვალე ლოცვით ევედრებოდა ღმერთს ებრაელი ხალ-ხის გამოსხნას ტყვეობიდან. წინასწარმეტყველის ვედრება მთავარანგელოზ გაბრიელის შემწეობით ღმერთმა შეისმინა, მაგრამ მიდიელთა მფარველი ანგელოზი ეწინააღმდეგებოდა მას ოცდაერთი დღე და მამინ „საშველად მოვიდა მიქაელი, ერთ-ერთი პირველი მთავართავანი...“ ამრიგად, ბიბლიაში, ისევე როგორც ჰომეროსის „ოდისეაში“, გარკვევითაა ნათქვა-მი, რომ ყველა ერს ჰყავს თავისი ზეციური მფარველები და რომ მათ შორის გარკვეული დაპირისპირებაცაა...

„მხოლოდ მე, დანიელმა დავინახე ეს სანახავი, ხოლო იმ კაცებმა, ჩემთან რომ იყვნენ, ვერ დაინახეს ეს...“ ასე აღწერს დანიელი ღვთაებრივ ხილვას. ჰომეროსსაც მსგავსი რამ აქვს ნათქვამი გამოცხადების შესახებ „ოდისეაში“. მხოლოდ ოდისევსი ხედავს ათინას და არა მწყემსები და ტელემაქე, რომლებიც იქვე დგანან, „რადგან ყველას არ ეცხადებიათ თვალნათლივ ღმერთები“, დასძენს ჰომეროსი.

შეუძლებელია ადამიანს, რომელიც ასე აღწერს ღვთაებ-რივ გამოცხადებას, თავად არ ჰქონოდა კვშირი ზეციურ სამყაროსთან. ჰომეროსი ისევე იყო სავსე სიბრძნითა და გო-ნიერებით, როგორც ქალდეველი მოგვები, ისეთივე უჩვეუ-ლო წარმართი იყო, როგორც ისინი. რაში მდგომარეობდა მათი უჩვეულობა? ვარსკვლავთმრიცხველები ზოდიაქოს ნიშნის ანუ შობის დროის მიხედვით წინასწარმეტყველებდ-ნენ ამა თუ იმ ადამიანის ბედს, „ხოლო ესენი არცა შობასა

მას თანა იყვნეს, არცა ჟამი შობისაი მის უწყოდეს, რაითამ-ცა მისგან აღრაცხეს და პოეს, თუ ვითარ იყო წამსა მას შო-ბისასა ქცევაი იგი ვარსკვლავთაი და განანესესმცა საქმე იგი შობადისა მის; არამედ პირველ მრავლისა ჟამისა გამო-უჩნდა მათ ვარსკვლავი სოფელსა მათსა და მოვიდეს ხილ-ვად შობილისა მის. და ესეცა საკვირველ არს...“ (იოანე ოქ-როპირი). ვარსკვლავი, მოგვებმა რომ იხილეს, არ იყო ჩვეუ-ლებრივი ციური სხეული, რადგან ის მოძრაობდა ჩრდილოე-თიდან სამხრეთისკენ (სპარსეთიდან პალესტინისკენ) და არა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, როგორც მზე, მთავარე და ყველა სხვა ციური სხეული. ის დღისითაც ჩანდა და ხან გამოჩნდებოდა, ხან კი თვალს მიეფარებოდა. ისმის კითხვა, რაღა მაინცდამაინც მათ გამოეცხადათ ვარსკვლავი და არა, ვთქვათ, მოსეს სჯულის მცოდნეთ, მღვდელმთავ-რებსა და რაბინებს? „ესე იმისთვის საყვარელო, რაითა უმე-ტესად ამხილოს უგულისხმოებაი ჰურიათაი და უკეთუ უმადლო იქმნან და ურწმუნო“. სწორედ ამიტომ „განულო კა-რი“ უფალმა მოგვებს, რომლებიც საუკეთესონი იყვნენ წარ-მართულ სამყაროში. გამორჩეული იყო ჰომეროსიც. თუმცა მას, მოგვებისგან განსხვავებით, მხოლოდ სარკმელი განე-ლო. ის კვლავ წარმართად რჩებოდა, მრავალი ღმერთის თაყ-ვანისმცემლად... სინათლეს ხედავდა, მაგრამ არ შეეძლო მისკენ წასულიყო. ის რაღაცით ლეონარდო და ვინჩისაც კი ჰგავდა, რომელმაც საფრენი აპარატის სქემა დახაზა. ლეო-ნარდო ხვდებოდა, შესაძლებელი რომ იყო ისეთი საფრენი საშუალების შექმნა, რომლითაც ადამიანი შეძლებდა მიწი-დან მოწყვეტასა და გადაადგილებას, მაგრამ მისი ეპოქა არ იძლეოდა შესაძლებლობას თვითმფრინავი შექმნა. მსგავს მდგომარეობაში იმყოფებოდა ჰომეროსიც. იგი სავსებით იყო დარწმუნებული, რომ ერებისა და ადამიანთა ბედს ზე-ციური ძალები განაგებდნენ, მაგრამ არ შეეძლო მათი კლა-სიფიკაცია. ჰომეროსი წარმართული ეპოქის შვილი გახლ-დათ და მხოლოდ ჭეშმარიტების ნაწილს ხედავდა. სრული ჭეშმარიტება კი ადამიანს მხოლოდ უფალი იესო ქრისტეს ამქვეყნიური მოვლინების შემდეგ მიეცა.

IV ტროადან ითაკამდე

ალბათ, ყველას ახსოვს, რა უჩვეულო ფათერაკებით იყო სავსე ოდისევსის მოგზაურობა ტროადან ითაკამდე. ბასილევ-სი სამშობლოში მისვლამდე უნდა შეხვედროდა კიკონებს, ლო-ტოფაგებს, ციკლოპებს, ეოლოსს, ლესტრიგონელებს, გრძნე-ული ცირცეს, უნდა ჩასულიყო ჰადესის სამეფოში, გაეკლო სკილასა და ქარიბდას შორის, მოესმინა სირინოზების გალო-ბა, განეცადა თანამოძმეთა ურჩობით გამოწვეული ტრაგედია ჰელიოსის ძროხებთან დაკავშირებით, გაეძლო კალიფსოს ცდუნებისთვის, უარი ეთქვა ნავზიკეასთან დარჩენაზე.

რა შეიძლება ვუნოდოთ ყოველივე იმას, რაც ოდისევსს თავს გადახდა? მხოლოდ ზღვაოსნის ფათერაკები? არამც და არამც. ყოველი დაბრკოლება, ოდისევსს წინ რომ ეღობე-ბა, ესაა განსაცდელი, რომელიც ნებისმიერი ეპოქის ადამი-ანს შეიძლება შეხვდეს სულიერი განვითარების გზაზე.

ავიღოთ თუნდაც სკილასა და ქარიბდას ეპიზოდი. პირდაპირი მნიშვნელობით ისინი ურჩხულებიან, რომელთა შორის გასე-ლაც ძალიან რთულია. თუმცა ამ მითიურ არსებებს გარკვეული სიმბოლური დატვირთვაც აქვთ. მისტიკოსთა ენაზე ისინი ორა-დობის, ანუ ორი პოლარიზებული შეხედულების აღმნიშვნელ პიქტოგრამებს წარმოადგენენ. დღესაც ძალზე რთულია ორ უკიდურესობას შორის ოქროს შუალედის პოვნა და სულიერი წონასწორობის შენარჩუნება. თანამედროვე ადამიანს ხომ

უზარმაზარ საინფორმაციო ნაკადებზე ქცეული ურჩხულები შთანთქმით ეშუაგებიან... თუმცა ექვსთავიან სკილაზე უარესი ქარიბდაა, ის „დღეში სამჯერ ნთქავს და საშინელი ღრიალით ამოანთხევს ხოლმე ზღვის შავ წყალს“. სჯობს ისევე ექვსი კაცი განირონ, ვიდრე ყველა დაილუპოს... და მართლაც, ქარიბდა ხომ ბერნი ლეღვის ხის ქვეშ ცხოვრობს, უნაყოფო ლეღვი კი მისტიკოსთა ენაზე უსარგებლო ცოდნის სიმბოლოა!

მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ ლოტოფაგებისა და სირინოზების ეპიზოდებიც. როგორც მოგესხენებათ, ძველ დროშიც იყენებდნენ ადამიანები სხვაგვარადაც ბალახებსა და მცენარეებს ნარკოტიკული ეფექტის მისაღწევად. ასე რომ, ლოტოსის გასინჯვაზე უარისმთქმელი და სირინოზთა კუნძულის გვერდით ჩავლისას გემის ან-ძაზე მიბმული ოდისევსი ნარკოტიკებით თრობასა და ამქვეყნიურ სიამებზე უარისმთქმელი კაცის სიმბოლოდაც შეიძლება მოვიანოთ, ისევე, როგორც მოგზაურად, რომელმაც, მართლაც ნახა ლოტოფაგები და მოსმინა სირინოზთა გალობა. ცირცეს ეპიზოდში, როდესაც ოდისევსის თანამგზავრები ღორებზე იქცნენ, მას შემდეგ, რაც ჯადო-ნამალით შეზავებული ღვინო შესვეს, იგრძნობა მინიშნება მემთვრალეობისა და ნაყოფანებაზე; კიკონებთან დაპირისპირებისას ვლინდება ადამიანის ერთ-ერთი დამლუპველი თვისება — სიხარბე; ჰელიოსის ძროხების ეპიზოდში კი აღთქმის დარღვევასა და სულსწრაფობაზეა საუბარი... მხოლოდ ოდისევსმა სძლია ამ ცდუნებებს, მხოლოდ ის დაბრუნდა სამშობლოში, მისი თანამგზავრები კი დაილუპნენ. საზოგადოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოდისევსის მოგზაურობა ტროადან ითაკამდე მხოლოდ ზღვაოსნის ხიფათით სავსე თავგადასავალი როდია, მისტიკურ პლანში ესაა ღმერთთან მისვლის მოსურნე ადამიანის ბრძოლა ცდუნებებთან. თითქოს დაბრკოლებანი, ოდისევსს წინ რომ ეღობება, ჰომეროსს სირთულის მიხედვით აქვს დალაგებული. თავიდან ოდისევსს ბრძოლა უნევს კიკონებსა და ციკლოპთან, რაც ფიზიკურ ძალასა და მოხერხებულობას მოითხოვს. თუმცა თანდათანობით განსაცდელი სულიერ სფეროში იწვევს. ორი უკანასკნელი დაბრკოლება, ბასილევსს რომ ხვდება ითაკაში დაბრუნებამდე, არის ყველაზე რთულად გადასალახი. დიახ, უდიდესი განსაცდელი მას სწორედ კალიფსოს მღვიმესა და ფეაკელებთან ელოდა. მკითხველი შეიძლება გაოცდეს, მართლაც, რატომ იყო უკანასკნელი დაბრკოლებანი ყველაზე რთულად გადასალახი? პოლიფემს ან თუნდაც სკილასა და ქარიბდას ეპიზოდებში ხომ უფრო საშინელ განსაცდელზეა საუბარი? კალიფსოს მღვიმესა და ფეაკელებთან ოდისევსს შეჭმას არავინ უპირებდა, პირიქით, ამ კუნძულებზე ეალერსებოდნენ, გულლიად მასპინძლობდნენ, უკვდავებასა და აურაცხელ სიმდიდრეს პირდებოდნენ. თუმცა ჰომეროსმა, როგორც ჩანს, მშვენივრად იცოდა, რომ სწორედ ეს იყო ყველაზე სახიფათო ცდუნებანი სამშობლოში დაბრუნების მსურველისთვის, ისევე, როგორც ბრძენკაცისთვის, რომელსაც საბოლოო ნათელხილვის მიღწევამდე უნდა დაეძლია ღმერთთან გატოლების, ანუ უკვდავობის ცდუნება. სწორედ ამ უკანასკნელ გამოცდას ვერ გაუძლო წარმართული სამყაროს განმანათლებლად მიჩნეულმა პრომეთე-ამირანმა, რის გამოც დაისაჯა ქედზე მიჯაჭვით. საბედნიეროდ, ოდისევსმა სძლია ამ დაბრკოლებას, უარი თქვა კალიფსოს მიერ შეთავაზებულ უკვდავებაზე, ნავიკეასთან შეხვედრისას კი შეძლო მოეთოკა საკუთარი ამპარტავნებაც. იქ მას პირში აქებდნენ, საჩუქრებს უძღვნიდნენ, ნავიკეას ქმრობას სთავაზობდნენ, რაც თავისთავად დოვლათითა და სიუხვით სავსე ქვეყნის მბრძანებლობასაც ნიშნავდა, მაგრამ ოდისევსი არ ცდუნდა. მას სამშობლო ერჩია და აი, როგორც იქნა მოიპოვა კიდევ ითაკაში დაბრუ-

ნების უფლება, სადაც არც კალიფსოს მიერ შეპირებული მარადიული სიჭაბუკე ელოდა და არც ფეაკელთა სიმდიდრე.

ჰომეროსის პოეზია წარმართული აზროვნების მწვერვალია. უფრო დიადსა და მნიშვნელოვანს იმ ეპოქის ადამიანი ვერაფერს შექმნიდა. უფრო მეტიც, ჰომეროსი რალაციით იმ ქალდეველ მოგვებსაც კი ჰგავს, რომლებმაც თავიანთი ღვთისმოსაობითა და სიბრძნით გამოააშკარავეს იუდეველთა ურწმუნობა. ჰომეროსის ნიჭმა შესაძლებელი გახადა უკეთ წარმოჩენილიყო იმ მწერლების უსუსურობა, რომლებიც ქრისტიანულ ეპოქაში ცხოვრობდნენ და მაინც ვერ ხვდებოდნენ, რომ სწორედ ზეციური ძალები მფარველობდნენ ცალკეულ ადამიანებსა და ერებს; რომ სიყვარულის, რწმენისა და ერთგულების გარეშე შეუძლებელი იყო რაიმე კარგის გაკეთება...

ჯოისი კი ჰომეროსის ანტიპოდი გახლდათ. მან „ულისეში“ უარი თქვა სამყაროს ჰეროიკულ-რომანტიკულ ხედვაზე. მისი პერსონაჟები იყვნენ ჩვეულებრივი, უთვისტომო და დაბეჩავებული ადამიანები და არა მხედართმთავრები და გმირები. ჯოისმა სრულიად ახალი მხატვრული ხედვა შესთავაზა მკითხველს. რაც შეეხება პაროდირების ხერხს, რომელსაც მწერალი ასე ოსტატურად იყენებდა, ის ზოგს შეიძლება არც მოეწონოს, რადგანაც ჯოისის პერსონაჟები ხანდახან საკმაოდ დამცინავად არიან განწყობილი არა მხოლოდ რელიგიური რიტუალებისადმი, არამედ უფლისადმიც.

როგორია თვით მწერლის პოზიცია? შეიძლება თუ არა „ულისეს“ ავტორი გავაიგივოთ მის რომელიმე პერსონაჟთან, თუნდაც სტივენ დედალოსთან? ეს საკითხი დღესაც დავას ინვესს მკვლევართა შორის.

V

ავტობიოგრაფიული შტრიხები

მეოცე საუკუნის არცერთ მწერალს არ გამოუწვევია აზრთა ისეთი სხვადასხვაობა, როგორც ჯოისის, მსგავსი ბედი ეწია მის ლიტერატურულ გმირს სტივენ დედალოსაც. სტივენს, რომელიც „ულისეში“ ჯოისის უფრო ადრინდელი რომანიდან („ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში“) არის გადმოსული, მკვლევართა ნაწილი მწერლის ლიტერატურულ ორეულად მიიჩნევს, ნაწილი კი — არა.

რას ემყარება ჯოისის მის პერსონაჟთან გაიგივების მომხრეთა არგუმენტები?

როგორც მოგესხენებათ, 1904 წლის 16 ივნისი ნორა ბარნეტისა და ჯოისის პაემანის დღეა, მომავალ მეუღლესთან დაახლოების შემდეგ ჯეიმზი ერთხანს დუბლინში რჩებოდა და გამუდმებით სვამდა, ერთ-ერთი დათრობისას მას ჩხუბი მოუვიდა დუბლინის პარკში. ნაცემ მწერალს შემთხვევით მამის ნაცნობი, ვინმე ჰანტერი შეხვდა, რომელმაც ტანსაცმელი გაუნმინდა, სახლში მიიყვანა და უპატრონა. დუბლინში ჭორები დადიოდა, რომ ჰანტერი ებრაელი იყო და მოლატე ცოლი ჰყავდა. ლიტერატორებს მიაჩნიათ, რომ სწორედ ჰანტერია ლეოპოლდ ბლუმის პროტოტიპი, რომელმაც ნაცემი სტივენი შეიფარა. ამრიგად, არსებობს რალაც მსგავსება სტივენსა და ჯოისს, ჰანტერსა და ბლუმს შორის.

მეტიც ბაკ მალიგანსა და ჰეინზსაც ჰყავთ თავიანთი პროტოტიპები, პირველს — სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტი ოლივერ ჰოგარტი, მეორეს კი — სემიუელ ტრენჩი, რომელმაც რამდენჯერმე გაისროლა პისტოლეტი მარტელის კოშკში ჯოისის საწოლის თავზე ჩამოკიდებული ლითონის ჭურჭლის მიმართულებით. ამ ინციდენტის შემდეგ, რომელიც შუალამისას მოხდა, ჯოისმა მისვე დატოვა კოშკი, ღამე ნათესავებთან გაატარა, მცირეოდენი ხნის შემდეგ კი ნორასთან ერთად კონტინენტზე გადავიდა საცხოვრებლად.

ამრიგად, ბიოგრაფიული მომენტებიდან გამომდინარე, მკვლევართა ნაწილს სტივენი ჯოისის ლიტერატურულ ორეულად მიაჩნია, თუმცა ამ ვერსიას ჰყავს მონინალმდეგენიც. მათი აზრით, მსოფლმხედველობრივად მწერლის რომელიმე, თუნდაც ყველაზე ავტობიოგრაფიულ პერსონაჟთან გაიგივება შეცდომაა. ლიტერატორთა ამ მეორე ჯგუფის მსჯელობაშიც არის ქვეყნების რაღაც მარცვალნი. დედალოსი სულიერი მამის მაძიებელი გმირია, ჰომეროსის ტელემაქეს პაროდული ორეული. სტივენის ცნობიერების ნაკადში უხვადაა ღვთისმგებლობა, კათოლიციზმისადმი საკმაოდ შეურაცხმყოფელი გამონათქვამები. ასე რომ, ის ღმერთთან მებრძოლიცაა. დედალოსი „ულისეს“ ავტორთან რომ გავიგივოთ, მაშინ მთელი რელიგიური აბრაკადაბრა, პერსონაჟის თავში რომ ტრიალებს, ჯოისის უნდა მივანეროთ. ბუნებრივია, ის ლიტერატორები, მწერლის კათოლიკობაზე რომ დებენ თავს, ამ აზრს ვერასოდეს შეეგუებიან. მათთვის უმჯობესია ჯოისი ჯოისი იყოს, სტივენი კი — სტივენი.

ამ პოზიციაზე დგას ლიტერატორი კევინ სალივანი. სხვები კი, მაგალითად, სტრონგი, ნუნი და ბოილი, რომლებსაც დედალოსი ავტორის ლიტერატურულ ორეულად მიაჩნიათ, ამტკიცებენ, მწერალი მხოლოდ ახალგაზრდობაში იყო დაპირისპირებული კათოლიციზმთან, შემდეგ კი რელიგიაზე გული მოუბრუნდაო.

რაც შეეხება ჯოისს, მან ერთხელ ჟურნალისტის კითხვაზე, დატოვებთ თუ არა კათოლიკური ეკლესია, ასე უპასუხა: ამ საკითხში ეკლესია უკეთ გაგარკვევთო. უფრო დაზუსტებულ პასუხს იძლეოდა ჯოისის ძმა სტანისლავი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ჯეიმზის ჩამოშორება კათოლიციზმისგან გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებებით: 1) ჯოისის სურდა, სულიერება ხელოვნებით გადაერჩინა და არა საეკლესიო რიტუალებით. 2) ის მღვდლებს სულიერი ცხოვრების სადავეთა მიმთვისებლებად და უზურპატორებად მიიჩნევდა და არა ღვთისმსახურებად.

მოსაზრებას ჯოისის არაეკლესიურობის შესახებ აღრმავებს კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც მწერლის გარდაცვალების შემდეგ მოხდა. წესის ასაგებად მისული კათოლიკე მღვდელი მისმა მეუღლე ნორამ უკანვე გაისტუმრა სიტყვებით — ამას ჯეიმზისთვის ვერ გავაკეთებო.

უნებლიეთ გვაგონდება სტივენი, მომაკვდავ დედას უკანასკნელ თხოვნაზე უარი რომ უთხრა, — არ დაიჩოქა და არ ილოცა. აი, ასე იხსენებს ის მშობელს: „მისი შუშის თვალები, სიკვდილიდან რომ იცქირებოდნენ ჩემი სულის შესარყევად და მოსადრეკად. მხოლოდ მე მომშტერებოდნენ, ლანდების სანთელი მის აგონიას ანათებდა. ლანდისებური სინათლე გატანჯულ სახეზე. ხმამაღალი, შეძრწუნებული სუნთქვის ხრინნი, სანამ ყველა დაჩოქილი ლოცულობდა. მე მომშტერებოდა, რომ მუხლზე დავემხე... გვამების მცოხნელი!“

დიახ, სტივენი მომაკვდავ ადამიანს, რომელიც ეზიარება, „ვამპირსა და გვამების მცოხნელს“ უწოდებს, მამა ღმერთს კი — „ჩუჩების ამკრეფს“. იმავე თავში ქრისტე მდებრობითი სქესის ფორმითაა მოხსენიებული. ბუნებრივია, ჯოისის ხელოვნების თავყვანისმცემლებს არ სურდათ დაეჯერებინათ, რომ სტივენი მისი ლიტერატურული ორეული იყო, მათი აზრით, იგი თავის პერსონაჟებზე გაცილებით მაღლა იდგა, ისევე როგორც გოეთე და ბულგაკოვი, რომლებსაც თვით ეშმაკი ჰყავდათ გამოყვანილი ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვერავინ დასწამებდათ, რომ მეფისტოფელისა და ვოლანდის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს იზიარებდნენ. მწერლის თავყვანისმცემლების აზრით, ჯოისი ჰუმანისტია, რომელიც „ადამიანს ღორული და უმნიშვნელო არსებობისკენ კი არ მოუწოდებს, არამედ მთელი თავისი მწერლური ხმით კივის ადამიანის დაკნინების გამო“ (ნიკო ყიასაშვილი).

უხამსი მწერლობა — მიზეზთა შედეგი

ყველა ეპოქა აღინიშნება თავისებური სიახლით, ცხოვრების „ახალი“ წესებითა თუ ახლებური ხედვით. სოციოლოგები გვთავაზობენ ახალი პერსპექტივების დანახვას. მაგალითად, სოციო-ფსიქოლოგების ნაწილი — გენდერები თვლიან, რომ ქალსა და მამაკაცს შორის ხელოვნურად უტირიებული განსხვავებანი მხოლოდ სოციალიზაციისა და აღზრდის ხარჯზე ხდება, რის გამოც მათ შორის როლები არათანაბრადაა გადანაწილებული, თორემ განსხვავებანი ორ სქესს შორის ძალზე მიმალურია.

ჟურნალისტური კვლევის ამ ეტაპზე, „გენდერული კვლევების“ მიმოხილვისას, ალბათ, საინტერესო იქნება ბიოლოგის აზრი, რადგან ბიოლოგია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ერთობლიობაა, რომელიც ყოველმხრივ შეისწავლის სიცოცხლეს, ორგანულ სამყაროს, ცოცხალ არსებებს. საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესები განუყრელადაა დაკავშირებული ადამიანის სოციალურ არსთან. ამიტომაც ჩვენი გახუთის უფრცვლებზე მოვიწყვიტოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიოლოგიის ინსტიტუტის, მორფოლოგიის მიმართულების პროფესორი — ქალბატონი დინა ძიძიძეშვილი.

— ქალბატონო დინა, თქვენ ბრძანდებით მორფოლოგი, მდებდრისა და მამრის უჯრედულ მონაცემებს შორის არის რაიმე სახის განსხვავება ან „უპირატესობა“, ხოლო თუ არ არსებობს განსხვავება (ან იმდენად მინიმალურია), მხოლოდ სოციალიზაციისა და აღზრდის ხარჯზე ხდება სოციუმში სოციალური როლების გადანაწილება?

— ჩვენ მაინც გვმართებს გავიხსენოთ, თუ საიდან მომდინარეობს ის ბიოლოგიური განსხვავებანი, რომელიც, რასაკვირველია, ამკარაა. ფაქტია, რომ არსებობს ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპი, რომელთა შორის განსხვავებანიც ყალიბდება უკვე მუცლად ყოფნის პერიოდში, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ჰორმონალურ სისტემასთან. ყველამ ვიცით, რომ არსებობს ერთმანეთისაგან განსხვავებული მამრობითი სქესის სასქესო ჰორმონები — ანდროგენები, ხოლო მდებდრობითი სქესის — ესტროგენები, რომლებიც განსაზღვრავს როგორც მამაკაცის, ისე ქალის სტერეოტიპის ფორმირებას.

უახლესი კვლევებით, სქესობრივი ან ფიზიკური განსხვავებანი სულაც არ ნიშნავს, რომ რომელიმე სქესს სოციუმში არსებითი უპირატესობა უნდა მიენიჭოს და აი რატომ: უფრო ღრმად თუ ჩავეძიებთ, მაშინ განსხვავებათა განხილვა თავის ტვინის აგებულებაში უნდა ვეძიოთ. ჯერ კიდევ მუცლად ყოფნისას, როდესაც ფორმირდება ორგანიზმი, ზემოთ ნახსენები მდებდრობითი და მამრობითი ჰორმონები, თავის ტვინის განვითარებაზე ძალიან მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ. როგორც ყალიბდება ქალის (მამაკაცის) სტერეოტიპი, გარკვეულწილად, ისე ვითარდება ტვინიც.

მეცნიერული კვლევის შედეგად, თითქოს ერთი შეხედვით უმნიშვნელოს, მაგრამ ძირითადად ტვინის სტრუქტურაში წარმოადგენს ე.წ. ჰიპოთალამუსი, საიდანაც იწყება ორგანიზმის ერთიანობის, მთლიანობის განმსაზღვრელი ნეიროჰომონური ოვულაცია. საშუალოდ გამოთვლილია, რომ (60-70 კგ. წონის) ზრდასრული ადამიანი შედგება სამოცი ტრილიონი უჯრედისაგან. ეს 60 ტრილიონი უჯრედი არაა გაბნეული განყვეტილი მძივის მარცვლების მსგავსად, პირიქით, ისინი წარმოქმნიან ერთიან, კოორდინირებულ, ურ-

თიერთშეთანხმებულ სისტემას. ყველა ეს უჯრედი ერთმანეთთან შეიძლება ფიზიკურ კონტაქტში არ იყოს, მაგრამ ფუნქციურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული. აი სწორედ იქ ხდება ერთადერთი ძირითადი, რაც არსებობს ორგანიზმში, ანუ ნეიროჰომორული რეგულაცია, ნერვული და ენდოკრინული სისტემის მონაწილეობით. ამდენად, პირველ რიგში, უჯრედის ჩაძიება-განხილვისას ეს ორი სისტემა ძირითადად განსახილველი, რომლის ძირითადი სტრუქტურაც არის ჰიპოთალამუსი. ჰიპოთალამუსის წინა ნაწილში ე.წ. პატარა ზონაა, რომელიც მდებარეობს სქესში უფრო ნაკლებადაა განვითარებული.

მინდა სწორად გაიგოთ, როდესაც საუბარია თავის ტვინის განვითარებაზე, არამც და არამც არ ნიშნავს, რომ ქალის ტვინი ცუდად ფორმირდება, ან თავის ტვინის სტრუქტურაში რაიმე ანატომიურ განსხვავებას ვპოულობთ – არა! ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქალი ნაკლებად ან მეტადაა განვითარებული, მით უფრო სოციალური სტატუსის მინიჭებისას. ან რატომ უნდა მიენიჭოს უპირატესობა მამაკაცს – ტვინი სხვანაირად აქვს მოწყობილი? – არა! უბრალოდ, ორივე სქესისათვის ტვინის სხვადასხვა უბნები, ჰომორული რეგულაციიდან გამომდინარე, სხვადასხვანაირად მუშაობენ. მაგალითად, თუ ერთ შემთხვევაში ქალთან თავის ტვინის ორივე ნახევარსფერო განაგებს, მამაკაცს შეიძლება ამ მომენტში თავის ტვინის მხოლოდ ერთი ნახევარსფერო მოქმედებდეს რომელიმე კონკრეტული ფუნქციის შესრულებასთან მიმართებით და პირიქით, რაც არაფრით არ ნიშნავს ან ერთი სქესის, ან მეორე სქესის მონაცემებით მეტობას, ან ნაკლებობას.

თავის ტვინის უახლესი მეცნიერული გამოკვლევების, ტესტური მონაცემებით აღმოჩნდა, რომ მამაკაცებს ქალებთან შედარებით, მთელი რიგი უპირატესობის გარდა, მათემატიკური აზროვნება უფრო კარგად აქვთ ჩამოყალიბებული, რომელსაც ტვინის გარკვეული უბნები განსაზღვრავს. თუმცა მათი მათემატიკური უნარის მიუხედავად, როგორც აღმოჩნდა, ქალი უფრო სწრაფად ითვლის (არითმეტიკული თვლით), ვიდრე მამაკაცი. ორივე შემთხვევაში მათემატიკური ოპერაცია სრულდება, მაგრამ ქალის გონება უფრო სხარტია. ასევე, ქალი უფრო სწრაფად ეძებს სიტყვებს. იგივე მეცნიერული ტესტების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ ქალი უფრო ზუსტია, ვიდრე მამაკაცი. მაგალითად, ამოჭრილ ხვრელში ქალი უფრო ზუსტად სვამს რგოლს. ქალს შესწევს უნარი რამდენიმე ოპერაციის ერთდროულად შესრულებისა, მაგალითად, შეუძლია ერთდროულად სადილიც აკეთოს, ტელეფონზეც ისაუბროს და ბავშვს გაკვეთილიც გამოკითხოს. საჭესთან მჯდომ მამაკაცს ვერ დაელაპარაკები, ის უყურებს მხოლოდ გზას, ანუ რამდენიმე ოპერაციის ერთდროულად ჩატარება მამაკაცს უფრო უჭირს. ალბათ საინტერესო იქნება მანძილს როგორ იმასხვავებენ ქალები და მამაკაცები, თუნდა იმისათვის, რათა გავარკვეოთ, უკან როგორ ბრუნდებიან — მამაკაცი უფრო სწრაფად იმასხვავებს, მაგრამ იმასხვავებს ძალიან რთულად, ანუ ირჩევს რთულ ორიენტირებს. ის იმასხვავებს მანძილს და მიმართულებას. რაც შეეხება ქალს, იმასხვავებს ოდნავ უფრო

გვიან და მარტივი ორიენტირებით. მაგალითად, გზაზე დაინახა ჭა, ან ხე ან რაღაც განსხვავებული რამ, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ქალის ორიენტირი არის უფრო მარტივი. უკან დაბრუნების შემთხვევაში, კაცი იხსენებს უფრო ძნელად, რთულად, ვიდრე ქალი. ქალი იმასხვავებს მარტივად, მაგრამ უფრო მეტი დრო სჭირდება იმის გამო, რომ ის პირობითობა, ანუ ჭა უნდა დაინახოს. ხოლო მამაკაცი მაშინვე იწყებს მანძილის ათვლას. ყველაფერი ეს მომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ თავის ტვინზე სასქესო ჰორმონების ზემოქმედების შედეგად, რომელიც აისახება თავის ტვინის განვითარებაზე.



დიანა ძიქვაშვილი

ჩემი აზრით, დასმულ საკითხთა წყება არასწორად განიხილება (როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა სოციალური ჯგუფის მიერ), როდესაც სოციუმში სოციალური სტატუსის მინიჭების საკითხი რომელიმე სქესის „უპირატესობის“ მიხედვით დგება. განა მამაკაცებს შორის არ არის სერიოზული განსხვავებანი სოციალურ სტატუსში? — არსებობენ მამაკაცები, რომელთაც აქვთ სერიოზული სოციალური სტატუსი, ისევე როგორც არიან მამაკაცები, რომელთაც არანაირი სოციალური სტატუსი არ გააჩნიათ. რაც მთავარია, ეს ხდება ერთი და იგივე „ალმატებით“ სქესის შემთხვევაში. სოციალური სტატუსი სქესთან რომ იყოს შეჭიდებული, მაშინ ყველა მამაკაცი სოციუმში წელგამართული იქნებოდა. მამაკაცთა უსუსურობა იკვეთება მაშინ, როდესაც ისინი ეფარებიან თავიანთ სქესს. ეს ემართებათ ისეთ მამაკაცებს, რომლებიც ცდილობენ თავიანთ უძლურ სოციალურ მდგომარეობას რაღაცა მაინც

შემატონ და იქმნიან ისეთ პოზიციებს, რითიც ცდილობენ სქესით წარმოაჩინონ „უპირატესობა“, რაც მხოლოდ მათი სისუსტის ხარისხის მაჩვენებელია.

ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავებანი რა თქმა უნდა ბუნებრივად არსებობს, მაგრამ ეს არ არის რომელიმე უჯრედულ, შიდა უჯრედულ სტრუქტურაში. როგორც ვიცით, უჯრედი სიცოცხლის ელემენტარული ერთეულია, საიდანაც იწყება ყველაფერი. შიდა უჯრედული სტრუქტურების ნორმალური ფუნქციონირების შედეგია ის, რომ ორგანიზმი მოქმედი, ჯანმრთელია. როგორც კი შიდა უჯრედულ სტრუქტურაში რაიმე სახის დარღვევა ხდება, მაშინვე ვლებულობთ შედეგს ან ტკივილის სახით, ან გენერალიზებული ფორმით — საბოლოო პათოლოგიით. შიდა უჯრედულ სტრუქტურათა დონეზე, ერთმნიშვნელოვნად ვიტყვი, რომ არანაირი განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის არ არსებობს. ასევე, საკმაოდ განსხვავებანი ქალი და მამაკაცი რეპროდუქციული თვისებებით. დედის ბიოლოგიური ფუნქცია, მოგესხენებათ, რამდენად მნიშვნელოვანია. სპერმატოზოიდი კი ანაყოფიერებს, მაგრამ თვითონ სპერმატოზოიდი ნაყოფს ვერ მოცემთ ცალკე, დამოუკიდებლად, ისევე როგორც კვერცხუჯრედი ვერ განაყოფიერდება დამოუკიდებლად, მაგრამ სპერმატოზოიდი როგორც უჯრედი, კვერცხუჯრედთან შერწყმისთანავე ქრება, იშლება და რჩება მხოლოდ განაყოფიერებული კვერცხუჯრედი.

ამ კუთხით ხომ არ შეიძლება ვილაპარაკოთ, მით უფრო ვიმსჯელოთ და რატომღაც წარმოვჩინოთ ქალი ბიოლოგი-

ურ, ამ შემთხვევაში უჯრედულ დონეზე უპირატესად – გამორიცხულია. კიდევ ვიმეორებ, შიდა უჯრედული სტრუქტურის დონეზე „უპირატესობა“ მდებარის ან მამრისა არ ხდება, მაგრამ ორგანიზმის ფუნქციონირება, როდესაც უკვე ჩამოყალიბდება სქესი, ტვინის განვითარება უშუალოდ სასქესო ჰორმონებითაა განპირობებული.

ასეთი ცდაც კი ჩაატარეს: თავის ტვინის განვითარების მერე შეიყვანეს საპირისპირო სქესის ჰორმონი, მაგრამ არაფერი არ შეიცვალა. თუ ცხოველს (ძირითადად ვირთაგვებზე მიმდინარეობს ყველა სახის დაკვირვება, რადგან ფიზიოლოგიურად ძუძუმწოვრების ეს სახეობა ძალიან ახლოს დგას ადამიანთან) ტვინის განვითარების პროცესში მოაკლეს ან დაუმატეს საპირისპირო სქესის ჰორმონი, ყველა სახის დარღვევა, ან გადახრა ვლინდება, ხოლო ზრდასრულ ტვინზე ცვლილებათა ის ძირითადი მაჩვენებლები, ხარისხები, კრიტერიუმები, რითიც მეცნიერები აფასებენ, არ ფიქსირდება. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერება ტვინის სხვადასხვანაირად განვითარებას აღიარებს, რაც სხვადასხვა სქესის სხვადასხვა მონაცემებში ვლინდება (ზოგან მამაკაცის მონაცემებია უკეთესი, ხოლო ზოგან ქალისა), იმის მაჩვენებელია, რომ სოციუმში მათი მკვეთრი განსხვავება არ უნდა ხდებოდეს. იქ სადაც პროფესიის მიხედვით გვესაჭიროება მათემატიკური აზროვნება, მართებულია დაიტვირთოს მამაკაცი, ხოლო სადაც ქალის გონებრივი მაჩვენებლები ჭრის — ქალმა იმოქმედოს. ასეთია უახლეს მეცნიერულ კვლევათა საფუძველზე არსებული აზრი, რომელიც უმჯობესი იქნებოდა საზოგადოებაშიც ყოფილიყო გაცნობიერებული. ამ თვალსაზრისით ურთიერთშორის დამოკიდებულებებს არ ესადაგება არც ქალი, არც მამაკაცი, მითუმეტეს როდესაც ტრადიციულად მომდინარეობს ერთმანეთთან სულ სხვა სახის დამოკიდებულებითი აზროვნება.

თუ გავიხსენებთ სახარებას, აღდგომიდან პირველად მარნამ მაგდალელს გამოეცხადა უფალი, იმის გამო, რომ არ განასხვავა მამაკაცისაგან. ქალმა ისე კარგად იცის თავისი ბიოლოგიური ფუნქცია, რომ თუ ის იქნება მამაკაცისაგან ნორმალურ პირობებში ჩაყენებული (განსაკუთრებულს არ ვგულისხმობ) და არ დასჭირდება შვილის გამოკვებისათვის საშოვარზე ქუჩაში გასვლა, მერნმუნეთ (ანომალური გადახრების გარდა), გამოორიცხულია ქალმა უარი თქვას დედის ფუნქციის შესრულებაზე. სამწუხაროდ, მამაკაცების დიდი ნაწილი შრომას თაკილობს, რაც, ბუნებრივია, ნორმალური ქალის პროტესტს იწვევს.

— როგორ ფიქრობთ, ტექნიკის განვითარებამ ხომ არ გამოიწვია მამაკაცის ძალის უპირატესობის მოხსნა, რის გამოც ქალი სოციალური ფუნქციები ნელ-ნელა სახეს იცვლის?

— საკვებით გეთანხმებით. აშკარაა სახეცვლილება. მაგალითად, პირველყოფილ თემურ ნყობილებაში თუ ადამიანები ტომებად (ჯოგებად) ცხოვრობდნენ, იმდროინდელი ქალის ფუნქცია მხოლოდ შვილებისა და კერის მოვლით შემოიფარგლებოდა. იმ გარემო პირობებში ქალის მიმართ ზუსტად ასეთი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო. მას შემდგომ ეპოქებშიც მიმდინარეობდა ადამიანის სახეცვლილება. მეტიც, ორივე სქესის ადამიანებში განვითარდა ტვინი. ადამიანებს შორის სრულიად შეიცვალა ურთიერთობათა ფორმები, დამოკიდებულებანი, საარსებო პირობები. ჩვენს საზოგადოებაში 15-17 წლიანი მოცულობითი სწავლა გახდა სავალდებულო. აქსიომაა, ვერც კი შეადრით დღევანდელ ქალს წინა ეპოქების დროინდელს. მით უფრო ვერ მოვთხოვთ წინა საუკუნეთა ცხოვრების წესის გაზიარებას. დედობის ბიოლოგიური ფუნქცია იმდენად ძლიერია, შესაძლოა დისერტაციაც დაეცულება ქალმა ყველაფერზე უარი თქვას და

თავისი ნებით მოკალათდეს შინ, მაგრამ, თუკი ქალს შესწევს უნარი, არავის არ ავნოს, პირველ რიგში ბავშვის განვითარებას — კეთილი, იმოქმედოს. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ჩვენს საზოგადოებაში ნელ-ნელა მკვიდრდება მახინჯი ფორმა ე.წ. ძიძის სახით. სჯობს ოჯახს ჰყავდეს დამხმარე ქალი, ვიდრე ძიძა, რადგან ბავშვით დედა უნდა დაკავდეს, დედის სუნს უნდა გრძნობდეს. ასევე, დედის რძეს აქვს უმნიშვნელოვანესი დატვირთვა. ყველა ბიოლოგიური აუცილებლობის უქონლობის ფონზე, მშობლებს ნუ უკვირთ შვილების გარდატეხის პერიოდში (სქესს არა აქვს მნიშვნელობა) ასე შეუსაბამო ურთიერთობები. სოციუმში, როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს, მოგვიწევს ოქროს შუალედის ძიება და შესაბამისად დაცვა, რადგან არნახულმა ტექნიკურმა პროგრესმა მეტწილად ყოფიერებაში მოიტანა სოციალური ცხოვრების წესთა შეცვლა. ტექნიკური საშუალებებით გამოთავისუფლებული დროის ხარჯზე ქალებში მკვეთრად იმატა სოციალური სტატუსის ძიების სურვილმა. ყველაფერ ამას ემატება 15-17 წლიანი მოცულობითი სავალდებულო სწავლების წლები, რომელიც, ბუნებრივია, საჭიროებს აუცილებელ რეალიზაციას და, რაც ყველაზე მთავარია, ამ დროს ტვინი განვითარების ისეთ დონეზეა, რომ „მხოლოდ და მხოლოდ ცოცხის გვერდით“ ქალი ვეღარ მოიაზრება, რადგან მიმდინარე პროცესები შეუქცევადია და ეპოქასთან შეუსაბამო და შეუფერებელი იქნება. ყველაფერ ამასთან შეგუება ძალიან უჭირს ყველა მამაკაცს.

— თინიჯერებს, მათი მშობლების მაგალითზე, იმავე ფსიქო-სოციალურ პრობლემებთან უნვით დაპირისპირება. მოზარდებში მომეტებული აგრესიულობა ხომ არ არის გამოწვეული ყოფიერებაში მამაკაცთა სოციალური ჯგუფის სოციუმში დაბრკოლების, უკან დახვევის გამო?

— სამწუხაროდ, ეს არ არის მხოლოდ ერთადერთი ფაქტორი. დღესდღეობით ქცევითი დარღვევები ძალიან სერიოზული პათოლოგიაა არა მარტო ჩვენთან — უცხოეთშიც. როგორც ბიოლოგმა შემიძლია ვთქვა, კონკრეტული საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია განათების პრობლემებთან, რომელიც უმნიშვნელოვანესი სტრეს-ფაქტორია ფსიქისათვის. ჩვენგან განსხვავებით უცხოეთში ჭარბ აგრესიას ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება იწვევს, რაც მკვეთრად აისახება მომდევნო თაობებზე, რომლებიც იბადებიან არაჯანსაღი ქცევითი დარღვევებით. საზღვარგარეთ სპეციალური სკოლებიც კი არსებობს ასეთი ბავშვებისათვის, იმიტომ კი არა, რომ ისინი ფსიქიკურად განუვითარებლები არიან, უბრალოდ, ასეთ ბავშვებთან ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული ცოდნისა და განსხვავებული მიდგომის პედაგოგებს.

რაც შეეხება ჩვენთან არსებულ მდგომარეობას, მობარდს, სტუდენტს აშკარად აქვს გამოხატული ელემენტარული ქცევითი დარღვევები — ვერ ჩერდებიან, ვერ სხდებიან. აღარაა საუბარი იმაზე, რომ აგრესიულები არიან. სტუდენტებს ვეუბნები: თქვენი საქციელი ჩემთვის გასაგებია, მაგრამ მიუღებელი. გასაგებია იმიტომ, რომ ეს თაობა არის სიბნელეში დაბადებული და გაზრდილი თაობა. თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ რა სტრეს-ფაქტორია, მით უფრო მობარდი ორგანიზმისათვის, განათებასთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, როდესაც მივფრინავთ სხვა კონტინენტზე, რატომ ვერ ვიძინებთ? ამ დროისათვის სხვა კონტინენტი სიფხიზლის ფაზაშია, განათებულია, ხოლო ჩვენში გამოუმუშავებულია ძილის ჰორმონი, რის საფუძველზეც გვერღვევა ძილ-ღვიძილის ციკლი. მგზავრობით გამოწვეული ძილ-ღვიძილის ციკლის დარღვევა ჩვენში დისკომფორტს იწვევს და არა სტრესს, რადგან სხვა კონტინენტზე მგზავრობა ჩვენს ყოველდღიურ წესს არ შეადგენს. წარმო-


იდგინეთ, ორგანიზმში 300-მდე სასიცოცხლო პროცესი გარკვეული რიტმით მიმდინარეობს, ეს რიტმი დაკავშირებულია გარემო ფაქტორებთან, კერძოდ, ერთ-ერთი სწორედ განათების ფაქტორი გახლავთ. სინათლის ფაქტორი განსაზღვრავს ბიოლოგიურ პროცესთა რიტმულობას. ზემოთ ნახსენები ძილ-ღვიძილის ციკლი სწორედ სინათლის ფაქტორით რეგულირდება. ჩვენი სასიცოცხლო სამასამდე პროცესი გარკვეულ რიტმშია, რომელიც სინქრონულად მიმდინარეობს. როდესაც ადამიანი ბუნებრივად იმყოფება სინათლის ფაქტორის ზეგავლენით სიფხიზლის რიტმულ ფაზაში და ამ დროს გამოუთიშავენ სინათლეს (სიბნელის ფაზაში გადასვლისას და პირუტყუც), ორგანიზმში პროცესთა რიტმულობა იცვლება, შესაბამისად, ირღვევა სასიცოცხლო პროცესების მიმდინარეობაც. როდესაც ადამიანი აქტიურ ფაზაზე გადასული და აქტიურად ფუნქციონირებს, ზუსტად ამ დროს ხელოვნურად გადაგყავთ ორგანიზმში მიმდინარე 300-მდე პროცესი პასიურობისკენ, ანუ ძილის ფაზისაკენ.

ქართველ საზოგადოებას კარგად ახსოვს პერიოდი, როდესაც დაახლოებით ღამის 24-01 საათზე უცებ მოგვანვდიდნენ დენს. ეს მდგომარეობა მიმდინარეობდა პერმანენტულად, წლების მანძილზე. როგორც ბიოლოგმა, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ განვითარებდა ორგანიზმისათვის ეს იყო სერიოზული სტრესი. რიტმულობის აღმოცენება იწყება ცენტრალური ნერვული სისტემიდან, კერძოდ ჰიპოთალამუსიდან. ცნობილია, რომ არსებობს სიფხიზლის ჰორმონი — კორტიზოლი (რომელსაც ტვინი დილის ექვსი საათისკენ გამოიმუშავებს, რის გამოც გვეღვიძება) და ძილის ჰორმონი — მელატონინი (რომელის სეკრეტი ღამის 22 საათისთვის გამოიყოფა) და რომელსაც თავის ტვინის გამოიმუშავებით გადაეყავართ ძილის ფაზაში. როდესაც ადამიანს, ძილ-ღვიძილის ციკლი წლობით განუწყვეტლივ ერღვევა, სრულფასოვან ჯანმრთელობაზე საუბარი თითქმის გამორიცხებულია. ამიტომაც მესმის ამ თაობის. არ შეიძლება, რომ ამ თაობას საცხოვრებელი ჯანსაღი ფსიქიკა ჰქონდეს, რადგან სიბნელეში დაბადებული და გაზრდილი თაობაა. მოზარდი დღემდე, შინ თუ გარეთ, გნებავთ ტელე-ეკრანებიდან, გასართობი ცენტრების საშუალებით იზრდება განსაკუთრებული სისასტიკის თამამებზე. მაგალითად, კომპიუტერებთან საათობით ურტყამს თითს კლავიატურას, ანუ გამაღიზიანებელს (რადგან კლავიატურა გაღიზიანებადობაა), თან გაშტერებით უყურებს ეკრანს და მიზანმიმართულია — ვილაცას თავი აუფეთქოს, თავი მოკვეთოს ან გალახოს. მოზარდები იზრდებიან ძალადობის სრული დემონსტრირების ქვეშ. ისინი თამამ-თამამში ხდებიან ძალადობის მონაწილენი. თუ კი შესაძლებელია გასართობი საშუალებებით მოზარდმა გაითავისოს ძალადობა, მაშინ რატომაც გასაკვირი, რომ 14-15 წლის „თინეიჯერი“ ადვილად გაიმეტებს თანატოლს და დაახლის არაერთ ტყვიას. ამ სავალალო მდგომარეობას ისიც უწყობს ხელს, რომ ჩვენი თაობისაგან განსხვავებით, შვილების თაობას არა აქვს ნათელი მომავლის რწმენა. ამიტომ არიან სულსწრაფნი, უნდათ ყველაფერი მაინცდამაინც დღეს, უკლებლივ და ამის მისაღწევად ამართლებენ ყველანაირ ხერხს, რის გამოც უასამადებთ აგრესიულობა.

— ქართული მწერლობა და მეცნიერება, მთელი მისი არსებობის მანძილზე, ემსახურებოდა ქართველ

ხალხის სულიერი ენერჯის გამოვლენას. XXI ს-ის დასაწყისიდან ვულგარიზმები, ყოფით დამოკიდებულებათა გარდა, სამწუხაროდ, შეეხო მარადიულ ღირებულებებსაც — ადვილი შესამჩნევია პედაგოგიურ, გამომსახველობით, თუ სიტყვიერ ხელოვნებაში მიმდინარეობს უხამსობათა დაკანონების მცდელობა. ფაქტია, სკაპრეზმა მოიცვა ხელოვნების თითქმის ყველა სფერო. თქვენი აზრით, რას ემსახურება სიტყვიერ ხელოვნებაში ვულგარიზმების გაჩვეულებრივება?

— ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ალბათ ურიგო არ იქნება უპირველესად გავიხსენოთ, საერთოდ რა არის ვულგარიზმი. ფრანგულიდან ვულგარისმე (ლათ. ვულგარის — ხალხური) არის ტერმინი, ხალხურ ან სასაუბრო მეტყველებაში გამოყენებული ისეთი სიტყვებისა და გამოხატვებისა აღსანიშნავად, რომლებიც სტილისტური კანონის თანახმად არ არის ნებადართული ლიტერატურულ ენაში. ვულგარული სიტყვის ან გამოხატვამის ლიტერატურულ ენაში გამოყენების პრობლემას საკმაოდ დიდხნის ისტორია აქვს. მჭიდრო კავშირია დადგენილი სწავლებას ვულგარიზმის შესახებ და მეტყველების სტილის შესახებ სწავლებას შორის. ჯერ კიდევ შუასაუკუნეთა საფრანგეთში პოეზიაში შემოტანილი იქნა, მაგალითად, სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები. რიგ შემთხვევებში ეს შეჭიდული იყო ენის სოციალურ-დიალექტიკურ დანაწევრებასთან, კლასობრივ დიფერენცირებასა და თვითშეგნებასთან. ასე მაგალითად, მე-18 საუკუნეში რუსი თავადი მწერლისთვის სიტყვა “პარენ” ასოცირდებოდა მიუღებელთან და იყო ვულგარული. ასეთი მაგალითი ბევრია და ხდებოდა სხვადასხვა ეპოქაში. ჩვეულებრივ ეს დაკავშირებული იყო ლიტერატურაში ახალი საზოგადოებრივი ჯგუფების ნამონეგასთან. ვფიქრობ, იგივე ხდება ჩვენს დროშიც. კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით ეს უფრო სწრაფად ვრცელდება და ძალიან ძნელია მისი თავიდან აცილება. განსაკუთრებით რთულია ეს მოზარდ თაობასთან მიმართებით. მოზარდი ისმენს ვულგარულ გამოხატვამებს თითქმის ყველგან და, სამწუხაროდ, ხშირად ოჯახშიც. ტელევიზიით ისმენს ე.წ. “პოპულარული ადამიანებისგან” და მისთვისაც მისაღები ხდება. ასე მაგალითად, გასართობი გადაცემა, რომელშიც მონაწილე პირები თავიანთ ემოციებს (როგორც დადებითს, ასევე უარყოფითს) გამოხატავენ კვილით, უჯერი სიცილით და სრულიად შეუფერებელი მოძრაობებით. ჩვენს ეპოქაში კიდევ ერთ ფაქტორი შეიძლება ჩაითვალოს ვულგარიზმის დამკვიდრების მიზეზად. ეს არის ე. წ. ქცევითი დარღვევები, რომელიც განსაკუთრებით ძლიერად გამოვლინდა უკანასკნელ 20 წელიწადში. ამჟამად ამ თაობის გარკვეული ნაწილისთვის შეინიშნება, მაგალითად, ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილი. ასეთი ადამიანები ცდილობენ სხვადასხვა ხერხით მიიქციონ ყურადღება და ერთ-ერთი არის ვულგარული გამოხატვების გამოყენება, ვულგარული ქცევა და სხვა. ვფიქრობ, საკმაოდ ძნელია დღეს ამ პროცესის შეჩერება. ჭეშმარიტება ისაა, რომ უხამსობის დამკვიდრება ყოველთვის მიუღებელი იყო, არის და იქნება.



ესაუბრა
თამთა ცაცაძე

ეკა ბუჯიაშვილი

ბოლო ათწლეულის არქიტექტურა საქართველოში

(ვახტანგ ღვინძიას საჯარო ლექცია)

ამ რამდენიმე ხნის წინათ **როსტომ ჩხეიძე** სატელევიზიო გამოსვლისას თანამედროვეობის თვალსაჩინო მწერლის აინ რენდის რომანი „პირველწყარო“ რომ მიმოიხილა — არქიტექტურის თემაზე შექმნილი თხზულება — მსჯელობაში შემოიტანა ლიტერატურის კლასიკოსის ვიქტორ ჰიუგოს რომანიც „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, უფრო სწორად, ერთი თავი ამ რომანიდან, რომელიც ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს არქიტექტურაზე.

აინ რენდის „პირველწყაროც“ და ვიქტორ ჰიუგოს რომანიც როსტომ ჩხეიძემ აურხა „ჩვენი მწერლობის“ სალონში გაიხსენა, სადაც **ვახტანგ ღვინძია** ნაიკითხა ლექცია თემაზე „ვარდების რევოლუციის არქიტექტურა“.

— ბატონი ვახტანგი ის ადამიანია, რომელმაც კარგად იცის ლიტერატურაც, არქიტექტურის ისტორიაც და ამიტომაცაა, რომ თვითონაც ასე საინტერესოდ წერს. მკითხველი იცნობს მის არაერთ ნიგნასა და წერილს, მათ შორის გაზეთ „გალაკტიონში“ გამოქვეყნებული სტატია ბოლო ათწლეულის არქიტექტურულ ყოფაზე. იგი მაშინვე ახერხებდა, დაპირისპირებოდა იმას, რაც არ მოსწონდა. იცოდა, რომ მისი მოსაზრებანი იმთავითვე განწირული იყო და არავინ გაითვალისწინებდა, მაგრამ მოქალაქეობრივი შეგნებით მაინც ცდილობდა საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას. ალბათ ადრე თუ გვიან წერილების ეს ციკლიც ერთ ნიგნად მოიყრის თავს, მანამდე კი ბატონი ვახტანგი შეკრებილებს მისთვის ჩვეულ ობიექტურ, პროფესიულ ანალიზს შესთავაზებს ვარდების რევოლუციის შემდგომ არქიტექტურულ ყოფაზე.

შეკრებას საინტერესო დისკუსიაც მოჰყვება არქიტექტორებსა და დარბაზს შორის. **გიგა ბათიაშვილისა და შოთა ბოსტანაშვილის** გამოსვლები კი, თავისი მასშტაბურობით, თანამოხსენებლად იქცევა ვახტანგ ღვინძიას ლექციისა და, საბოლოოდ, შეხვედრა გარდაისახება სამი არქიტექტორის — არქიტექტორთა საერთაშორისო აკადემიის სამი ქართველი წევრის — მნიშვნელოვან შეფასებად ბოლოდროინდელი არქიტექტურული ყოფისა, რომლის შრეებსაც ისინი სხვადასხვა რაკურსიდან გახსნიან.

ბატონმა ვახტანგმა მიმოიხილა არქიტექტორების: **მიკვლე დე ლუკის, იურგენ მეიერისა და მაქსიმილიანო ფუქსასის** მიერ დაპროექტებული შენობები, ამ ბოლო წლებში რომ აშენდა საქართველოში, ასევე **ა.დ. კაბოს, კ. ლაზაროსა და ს. კასტელანოს** გახმაურებული პროექტები, მათ შორის ქვეყნის უპირველესი ობიექტი, საქართველოს პარლამენტის შენობა.

მიკვლე დე ლუკის ობიექტები თბილისში: შინაგან საქმეთა სამინისტრო აეროპორტის გზატკეცილზე, „მშვიდობის ხიდი“ მტკვარზე და კაზინო „მანგრილა“ სანაპიროზე, სასტუმრო „რადისონ ბლუ“, შავი ზღვის უნივერსიტეტი და იუსტიციის სახლები ბათუმსა და მარნეულში, პრეზიდენტის სასახლე თბილისში... თუმცა, ბატონი ვახტანგის თქმით, გაუგებარია, რატომ მიაწერენ მას პრეზიდენტის სასახლის ავტორობას, როდესაც ყველამ იცის, რომ გიგა ბათიაშვილმა მეფის რუსეთის საპოლიციო „ყაზარმა“ ჯერ „ალმოაჩინა“, შემდეგ შექმნა პროექტი და ეს ყაზარმა აამალა პრეზიდენტის სასახლედ“, მერე კი იგი მშენებლობის პროცესში უტაქტოდ ჩამოაშორეს ობიექტს.

ბატონი ვახტანგი მიიჩნევს, რომ მიკვლე დე ლუკის ნაგებობათა უმეტესობა არაკონტექსტურია და არ შეესაბამება გარემოს, სადაც დგას. მაგალითად, „მშვიდობის ხიდი“, მიუხედავად იმისა, რომ მისი გადახურვა მინისაა, იკითხება როგორც ყრუ მასა, რომელმაც გადაფარა და გადაჭრა ულამაზესი ხედები ისტორიულ თბილისზე. კაზინო „მანგრილა“ ნიმუშია იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრი და „ძეგლთა დაცვის“ საკითხები საქართველოში უარყოფილია, რადგან ნაგებობა დგას საპატრიარქოსთან, რაც მკრეხელობაა. ამასთანავე, არ არის გათვალისწინებული ისტორიული გარემო და არქიტექტურა. ვარდების რევოლუციის არქიტექტურას კიდევ ერთი გამორჩეული სახე ჰყავს — **იურგენ მეიერი**, ვისი პროექტებითაც აშენდა აეროპორტი, იუსტიციისა და პოლიციის სახლები მესტიაში, საბაჟო ტერმინალი სარფში, ვისოლისა და სოკარის მულტიფუნქციური ცენტრები ავტობანზე, გორის ჩასასვლელთან...

— ავანგარდისტი იურგენ მეიერი თავისი არქიტექტურით ისეთ უნიკალურ გარემოშიც შეიჭრა, როგორიცაა სვანეთი, რომელიც ერთი მთლიანი ქალაქგემარებითი ძეგლია, ისტორიული კომპლექსის სისტემით, და ის, რაც მეიერმა მესტიაში ჩაიდინა, სრული უპატივცემულობაა ჩვენი ეროვნული ტრადიციებისა.

მას წარმოდგენა არ აქვს ისეთ ცნებებზე, როგორიცაა კონტექსტი, არსებულისადმი პატივისცემა, რევერანსი, რაც დეკლარირებული და მოთხოვნილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ყველა საერთაშორისო დოკუმენტით. მეტიც: მესტიაში რეალიზებული ობიექტების ესთეტიკური ორიენტაცია, არქიტექტურული თემა მოპარულია იაპონელი და დანიელი არქიტექტორების — **ტოიო იტოსა და ბჯარკე ინგელისაგან**.

ბატონი ვახტანგის დასკვნით, იურგენ მეიერის არქიტექტურული საქმიანობა საქართველოში უნდა შეფასდეს უკიდურესად უარყოფითად, ქართული კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფად, დანაშაულად... და ამ დანაშაულში ლომის წილი უძველეს კულტურის სამინისტროსა და ძეგლთა დაცვის სამმართველოს.

ლუკისა და მეიერზე არანაკლები ნდობა მოიპოვეს ესპანელმა არქიტექტორებმა: **ა.დ. კაბომ, კ. ლაზარომ და ს. კასტელანომ**, რომელთაც პრეზიდენტმა ქვეყნის უპირველესი ობიექტის — პარლამენტის შენობის — დაპროექტება ანდო.

ბატონი ვახტანგი ამ პროექტს ასე აფასებს: — ის ფორმა-ნიშანთა სემანტიკით თავდაცვითია. კუს ალგორითა. პასიური, უკარება, უხასიათო, უჟმური, დეპრესიული, საიდუმლოებით მოცული.

ტიპოლოგიურად სპორტული ნაგებობაა. ზეიმურობის, დემოკრატიულობის, სიძლიერისა და სიამაყის არავითარი ნიშანწყალი არ გააჩნია. ესაა შენობა არქიტექტურულ-მხატვრული რეჟისურის გარეშე. მთავარი, სხდომათა დარბაზის ინტერიერი, უინტერესო და მოსაწყენია. ისევე როგორც მთლიანად შენობას, ინტერიერებსაც დაქვეითებული აქვს ემოციური მუხტი. სხდომათა, სათათბირო და საკონფერენციო დარბაზები შემანუხებლად რაციონალისტური და გაძარცვულია.

პარლამენტის შენობა უნდა იყოს ზეიმური, ოპტიმისტური და მკაფიო იდეის მატარებელი. უნდა ჰქონდეს სახელმწიფო რიტუალთა ჩატარების შესაძლებლობა. განსხვავებით „ძველი“ პარლამენტის შენობისგან, კაბო-კასტელანო-ლაზაროს „ხუფი“ ამის საშუალებას არ იძლევა.

კიდევ ერთი უცხოელი არქიტექტორი, რომელიც „შემოსულია“ საქართველოში, არის იტალიელი **მაქსიმილიანო ფუქსასი**, ვისთანაც არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ქართველ წევრებს გარკვეული ნაცნობობა და პროფესიულ-კოლეგიალური ურთიერთობებიც აკავშირებთ.

ბატონი ვახტანგის თქმით, ფუქსასი საერთაშორისო კლასის არქიტექტორია და მისი მოღვაწეობა ყველა ქვეყნისათვის სასურველია.

ფუქსასის პირველი პროექტი საქართველოში იყო მაღლივი შენობა მეტრო „დელისთან“. მიუხედავად იმისა, რომ ნერტილოვანი მაღლივი შენობები მაინცდამაინც დიდ გასაქანს არ იძლევიან, სივრცობრივი ვარიაციების მხრივ ფუქსასის „კომპის“ პროექტი მაინც სახიერია.

ფორმით, სივრცობრივად ექსტრაორდინარულია იუსტიციის სახლი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. მას აქვს ემოციური, ინტერესის აღმძვრელი მუხტი. აქტიურია, რაციონალურად ქალური, მსუბუქი, კეკელუცი, ქართულად ხელგამოწილი და „სტუმართმოყვარე“. თუმცა იუსტიციის სახლის არქიტექტურული სახის უმთავრესი და განმსაზღვრელი თემაა სოკოსებრი სახურავები, ბერეტები, რომლებიც პირდაპირ ასოციაციებს იწვევს გამოჩენილი ფრანგი არქიტექტორის ჟან ნუველის პროექტთან — კატარის ეროვნულ მუზეუმთან.

— ზოგიერთის აზრით, ფუქსასის იუსტიციის სახლი გარემოსთან მიმართებით არამასშტაბური, არაკონტექსტური უცხო სხეულია. ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ. ყოველივე ახალი ახალ მხატვრულ ნესრიგსა და ახალ ურბანულ იერარქიას ამყარებს. გაცილებით პრობლემურია მისი საგამოფენო-სამაყურებლო დარბაზები რიყზე, რომელთა ფორმები თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ისინი ისეთივე კონფლიქტურია გარემოსთან, როგორც „მშვიდობის“ ხიდი და „მანგრილა“.

ბატონმა ვახტანგმა ქართველ არქიტექტორთა შენობებზეც მიმოიხილა სახლი გარემოსთან — და აღნიშნა, რომ „ავტორებმა კარგად იციან თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციები, არათუ იციან, არამედ ერთგულებენ მათ. წარმატებულია მინის მოცულობათა „თამაში“ მთავარ ფასადზე, მეტყველია სივრცეები, უაღრესად საინტერესო სივრცული კოლიზიებია ინტერიერში, თუმცა იქაც სიცივე მეფობს. ამ შემთხვევაში არქიტექტურა არათუ არბილებს პროკურატურის შენობის შიშისა და ძრწოლის განცდას, არამედ ყოველმხრივ — განსაკუთრებით მინის შავი ფერით — ამძაფრებს მას.

ასეთი კრიტიკული მუხტის გამო შეიძლება მკითხველს დარჩეს კობაქედილება, რომ წინააღმდეგი ვარ საქართველოში უცხოელ არქიტექტორთა მოღვაწეობისა. არავითარ შემთხვევაში! ეს იქნებოდა დინების სანინააღმდეგოდ ცურვა, ის-

ტორიის უცოდინრობა და იგნორირება. მე წინააღმდეგი ვარ უცხოელებისთვის „უპირატესი ხელშეწყობისა“, მათი დაყენებისა ქართველ არქიტექტორებზე წინ, მათი შემოთავაზებების ბრმად, უკონტროლოდ, საზოგადოებრივი და პროფესიული აზრის გაუთვალისწინებლად მიღებისა, უცხოელი არქიტექტორების სტიქიურად შერჩევისა. წინააღმდეგი ვარ არქიტექტორისა — უცხოელის, ქართველის — რომელიც უპატივცემულობას იჩენს ქვეყნის კულტურისა და ისტორიის მიმართ.

ბატონი ვახტანგი ვარდების რევოლუციის შემდგომ საქართველოში ორ არქიტექტურულ ტენდენციას გამოარჩევს: ინტერნაციონალურ-გლობალისტური მინის არქიტექტურა — შუშიზმი და ისტორიზმი, თუმცა, მისი თქმით, ამ მოვლენას ისტორიზმი პირობითად შეიძლება ვუნოდოთ. აქ ყველაფერი ერთადაა — ეკლექტიკა, რეტროსპექტივა, რესტავრატორობა, სტილიზაცია, კიჩი. ეკლექტურ-კიჩური ისტორიზმი — დახუჭუჭების ეპიდემია — ჩაისახა ბათუმში, აქედან გავრცელდა საქართველოს სხვა ქალაქებში, თბილისში, ქუთაისში. ვარდების რევოლუციის ბათუმური არქიტექტურა, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლები ცენტრალურ ნაწილში, ამოვარდნილია არქიტექტურის ობიექტური განვითარების პროცესიდან.

ვაჟა ორბელიანის პიაცა განსხვავებული მოვლენაა. ინტიმური სივრცე, სიმყუდროვე, დახვეწილი ფრაგმენტები, კომპი, მანსარდები, კამარები, მცირე ფორმები... ყველაფერი ერთად სულიერ სიმშვიდეს განიჭებს, თუმცა, როცა შეაფასებ ისტორიის, არქიტექტურის, კულტურის კონტექსტში — რომ ეს ყველაფერი იტალიური ალორძინების ხანის — ჩინკვეჩენტოს კუთვნილებაა, მას ეკარგება კულტურული ღირებულება.

— საქართველოში ისტორიზმის ბუმი განამტკიცებს აზრს, რომ ეს ხელისუფლების დაკვეთაა. წარმოდგენილია, არქიტექტორებს თავად შეეყოთ თავი ამ აბსურდში. საქართველო არ არის ქვეყანა, რომლის არქიტექტურა იწყება იურტით და მთავრდება იურტით. საქართველოს არ სჭირდება ისტორიის ყიდვა, შეძენა, არც ფალსიფიცირება.

ჩვენ ისტორია გვაქვს. და მას მოვლა სჭირდება.

— როცა ვახტანგ დავითაიაზე ვფიქრობ, ყოველთვის რეზო თაბუკაშვილის სიტყვები მახსენდება: „პატრიოტიზმი არ არის პროფესია. პროფესიონალიზმი არის პატრიოტიზმი“.

თუ პროფესიონალი ხარ, მაშინ გულგრილი ვერ იქნები იმის მიმართ, რაც შენს პროფესიაში და, საერთოდ, შენს ქვეყანაში ხდება.

კარგი გახარებს. უარყოფითი გულს გტკენს. კარგს მხარს უჭერ. უარყოფითს უპირისპირდება. პატრიოტიც სწორედ მაშინ ხარ.



ვახტანგ დავითაია

ჩემი პროფესია წერაა და ამიტომ ყველაზე დიდ შთაბეჭდვას ჩემზე ნაწერი ახდენს და არაერთხელ გამომიხატავს ალფრთოვანება ბატონი ვახტანგის ნაწერით, — იტყვის შეხვედრაზე იოსებ ჭუმბურიძე და ამონარიდებს წაიკითხავს ვახტანგ დავითაის წერილებიდან, სადაც ავტორი წარმოგვიდგება როგორც არა მხოლოდ პროფესიონალი არქიტექტორი, მნიშვნელოვან შეფასებებს რომ იძლევა ამ თვალსაზრისით, არამედ ქართული სიტყვის ოსტატიც, პოეტური მეტაფორებითაც რომ აფორმებს თავის სათქმელს.

აი, ორიოდე ამონარიდიც ბატონი ვახტანგის სტატიებიდან: „შენობისგან სიცივის გრივადი ქრის. მას ერის კულტურისა და მენტალიტეტის არავითარი განცდა არა აქვს. უსამშობლოა. არ სუნთქავს. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ატყვია. მინის საერთაშორისო მონყენილობას კიდევ ერთი შენობა შეემატა“ (სასტუმრო „რადისონ ბლუს“ შესახებ).

ან: „ჩამოქცეულ ბაგრატს ყოველი ადამიანი თვითონ ალადგენდა გონებით, ივსებოდა სიამაყით. ის გაცილებით დიდებულიად, აღმატებულად წარმოიდგენდა მას. „ჩამოქცეულს“ მუდმივად ახლდა ჩვენი ტრაგიკული ისტორიის განცდა, ტკივილი, სინანული“.

ძეგლებად გასიმბოლოებული ტრაგიკული ისტორიის ნიმუშად გაიხსენებს გიგა ბათიაშვილი ფაქტს, რომელზეც ააგებს თავის გამოსვლას, გამორჩეულ მუხტს რომ შესძენს შეკრებას და საინტერესო დისკუსიასაც გამოიწვევს:

— დარიალის ხეობაში არის ადგილი, სადაც შეგიძლიათ შეიგრძნოთ კოშკების სიმფონია.

ეს ის კოშკებია, ნიბელუნგებივით რომ წვანან მინაზე, ხეგსურები ქისტურს რომ ეძახიან და ქისტები კი — ხეგსურულს.

როცა ქისტები გაუსახლებიათ, იმისათვის, რომ შექმნილიყო ყალბი შეხედულება, თითქოს მათ მინა, ისტორია და კულტურა არ გააჩნიათ, ეს 25-27-მეტრიანი კოშკები ყველაზე სუსტ ნაწილში აუფეთქებიათ და, წელში გადატეხილები, ძირს განოლილნი რაღაც ფანტასტიკურ სანახაობას ქმნიან.

რამდენიმე კოშკი მაშინ გადატეხვიდა არ გადატყდა, დაიძრა მხოლოდ და გადახრილი დღემდე დგას.

ის კოშკები ისტორიულ ბედუკულმართობას გადაუხრია. ის მათი ხვედრი და ბედისწერაა... მაგრამ...

საიდან გაუჩნდა უცხოელ არქიტექტორს იდეა მესტიის აეროპორტის ასეთი პროექტის შექმნისა, მთელი სვანეთის კულტურული სურათი რომ შეურაცხყო?

ბატონი გიგა ამ ბოლო წლებში არაერთი საინტერესო წერილითაც გამოეხმაურა რამდენიმე არქიტექტურულ პროექტს და აღნიშნა, რომ წამოვიდა თაობა, რომლისთვისაც ორიენტირია ის, რაც მათთვის მიუღებელია, და რომ ნიჭიერი ახალგაზრდებიც კი მისდევენ ამ დინებას, რადგან დღეს ტაშს უკრავენ ახალ ტენდენციას.

შეკრებაზე კი ბატონმა გიგამ თავისი აზრი გადაგვრეხილი კომენტარებით შესახებაც გამოხატა:

— პირველი სატელევიზიო გადაცემების ცნობილი ანძა — შუხოვის ანძის სახელით ცნობილი — უნიკალური კონსტრუქციაა, რომელიც დაგრების პრინციპზე დგას, რომ „მოუშვა“, წაიქცევა, და თავისთავად ქრისტომათიული არქიტექტურული ნიმუშია. თუმცა დაგრება მისი ავტორისათვის თვითმიზანი კი არ ყოფილა, როგორც „ანბანის კოშკის“ შემთხვევაში, არამედ ხორცშესხმა იდეისა — როგორ შეიძლება ბაგირებისგან — და არა ლითონის კარკასისგან — ააგო კოშკი.

თავის დროზე ჩემი წერილი რომ გამოქვეყნდა ამის შესახებ პრესაში, ორი თუ სამი დღის შემდეგ პრეზიდენტი ტექნიკურ უნივერსიტეტში იმყოფებოდა ერთ-ერთი პროექტის წარდგინებაზე. სიუჟეტის გადაღებისას მან ეკრანისკენ მოიხედა და:

— მე მომწონს გადაგრეხილი, გადმოგრეხილი, ნაქცეული შენობებიო, — ასე გამცა პასუხი.

ეს არის ჩვენი პრობლემა სწორედ, ამას არ აღუდევით წინ, არ ვთქვით, რომ ერთი ადამიანის აზრი, მისი მოწონება-არმოწონება გზამკვლევი არ უნდა იყოს მთელი ქვეყნისთვის.

ა.დ. კაბოს „ანბანის კოშკის“ შესახებ, რომელიც ბათუმში დაიდგა, ბატონმა ვახტანგმაც გამოთქვა თავისი აზრი: „ქვეყანაში, სადაც გაუქმდა ენის დამცველი ყველა უწყება, სადაც მძვინვარებს სნობიზმი, ფირნიშებიდან თითქმის განდევნილია ქართული წარწერები და საცაა ინგლისური გამოცხადდება სახელმწიფო ენად, „ანბანის კოშკი“ ცინიზმი და ფარისევლობაა. უხერხულია ილაპარაკო მის მხატვრულ სახეზე. ის ჩვეულებრივი, უინტერესო მიღების სტრუქტურაა, არადა მისი ღირებულება 62 მლნ. ლარია“.

რაც შეეხება მაქსიმელიანო ფუქსასს:

მის შესახებ ბატონი გიგა იზიარებს ვახტანგ დავითაის შეხედულებას, რომ ის მართლაც საერთაშორისო კლასის არქიტექტორია, რომლის შემოქმედებაც ცნობილია კულტურული სამყაროსთვის, თუმცა თბილისის ძველ უბანში დაპროექტებული საკონცერტო დარბაზის ბანერი რომ გამოქვეყნდა, ბატონ გიგას თავისი აზრი მაშინაც გამოუხატავს:

— დავწერე: ეს პროექტი ფუქსასისა არ მგონია-მეთქი.

იყო თუ არა ასე, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ამით უბრალოდ შანსი მივეცი მას, უკან დაეხია, რადგან ეს გარემო, ჩვენი იერუსალიმი, რომელმაც დღემდე მოგვიყვანა, თითოეული ქართველისათვის საკრალურია და შენ აქ გულივერის ბოტები არ უნდა დამიყარო. არქიტექტურულად ეს პროექტი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ყოვლად შეუსაბამოა გარემოსთან, დამთრგუნველიც კი. ამიტომ ამ ყველაფერს სხვანაირი მოფრთხილება და გააზრება სჭირდება.

მანანა გაბაშვილი:

— როგორც ვიცი, საერთაშორისო კანონი არეგულირებს იმას, რომ ჩამოსული არქიტექტორი ვალდებულია, გაეცნოს ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს, კონსულტაციები ჰქონდეს ადგილობრივ კოლეგებთან. თუმცა ახლა კიდევ უფრო მტკივნეულ თემას უნდა შევეხო — ჩინური ქალაქის მშენებლობას, რომელიც, არქიტექტორთა თვალსაზრისით, სრულიად უსახური სივრცეა, ტექნიკურად და ეკონომიკურად კი — დაუსაბუთებელი...

გიგა ბათიაშვილი:

— და ეთნიკურად?

მანანა გაბაშვილი:

— ეთნიკურად მითუმეტეს.

გიგა ბათიაშვილი:

— განა გვაქვს უფლება, ჩავთესოთ მარცვალი, რომელიც მოსპობს ყველაფერს?

მანანა გაბაშვილი:

— არა მხოლოდ ქართულს მოსპობს, მთელ კავკასიას უქმნის საშიშროებას. ცნობილია, რომ ჩინელებმა აფრიკას მოკიდეს ხელი ძალიან სერიოზულად და მთელი ეკონომიკური, ეთნიკური თუ სხვა სახის ექსპანსია მიმდინარეობს იქ. კავკასია, როგორც ჩანს, ამ რიგში დგას. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამაზე ხმა არქიტექტორებმა უნდა ამოიღოთ?

გიგა ბათიაშვილი:

— ბატონმა ვახტანგმა საუბარში ახსენა გენგემა. ეს არის მშენებლობის კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებს მშენებლობასთან დაკავშირებულ ყველანაირ საკითხს: პოლიტიკურსაც, ურბანულსაც, ეკოლოგიურსაც... და ჩვენ ეს გენგემა არ გავგაჩნია. ასეთი შედეგებიც ამის ბრალია.

ფაქტობრივად, პროექტი არც კი განიხილება. თუ ის „ქოლგის ქვეშაა“, პირდაპირ ხორციელდება. ამასთანავე, არ არსებობს არანაირი ექსპერტიზა, საზოგადოება კი გაჩემე-

ბულია — აი, ყველა კომპონენტი, რომლებიც ხელს უწყობს ამ ტენდენციის მოძალდებას.

ამას წინათ მომანოდეს კულტურული მემკვიდრეობის კანონი, რომელშიც კორექტივებია შეტანილი. ეს არის 2012 წლის აპრილში დამტკიცებული შესწორება ერთ-ერთ მუხლში.

შესწორების მიხედვით, რომელიც, ცხადია, შეტანილია კულტურის სამინისტროსა და ძეგლთა დაცვის სამმართველოს ინიციატივით, თურმე ნებადართულია ძეგლის ინტერპრეტაცია, ასევე, მისი მოცულობის გაზრდა ან შემცირება, თუ ეს უარყოფითად არ იმოქმედებს გარემოზე.

რა თქმა უნდა, ეს შესწორება კანონში ჩვენამდე არ მოსულა, მაგრამ თუნდაც მოსულიყო, არა მგონია, რომ რამის მიღწევა მოგვეხერხებინა, ისევე და ისევე იმის გამო, რომ ვუჩუმიდებით ამ ყველაფერს...

იოსებ ჭუმბურიძე:

— მაგრამ თქვენ, ბატონ ვახტანგსა და რამდენიმე ადამიანს ხომ არ გეხებათ ეს?

გიგა ბათიაშვილი:

— ამ თვალსაზრისით, მშვიდად მძინავს. ჩემს შვილებთან, შვილიშვილებთან და მომავალ თაობასთან მართალი ვარ, რადგან რაც სათქმელი იყო, ყოველთვის ვამბობდი. მანუხებს ის, რომ ეს საყოველთაო ხმა არ გახლდათ. ასე რომ ყოფილიყო, დღეს სხვა შედეგები გვექნებოდა. დიდი იმედი მაქვს, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი თავის ადგილას დადგება და... დაიდგება. ვეთანხმები ბატონ ვახტანგს, რომ „მშვიდობის ხილს“ ადრე თუ გვიან დაშლიან და დადგამენ ხმელეთზე, ყოველგვარი ფუნქციის გარეშე, როგორც აბსურდის ძეგლს.

რეპლიკა დარბაზიდან:

— ჩინურ ქალაქს რა ეშველება? მაინც აშენდება?

გიგა ბათიაშვილი:

— აშენდება, რა თქმა უნდა, აბა, თქვენ რომ იტყვიან და მე რომ ვიტყვი, ეს შეუშლით ხელს?

საქმე ის არის, რომ გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, გვინდა თუ არ გვინდა, სატრანზიტო ქვეყნად ვიქცეით და ტრანზიტო მხოლოდ ნავთობსადენის მიღს არ გულისხმობს, ეს არის ინტელექტუალური, კულტურული, ფინანსური თუ სხვა სახის ტრანზიტო — თბილისის გავლით. გვინდა თუ არ გვინდა, დედაქალაქში შეიქმნება ე.წ. სიტი ანუ საქმიანი უბანი. ცენტრალურ ნაწილში ეს ვერ მოხერხდება, რადგანაც მასშტაბური ჩარევა ამ უბნებში დაუშვებელია. ამიტომ ერთ-ერთ (თუ ერთადერთ) პერსპექტიულ ადგილად ამ თვალსაზრისით დასახელდა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია, საჯეირნოს რომ ეძახიან. მომავალში ამ ზონაში გაჩენილ სიტის ჩაყლაპავს ჩინური დასახლება და...

მანანა გაბაშვილი:

— სინგაპურიზაცია მოხდება?

გიგა ბათიაშვილი:

— დიახ, სწორედ ასე... და თითოეული ჩვენგანი უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ რა მექანიზმის შექმნაა შესაძლებელი, რომ ადვკვეთით ასეთი გაუაზრებელი პროექტები, რომლებიც მზადდება განსახორციელებლად.

თემურ ნადარეიშვილი:

— ჯერ კიდევ ჰეგელი წერდა: ყვითელი რასისა გემინოდეთო.

და, მგონი, დაიწყო ეს პროცესები, საბედისწეროდ რომ ექცევა კაცობრიობას.

— „ვარდების რევოლუციის“ არქიტექტურა განსჯის საგანი გახდა. არის თუ არა ეს ფაქტი იმ ფსევდო თუ კვაზიმოდერნიზმის დასასრულის აქტი, რომელიც მან დაამკვიდრა? — იკითხავს შოთა ბოსტანაშვილი და თავის ჩვეული სტილით — არქიტექტურული პოეზიითა თუ პოეტური არქიტექ-

ტურით — შეზავებულ გამოსვლას ასე ორიგინალურად ააგებს და შეკრავს კიდევ საღამოს:

— არქიტექტორებმა არამარტო სამუშაო, სიტყვაც დაეკარგეთ. აქაც „ჩვენმა მწერლობამ“ მოგვცა დღეს ადგილი — სიტყვა, დაკარგული ტრიბუნა დაგვიბრუნა.

ჯერ კიდევ „ვარდებამდე“ კულტურის სივრცეიდან გავარდნილი არქიტექტურა რევოლუციამ ბიზნესში გააპარა და გაიპიარა. ეს კი მთავარი ამბავია. ავია ქართველ არქიტექტორთა დამსჯელი?

ჯერ ის ვთქვათ, რომ სასჯელი არ იწვევს გაკვირვებას, ის დაკვირვების საგანი უფროა. შორს რომ არ წავიდეთ, ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ, არც მეტი და არც ნაკლები, მტკვრის კალაპოტი იყიდებოდა „არქიტექტურაში“ (ასე სხარტად მოიხსენიებდნენ მერიის არქიტექტურის სამსახურს). მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა (დახლიცა და დახლიდარიც), მაგრამ არ დარღვეულა თავად არქიტექტორთა სიჩუმე, გულგრილობა თუ ინდიფერენტულობა. დიახ, ამ მიმართებით, ერთი ავტორის პუბლიკაციების გარდა, პროტესტი არ მახსოვს არც არქიტექტორთა კავშირისგან, არც ძველგაზრდა თუ ახალგაზრდა დოქტორებისგან, ასე რომ მრავალდებიან. დღესაც იმავე ავტორის მოხსენება მოვისმინეთ. ეს არის არქიტექტურის ხელყოფის იმ ცოცხალი ისტორიის ბოლო აქტია, რომელიც ვახტანგ დავითიანი წლების მანძილზე დრამატულ მოვლენათა ცხელ კვალზე მოიხელთა, აკინძა და სიტყვად აქცია.

მართალია, სიტყვასაც დაეკარგა ფასი, ასი შემთხვევიდან ასივე ხელისუფლების სიტყვაზე შენდება. ისე კი, სეტყვა უფრო ეთქმის ვაკეში (და სხვაგანაც) უადგილოდ თავმოყრილ მაღლივ კორპუსებს. მხატვრულ ხარისხზე აღარ ვლაპარაკობ. არ ვამეტებ, არ მაქვს ქება; რაც დღეს ასე გვემუქება, ხვალ იგივე გვემუქება — სახლები იზრდებიან, ხელმოწევა ქრება (იზრდებიან სახლებიც, დახლებიც და ახლებიც). მშენებლობის ბუმი არ არის არქიტექტურის პირდაპირი მოკავშირე. ამ საქმეს სწორი მართვა უნდა (მათ შორის კონკურსები შემოქმედებითი ამოცანებით). ადრეც დავწერე „მშენებლობის ბუმი — არქიტექტურა უშია“. კი, არქიტექტურის „მოსახარშად“ და შესაკმაზად „უცხო სუნელიც“ — უცხოელების მონაწილეობა გვჭირდება, და მე თუ მკითხავთ, უფრო ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სფეროში, და არა მხოლოდ გამზადებული „დელიკატესების“ შემოტანა მათი „სადიზაინო სუპერმარკეტებიდან“.

ახლა რამდენიმე თემა, რომელსაც მინდა შევეხო: პირველ რიგში ეს გახლავთ შუშის არქიტექტურისადმი უსაზღვრო პიეტეტი, პიეტეტიობაში რომ გადადის ზოგჯერ. აი, რას წერს თანამედროვე ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ბოდრიარი (2007 წელს გარდაიცვალა) თავის წიგნში „საგანთა სისტემა“: „განვითარებადი ქვეყნები ინდუსტრიული საზოგადოების ტექნიკური ნიშნებისკენ ისწრაფიან“. ეს ტექნიკური ნიშნები ჩვენს ხუროთმოძღვრულ ბაზარზე გამჭვირვალობის იდეოლოგიურ ნიშნებად იყიდებიან ეჭვის გარეშე, ანუ „ბაზარი არ არი“. აი, ეს არის მეტაფიზიკური დისკურსი. აქ იმანენტურს ტრანსცენდენტური ფარავს, ითავსებს და ითვისებს. გარდა ამისა, შუშა, როგორც მედიალური ნიშანი, გასული საუკუნის პირველი ნახევრის სასწაულია (ნიშანი — ქართულად სასწაულს ნიშნავს. საბა). მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა და ხდება, ასე რომ, შუშა-ნიშანი პოსტინდუსტრიულ ინფორმაციულ საზოგადოებაში ვეღარ გამოხატავს თანამედროვეობას — მეტაფორული იდენტობა დარღვეულია. შუშას კიდევ რაღაც სხვა ინტრიგა უნდა, სხვა დონორი-მეტაფორა სჭირდება დამატებით, მაგალითად, „ქოლგები“ („იუსტიციის სახლი“ თბილისში). სხვა მხრივ, შუშა პასუხობს სახელისუფლებო ინტენციას „პირველად საქართველოში“. მითსა და ინტერპრეტაციებს პირველსაწყისის შესახებ აქ აღარ ჩავყვებით.

მეორე საკითხი გახლავთ „მეხსიერების ადგილები“. ასე უწოდებს ეროვნული ცნობიერებისთვის მნიშვნელოვან კვან-

ძებს ფრანგი კულტუროლოგი პიერ ნორა. „ყოველი ახალი პოლიტიკური იდეოლოგია არქიტექტურასა და კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილებს, მათთან დაკავშირებულ მეხსიერებას უმართავს ბრძოლას“ — იმავე პრობლემას ეხმანება სოციოლოგი, პროფესორი ემზარ ჯგერენაია. ამ გარდაუვალობით, ყოველ ეპოქაში რაღაც იკარგება. ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებულ დანაკარგთა რიცხვს მიეკუთვნება მთანმინდის ხედის გადაფარვა რუსთაველის პროსპექტიდან (ქაშუეთიდან, სამხატვრო გალერეიდან) პირველი საშუალო სკოლის უკან აღმართული შენობით. აქ გადაფარვა ნაშლის, ნგრევის ტოლფასია. პირდაპირი ნგრევის მაგალითია ჩემი „პოეზიის სასახლე“ სოლოლაკში. გორი-სტალინი ნეგატიური მეხსიერების ადგილის მასშტაბური მაგალითია — მეგალითია. მისი გადაადგილება ყველაზე ცნობადი ნიშნის დამალვას ნიშნავს. ვიცი, საკამათო აზრია, მაგრამ ასეთ აზრსაც აქვს არსებობის უფლება. მაგალითების გაგრძელება, რა თქმა უნდა, შეიძლება: „დავით აღმაშენებელი“, „ქუთაისის თალი“ და სხვა.

მეხსიერების ადგილის დავინწყება სახლის დავინწყებაა. ამ პრობლემის პარადიგმად გამოდგება ადრეული სიმღერის ტექსტი: „Мой адрес не дом и не улица, мой адрес Советский Союз“. გლობალიზაციამ ჩვენი მისამართები კიდევ უფრო გააფართოვა — ოკეანეთა მიღმა გააბნია.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც შეიძლება ვუნდოდთ აღმოსავლურ-დასავლურ წერილობათა ქიშპი (წერილობა — ნაწერი — წერილი — რუსულად ПИСЬМО ფრანგულიდან მოდის — l'écriture): მის ხუროთმოძღვრულ მაგალითად აღმოსავლური ქალაქების — მათ შორის ძველი თბილისის — ქუჩაბანდები და, მეორე მხრივ, თანამედროვე ქალაქების ავენიუ-სტორიები გამოდგება. აქვე მოვიხმთ ლე კორბუზიეს გამონათქვამი: „მრუდაზოვანი (კლაკნილი) გზა ვირების გზაა“, და შევაფასოთ, როგორც გამოცხადებული ქიშპი აღმოსავლურ წერილობათან. პარადოქსია, მაგრამ რონშანის კაპელა, რითაც კორბუზიე მნიშვნელობს, მის თეორიაში ეჭვს ბადებს. პრაქტიკასა და თეორიას შორის გაჩენილი ბზარიდან კრეატიულობა იბადება (ეს ცალკე თემაა). ამ პრობლემებით კახა კაციაძე იყო დაინტერესებული და მიაჩნდა, რომ აღმოსავლური — ფიქრის სივრცეა, დასავლური — მოქმედების. წერილობათა დიალოგი ენტროპიულობა და დიალოგის კულტურაა.

დასავლური დისკურსი ეროვნულობას აღმოსავლურ წერილობაში მოიაზრებს. დღეს, დასავლური ორიენტირების დროში, აღმოსავლური წერილობის დროშით სვლა არადემოკრატიულ ნიშნად ითვლება. თავის დროზე დასავლური გზავნილი ზვიად გამსახურდიას მისამართით არა მხოლოდ პოლიტიკურ შენიშვნას, არამედ ფართო კულტუროლოგიურ ოპონირებასაც ნიშნავდა. მანამდე და მას შემდეგაც ქართულ ეროვნულ სხეულზე მეხსიერების მრავალი ადგილი განადგურდა. მეხსიერების ადგილების მუდმივი რევიზია და კორექტურა დღესაც მიმდინარეობს. კიდევ რომელი ადგილი ნა/გვეშლება ან რომელი ნა/გვიშლიან არ ვიცით. კულტურული უბედურება სტიქიურ უბედურებაზე მეტია. მეხსიერების ადგილების განადგურება სამწუხაროა და სევდის მომგვრელი. სევდაც ხომ აღმოსავლურია და გამოგვადგება კვაზიმოდერნიზმისგან თავის დასაღწევად. ასე რომ, სალამი სევდაც — ეს ჩემი ხედვის საგანია და ფრანსუაზა საგანის, ანდა პერიფრაზით: სალამი, აღმოსავლეთო.

როსტომ ჩხეიძემ თავყრილობის შეჯამებისას შოთა ბოსტანაშვილის გამოსვლაც, გიგა ბათიაშვილის მღელვარე სიტყვისა არ იყოს, ძალიან მოიწონა, ოღონდ არ გაიზიარა მისი წუხილი სტალინის ძეგლის გადაადგილების გამო და მიიჩნია, რომ ეს ნამდვილად კარგი საქმე აღსრულდა, რითაც არამარტო გორის მთავარმა მოედანმა ამოისუნთქა, არამედ მთელმა ქალაქმაც, მხარემაც და ქვეყანამაც.

დასძინა ისიც, რომ ჩინური ქალაქის დაარსებას ხელი საჩქაროდ თუ არ შეეშალა, სათავისისაცემო გავვიხედება.

ამასთან, ვახტანგ დავითიასაც და საერთოდ ყველა არქიტექტორს ალუთქვა, რომ ჟურნალის — „ჩვენი მწერლობა“ — დარბაზის კარი ყოველთვის ღია იქნება ამგვარი თავყრილობების გასამართავადაც. ბოლოსდაბოლოს ნამდვილი ხუროთმოძღვრული ძეგლები პოეტური სულით არიან აღბეჭდილი და ჯერ მარტო ამიტომაც სხვაგვარი მოვალეობა გვაკისრია მწერლებსაც ქართული არქიტექტურის მომავლის გადა-

ნინო ჩხიკვიშვილი

ბურული ვარ, ჩოსატაურის რაიონიდან!

ანუ... საქართველოვ, შენი შვილი ვარ!

როგორ ხარ, შვილო? ჩვენკენ ჯერ კიდევ ცივა, მანდ კი მზეა? გლობალურმა დათბობამ კლიმატი შეცვალა, თუმცა ვერ შეცვალა ქართველი კაცის ხასიათი: ძველებურად ვცხოვრობთ და... კვლავ გვენატრება რაღაც საუცხოო!

როდის გვეშველება?! — ამ რიტორიკულ შეკითხვაზე კახი კავსაძეს აქვს მოსწრებული პასუხი... მაგრამ ახლა შენი პასუხი უფრო მაინტერესებს და კიდევ იცი რა? — ამჯერადაც მივხვდები თუ არა, რას მეტყვი?

ესეა, შენზეა ზედგამოჭრილი — თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო!

რატომ გიბრაზდები? სულაც არა — უბრალოდ გული მწყდება, ჩვენს ქვეყანას (ჯერჯერობით მაინც) ვერ გამოადექი და ვერ უთხარი (შენი ცხოვრების წესით) — საქართველოვ, შენი შვილი ვარ!

რას ვიზამ, ეტყობა ჩემი ბრალია და კიდევ... იმ დროის — 1992 წლის 22 იანვარს ხარ დაბადებული, ხომ არ გავინწყდება?!

ვიცი, ახლა ირონიით მოჭუტავ თვალებს და მეტყვი: მოიარებით რას მეუბნები, პირდაპირ მითხარი, რა გინდაო?!

ამიტომაც პირდაპირ გეტყვი: გურული ვარ, ჩოსატაურის რაიონიდან! — და... ორ წიგნს გიგზავნი — მანანა დუმბაძის — „ავღანეთი „ბარონის“ ჭუჭყრუბანიდან“ და ნოდარ დუმბაძის ხუთ ტომეულიდან ერთ-ერთს — კერძოდ, იმას, სადაც „ოდისეის დაბრუნება“ (ამერიკული შთაბეჭდილებებია) დაბეჭდილი.

გურული ვარ, ჩოსატაურის რაიონიდან! — იცი, ვის ეუბნება ამას ნოდარ დუმბაძე, ქართულად, თან ნიუ-იორკში, ლამის 12 საათზე?

არ იცი! ჰოდა, რომ გავიგო, აუცილებლად წაიკითხე...

ნოდარ დუმბაძეს სკოლაშიც გასწავლიდნენ და მას, როგორც მწერალს, საგანგებო წარდგენა არ სჭირდება... მხოლოდ ერთი ეპიზოდი უნდა მოგიყვე ჩემი ბავშვობიდან:

პიონერთა სასახლეში, „ნორჩ შემოქმედთა სტუდიაში“ დავდიოდი და როცა რესპუბლიკური შეკრება — სემინარები იმართებოდა, ჩვენი სტუდიის ხელმძღვანელი — ფაცია პაიჭაძე (დეიდა ფაციკო) როგორც წესი, აუცილებლად პატიუებდა რომელიმე გამორჩენილ მწერალს. ერთხელ ნოდარ დუმბაძე მოიწვია.

როცა შეხვედრა დამთავრდა, ავტოგრაფი გამოვართვით ბატონ ნოდარს. რატომღაც ბოლო აღმოვჩინდი, როცა ხელი მოაწერა, მკითხა: თქვენ რა უწარში მუშაობთო? მე გავკადნიერდი და მივუგე — პროზა-

* ციკლიდან „წერილები ჩემს ემიგრანტ ვაჟს“

შიმეტქი! გამიღიმა და კალამი (ახლა პას-ტას რომ ვეძახით) გამომიწოდა!

იცო, რას ნიშნავდა მაშინ ეს ჩემთვის?

აგისხნი: დაახლოებით აი, იმას, ბიბი კინგემ ან კლაპტონმა გიტარა რომ გაჩუქოს!

ჰოდა, ეტყობა, ეს რომ დაინახეს ჩემმა თანატოლებმა, შეშურდათ, თვალი მეცა და... მწერლის ნაჩუქარი კალამი იმ საღამოსვე დავკარგე...

მთელი ღამე ტირილში გავატარე...

ეგ კი არა, ჩემიანებმა ჩემს დასამშვიდებლად გადაწყვიტეს, ვინმე ნაცნობი მოენახათ და ბატონი ნოდარისთვის ეთხოვათ, იქნებ ერთი კალამი ისევ აჩუქოსო, მაგრამ ამაზე უარი გამოვაცხადე: ეგ კალამი ისეთი კარგი იყო, ნამდვილად ამერიკიდან ექნებოდა ჩამოტანილი და სხვა აღარ მინდამეტქი!

ჰოდა, რომ ვუკვირდები, ვრწმუნდები: შემთხვევით არაფერი ხდება! მაშინ ის კალამი რომ არ დამეკარგა, ახლა ხომ ვიქნებოდი მწერალი, თანაც „დიდი“!!!

აი, ასე მოხდა!... მოგიყვი სევდიანი, მაგრამ ამავე დროს ტკბილი ამბავი და მოგეცა (როგორც ახლა იტყვიან), კიდევ ერთი შანსი იმისა, შენებურად დამცინო, არა?

ახლა რაც შეეხება მანანა ღუმბაძესა და მის ახალ წიგნს:

ბატონი ნოდარი თუ გაგანია კომუნისტური რეჟიმის დროს ამერიკაზე მოგვითხრობდა, ამ წიგნში მისი ქალიშვილი, დამოუკიდებელი საქართველოს ეპოქაში, ავლანეთში გატარებულ საქმიან დღეებზე გვიყვება (გაგიკვირდება, რამ წაიყვანა ავლანეთში, არა?) და იქაური ყოფის აღწერით აქაური ყოფის უბადრუკობას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის.

შემიძლია რამდენიმე მაგალითიც მოგიყვანო, მაგრამ ალბათ სჯობს თვითონვე წაიკითხო ყურადღებით და აღმოაჩინო სავალალო პოლიტიკურ-სოციალური პარალელები. აქ ავტორის თხრობა ირონიულ-სარკასტულია (და საერთოდაც, მთელი წიგნი თითქმის ამ სტილშია დაწერილი):

„როგორც იქნა მეღირსა მსოფლიოში სახელგანთქმული დუბაის მოცეკვავე შადრევნის ხილვა და მოსმენა. ეს არაბები უეშმაკესი ხალხია და დუბაი ხომ ყველაფრის და განსაკუთრებით კი ფულის მახე, კაკანათი, სასიამოვნო და ნებაყოფლობითი — მოკლედ, რაც გინდა დაარქვი — გლობალური ბაზარი. ეს საოცარი შადრევანი დუბაის გრანდიოზული სავაჭრო ცენტრისა და ახალ ცათამბჯენებს შორისაა განთავსებული. შადრევანი დაგრეხილი აუზიდან ამოდის და მხოლოდ ათი წუთი ცეკვავს.“

ჰოდა, ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენი პრეზიდენტი განა ყოველთვის ტყუის, როცა თავისა და სხვა ქვეყნის შადრევნებს ერთმანეთს რომ ადარებს? თქვა, ბათუმის შადრევანი მსოფლიოში საუკეთესოაო, და ასეცაა, ჩვენი უფრო გრანდიოზულიცაა და, მგონი, უფრო დიდხანს და ენერგიულად ცეკვავს.“...

ეს ერთი, სახალისო მაგალითი მოგიყვანე, თორემ აქ იმდენ საშინელებას ამოიკითხავ, შეგრცხვება, ღამე მშვიდად რომ გძინავს!



ნოდარ ღუმბაძე

შენხელა რომ ვიყავი, ჩემი თაობის ბიჭებს ხშირად აგზავნიდნენ ავლანეთში, ჯარში რომ გაინვედნენ, და ბევრი, ძალიან ბევრი ქართველი დაიღუპა იქ. ბევრიც დაინვალიდებოდა ჩამოვიდა და ავლანეთი ჩვენთვის მუდამ ასოცირდება მხოლოდ სიკვდილსა და უბედურებასთან.

მადლობა ღმერთს, შენმა თაობამ არ იცის, ეს რას ნიშნავს...

ეჰ, კი დაიბადე დამოუკიდებელ ქვეყანაში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრება მეტად გაჭირდა, იმიტომ, რომ... ჩვენი ძველი მთავრობის წარმომადგენელი მენტალიტეტით საბჭოთა დიქტატურაში აღმოჩნდნენ ჩარჩენილები!

არადა, რამდენი თაობა შეენირა, რამდენი თაობა მოელოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებას? მიმიძიმა ამაზე ლაპარაკი. ამ ტკივილს შენ გაიგებ?

მოდით, ისევ დაუბრუნდეთ მთავარ სათქმელს. კიდევ ერთ შემთხვევას გიამბობ და, ვფიქრობ, ამ ორ ამბავს შორის საერთოს დაინახავ: 1996 თუ 1997 წელია, საშინელი გაჭირვებაა, პურის ფულს თვიდან თვემდე ძლივს ვაგროვებ და... მიჩრჩიე: გაზეთ „მოქალაქეში“ მიიტანე სტატიები, იქ კარგი ჰონორარი აქვთო.

ზუსტად არ მახსოვს ახლა, რა დავწერე, მგონი გივი მალულარიას „უკუქცევაზე“ პატარა რეცენზია, და მივიტანე. რედაქციაში არავის ვიცნობდი, ვიფიქრე — ჩემს წაწერს ყურადღებას ვინ მიაქცევს-მეთქი?! წერილი ახალგაზრდა ქალთან დავტოვე (ქალმა თავაზიანად მიმილო, გამიხარდა), გავბედე და ვუთხარი: მართალია, ჩემი გვარი არაფერს გეუბნებათ, მაგრამ წერილს მაინც დავტოვებ-მეთქი! მესამე დღეს გაზეთის ახალი ნომერი გადავშალე და ჩემი სტატია დაბეჭდილი აღმოვაჩინე — ესე იგი, ერთი კვირის სარჩო გამოიჩინდა!

ასე დავიწყე გაზეთ „მოქალაქესთან“ თანამშრომლობა... მაგრამ, სამწუხაროდ, ამან დიდხანს ვერ გასტანა — გაზეთი მალე დაიხურა და...

ერთხელაც ლიტერატურის ინსტიტუტის ჩაბნელებულ დერეფანში ვდგავარ და... იმ ახალგაზრდა ქალმა (წერილებს რომ მიბეჭდავდა გაზეთ „მოქალაქეში“) დამინახა და ჩემკენ გამოემართა: რა კარგია, რომ გნახეთ, თქვენზე ვდარდობდი, გაზეთი რომ დაიხურა, ახლა სად ხართ, სადმე ბეჭდავთ წერილებსო?! — მითხრა და გამიღიმა.

მაშინვე ვიცანი ეს ღიმილი: მსორედ ასე გამიღიმა მაშინ, შორეულ ბავშვობაში, ნოდარ ღუმბაძემ, როცა თავისი ავტოგრაფი და კალამი მისახსოვრა.

ეს ახალგაზრდა ქალი — ნოდარ ღუმბაძის ქალიშვილი, მანანა ღუმბაძე იყო...

მას შემდეგ რამდენი დრო გავიდა და ახლაც რომ ვისხენებ ამ შემთხვევას, მიკვირს: რომ მკითხა, მუშაობთ ახლა სადმეო?

და იცი რა?!

... იგივე კითხვა რომ დაესვათ მისთვის, რატომღაც მგონია, რომ არასდროს გარისკავდა ავლანეთში წასვლას...

ხედავ, როგორია ცხოვრება?

ყურადღებით წაიკითხე ეს ორივე წიგნი და მითხარი შენი მოსაზრება...

P.S. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით მეტად ვრწმუნდები, ძნელია ბოლომდე აღამიანად დარჩენა!



მანანა ღუმბაძე

როსტომ ჩხეიძე

ისევ ოთხშაბათობით

მოუთმენლად ელოდნენ ოთხშაბათ დღეს — იდუმალი მოძღვრის მოსვლასა და სულიერი საზრდელით დაპურებას. ოთხშაბათი მაინც რა თავისებური სიმბოლიკით შემოსილიყო ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიაში.

ამ დღეს იმართებოდა ხოლმე გორში ახალგაზრდა მწერალთა წრის თავყრილობანი მისი ხელმძღვანელობით.

აკი მშვენიერი ჩანახატიც მიეძღვნა იმ დღისა და იმ შეკრებათათვის — „ოთხშაბათობით“, ზუსტად მიგნებული შტრიხებით წრის თვითიუღ წევრს ხელშესახებად რომ წარმოსახავდა და სილუეტთა ისეთი გაღერეა გადაიშლებოდა მკითხველის თვალწინ, გარდა ისტორიულ-დოკუმენტური დანიშნულებისა, ის ტექსტი პირწმინდად მხატვრული თვალსაზრისითაც რომ იქნებოდა შთამბეჭდავი, თითქოს შენც იმ თავყრილობის მონაწილე იყავი იმ პროცესში ჩართული, ქალაქის სულიერი ცხოვრების გადარჩენა-გაგრძელება რომ ევალებოდა.

ამიტომაც გაეტირებოდა ამ სიმბოლოური დღის იმ ხანგრძლივ ციკლს ჯემალ ინჯია ლექსში „ოთხშაბათობით“: ჰა, გადის კვირა, ჩვენი დიდი კვირა გადის და ნუთუ დადგება ოთხშაბათი გორში როდისმეო?!

ნეტა ამჯერადაც თუ იყო მოსალოდნელი ასეთივე ჩანახატის შექმნა?

სათაურის შერჩევაზე დიდხანს არ იფიქრებდა და ძალდაუტანებლად გადაინაცვლებდა ფურცელზე „ისევ ოთხშაბათობით“, ეს „ისევ“ ხომ „ჩემი სოფლის ეტიუდებშიც“ გამოეყენებინა უკვე („ისევ დაღლარა“, მოგვიანებით „ისევ დაღიანი“) და ესეებშიც („ისევ „ჯაყოს ხიზნები“) და ამჯერადაც ყველაზე შესაფერისი იქნებოდა.

რალაც შემთხვევითობით დღე არ შეცვლილიყო.

თუმც... ამისთანა შემთხვევითობებში მოჩანს ხოლმე გარკვეული კანონზომიერება.

ეგეცაა, ამგვარი ჩანაფიქრი რეალობად მაშინ გადაიქცეოდა, ოთარ ჩხეიძის ურთიერთობა თბილისის უნივერსიტეტის კრიტიკისა და მხატვრული შემოქმედების სემინარის სტუდენტებთანაც ისევე ხანგრძლივი რომ ყოფილიყო, როგორც გორის ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებთან.

ვინ დააცლიდა, თორემ!..

ცოტალა დარჩენილიყო იქამდე, ვიდრე ზამთრის არდადეგებიდან დაბრუნებულეს... სახტად დატოვებდნენ: დასრულდა პროზის სემინარი, ახლა პოეზიის სემინარს უხელმძღვანელებს თქვენი და ყველას საყვარელი პოეტი, ჩვენი სახელოვანი...

ცოტალა დარჩენილიყო...

და იმ „ცოტას“ ჟამს:

— გაგვინათდა სახე, თვალეში გამოვიხედეთ, ამყად დავდიოდით დერეფნებსა და აუდიტორიებში, განვსხვავდით მთელი კურსისაგან — სწრაფვა, ხალისი, სიხარული გვასხვავებდა. სხვები კვლავ იძულების ბორკილებს დაატარებდნენ ქედდარკილი, ჩვენ აღმაფრენის ჟამი გვედგა.

უამბობდნენ სხვებს, ამ სპეციალობაზე ვერმოხვედრილთ — მაშინ ძალიანაც რომ უხაროდათ, ამათსავით დეკანატში სახვეწარად რომ არ გახდომოდით საქმე, ახლა კი... თავიანთი სპეცკურსის ლექციის გაცდენასაც აღარ ერიდებოდნენ,

ოლონდაც ოთარ ჩხეიძისათვის მოესმინათ.

— ჩვენ უკვე ერთ ძალად, ერთ სულად შეკრულნი, მას მხოლოდ ჩვენად მივიჩნევდით, თავს უცხოოდ, ამ ერთიანობისაგან გარეშედ იგრძნობდნენ და სინანულით გვტოვებდნენ.

და ნაცვლად ამისა:

უკვე პოეტი იდგა მათ წინაშე, სახელგანთქმული პოეტი, თანაც ისეთი კრძალვითა და მოწინებით წარდგენილი, ეს რას მოვესწარით, ამას ვის შევყურებთო, თვითონ რომ ასე ალტაცებულყო დეკანატი და ესწრაფოდნენ ეს აღფრთოვანება სტუდენტებისთვისაც გადაედოთ: თქვენ, პოეზიითა და ლიტერატურით დაინტერესებულნი შეიძლება პოეტები და მწერლები (პოეტი და მწერალი სხვადასხვა რამ ეგონათ დეკანატის წარმომადგენელთ!) ვერ გახდეთ, მაგრამ პედაგოგები ხომ იქნებით და თქვენს მოსწავლეებს უნდა მოუთხროთ, რომ უნივერსიტეტში სწავლისას ბედნიერება გქონდათ პირადად გასცნობოდით და გესაუბრათ პატივცემულ პოეტთანო... ესაო, ისაო... ქება-დიდება არა მთავრდებოდა, თანაც ისეთი საგანგებოდ ამალელებელი ტონით წარმოთქმული, პოეტის ამყად შემართული, ლამის ძეგლივით გამოყვანილი ფიგურა რომ მოითხოვდა. ეგაა, ახალგაზრდები იგრძნობდნენ უხერხულობას და აინურებოდნენ.

— პოეტს ჩუმად უკვე ოთარ ჩხეიძეს ვუდარებდით და თვალშისაცემი განსხვავებაც სახეზე იყო: ეს პათეტიკა და ქება-დიდება, თავისი პიროვნების გარშემო შეთავაზებული შეკითხვები (რაც პირველი ლექციიდანვე აგვიკრძალა ოთარ ჩხეიძემ), სიამაყით, ქების მოსმენით შეღერებული პოეტის გამომეტყველება და ხავერდის სამოსი.

პირველი ნუთებიდანვე თვალშისაცემი განსხვავება თვალშისაცემადვე გაგრძელდებოდა, თანაც — ნამეტნავად.

ისაუბრებდა საკუთარ თავზე, თავის შემოქმედებით გზაზე, თავის პოეზიაზე.

ეს ახალგაზრდები?

არც აინტერესებდა, არც არაფერს ეკითხებოდა.

— არ მოგვწონდა, გრძნობდა, და არც თვითონ მოვწონდით, არ შეეძლო მიმხვდარიყო, რომ სკოლაშიც დაველაღეს, პიონერთა სასახლეშიც მოგვაბზერეს და უნივერსიტეტშიც გვლიდა მისი ქების მოსმენა. რომ ეს წარდგინება, ეს „სახელგანთქმულობა“ გვაპორებდა, გვაკარგვინებდა, რომ გვამაღლიდა თავის თავს, სიცარიელეს შევიგრძნობდით და ბრიყვებით ვისხედით მასთან ლექციაზე. თანაც მოითხოვდა უაღრეს პატივისცემას, რომელიც არ დაემსახურებინა, და კდემას, რომელსაც არ იწვევდა.

ამრეზილინი, გაბუტულნი მიანყდებოდნენ დეკანატს და ოთარ ჩხეიძის დაბრუნებას მოითხოვდნენ, მაგრამ ისე მკაცრად გამოისტუმრებდნენ იქიდან, მეორედ რალას მიბედავდნენ და... ისხდებოდნენ ასე, კედლებისა და ჭერის შემყურენი, საგულდაგულოდ მაინც იატაკის შესწავლაში ჩაძირულნი, ზარის დარეკვას ხსნასავით რომ მოელოდნენ, და, როგორც შემდგომ გამოირკვეოდა, ყველა ერთს ფიცულობდა გულში: არასოდეს მასზე არ მოეთხროთ თავიანთი მოსწავლეებისათვის, რათა ისინი მაინც აღარ გატანჯულიყვნენ.

სამიოდე შეხვედრის შემდეგ სალაპარაკოს ამონურავდა და იკითხავდა დაუფარავი სიამაყით, რაკილა წინასწარვე მტკიცედ დარწმუნებულიყო, რაც უნდა მიეგოთ სტუდენტებს, ყველას ერთხმად რომ უნდა ამოსკდომოდა ბავშვობიდანვე გონებაში ჩაბეჭდილი სახელი:

— ვის გიყვართ თანამედროვე მწერლებიდან, გატაცებით ვის კითხულობთ?

ესენი... ერთმანეთს გადახედავდნენ.

მას მერე, რაც ოთარ ჩხეიძეს დამორდებოდნენ და სანაცვლოდ ამ სახელგანთქმული პოეტის შემყურენი გახდებოდნენ, ჩანთაში ყველას რალაც წიგნი ედო „მატიანე ქართლისას“ შემოქმედისა.

— მოვამარაგეთ ერთმანეთი, დავწავთ და დასვენებებ-

* დასაწყისი იხ. „ჩვენი მწერლობა“ № 9

ზე გავცალკევდებოდით, გატაცებით ვყვებოდით წაკითხულს, ვცვლიდით წიგნებს. საიდუმლო შეთქმულებს ვგავდით, რაღაც დიდი საუნჯისათვის რომ მიგვეკვლია და ერთმანეთს ვუზიარებდით. ისევ შუქი გვადგა, ისევ მადლში გახვეულნი, გაბრუნებულნი ამაყად დავაბიჯებდით.

ეგაა, ის სახელგანთქმული პოეტი რომ დაუჯდებოდათ წინ, მაშინ კი იბურებოდნენ და ითრგუნებოდნენ.. შვებობამოგვრელი ზარის დარეკვის მოლოდინში.

ვინ გიყვართ, ვის კითხულობთ?..

და ერთმანეთს აღარ დააცლიდნენ სტუდენტები:

— ოთარ ჩხეიძე გვიყვარს და ვკითხულობთ გატაცებულნი!

— ოთარ ჩხეიძე?! — სახტად დარჩენილი მიმოატარებდა

მზერას, თითქოს მეხი გავარდნილიყოს, და იმ იმედსლა მოეჭიდებოდა, რაღაც მომეყურა, თორემ ამას როგორ იტყოდნენ, როგორ შემომბედავდნენო.

ესენი ვერ მოუხვდებოდნენ გაოგნებას, ან გინდაც მიხვედროდნენ, არ დაგიდევდნენ, რაკიდა წრფელი აზრი და განცდა ეს გახლდათ მათი, მითუმეტეს, საშუალება მისცემოდათ თავიანთ საყვარელ მწერალზე სიტყვის დაძვრისა და ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ.

— დიახ, ოთარ ჩხეიძე! — დაუდასტურებდნენ და მიაყრიდნენ — ეს „თედორეო“ და „ქეთევანო“, ეს „ბორიასიო“ და „ჩემი სოფლის ეტიუდებიო“...

— რაკი ხმა ამოვიღეთ, ჩამოვარაკრაკეთ, ვის თუ რა წაეკითხა, როგორ გაცვებულყო, კიდევ შეეჩვილეთ, რომ პირველ სემესტრში ჩვენთან იყო, რომ ახლაც ვნატრობთ, მაგრამ ეს დეკანატი და სხვათა გადანყვეტილებანი?!

შეიშმუნებოდა კოსტიუმი.

ხავერდი... ხავსივით ალივლივდებოდა.

ახალბედა ბელეტრისტის მზერას არ გამოეპარებოდა ეს მეტყველი დეტალი, ასე ლაკონიურად რომ წარმოსახავდა მის — იმ სახელგანთქმული პოეტის — იმნამიერ იერს, დიდად მოულოდნელი და მისთვის სულაც შეურაცხმყოფელი პასუხით მოგვრის და... პოეტისათვის შეუფერებელი მომნუსხველი თვალებით მიაჩერდებოდათ.

წილაბი ჩამოვარდნილიყო.

ჯერ ისედაც ხომ არა მალავდა თავის ათვალწუნებულ დამოკიდებულებას ამ ახალგაზრდებისადმი, მაგრამ ახლა ყოვლად უღირსებსა და უმადურებს ხედავდა ეს თვალები, რომელთაც არ დააფასეს ღირსეული, ყოვლთაუმიჯობესი პიროვნება, ვინც კეთილი ინება, მეტიც, თავი დაიმდაბლა და მათთან მიბრძანდა.

მიაბიტ სტუდენტებს კი რანაირად წარმოედგინათ, მათი გულწრფელი პასუხი ამგვარ წყრომას თუ გამოიწვევდა.

ჯერ სად იყვნენ.

ამ წრფელი პასუხით გამოწვეულ გაგულისებასა და მრისხანებას კარგა ხანს გამოცდიდნენ.

ეგაა, არ ინანებდნენ, წამიერადაც არ მოერეოდათ სისუსტე, რომ ენანათ, ასე რატომ გავგისწრო ენამო. უბრალოდ როგორ შეიძლება სცოდნოდათ ჯერაც ყმანვილებს, სხვისი სიყვარული და თავყვანისცემა სხვას თუ შეურაცხყოფდა.

— რაც შენ გიყვარს, გგონია, რომ ყველას სათაყვანოა...



ნანი მიქავა, ლია ყატაშვილი და მაია ლორია

ის კი, სახელგანთქმული პოეტის ადგილას ხავსივით ალივლივებული ხავერდი:

— რამდენი წლის ხართ? — უეცრად სათითაოდ უნდა ჩაკითხვოდათ.

ეს სადაური რა შეკითხვაა, რა შუაშიაო, ვერ მიუხვდებოდნენ, მაგრამ პასუხით კი უპასუხებდნენ: ჩვიდმეტის, თვრამეტის, ოცის...

— ჰოო, ოცი წლის გოგოს რომ თავი შეაყვარო, ძალიან ადვილია! — თითქოს საკუთარ თავს ეტყოდა, რათა გული გაეთქებინა სტუდენტების ბაგით ნათქვამი გვარ-სახელით თავზარდაცემულს.

მერე კი ამათაც მისდგებოდა და ამით რჩეულ მწერალსაც.

არაფერსაც არ გასწავლიან უნივერსიტეტშიო, — თეთრ ტაძარს თავზე დაამხოზდათ იმის გამო, რომ ასეთი ყოვლად მცდარი, მავნებლური აზრები გაჭაჭანებულიყო ამათ გონებაში. რაიმე რომ გაეგოთ შესაფერისი ლექტორების ხელში, ასერიგად ხომ აღარ მოტყუვდებოდნენ და ოთარ ჩხეიძეს თავიანთ საყვარელ მწერალად არ აღიარებდნენ, საყვარელი მწერალი კი არა, მისი წაკითხვა საერთოდ შეუძლებელი გახლდათ, იგი მხოლოდ მიმბაძველი იყო და, ყველა უბედურებასთან ერთად, ასე ამახინჯებდა ჩვენს სათაყვანებელ ქართულ ენას...

სიტყვების ნაკადი იფრქვეოდა და დასასრული აღარ უჩანდა, ვიდრე სახელგანთქმული პოეტი არ გადაიქანცებოდა თავისი სულიერი ავლადიდების გამომზეურების შემდგომ.

გასვლისას სიძულვილით სავსე მზერას სტყორცნიდათ და... აღარ გამოჩნდებოდა და აღარ:

ა-ღ-რა-სო-დეს!..

ამით კიდევ გაახარებდა სტუდენტებს, რომ აღარ გამოჩნდებოდა. ეგაა, თავისას არ მოიშლიდა და შურს იძიებდა მათზე, ახლა გაცვებულნი რომ მისჩერებოდნენ ხან გარახუნებულ კარს და ხან ერთმანეთს: რა დაეუშავეთ, რითი გავაბრაზეთ, რად შეგვირისხა ოთარ ჩხეიძეო?!!

დეკანატი შეჭრილიყო პოეტი უნივერსიტეტთან სამუდამო გამომშვიდობების წინ, იქ რა ელაპარაკა, სტუდენტები ვერ გაიგებდნენ, მაგრამ სასიკეთო სიტყვა რომ არ დაეტოვებინა, იმით მიხვდებოდნენ, რომ მთელი შემდგომი წლები, დიპლომის დაცვამდე, საყვედური არ მოაკლდებოდათ სახელგანთქმული პოეტის განანყენება-შეურაცხყოფისათვის.

— ყველაფერს ცუდს ჩვენს ჯგუფს აბრალებდნენ, ჩვენ მივაჩნდით ურჩებად და უსიამოვნო ტალღა თუ გადაივილიდა კურსზე, ჩვენ გვსჯიდნენ...

მათ სანახავად ფაკულტეტის სხვადასხვა წარმომადგენელი მიდიოდნენ.

სამუზეუმო ექსპონატები იყვნენ თუ რა?!

ის კი არა, ლამის ყოველი ახალშემოსული ლექტორი პირდაპირ რისხვით იწყებდა:

— ეს ის კურსია, ასე უბრედლნი და უტიფარნი რომ სხედან, შეურაცხყოფა რომ მიაყენეს ღირსეულ პიროვნებას, დაატოვებინეს ლექციის კურსი...

უარესსაც ამბობდნენო, — დასძენდა ესეის ავტორი და... ველარ გაგიგია, უარესი კიდევ რაღა უნდა თქმულიყო?!

ამათ ვერც კი დაეჯერებინათ, რომ ეს ღვარცოფი, კათედ-

რიდან გადმოფრქვეული, მათ გულისხმობდა, და... დაბნეულ-ნი იცქირებოდნენ აქეთ-იქით.

ნეტა ვილაც მაინც დაინტერესებულყო, ვილაცას მაინც ეკითხა, მაინც რითი შეურაცხყოფით?

ყველაზე დამორგუზველი ის აღმოჩნდებოდა, თანაკურსელებიც რომ გაურისხდებოდნენ და გაინაპირებდნენ: თქვენს გამო ჩვენც ვისჯებით, ჩვენც სალაპარაკო გავგზადეთ, არა, ამხელა კაცის შეურაცხყოფა მაინც როგორ გაბედეთო?!

გრამატიკოსებს თავიანთი სათაყვანებელი ლექტორი შეუსევდათ.

სწორედ ეს სიტყვა მოხმობილი: შემოგვისიაო, — და უკეთეს გამოთქმას ვერც შეარჩევ იმისათვის, რაც მოხდებოდა.

საგანგებო ლექციასაც ჩაუტარებდნენ — რითი ეწინააღმდეგება ქართული ენის სალიტერატურო ნორმებს ოთარ ჩხეიძის ენა და სტილი, გულმოდგინედაც დაუსაბუთებდნენ ლექტორისავე თანდასწრებით.

ცხადია, ვითომდა კეთილშობილი სწრაფვის — ქართული ენის დამამხინჯებელი მწერლის მხილება — მიღმა ვერ დაიფარებოდა ნამდვილი სარჩული, ასე გულსატკენად რომ გადმოფარჩავებულყო:

— სინამდვილეში ვილაცისგან ნაბრძანებ, ჩვენთვის „ჭკუისსასწავლ“ სცენარში სამარცხვინოდ ასრულებდნენ „ჭკვიანი“ სტუდენტის, ამასთან სანიმუშო ფრიადოსნის, კომკავშირისგან ხელდასხმული, უნივერსიტეტის მომავალი სამეცნიერო კადრის როლს.

ესეის ავტორი ერთილა შერჩებოდა პირისპირ მთელ ამ „ცოდნის ზეიმს“.

რა დაავიწყებდა, თუ როგორ მოძღვრავდნენ ერთიერთმანეთზე უფრო გესლიანად, თავი რომ მოეწონებინათ იქ მყოფი ლექტორისა და უხილავად მყოფი კომკავშირის ორგანიზაციის, დეკანატისა და რექტორატის წინაშე.

— და მე მაშინ მივხვდი, რა გულისმომკვლელია შენი თანატოლის მახვილი, თუ იცი, რომ ის გულში გეთანხმება, მაგრამ ვილაცის თვალწინ ასე უნდა შეგრისხოს, რალაცის საფასურად, რომ მთელ ამ ორთაბრძოლაში ლიტერატურა აღარაა, ქართული ენაც აღარაა, ურთიერთქიშპის, სხვისი დამცირების და სხვაზე გამარჯვების საზიზღარ თამაშს გაჩვენენ.

აუდიტორიიდან გამოსვლის შემდეგ თანაკურსელები იმ კომკავშირელს რომ უსაყვედურებდნენ, ის იმ ნუთას, ალბათ ასაკის სინრფელითაც, დარცხვენილი ეტყოდა ღია ყაბაშვილს: სხვაგვარად არ შემეძლო, რადგან ასე მიბრძანესო... მაგრამ მერე და მერე, თქვენც მოგეხსენებათ, ქრება ეს სინრფელი და ვისაც ვისზე მიუსევენ, ხალისითაც დაერევიან — ცალკე ეს პირადი მეტოქეობა, ცალკე ეს მოსალოდნელი სარგებელი.

— ვუძღვებდით, გასაძღვებ სხვაც ბევრი გვქონდა და სხვა გზაც არა ჩანდა გაძღვების გარდა.

ჩაშლით არ ჩაიშლებოდა ლექცია-სემინარების კურსი.

ახლა სხვა სახელგანთქმულ პოეტს მოიყვანდნენ — და ლექციაზე კი ჩამოჯდებოდა პოეტის ორი მეგობარი კრიტიკოსიც.

— ალბათ შესაძლო „კონფლიქტების“ თავიდან ასაცილებლად. მერე მოდიოდნენ და მიდიოდნენ პოეტები.

— თანდათან დაეხსნენ სახელგანთქმულებს, მალე რომ ვებრედებოდით ჩვენც და ლექცია-სემინარის კურსიც და...

მომდევნო წელს კვლავ ოთარ ჩხეიძეს დაუბრუნებდნენ.

ესენიც კვლავ შემოუსხდებოდნენ და გადმოყენდნენ თავიანთ ტკივილებსა და განცდებს, სევდასა და იმედაცრუებას — ლექსად და მოთხრობად...

იმ ლექტორ-პოეტებზე არაფერს ეტყოდნენ.

არც მის ნაწარმოებებზე, რაც ამ დროში წაეკითხათ.

აკი საკუთარ თავზეც მკაცრად აეკრძალა ლაპარაკი და თანამედროვე მწერლებზეც.

— მხოლოდ გარდაცვლილ მწერლებზე შეგვეძლო შეეკითხოოდით.

თუ რომელიმე წაიმეტიჩრებდა?

დუმილს ამჯობინებდა პასუხად ოთარ ჩხეიძე. და ესენიც გაყურდებოდნენ მისი სიტბოსა და თანაგრძობის ჩრდილქვეშ, ჭეშმარიტ ლიტერატურას საიმედოდ თავშეფარებულნი.

— და ახლა, როცა მინდა ჩემს მოწაფეებს ქართული ლიტერატურის სიყვარული ჩავუსახო, ამ სიყვარულის დანერგვას ვინყებ ოთარ ჩხეიძისებურად ნელ-ნელა, დინჯად, დიდი მოთმინებ-გამძლეობით, გულწრფელობითა და თავმდაბლობით, ამასთან პათეტიკას, ქება-დიდების ტონს განრიდებული, დიდაქტიკის გვერდის ავლით, იძულების გარეშე, დიდი წვითა და ჯაფით, მუშაკობით, იდუმალი ოსტატობით.

სხვებს უკვირდათ და რაც დრო გავიდოდა, მითუფრო გაუკვირდებოდათ — როდესაც ესენი ერთად მოხვდებოდნენ, შემთხვევით თუ დათქმული შეხვედრა-შეკრების წყალობით, ოთარ ჩხეიძეზე ისეთი გატაცებით იწყებდნენ საუბარს, ისეთი მადლიერებითა და მონატრებით!.. ანკი როგორ არ გაკვირვებოდათ — მათ ხომ არც სკოლაში და არც უნივერსიტეტში არ შეხვედრიათ დიდი სწავლული და პედაგოგი, ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტი შემგრძნობი და განმცდელი, იდუმალი მადლით მოსილი.

— ძალიან უჭირთ დაიჯერონ, რომ შენ შეგხვდა ასეთი, რომ ასეთნი საერთოდ არსებობენ და ჩვენს ქარტეხილიან დრო-ჟამში მაინც არ დაიმსხვრენ. უჭირთ დაიჯერონ რომ არ ვაზვიადებთ, არ ვაჭარბებთ, არ ვცდებით. თითქოს უნდათ დაიჯერონ კიდევ, „მოტყუვენ“ სასიამოვნოდ ცოტა ხნით... ესენი დაუსახლებდნენ ამ მწერლის ნიგნებს, უახლეს გამოცემებსა და წერილებს.

მათ ნაკითხვა გაუძნელდებოდათ — ასე ერთბაშად, ჰაიჰარად ვერ შეაღწევდნენ იმ უჩვეულო მხატვრულ სამყაროში და თავს იმით ინუგეშებდნენ: თქვენ ალბათ პიროვნება რომ გიყვართ, მწერალიც იმიტომ მოგწონთო...

იმათ ვერ აუხსნიდა ღია ყაბაშვილი და მკითხველს კი გადაუშლიდა გულს, მისი თანამოაზრეობის მოიმედე — განა ჭეშმარიტი პიროვნება მუდამ თავის თავს არა წერსო?! ხშირად უნიგნოდაც, უსიტყვოდაც, დაწერდა და... დარჩებოდა, გადავიდოდა სხვაში ანუ სიცოცხლეს გააგრძელებდა.

პიროვნება ყოველთვის ერთგული გახლდათ.

მწერალი — ბევრიც და ბევრზე ბევრიც, ნიგნებიც ბევრი და აურაცხელი.

და პიროვნება-მწერლის იდეალური შერწყმა ძალდაუტანებლად წამოუტივტივებდა ბიბლიურ შეგონებას: მრავალნი არიან წოდებულ და მცირედნი რჩეულო...

ასე ყოფილა და ასე იქნებოდა: მცირედნი რჩეულო...

ასეთი რა გასწავლათ ოთარ ჩხეიძემ?

სულ ესმოდა ეს გაცხებული შეკითხვა, ამ ჯგუფის არსებობას თან რომ გაჰყვებოდა თავისებურ რეფრენად და დიპლომის დაცვის დროსაც არაერთხელ განმეორდებოდა. ასევე გამოაცილებდნენ უნივერსიტეტიდანაც... მას შემდეგაც არ დაცხრებოდა ეს ცნობისნადილი და მოსალოდნელი იყო მკითხველიც ჩაძიებოდა — რაც გვიამბე, ყველაფერი მკაფიოა და დამარწმუნებელი, კიდევ მიგიხვდით, ასე ცხოვრად რატომ დაგაჩნდათ სულზე ამ მწერალთან ურთიერთობის ეს ხანმოკლე ჟამი, მაგრამ ეგებ უფრო მკვეთრადაც წარმოგეჩინა ის სანყისი თუ მიზეზი, ოთარ ჩხეიძე თქვენს თვალთახედვაში ამაღლებულ სიმბოლოს რომ გაუტყავდა და იმ ორიენტირად დაისახა, მომავლის საქართველოს ასე ძალიან რომ ესაჭიროება კულტურის უწყვეტობის შესანარჩუნებლადაც და საკაცობრიო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად გადაქცევისთვისაცო.

მართლაც ნეტა ასეთი რა ესწავლებინა?

უნივერსიტეტში ორი უკიდევანო კვდომის სამყარო არსებობდა, იმ უნივერსიტეტში, რომელიც კიდევ უფრო თრგუნავდა სკოლებში ჩაქოლილ და ნებანართმეულ ახალგაზრდობას — ჭეშმარიტ სწრაფვას, ხალას ნიჭს, შინაგან ცხოველ ინტერესს საგულდაგულოდ ნელ-ნელა უკლავდა, უუკუღმართებდა — კომკავშირულ, კარიერისტულ რეჟიმში იმწყვედვდა და ამახინჯებდა.

აქეთ პოლუსზე:

— ერთნი კვდებოდნენ, იკარგებოდნენ, ველარასოდეს გამოდგებოდნენ, წიგნსაც ველარ წაიკითხავდნენ (აკი ვერც კითხულობდნენ!).

იქით პოლუსზე:

— მეორენი „ახალ სიცოცხლეს“ იძენდნენ — კვდომის ფორმას იცვლიდნენ მხოლოდ — თვითდაჯერებულნი, თავანეულნი დააბიჯებდნენ უნივერსიტეტის მომავალი „საიმედო სამეცნიერო კადრები“ და უკვე სჯეროდათ თვითონაც, რომ ეს ნიჭიერებითა და შრომით დაიმსახურეს, აღარ სურდათ და აღარც გაიხსენებდნენ უამრავ „თამაშობებს“, რაშიც სანიმუშო, „ჭკვიანი“ სტუდენტის როლებს თამაშობდნენ...

ოთარ ჩხეიძე ამათ ორივე სახის კვდომას ააცილებდა.

— სულზე მოგვისწრო... ის ძარღვი გადაარჩინა ჩვენში, რომელიც უნდა გადაესერთ, ვისწავლეთ კითხვა, კარგ მკითხველებად ვიზრდებოდით, ხედვაში გავინაფეთ, ალლო გაგვეხსნა, ველარაფერი ჩაგვეკლავდა.

ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალაქეებად გამოკვეთა და რაღას მიემატებოდნენ ეს ახალგაზრდები იმ უფერულ, უსახურ მასას საკუთარი თავის რწმენითა და რეალობის სწორი განსჯის უნარით ასერიგად აღვსილი: ამყინი და ერთგულნი, და ურჩებად და უტიფრებად თუ მონათლავდნენ დეკანატი და ლექტორთა ერთი წყება, ეს მხოლოდ და მხოლოდ მათი გულწრფელობის, გულმართლობის გამო.

ეს რწმენა და განცდა როგორ ჩაენერგა?

როგორ და...

— ესმოდა ჩვენი, ვაინტერესებდით, ვუყვარდით, ყველაფერი ახალგაზრდული მისთვის ახლობელი და გასაგები იყო — სისუსტენიც. არ გვატყუებდა, პირუთენელი და მართალი იყო.

ისე წვრთნიდა, ვერც კი ხვდებოდნენ, საიდან რისთვის უვლიდა, როდის რაზე აუხელდა თვალს... ნაყოფს კი მისი ამ იდუმალი პედაგოგიური ზემოქმედებისა ნათლად იგრძნობდნენ და დაინახავდნენ.

ერთ ეპიზოდს გაიხსენებდა ესეის ფინალურ ნაწილში, უაღრესად მეტყველსა და შთამბეჭდავს, არადა, თითქოს რაღაც წვრილმანს.

მართლაც რა მოხდა ამისთანა — დაგვიანებულმა სტუდენტმა შეალო აუდიტორიის კარი.

ამისთანები მომხდარა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში?!

ესეიმიც გვამცნობს, რომ უნესრიგობა წესად გადაქცეულიყო — აგვიანებდნენ სტუდენტები, აცდენდნენ, ამისათვის საყვედურები და „კურთხევა“ არ აკლდებოდათ, დასჯა-გამოსწორების მეთოდებიც მკაცრად ამოქმედებულიყო, მაგრამ... წესი წესად რჩებოდა.

და, აი, ოთარ ჩხეიძის ლექციაზეც უნდა გამოჩენილიყო პირველი დაგვიანებული.

და სტუდენტები, თითქოს შეთანხმებულანო, გაემზადებოდნენ მწერლის აგზნება-აღელვების საცქერად, მისი „ლექსიკონის“ მოსასმენად...

და გაოგნდებოდნენ, როდესაც... ეს ჭარმაგი კაცი... ფეხზე წამოდგებოდა... და ვიდრე დაგვიანებულ სტუდენტს დამჯდარს არ დაინახავდა, თვითონაც არ დაჯდებოდა, თითქოს ებოდებოდა, უიმისოდ რომ დაეწყო ლექცია, და მერე საგანგებოდ გაუმეორებდა პირადად მას, თუ რა პრობლემა განეხილათ და ვის რა აზრი გამოეთქვა.

ასე განმეორდებოდა რამდენჯერმე.

— მერე შეგვრცხვა, აღარ ვაგვიანებდით, თუ მაინც ვინმე დააგვიანებდა, სირცხვილით აუდიტორიას სიახლოვესაც კი არ გაეკარებოდა...

სხვებთან?

ისევე ისე გრძელდებოდა დაგვიანება და მოსმენა ლექტორთა აურაცხელი ლანძღვა-გინებისა.

შენ წვრილმანი ეძახე!..

სხვა რომც არაფერი მოგეხსენებოდეს ამ ადამიანზე, მის პიროვნულ თვისებებზე, მის გვარიშვილობაზე, ჯერ მარტო ეს სუ-

რათიც ხომ ხელშესახებად წარმოგისახავს მის უჩვეულობას, ამოვარდნილობას იმ გარემოდან, სადაც სულ სხვა ინტერესებსა და მისწრაფებებს მისცემოდა ასპარეზი... მას კი ევალეობდა თუნდ ახალგაზრდების ყველა სისუსტე სცოდნოდა და ისე გაეყვანა ბუნვის ხიდზე, წონასწორობის უნარი შეენარჩუნებინა მათთვის — დიდი სიმართლისა და გულწრფელობის ძალა და ფასი, შემცდარად, მყარად დგომის, ღირსების აღიარება გზამკვლევადა.

და ღია ყატაშვილი კიდევ ერთხელ გაიმეორებდა იმ ჭეშმარიტებას, რომ არა კმარა იყო დიდი მეცნიერი, რათა კათედრაზე დგომის უფლება მოიპოვო, დიდი პედაგოგიც უნდა იყო, აუცილებლად დიდი პედაგოგი...

— პიროვნება უნდა იყო, უნდა წერდებოდა შენს პიროვნებას (მაღალღირსეულს მხოლოდ და არა ათასგვარი კომპლექსით დამძიმებულს) სხვაში, უნდა ზრდიდებოდა სხვა პიროვნებას.

და ესეისათვის ყველაზე ბუნებრივი ფინალური აკორდი:

— ოთარ ჩხეიძე ჩვენთვის ჭეშმარიტი პიროვნება-მწერალი იყო.

არადა, თითქოს შემთხვევით შეხვედროდნენ ერთმანეთს, ოთარ ჩხეიძე ბოლო წუთამდე რომ ყოყმანობდა: შეცდომა მომდის, არ უნდა დავთანხმებოდი პედაგოგიურ ასპარეზზე დაბრუნებასო, — და სტუდენტები კი ვედრებად გადაქცეულიყვნენ დეკანატის კართან: სადაც გენებოთ, იმ ჯგუფში გაგვანაწილეთ, ოღონდაც აქ არა, ამ რაღაც გაუგებარ მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის სპეციალობაზეო.

და იძულებით გამწესებულთ მაინცდამაინც ამ ჯგუფში ოთარ ჩხეიძეს რომ წარუდგენდნენ, ეს გვარ-სახელი ბევრს არაფერს ეტყობდა... და დეკანატსაც და რექტორატსაც ბარემ უფრო სახელგანთქმული მწერალი ერჩივნათ, მაგრამ ჯერჯერობით მეტი ვერ მოეხერხებინათ... სამაგიეროდ, რა სიამაყით, რა თავმომწონედ წარუდგენდნენ მომდევნო სემესტრში სახელგანთქმულ პოეტს, რომლის უშუალო ხილვითაც ისე უნდა გაბედნიერებულიყვნენ ეს ახალგაზრდები, რომ მთელი ცხოვრება სატრიაბახოდ ჰქონოდათ და მოეთხროთ თავიანთ მოწაფეთა ახალი და ახალი თაობებისათვის.

ახალი მოთხრობა გექნება და წამაკითხეო, — შესთავაზებდა ოთარ ჩხეიძე თავის ყოფილ სტუდენტს და გულში კი გაიფლავდა: აქამდე რომ მხოლოდ სიკეთის ამბებს გარდაქმნიდა მოთხრობებად, ახლა სიკვეც შემოიჭრება მის თხრობაში, ავი კაცი იქნება მთავარი პერსონაჟიო.

წუთისოფელიც ესაა!..

და ახალბედა მწერლის უცარი გარდაქმნაც მისი ნება გახლდათ, ამ უცნაურ ჟინს აყოლილი წუთისოფლის, რომელიც ნაკლებად დაგიდევდა და თავის უძირო წიაღში ჩანთქმას უპირებდა ყველაფერს, რასაც წმინდა ვერცხვად, კეთილი, ნამდვილი, შეუბღალავი, რაც ღვთიური ძალისა და მადლის გამოსხივებას ადასტურებდა მინიერ ყოფაში და გინერგავდა რწმენას, რომ არასოდეს, არასოდეს გაქრებოდა ლამაზი არსი ჩვენი ადამიანური ბუნებისა.

სემინარზე მოვიტანო, — პირდებოდა განდობილთა იმ წრის მონაწილე, რომელიც უკვე დანთქმულიყო თავისი მთავარი პერსონაჟის ხასიათის მხატვრულად გააზრებაში...

ეგაა, სემინარები თუ გაგრძელდებოდა!..

თუ კიდევ ჩამოდგებოდა უჩვეულო, განსაკუთრებულ დღეთა წყება ამ ახალგაზრდების ცხოვრებაში...

თავი IV

„ჩვენ სხვა ბენეფი ბეაქს“

ღია ყატაშვილს თავისი მომავალი მოთხრობის მთავარ პერსონაჟად უკეთური პიროვნება რომ წარმოესახა — რეალური ყოფიდან თავისთავად ნაკარნახევი — შესაძლოა სახელი არც დაერქმია მისთვის.

არსებობს ამგვარი მხატვრული ხერხი, ამოზრდილი იმ საგულისხმო ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ სანყისზე, რომ ბოროტება არამარტო უხანოა, არამედ უსახელოც.

და ლია ყაბაშვილი სწორედ ამ ხერხს რომ მოიმარჯვებდა, ცხადყოფს მისი ეს არჩევანი — ლიტერატურულ პორტრეტში „პიროვნება-მწერალი“ ის სახელგანთქმული პოეტი... უსახელო დაეტოვებინა.

დაე გამჭვირვალე მინიშნებებს მიეხვედრებინა პროფესიონალი მკითხველი, თუ ვინ იგულისხმებოდა წამიერად ლექტორადაც მოვლენილ, განდიდებულ პოეტში, ვისი ხავერდის სამოსიც, სიბრაზისაგან აცხცხცხებისას, ხავსივითაც რომ შეიძლება ალივლივებულიყო.

მითუმეტეს, ამ პროფესიონალი მკითხველისათვის უსათუოდ კარგად იქნებოდა ცნობილი მურმან ლებანიძის ლექსი „უახლოვდება კაცი იგი როდესაც ოთხმოცს...“, შექმნილი 1982 წელს, სწორედ იმხანად, როდესაც სახელგანთქმული პოეტი უნივერსიტეტის კედლებშიც გადაიქოლოვებდა, და აგებული იმ გამჭვირვალე მინიშნებებზე, ამოსაცნობს რომ აღარც გიტოვებს.

ქვესათაურად მიწერილიყო: „მანტირესებს!“ ისედაც მძაფრი სარკაზმის გასამკვეთრებლად.

და ეს სიტყვა ლექსის შუაგულშიც ამოტივტივდებოდა, როდესაც სათაური სტრიქონად განმეორდებოდა და ძალაუნებურად დაიბადებოდა კითხვა, თუ რა განცდები შეიძლება გასჩენოდა ოთხმოცს მიტანებულ კაცს, ხნოვანება უთუოდ (ნეტა მართლა უთუოდ?) მონანიებისაკენ რომ უბიძგებდა: როცა სინდისი შეანუხებს და პასუხს მოსთხოვს, მანტირესებს, ერისკაცად შერაცხვა თვისი რა ფიქრებს აღძრავს გველადუა მოხუცის ტვინში?!

სინდისს რატომ უნდა შეენუხებინა?..

ან ეს „გველადუა“ საიდან შეიძლება ადევნებოდა ეპითეტად სულაც ერისკაცის სახელის დამჩემებელს?..

მურმან ლებანიძე მის ბიოგრაფიას პოეტური ხელოვნებით ჩანურავდა ორიოდ სტრიქონში და პიროვნულ ხასიათსაც ხელშესახებდა წარმოაჩენდა და ეპოქის სულსაც, მოშლილსა და გაუკულმართებულს, ქოტურსა და დამთრგუნველს, ამ ზნეობის ადამიანებს ასპარეზსაც რომ უგდებდა ხელთ და მთლად სადავეებსაც მათ უთმობდა.

**დამძიმებული —
საუკუნის, მუხთალის, ცოდნით,
ერთგვარი ნიჭით
და მედროვის მურდალი ცოდვით,
ნაპარპაშევი —
ლიქნით, ზაკვით, კაცის გაცემით,
ინტრიგის ხლართვით,
და ზურგსუკან დაშნის ჩაცემით,
აღზევებული —
რით? — სახელის სყიდვით, ვაჭრობით...**

შემზარავი ბიოგრაფიული ქარგაა!..

ის, რაც მომნიბლავი, ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა ფერებით იმოსება მოკლე ავტობიოგრაფიებსა თუ მესოტბეთა მიერ გულმოდგინედ ნაკონინებ ლიტერატურულ პორტრეტებში, სარჩულის გადმობრუნების შემდეგ ასეთ გულდასანყვეტ სახეს იძენდა, თუმცე გაკვირვებით სულაც არ გიკვირდა, რადგანაც თავისი საზომები აქვს ტოტალიტარულ რეჟიმებს, თავისი გმირები ჰყავს, თავისი აღზევებულნი და გზაც შესაფერისია აღზევებისათვის.

ერთ პოლუსზე გადაშლილიყო სახელგანთქმული მწერლის ყალბი ანკეტა.

მეორე პოლუსზე ეს პოეტური ანკეტა გამოჩნდებოდა, არამარტო მხილების ფინით აღვსილი, არამედ თვითგვემითაც: ეს მოსახვეჭი „სიბრიყვით ჩვენით, უფრო ზუსტად — ჩვენი ლაჩრობით...“ მოუხვეჭავსო.

არადა, უახლოვდებოდა კაცი იგი უკვე ოთხმოცს.

და ერისკაცად შერაცხვა ნეტა მართლაც რა ფიქრებს აღძრავდა მოხუცის გონებაში?..

სიუჟეტის ჩანასახი გაილეგებდა ლექსში — ორი მეგობარი მანქანით მიქრის შინდისისაკენ და მთანმინდის პლატოს გადმოჰყურებენ. და ერთი მგზავრი მეორეს უსვამს ამ კითხვას: სინდისი რომ შეანუხებს, ნეტა რა განცდები დაეუფლებო.

ის... გაიცინებს და სიცილს ამოაყოლებს იმ სიტყვებს, პოეტურ სამოსელში ამგვარად რომ გახმიანდებოდა:

**— შენუხება სინდისისაგან
შორსაა მისგან!
დიდი-დიდი — ნაგლეჯი იჭვის:
„ღმერთს მადლობაო,
ის, რაც იყო, არავინ იცის!..“**

ეჭვის ნაგლეჯის აფუთფუთებასაც არ აპატიებდა ნუთისოფელს და ნიშნისმოგებით რომ გამოხედავდა, ერთ მძიმე ქვასავით ამ სიტყვებსაც სტყორცნიდა:

**მშვიდობით!
გალმა სადგური მოჩანს!
ან სააქაო
ფეხებს ვერ მომჭამს!**

ვითომ რატომ არ უნდა მოეგო ნიშნი? თავი რატომ არ უნდა მოეწონებინა?

სააქაო ველარ შენვდებოდა, რაკილა მთანმინდაზე უკვე წინანსწარვე მოეზომა ალაგი და ერთსლა ფიქრობდა, ერთსლა ოცნებობდა, ეს ალაგი მართლაც დაესაკუთრებინა.

ვითომ ყოფით დეტალად გაილეგებს ლექსში მთანმინდის ხსენება, მაგრამ ეს ის მკაფიო მინიშნებაა, მოხუცის (გველადუაო, — მურმან ლებანიძე სხვაგვარად არც ახსენებდა) ყველაზე დიდ ნაიღლსა და ჟინს რომ ამოზიდავდა. ყველაფერი მოემეკო, ყველაფრისათვის მიეღწია, ყველაფერი მიესაკუთრებინა, ერთი ესლა დარჩენოდა მიუღწეველი და ცხადსა თუ სიზმარში მას შეჰყურებდა. საფუძვლებს კი გულმოდგინედ ამზადებდა სამუდამო სამყოფელისათვის, მაგრამ გული ეთანალრებოდა, რომ სიკვდილის შემდგომ თვითონ უკვე საშუალება აღარ ექნებოდა ჩვეული ენერგიითა და მარიფათიანობით ჩარეულიყო საფლავის ადგილის გადანყვეტაში, სხვანი კი, რაოდენ მხურვალედაც უნდა დაპირებოდნენ, ნეტა მართლა თუ აღუსრულებდნენ ამ ვნებას და ნაოცნებარს შესაფერისადაც დაუფვირგვინებდნენ?!

იმედად იმედად, მაგრამ, აი, ყოფითი რეალობა რამდენად დაყაბულდებოდა მის სწრაფვას?..

რაც აღარ ეეჭვებოდა, ეს გახლდათ: ან სააქაო ფეხებს ვერ მომჭამსო!..

თურმე ამაო თავდაჯერება იყო, რადგანაც ისე დატრიალდებოდა ნუთისოფელი, ტოტალიტარული სახელმწიფოს კედლები ჩამოიშლებოდა (ყველაფერი რომ წარმოედგინა, ამას როგორ წარმოიდგენდა!) და ნაშალს ისიც თან მიჰყვებოდა — საკუთარი თვალთ რომ იხილავდა თავის სრულ გაკოტრებასა და ფიასკოს, სულ უფრო დაპატარავდებოდა, სულ უფრო დაჩიავდებოდა ეს ახმახი კაცი და ხავსლა მოეჭიდებოდა თავისი დაჩუტული სახელის შემყურე.

ჯერჯერობით მთლად ისეც არ გაინიერებოდა, რისი ღირსიც გახლდათ, მიუკერძოებლად ჯერ მაინც ვერ შეფასდებოდა ნამოქმედარი მისი, მაგრამ მთანმინდას ვილა მიაკარებდა!..

აღარც აღარავინ მოისაკლისებდა იმ ერთი-ორი მოთაყვანის გარდა, რომელნიც კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდნენ ნუთისოფლის გაუტანლობაში და მწარედაც დაიჩივლებდნენ: როგორ, ირაკლი აბაშიძე მთანმინდაზე არ უნდა განისვენებდესო?!

ასე, ათი წლით დაეგვიანა.

ვერ გამოძლარიყო სიცოცხლით, მაგრამ რომ სცოდნოდა (მისი პოეტური გუმანი აქამდე ვერ წვდებოდა!), მთანმინდის ბედი ჩემი გარდაცვალების ვადაზე ჰკიდიაო, აჩქარდებოდა, უეჭველად აჩქარდებოდა და... ნიშნისმოგებაც მაშინ გენახათ სააქაოს მიმართ, ბოლომდე რომ ჩამოეთალა, ბოლომდე გამოეწურა „მედროვის მურდალი ცოდვით... ლიქნით, ზაკვით, კაცის გაცემით, ინტრიგის ხლართვით, და ზურგსუკან დაშნის ჩაცემით... სახელის სყიდვით, ვაჭრობით...“ და, ერისკაცისა და დიდი პოეტის შარავანდით შემოსილი, ილიასა და აკაკის, ვაჟასა და ვალაკტიონის გვერდიდან და ტოლ-სწორობიდან გადმოხედვდა ძირს დარჩენილ ქვეყანასაც და შთამომავლობასაც... მაინც მარტო ირაკლის ირქმევდა და აკი კიდევ ცდილიყო, საზოგადოებისთვისაც შემოეპარებინა თავისი ეს მწველი სურვილი — იმათსავით მხოლოდ სახელით დამკვიდრებულიყო ერის მეხსიერებაში.

ხოლო ის ბროშურა „ირაკლი აბაშიძე საქართველოს საისტორიო საზოგადოებაში“ ვითომდა მარტოდენ მეცნიერთა მისალმებებს რომ მოუყრიდა თავს, მათ გარემოში ამ საპატიო სტუმრის გამოჩენით გამოწვეულს 1980 წლის 31 ოქტომბერს, სინამდვილეში ის ტექსტები გახლდათ, თარგად რომ უნდა დასდებოდა მისი ბიოგრაფიისა და ლეანოს აღწერას — უზომოდ გაზვიადებულნი და გაბერილნი, ზეცად რომ უნდა შეეტყორცნათ მისი სახელი და სამუდამოდაც იქ დაეტოვებინათ. თქვენ მიეცით დასაბამი და ავითარებთ ქართულ ფილოსოფიურ პოეზიასო;

ღმერთმა შეგაძლებინათ ჩვენი დროის შესაფერისი „ვეფხისტყაოსნის“ შექმნაო;

ერთი წლის წინათ ჩვენ ხალხს ჰქონდა ბედნიერება აღენიშნა თქვენი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის იუბილე. ეს იყო ქართული პოეზიის დიდი სახალხო ზეიმი და მადლიერმა ხალხმა ქართული პოეზიის სამეფო გვირგვინით შეგამკოთ, საქართველოს უგვირგვინო მეფე გინოდათ და ამით თქვენი შემოქმედება ქართველი ჰომიოსის — სულმნათი აკაკის დონეზე დააყენაო;

ამ საუკუნის ყველაზე დიდი კაცოო; ყველაზე ღირსეული მეკვლეე საქართველოს მომავლისაო; თქვენი ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“ და მთელი ეპოპეა „რუსთაველის ნაკვალევი“ თავისი ფილოსოფიური სიღრმითა და პოეტური ზემოთაგონებით მსოფლიო პოეზიის შედევრებს უტოლდება და მეტყველებს არა მარტო თქვენს დიდ პოეტურ ნიჭზე, არამედ ქართველი ერის, რომლის ღირსეული შვილიც თქვენ ბრძანდებით — დიდ შემოქმედებით გენიაზეცო;

მხოლოდ „ხმა კატამონთან“ რომ შეგექმნათ, მაინც დაიმკვიდრებდით წმინდათაწმიდა ადგილს საქართველოს ეროვნულ გმირთა გალერეაშიო;

თქვენ ხართ დიდოსტატი მონუმენტური პოეტური სიურპრიზებისა. თქვენი ლექსების რკალი რუსთაველის შესახებ უდიდესი მოვლენაა მთელს თანამედროვე ლიტერატურაში... თქვენო... თქვენო... თქვენო...

ვინ ვის ნააჭარბებდა, ვინ ვისზე უფრო აღმატებულ ეპითეტს მოიხმობდა, ვინ ვისზე მეტ და ეფექტურ სახოტბო ფრაზას დაახვავებდა.

ირაკლი აბაშიძის ყურს ოდნავადაც არ ეხამუშებოდა ეს შეფასებანი — არც რუსთაველის ხსენება, არც აკაკის, არც ჰომეროსის, არც გაიგივება ქართველი ერის გენიასთან, არც ეროვნულ გმირად მოხსენიება, არც საუკუნის ყველაზე დიდ კაცად, არც ფილოსოფიური ლირიკის ფუძემდებლად, არც საქართველოს საზღვრების გაცდენა და თანადროული მსოფლიო მწერლობის უპირველეს წარმომადგენლად შერაცხვა... და წარმოსახვაში ქართული პოეზიის სამეფო გვირგვინსაც ისე თამამად შეისწორებდა, თითქოს მთელი ცხოვრება სამეფო გვირგვინის შესწორებაში გაეტარებინოს.

დიდი-დიდი... ნაგლეჯი იჭვის... რაიმე ოდნავ მაინც უხერხულად რომ მიეჩნია, ცხადია, კრებული აღარ გამოიცემოდა, ყოველ შემთხვევაში ამ სახით — არაფრისდიდებით არა.

რა ადვილი ყოფილა, არა, უკვდავების მოხვეჭა?!. ჯანსუღ ლვინჯილიას რეცენზია „ჩვენი დუმლიის პასუხად...“ („ცისკარი“, 1983, №9) მხოლოდ ამ კრებულს კი არ მიეძღვნებოდა, არამედ მკაცრად ამხელდა სამწერლო და სამეცნიერო წრეებში გამეფებულ სიყალბესა და გადაგვარებას, რომლის ყველაზე სახიერი, უკიდურესი ნიმუშიც ეს ბროშურა გახლდათ, და კრებულის გმირის ცრუ განდიდების მაგალითზე თვალნათლივ გადმოაფარჩავებდა იმ უგვანობის, იმ ავადმყოფური სენის მექანიზმს, სიყალბისა და მამამებლობის საშინელ ბუნებას, საერთოდ კი ამ ტენდენციის საშიშროებას საზოგადოებრივი ცნობიერების დასაბნეველ და დასაბრმავებლად.

ამ ავადმყოფურ სენზე საუბარი იმიტომაც მიეჩნია აუცილებლად, თუ რა მაგალითს დაინახავდა ამ და მსგავს ფაქტებში ახალგაზრდობა. ისინი ხომ, ერთი მხრივ, განიმსჭვალეობდნენ უპატივცემულობით მათ მიმართ, ვისაც მეტისმეტი მიანერეს, ანუ ქებას უკურეაქცია მოჰყვებოდა. მეორე მხრივ კი, შეიპყრობდათ სკეპტიკური განწყობილება ჩვენი ცხოვრების წესის მიმართ. და რაც მთავარია, დარწმუნდებოდნენ, რომ უნდა ყოფილიყვნენ მაქსიმალურად მობილიზებულნი არა იმდენად სერიოზულ საქმეთა საკეთებლად, არამედ საიმისოდ, რომ მომავალში თვითონაც არ დაეკლოთ ასეთი აღმატებული ეპითეტები.

რა ადვილი ყოფილიყო, არა, უკვდავებაში შებიჯება?!. მთელი ის განსჯა და მძაფრი პუბლიცისტური პათოსი კი ამ ფრაზის ირგვლივ იკვროდა, ყველაზე ძალიან რაც ემწვავებოდათ სტატიის ლირიკულ გმირსა და მის მეხოტბეთ: ირაკლი აბაშიძე არის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) საინტერესო წარმომადგენელი დღევანდელი ქართული პოეზიისაო. თითქოს რა ისეთი ფრაზაა, თავზარს რატომ უნდა გცემდეს ადამიანს, მაგრამ სახელგანთქმულ პოეტს მეხივით დაატყდებოდა თავს, რაკილა უზომო, ზღვარდაუდებელი განდიდების ფონზე უჩვეულოდ და შემადომინებლად გაისმოდა, და ზეციდან ერთბაშად ჩამოიყვანდა მიწაზე, რომელსაც ფეხს აღარ აკარებდა.

უახლოვდებოდა კაცი იგი ოთხმოცს... და ზურგსუკან რჩებოდა ის ეპიზოდები, პოეტურ ანკეტაში რომ განზოგადებულიყო, ყოფით რეალობაში კი თავთავისი სახელი დარქმეოდა ყველაფერს: ლადო ასათიანის პირველი პოეტური კრებულის დაწვანადგურება;

სიცოცხლის გამწარება ვალაკტიონ ტაბიძისათვის; გიორგი ლეონიძისათვის; სიმონ ჩიქოვანისათვის; დევნის გამოცხადება ოთარ ჩხეიძისათვის 50-იან წლებში; პავლე ინგოროყვას თავზე მოწეული მეხთაგება 60-იანი წლების შუა ხანებში... და კიდევ რამდენი და რაოდენი... და მის გონებაში კი... დიდი-დიდი ნაგლეჯი იჭვის: ღმერთს მადლობა, ის, რაც იყო, არავინ იცის!..

ამისთანა გულსტკენებს გადაიტანდა: მურმან ლებანიძის ლექსს, ჯანსუღ ლვინჯილიას კრიტიკულ გამოხმაურებას, უფრო ადრე — ვალაკტიონ ტაბიძისა თუ გრიგოლ აბაშიძის ლექსებს, გამჭვირვალე მინიშნებებით რომ ჩახატულიყო მისი პორტრეტული შტრიხები და გათვითცნობიერებულ მკითხველსაც ეჭვმუშავალად დაედასტურებინა ამ ლექსთა ლირიკული გმირების მსგავსება სოციალისტური გმირის სახელითაც შემკობილ სახელგანთქმულ პოეტთან... დიახ, ამისთანა გულსტკენებს კი გადაიტანდა როგორმე, მაგრამ საბჭოური რეჟიმის დარღვევა გამოაცლიდა ხელიდან რეალურ საყრდენს და ილუზიებსღა შეატოვებდა, მთელ თავის მრისხანებასა და

გაბოროტებას ამ სიტყვებში რომ ამოანთხევდა: არ მოვიტომენ ზვიად გამსახურდიას დიქტატურასო!..

მანამდე თვითონვე ხითხითებდა და ხან ვის გააჩერებდა და ხან ვის, სახელდახელო მოკითხვის შემდეგ ეს რომ ეთქვა: ოცდახუთი ლექსი მაქვს დაწერილი ბერიაზე, ოცდახუთი!..

მაინც ამომინევენ, მაინც დამითვლიან იმ სახობტო ნიმუშებსო, — შიშობდა და ისევ ეს ერჩივნა, თვითონვე გაემჟღავნებინა, ვითომდა — აგერ ნახეთ, არაფერს ვმალავ, თუკი ოდესმე რაიმე საჩოთირო ჩამიდენიაო... დაბეჭდილს სად წაუვიდოდა... მთავარია ის ნამოქმედარი დაფარულიყო, დაგმანულიყო საიმედოდ: ლიქნაც, ზაკვაც, კაცის გაცემაც, ინტრიგის ხლართვაც და ზურგსუკან დაშნის ჩაცემაც... ამოქოლიყო სახელის სყიდვაც და ვაჭრობაც..

მაგრამ რა ყოფილა დაფარული, რომელიც არ გაემჟღავნებულყო!..

კომიკურად აღიქვამდა მკითხველი საბჭოთა სინამდვილისა და მის დამამკვიდრებელთა მებოტბისაგან, ზვიად გამსახურდიას გახელისუფლებას რომ ვერ შეგუებოდა, და კომიკურად აღიქვამდა იმიტომ, რომ მასზე აღარ მოქმედებდა მომწონსხველად ირაკლი აბაშიძის სახელი, საბჭოთა რეჟიმთან ერთად გასვლოდა ყავლი და რამდენიმე ჩინებული ლექსი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში ყოველთვის კი მოახვედრებდა მის სახელს, მაგრამ ეს მაინც ძალზე და ძალზე მოკრძალებული ადგილი გახლდათ იმ ადამიანისათვის, გალაკტიონ ტაბიძეს რომ უპირებდა დამცრობას და პირველი პოეტის შარავანდის დაჩემებას, და წყვეტდა რაიკომის მდივნებისა თუ სხვადასხვა სანარმოთა დირექტორების მოხსნა-დანისვენას.

კითხვის სიყვარულით მაინცდადამინც არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ ყოველთვის ეჭვით ფურცლავდა ოთარ ჩხეიძის ახალ ნაწარმოებებს: პირდაპირ თუ გადაკერით სადმე აუცილებლად ამოვყოფ თავსო. კი იცოდა, როგორც ჩახატებოდა და... არაერთხელ ეტყოდა იმ იმედით, ეგებ დავავინყო ის ძველი ამბები და თავი შევაცოდო, რათა რაღაც-რაღაცები არ წამოატეგტივოსო: შენს დაწერილს სტრიქონს არ ვუშვებ წაუკითხავს, თანაც ძალიან გულდასმით ვუკვირდები, ქვეტექსტებიც რომ არ გამომჩრჩესო.

მერე და მერე სულ უფრო და უფრო!.. და თვით მაშინაც, როდესაც თამამად და ნიშნისმოგებით გამოჰყურებდა სააქაოს, ამ შემთხვევასაც არ გაუშვებდა ხელიდან, შორიდანვე რომ არ მიეძახა, ხალხის ნაკადი აქეთიქით რომ მიაქანებდა ორივეს:

— ეს რა ლექსი დაგინერა, ბიჭო, მურმან ჯგუბურია, რა ლექსი!.. — და ორ სტრიქონს ზეპირადაც დაიმონებდა, — „შენ, ჩემო დიდო თანამედროვე, დახეთქილი გაქვს ჯავით ხელებიო...“

„ციკრის“ 1980 წლის მე-9 ნომერში გამოქვეყნებულიყო ის ლექსი იმ პოეტისა, ვინც ჯერ კიდევ მაშინ ირწმუნებოდა ოთარ ჩხეიძის დიდ მწერლობას, როდესაც ბევრი არ მოიპოვებოდა ამ შეხედულების გამზიარებელი, სნობურ წრეებში — საერთოდაც არავინ, და უნდა მორიდებული ამგვარ მტკიცებებს, თუ გსურდა იმ წრეებში ჩაწერილიყავი.

არ დაგიდევდა სნობების აზრებს მურმან ჯგუბურია და ამ ლექსსაც მომავლის მკითხველის თანადგომის იმედად შექმნიდა — მაშინ კი დაუფასდებოდა მხატვრული ალლოც და გემოვნებაც, და კიდევ გაბედულედაც, როდესაც ეს დოთირამბი საყოველთაოდ იქნებოდა გაზიარებული. ჯერჯერობით კი...

„არც ქალაქელი და არც სოფელი, გახიდილი ხარ ორ ნერტილს შუაო“ — ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიული დეტალი მარჯვნივს განეზოგადებინა და კომპოზიციური ქარგაც მის ირგვლივ მოექსოვა.

აქ თუ იკითხავდა მეზობელი: ნეტა ბატონი ოთარ თუაო? ის იქ იყო მაშინ და იქ ფუსფუსებდა, ხეხილს რგავდა ბალში და კირით ფეთქავდა, გასცქეროდა ატმის ახალ ბუსუსებს და ჟრიაშული ჩაესმოდა ფერთა.

და თუ იქ იკითხავდა მეზობელი: ნეტა ბატონი ოთარ თუაო? ის აქ იყო მაშინ და აქ ფუსფუსებდა, რწმენას რგავდა წიგნში და მადლით ფეთქავდა, გასცქეროდა ნედლი სიტყვის ბუსუსებს და ჟრიაშული ჩაესმოდა ფერთა.

მოგვიანებით, ორი ათეული წლის შემდგომ რუსუდან ნიშინიანძესთან დიალოგისას ოთარ ჩხეიძე სიტყვის განცდას ყვავილობასთან და ფერთა ჟრიაშულთან გააიგივებდა, გააცხადებდა იმას, რაც პოეტს გუმანით ისედაც მიეკვლია და ლექსში ამასაც ირწმუნებოდა: არცა სოფელი, არცა ქალაქი, იცი, უშენოდ ივარგებს ველარ, — არის წინაპართ ძვალშესალაგი, მინა, რომელზეც ამჯერად დგეხარო.

მინა არს ღმერთი! — ქადაგებდა მღვდელი თედორე ოთარ ჩხეიძის ტრაგედიაში, და ძალიან გაუსწრებდა წინ ამ სხარტი ფორმულირებით შემდგომ ყბადაღებულ დაპირისპირებას სამშობლოსა და ჭეშმარიტებისა, მურმან ჯგუბურია კი ამ აფორიზმით სიტყვებს რომ გაიმეორებდა, მაშინაა, რომ მიაღვენებდა: შენ, ჩემო დიდო თანამედროვე, დახეთქილი გაქვს ჯავით ხელებიო.

და ეს უპოთეტი „დიდი“ — ახლა უკვე სახელმწიფოებრიობის შეგნების დასტურად — მომდევნო სტროფშიც უნდა გახმიანებულიყო, ერთი მხრივ, შეშის დაჩეხვისა და ღობის გამაგრების, და მეორე მხრივ, სიტყვისათვის ღამეების თეთრად გათენების შეთანადების ფონზე: დიდი ქართულის ხარ მოამაგე, იმერს უხამებ ფერთ ამერსო. და იქვე ის ტკივილიც ძალდაუტანებლად უნდა შემოჭრილიყო, ოცნება და ყოფითი რეალობა ასე რომ ეჯახებინა, ხან კი უნუგემოდაც დაშორდებინა ხოლმე ერთიმეორეს:

ხან პროფესორი და ხან ბოგანო, თავადი ძველი, გვართ ქებული, თუმც დღეს არა გაქვს უკიდევანო მამული, შენად სახელდებული.

მაგრამ მომავლის იმედს რა დაშრეტდა, რა გააქარწყლებდა!.. „ჩემი სოფლის ეტიუდების“ ციკლს ძველი ტაძრის ფრესკის ნაჭრებთან გაუიგივებდა, რომანებს კი „აზრის სიუჟეით“ სავსედ და „მარტოკაცის საღონარად“ შეუფასებდა, და ეს „მარტოკაცობა“ მანამდეც მკაფიოდ მიენიშნებინა: განწილი გაქვს ფაფარი ქარში, და ხალხში მარტო მიდიხარ გზაზეო.

ის აღტაცება, რაც ამ ლექსიდან იღვრებოდა, ორი წლის შემდეგ სტუდენტთა იმ ჯგუფსაც უნდა გასჩენოდა — ახალგაზრდებს თავისით მიეკვლიათ ოთარ ჩხეიძის ნაწერებში იმ მადლის, იმ უჩვეულობისთვის, მათ გულისთქმას ასერიგად რომ ეხმიანებოდა და დახვეწილი გემოვნების პოეტს კი ზუსტად ჩამოეყალიბებინა ლიტერატურულ დაკვირვებებად და დასკვნებად, ჯერ ლექსად რომ ამოეთქვა და იმედოვნებდა, ისე როგორ იქნება, ადრე თუ გვიან ოთარ ჩხეიძეზე მონოგრაფიული თხზულებაც რომ არ შეექმნაო.

სხვა კი არაფერი გამოუთქვამთ სტუდენტებს იმ საბედისწერო ლექციებზე!..

ისიც პოეტი-ლექტორის დაჟინების შემდეგ: ყველაზე ძალიან რომელი მწერალი გიყვართო!..

ამ ლექსს კი შეინყნარებდა ირაკლი აბაშიძე, სულაც შექებასაც გაიმეტებდა, მაგრამ იქ უკვე ველარ მოითმენდა, უნივერსიტეტის კედლებში, და აკი კიდევ გაიჭრებოდა აუდიტორიიდან აღმფოთებული და აბობოქრებული, და სამაგიეროს მიუზღველადაც არ დატოვებდა გაცეხულ ახალგაზრდებს: შეურაცხყოფა მომაყენესო!..

მაშინ კი გატვრენას ამჯობინებდა, მუხრან მაჭავარიანი რომ გადმოდებოდა ტრიბუნაზე, ფილარმონიის სცენაზე, გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამოს მსვლელობისას და ვაიმწერლად მოიხსენიებდა იმ პიროვნებას, ვისაც პოეტის ტრაგიკული აღსასრულის ფაშა „ჭკუა ეკითხებოდა“ სამთავრობო წრეებში და... შენინააღმდეგებოდა მის გასვენებას მწე-

რალთა სასახლიდან იმ მოტივით: ხალხი არ მოვა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდებით!..

ვინაობას არ დაასახელებდა, მაგრამ მისი გაშიფვრა არავის გაუძნელდებოდა და ოთარ ჩხეიძე თავის დღიურში (1982 წლის 8 დეკემბრის ჩანაწერი) რომ ჩაინიშნავდა იმ ეპიზოდსაც და მანამდე კი ირაკლი აბაშიძის გამოსვლასა და მტკიცებას: ჩემისთანა მოკეთე არა ჰყოლია გალაკტიონს სიცოცხლეში და მასაც გამორჩეულად ვუყვარდიო, — გაიხსენებდა ანეკდოტით მოარულ იმ ამბავსაც, გალაკტიონს რომ ამცნობდნენ, მწერალთა სასახლის ბაღში კუ მიიტომია გაშვებული, ქვენარ-მავალს ანადგურებსო, ის კი მაშინვე ამას ურჩევდათ: აიღეთ, ძამიკობო, და თავმჯდომარის კაბინეტში შესვითო.

ასე უყვარდათ ერთმანეთიო, — დასძენდა.

და ასოციაციებიც წამოეშვებოდა:

— გოგლა ლეონიძეც ძალიან მიყვარდაო, ლექსიც დაუნერა. სიმონ ჩიქოვანიც მიყვარდაო, ყველა მიყვარდაო, — არა და ყველა გაანადგურა. ალბათ ასეც უნდა, როცა მიაღწია ყოველგვარ მიწიერ სიკეთესა, ყოველგვარსა, ყოველგვარსა, მიიღო ყველაფერი, რაც რო დაუნერებია ხელისუფლებასა გასასულელებლად პატივმოყვარეთა, — მიიღო, მიიღო ყველაფერი. ერთი ეს გამორჩენოდა: ხუთწლედის პრემია და უბოძეს ესეცა პუბლიცისტიკის დარგში დიდი წარმატებისათვისა. სეირია!.. რატო არ გაიცინებ ღმერთო!.. ეგება იცინის, — ალბათ იცინის... თუმცა და რაო, — თავისი დღენი პოეტი ტყუილად ერქვა, — პუბლიცისტი ბრძანდებოდა.

ორიოდე წლით ადრე კი, 1980 წლის 11 ოქტომბერს, იოსებ ნონეშვილის დაკრძალვაზე ირაკლი აბაშიძე ხელს მოჰკიდებდა იდაყვზე ოთარ ჩხეიძეს და გვერდით გაჰყვებოდა.

— რაც თავმჯდომარე აღარაა მწერალთა კავშირისა, გარს აღარ ახვევიან მწერლები, თითქოს კიდევაც ერიდებიან, თვითონაც თუ ერიდება თითქოსაც; მაშინ მე ვერსაიდან მივუდგებოდი, არც ამას მოაცილიდნენ ჩემთვისა, ახლა რაო, თვითონვე მომყვება და იოსებ ნონეშვილზე ამბობს: ეს საცოდავიო...

ცივა. ჟინჯულავს. შემოდგომის ჭონჭყლო ამინდია და ორივე მობუზულა.

— წინა დღეს გურჯაანსა ყოფილა საღამოზედა, — განაგრძობდა ირაკლი, — გაქცეულა მეორე დღესაცა, ეს საცოდავი, ჯანსუღები და ვილაცანი ნასულან, კიდევ საღამო ყოფილაო, ეს საცოდავი, არაფერს უნდა გამორჩენოდა, ყველგან უნდა ყოფილიყო, ყველაფერი უნდა მიეღო, ყველაფერს უნდა დასცხრომოდა, ეს საცოდავი, საცოდავი!.. ჩვენ ამას ვერ გავიგებთ, ოთარ, მე და შენა, ჩვენ... ჩვენ... ჩვენ სხვა გენები გვაქვს, ვერ გავიგებთ, როგორ დახარბებულან ყველაფერს, ყველაფერს უნდა მოჰხვიონ ხელი, ყველაფერი უნდა შთანთქმან, ყველაფერში უნდა ჩაცვივდნენ, ყველაფერი უნდა გადაიყარონ თავზედა, — ეს საცოდავი, საცოდავი!.. შენ რა გგონია, ეს ამდენი ხალხი რო ილანძვება, თანამდებობას რო ჩააბარებენ და ვერა ძლებიან, იმისგანაა, გენებით რო არ არიან ამისთვის მზადა... ასეა, ჩემო ოთარ, ჩვენ ამათ ვერ გავუგებთ, უნდა გვიკვირდეს და თუ ხალისი გვეყოფა, ცოტა კიდევაც უნდა გავიცინოთ, აბა რა, მეტი რა ჩარაა!.. ეს საცოდავი!

ოთარ ჩხეიძის იშვიათ მეხსიერებას შეეძლო ზუსტად, სტენოგრაფიული უცთომელობით გადმოეტანა განაგონი ფურცელზე, ისე, რომ არამცთუ ფრაზა, ერთი სიტყვაც არ შემოლოდა. და ამ შემთხვევაშიც ასეა და... ჯერ მარტო ირაკლი აბაშიძის ეს მონოლოგი თვალნათლივ წარმოსახავს მის პორტრეტს. მზამზარეული ხასიათია სატირული რომანის პერსონაჟად.

თვითონ მონოლოგი ხომ მრავალმხრივა დამაფიქრებელი!

გაგრძელდებოდა მისი სიტყვაუხეობა და გაიხსენებდა თუ როგორ დაუბეჭდა „ჩვენს თაობაში“ პირველი ლექსები, როგორ დაიარებოდა მაშინ იოსები, ეს გალუული ბიჭი, უპალტოდ და როგორ აჩუქა რედაქტორმა თავისი ძველი პალტო — ერთხელ უკვე გადაბრუნებული და მეორედაც გახეხილი: მეორედ გადაბრუნების იმედი ნულა გექნება, ოღონდ ორი პალტო

მინც გამოგივა და ორ ზამთარს მინც გაგიყვანსო... როგორ ეუბნებოდა მერე იოსები: შენს პალტოში ვარ გამოზრდილიო.

მონოლოგის ბოლო მონაკვეთიც დიდად საგულისხმო აღმოჩნდებოდა:

— საცოდავი!.. თავს ჰო არ უფრთხილდებოდა, ღვინოს მინც რო არა სვამდა!.. ალბათ მინც რალაცას უფრთხილდებოდა. ერთხელ დალია, ჰე, ჰე, ჰე... ჩემთან იყო, ამ ოცდაათი წლის წინათ, სტუმრები მყავდნენ, ზოგი საზღვარგარეთიდანა... დალია ერთი, დალია მეორე, დალია მესამე, ერიჰაო, გრიშამა თქვა, ჩვენმა გრიშამა, ისიც იქ იყო, აქ რალაც ამბავიაო, რახან იოსები სვამს, ალბათ რალაც ამბავია, მეც უნდა დავლიოო. იცოდა ასე, მაგ საცოდავმა, არა სვამდა, მაგრამ ჰე, ჰე, ჰე... სანყალი, საცოდავი!.. არ არიან მზადა, ბევრი რამისათვის გენებით არ არიან მზადა, ჩემო ოთარ.

პროცესია ნელა აგრძელებდა გზას, სიცივესა და ჟინჯულას ხომ არა და არ დაადგებოდა საშველი.

ამას გუნებაში გაელიმებოდა ისე კაცმა რომ თქვას, ვითომ თვითონ რალა მოიკლო, რითი ნააჭარბა ვითომ იოსებმაო?..

ხმამალა კი ამას ეტყობა:

— ერთი პატარა ზაფხული კიდევ იქნება.

და გახალისდებოდა ირაკლი აბაშიძე:

— იქნება, იქნება, ავიღეთ ერთი შენთან სოფელში!

— ავიღეთ.

ვილაც გასწევდათ აქეთ-იქით, გაჰყრიდათ და მხურვალედ მიესალმებოდა ირაკლის. ისიც აჩქარებით მოიკითხავდა. რაიკომის მდივანი ყოფილიყო და: დამანინაურესო, — ახარებდა, — ცეკაში გადმომიყვანეს განყოფილების გამგედო. მიულოცავდა ირაკლი.

და აქ მშვენიერმა კინოკადრმა უნდა გაიღვოს. ის დაბალი კაცი გახლდათ და აიჭიმებოდა საკოცნელად, რახან მილოცვაა, მილოცვა იყოსო, და დაეშურებოდა ირაკლიც, ოღონდ რომ შეატყობდა, თანამგზავრი ჩამოცილებას მიპირებსო, ხელს გამოინვიდა: ავერ მე და ოთარი... რალაცას... რალაცას... მაგრამ ცეკას განყოფილების გამგე ამ ხელს თავისად დაიგულედა, ჩაბლუჯავდა, ჩამოეკიდებოდა და რალაცის მოყოლას დაიწყებდა...

იმ წუთას კი ჩამოცილდებოდა, მაგრამ მერე, პროცესიის დასრულებამდე ისევე გადაეყვებოდა ირაკლის და ის ახლა მორიახლოდ მიაძახებდა:

— ხომ გითხარი, არა, არ არიან, გენებით არ არიან მზადა; რაც უფრო დაანინაურებ, მით უარესი... არა, არ არიან...

— არც იქნებიან, — ეს მიუგებდა.

ისე მოხდებოდა, რომ ირაკლი აბაშიძის სახელი იმ ხანებში კიდევ უნდა გამოჩენილიყო ამ ავტობიოგრაფიული რომანის ფურცლებზე, ეს უკვე 1983 წლის 2 იანვრის ჩანაწერში, გრიგოლ აბაშიძის სიღედრის გასვენებაში ნიკა აგიაშვილი რომ მოჰყვებოდა, თუ როგორ მოენახლებინა ცოტა ხნის წინათ „მერანის“ გამომცემლობაში ირაკლი აბაშიძეს, განზე გაეხმო და ჩურჩულით ეთქვა: ახლა შენი წიგნი რომ გამოდის, იქ როგორმე უნდა აღნიშნოო.

— რა აღნიშნოო? — ამას.

იმას კი:

— თუ გაგიგონია, ერთხელ ჭორი დამიყარეს, ვითომ ლადო ასათიანის პირველი წიგნი მე დავაჭრევი.

— გამიგონია, ოღონდ ის როდის იყო, რალა დროს ეგ ამბავია. არადა, მიყრუებული რომ ყოფილიყო, ასე ძალიანაც ხომ არ აფორიაქდებოდა იმ ამბის გმირი:

— რომ იცოდე, ისევ ნამოჰყო თავი, ნუხელის ეს გრიშაია ერთ ვახშამზე ყოფილა და იქ უთქვამს, ეგ რა კაციაო, ჩემზე, ლადო ასათიანის წიგნი მაგან დააჭრევიანო.

— ტყუილად მოგიტანდნენ ამბავს, — ნიკა აგიაშვილი ასე შეეცდებოდა ენუგეშებინა, მაგრამ ის:

— შენ არ იცი, გრიშა რა კაცია, იტყოდა, უარესს იტყოდა.

— მე რა ვქნა? — თავის შესაძლო როლს ვერსად დაღანდავდა ნიკა... თითქოს ვერსად დაღანდავდა...

— აი მაგას გეუბნები: შენს წიგნში „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ როგორმე უნდა აღნიშნო, ამის მსგავსიც რომ არაფერი მომხდარა.

— რომ მოხდა?

— მე რომ არაფერ შუაში ვარ, ის უნდა აღნიშნო. პირდაპირ არა, პირდაპირ არ ივარგებს, ისე, როგორმე უნდა შეაპაპრო, შენ თვითონ მოძებნი, როგორ და რანაირად.

— წიგნი უკვე დაბეჭდილია და რაღას ვუშველი?

— ჰოო, უჩემოდ უნდა მიმხვდარიყავი ამას, მაგრამ შენც კაი ნიკაია ხარ!.. ვერაფერსაც ვერ დაამტკიცებთ. მე საბუთი მაქვს, აი, — და უბიდან ამოაძვრენდა ლადო ასათიანის იმ პირველ პოეტურ კრებულს, — მე მიძღვნის, აი, წარწერა, რას მომიძღვნინდა, მე თუ რამეში ბრალი მიმიძღვის.

— სასიგნალოები ხომ გადარჩა, — ეს შეეპასუხებოდა, — ერთ-ერთი სასიგნალოთაგანია, პირველი ცალები რომ მიიღო, ერთი შენ მოგიტანა, ეგონა, მაინც გაეხარებოდა, წააწერა და მოგართვა, შენ ის აჩვენე თავაძეს, მაშინდელ ცეკას მდივანს, სწორედ ის წაუღე... თუმცა მე რა ვიცი, მაშინ ომში ვიყავი, ასე ამბობდნენ.

— აგერ მე მაქვს, სად წავუღე, ვის წავუღე? — გაგულისებოდა ირაკლი.

— მაგდენი არ ვიცი, ოლონდ ამბობენ, მერე ეგ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში იყო და დაიკარგა, შენთან საიდან აღმოჩნდა?

— გადამრევს ეს კაცი, ჩემი იყო და ჩემთან იქნება, აბა, სად იქნება.

— გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში იყო.

— ეგრე ჩააცივდი? — ჩაერეოდა ოთარ ჩხეიძე.

— ეგრე ჩავაცივდი.

— რა გიპასუხა?..

— შენც კაი ნიკაია ხარო, ჩაიქნია ხელი და წავიდა.

— ჰო, — ეტყოდა ოთარ ჩხეიძე, — ასწორებს, დანაშაულებს ისწორებს. მაგრამ რამდენ ერთს გამოისწორებს?!

გაიცინებდა ნიკა აგიაშვილი, და აქირქილდებოდნენ სხვებიც გარშემო: რამდენ ერთსაო.

ერთსაც გეტყვითო, — ეშხში შევიდოდა ნიკა, — ფრონტზე რომ გვეწვივნენ პოეტები, ირაკლის იქიდან ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“ გამოატანეს. წიგნს ტყვია მოხვედროდა, აღმაცერად გადაეველო და კაცი გადარჩენილიყო. უბეში ედო თურმე, ომის მერე, ერთხანს ისევე დიდი გაჭირვება რომ გვადგა კარს, ირაკლისაც გაუჭირდა და გიორგი ლეონიძეს უთხრა: წიგნში რას მომცემო. ის მაშინ მწერალთა მუზეუმის დირექტორი იყო და: ხუთას მანეთსაო. აბა მაშ ნიკას გამოვატანო. გამატანა. შესყიდვის ანგარიში უნდა შემდგარიყო და ვითომ ჩემგან იყიდეს, ისე შეადგინეს ანგარიში. მე მეფარებო-

და ირაკლი. მაგრამ იმისი განმარტებაც იყო საჭირო თუ საიდან ჩამივარდა წიგნი ხელში. განმარტებაში მივუთითე, ირაკლი აბაშიძემ რომ გადმომცა. მაშინ ამისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია, ისე გაეხარდა, ხუთასი მანეთი რომ მივუტანე. ახლა დამდევს და მეხვეწება, წადი, თუ კაცი ხარ, და შეცვალე ის შენი განმარტება, რას იტყვიან, რომ წახვეცი, ირაკლი აბაშიძემ რომ გადმოგცა, რად გადმოგცაო.

— როდის წახვეცი?.. — ამას კვლავ ოთარ ჩხეიძე ჩაეკითხებოდა.

— რა ვიცი... რომელიმე საუკუნეში...

და კვლავ აქირქილდებოდა სხვებთან ერთად.

მერე კვლავ მოიმართებოდა ნიკა აგიაშვილი, მაგრამ ჩამოერეოდნენ სხვანი და სხვანი და... ნიკა ამათ ასცდებოდა.

— ო, რას ახურდავებდა ირაკლი აბაშიძეს!.. — იტყოდა ლადო სულაბერიძე, უკან რომ გამოზრუნდებოდნენ, — აღარ დაგვაცადეს, თორემ ხახვის ნაქურჩლად გაასალებდა.

— იმათთანაც გააგრძელებდა, — დაამშვიდებდა ოთარ ჩხეიძე, — დღეს ისე მომართულა, სანაგვეზე გაიტანს...

— რალაც თუ აწყენინა, — ვარაუდობს ლადო.

— შეიძლება არცა... — თავისი მოსაზრება აქვს ოთარ ჩხეიძეს, — მაგრამ სიბერემ იცის, ბევრი ლაპარაკი იცის სიბერემ და ფქვავს, რაც ენაზე მოადგება.

— დიდი ბოროტება იყო ირაკლი, — ეს ლადოა.

— დიდი მესაიდუმლეთა ჰყოლია. ხან ისე თავგამოდებით იცავს ხოლმე.

ეს დაცვაც ახსოვდა, სწორედაც თავგამოდებული დაცვა.

თუ მესაიდუმლე იყო, მამ მოვალეც გახლდათ, დამცველად დასდგომოდა, მაგრამ ამჯერად კი...

ლადო მაინც თავის აზრზე დარჩებოდა: რალაცას აწყენინებდაო.

ჩანანერის ფინალში გახსენებულია ისიც, თუ როგორ ეკითხათ ნიკა აგიაშვილისათვის: „ჩვენთაობელთაგან“ ყველაზე მეტად ლადო ასათიანი ეჯავრებოდა ირაკლის და ნეტარატომო?!

— რატომ და იმიტომ, — არ დაუყოვნებია პასუხი, — ირაკლის რედაქტორობა ეს იყო: ლექსს რომ წაიკითხავდა, რაც მოეწონებოდა, ამოშლიდა. სხვები თანხმდებოდნენ, ოლონდაც დაებეჭდა, ლადო არა თანხმდებოდა, გული მოსდიოდა, ჩხუბობდა. ეს იყო, ამიტომაც სძულდა, არც არაფერი დაუბეჭდავს ლადოსი, ვიდრე რედაქტორი იყო.

...შენც კაი ნიკაია ხარო, — ველარ შეენარჩუნებინა ძველი მესაიდუმლე ირაკლი აბაშიძეს და გულს ამითლა მოიხიხებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

იქნებ „საგანთიადლოდ გაიცრიცოს“ ღრუბელი...

(ლია წერილი ბატონ როსტომ ჩხეიძეს)

ხანდახან ფიქრიც ცოდვასავით გამხელილი სჯობს. ამიტომაც მინდა გაგანდოთ: ბევრჯერ გადავიფიქრე ამ წერილის შედგენა. მრავალთა მსგავსად, მეჩვენებოდა, ახლა ისეთი დროა, საამისოდ ვინ მოიცლის-მეთქი, და მაინც... აი წერილი თქვენ მოგწერეთ...

ვიცი, თქვენი თავმდაბლობა გაფიქრებინებთ, რატომ მაინცდამაინც თქო.

იმიტომ, რომ თქვენ სხვანაირად შეგტკივთ გული მწერალსა და მწერლობაზე და არ შეიძლება არ გაუღელვებდეთ, ხაშში რომ რევაზ ინანიშვილის სახლი ინგრევა.

ალბათ, აქამდეც ბევრი იზრუნეთ, ალბათ, ამ ამბის ჭირისუფლადაც კი თვლით თავს და მე მაინც მოგწერეთ, ვიფიქრე, კიდევ ერთი შეხმინება და შექაზილი საერთო საწახარს წაადგება-მეთქი. არადა, როგორ მაქვს იმედი, რომ ამ საერთო თანადგომით ეშველე-

ბა დაქცევის პირას მისულ სახლს, როგორ მჯერა, რომ იქ, მწერლის მშობლიურ სახლში, მოეწყობა შესანიშნავი მუზეუმი. დიახ, თანადგომით, თორემ ოჯახს არც აქამდე დაუკლია ცდა, გადაერჩინა იქაურობა. მწერლის მეუღლე, ქალბატონი როზა ინანიშვილი, წლების მანძილზე ამაოდ მიმართავდა ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციას. ახლა კი რალაც შეიძლება შეიცვალოს, კაცი იმედით ცოცხლობს და ვინძლო აღარ გავჩერდეთ, აღარ მოვასვენოთ არავინ, ვისაც ხელეწიფება ამ საშვილიშვილო საქმის წამოწყება.

მე ფურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე სათქმელის განმარტება უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად მიმაჩნია და არამც და არამც — ერთი მერცხლის ჭიკჭიკად.

ბატონო როსტომ, რევაზ ინანიშვილის სევდიანი შემოქმედება, რომელიც მისივე სევდიანი ცხოვრებით იყო შთაგონებული, რალაცნაირად იმედსაც შეიცავს. ამიტომაც მჯერა, საკითხის ღირსეული წამოწვევით რალაც შეიცვლება და, ვინ იცის, იქნებ, მწერლისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „საგანთიადლოდ გაიცრიცოს“ ღრუბელი...

პატივისცემით, მისილი ჭონძაძე

მურმან ჯგუბურია

ნანახის კვალდაკვალ

ანუ
სხვათა მოჯამაგრობას
აღვილად იტყვის ენაო

წუხელ, 22 დეკემბრის გვიანი ღამით, ტელევიზიის I არხით ვნახე ლევან კოლუაშვილის დოკუმენტური ფილმი: „ქართველი მანდილოსნები ამერიკაში“.

მთელი ღამე არ მიძინია. საშინელი ფილმი ვნახე. ზარდამცემი, როგორც იტყოდა ცხოვრებული რეზი თვარაძე.

ფილმი სადად (უბრალოდ), ყოველგვარი სცენარისა და სიუჟეტის გარეშე, ყოველგვარი მოპირკეთება-შელამაზების გარეშე, ანუ, შეიძლება ითქვას, ფიროსმანისებურად გვიყვება (გვაჩვენებს) ქართველი მანდილოსნების ყოფაცხოვრებას ამერიკაში.

დაეძინა კი ვინმეს, სხვას (სხვებს), ვინც ეს ფილმი ნახა? ან ამ ჩვენი მანდილოსნების ნაცნობ-ნათესავებზე რა უნდა ითქვას? მათი ოჯახის წევრებზე?

„ასე ვჯავნობო. ვწვალბო. ფულს ვუგზავნი ჩემებს. ჩემს ქმარს, რომელიც დროთა გარემოების გამო, არ მუშაობს. გავიგე, ვილაღე ქალი გაუჩენია. კაცია და რა ქნას. განქორწინებას მთხოვს. მეც რა ვქნა. ავდგები და გაუფგზავნი თანხმობას“.

რა იოლია ეს მოსასმენად და რამხელა ტრაგედიაა ამ მონათხრობში.

კადრს კადრი ენაცვლება:

ქართველი მანდილოსანი უვლის ამერიკელ ბერიკაცს. გალუულია საბრალო ბერიკაცი, გამხდარი, ძვალი და ტყავი. მანდილოსანი ჰბანს შიშველ ბერიკაცს, ტანს უმშრალებს, ეტლში სვამს და ფეხებს უვარჯიშებს. „ერთი, ორი, სამი“, ინგლისურ ენაზე, ცხადია.

სხვა კადრი:

რამდენიმე მანდილოსანია საერთო საცხოვრებლის ერთ-ერთ ოთახში თავმოყრილი.

„აქ ვართ. შეიძლებოდა უკეთესი ბინა დაგვექირავებინა, მაგრამ ეს იაფია“.

„კარგები არიან ამერიკელები. სახელსაქმეს გვაძლევენ. კარგები“.

„კი. ნამდვილად კარგები არიან“.

„ყველა კი არაა კარგი“.

„ზოგი კარგია, ზოგი, ისე რა, ცუდებიც არიან, რა თქმა უნდა“.

„აი, მაგალითად, ჩემი ბებერი ქალბატონი ავად შეიქნა. ინფარქტი დაემართა. პარასკევი დღეა. დავურეკე მისიანებს, შეილგებს. შეილგებმა — ვერ ჩამოვალთო. შაბათ-კვირას ვისვენებთო. შაბათი გათენდა. ბებერი ქალბატონი უარესად შეიქნა. ვურეკავ ისევ. დღეს ხომ შაბათიაო, ვისვენებთო“.

„ჩემს ქალბატონს, ვისაც მე ვუვლი, შეილგმა წერილი მოუტანა. კონვერტი მე ვიყიდეო, გზაში. კონვერტის ფული მოითხოვა. მიიღო“.



ლევან კოლუაშვილი

„ამათი წეს-ადათი სხვაა, ცხადია. ჩვენი — სხვა. მაგრამ შრომობენ. შრომა — სამსახური დიდ პატივშია“.

„შრომა სინდისია“, — წერს რუსი მწერალი ანდრეი პლატონოვი (რომელიც, სხვათა შორის, ერთი ხანობა მოსკოვში ლიტერატურის ინსტიტუტის ეზო-კარის დარაჯად მუშაობდა), ჩვენს რეალობაში რომ გადმოვიტანოთ, პლატონოვის გამონათქვამი რომ მივუსადაგოთ, თუკი შრომა სინდისია და თითქმის მთელი საქართველო უმუშევარია და შრომობს. ესე იგი, რა გამოდის, უსინდისოები ვყოფილვართ და ეგ არის. უფრო უსინდისოები კი ისინი არიან, ცხადია, ჩვენ რომ სამუშაოს არ გვაძლევენ. მაგრამ მივუბრუნდე დოკუმენტურ ფილმს.

„ესენი (ამერიკელები) მთელი ცხოვრება შრომობენ, ფულს აგროვებენ, რათა სიბერის ჟამს მომვლელ-მოსამსახურეები იყოლიონ“.

„ასეა. შვილებს მათი მოვლა-პატრონობისთვის არ სცალიათ“.

„ერთ მათგანს ვეუბნები, შენც ხომ დაბერდები-მეთქი. შენც ასე მოგეცქევებიან-მეთქი შენი შვილები. ვიცო, მეუბნება, ამაში გასაკვირი რა არისო“.

მომდევნო კადრი:

ახალგაზრდა, კარგი შესახედავი მანდილოსანი დასტრიალებს თავზე ხანშეპარულ მანდილოსანს. ნარბებს უნინკნის, ფერუმარისს უსვამს, თმას უვარცხნის, რათა ბებერ ქალბატონ ამერიკელს, ან მოხუცებულ ამერიკელ მამაკაცს არ

მოეჩვენოს, რომ მისი მომვლელ-მოსამსახურე, ვისაც ის ფულს უხდის, სათანადო ფორმას ვერ ინარჩუნებს.

ბატონო ლევან, ეს თქვენი ფილმი უნდა ნახოს ყოველმა ქართველმა, და უნდა ნახოს აუცილებლად ჩვენი ქვეყნის ახალმა მეთაურმა, ძველ მეთაურს (პრეზიდენტს) ნანახი აქვს, არაერთხელ. ამერიკაში სწავლობდა და ამერიკაში იარება. ასე რომ, თქვენი ფილმი მისთვის ახალს ვერაფერს იტყვის, მიჩვეულს ნუ გადააჩვევო, ნათქვამია. არადა, ერთი თავისი (საკუთარი) თვითმფრინავი რომ გაეყიდა, ყველა იმ მანდილოსანს შინ დააბრუნებდა და აქვე გამოუნახავდა სახელსაქმო-სამსახურს.

ამერიკელებმა რომ ნახონ, რას იტყვიან? რუსები რას იტყვიან? სხვები რას იტყვიან? ათასი კითხვა ნამომეჭრა, რა კითხვების პასუხი არა მაქვს. ანუ მაქვს, რასაც არავითარი ძალა არ გააჩნია. მე რა უნდა ვიღობო? მე, ანუ მაყურებელმა? მე შემიძლია ამის შესახებ ვილაპარაკო და მეტი არაფერი. „სიტყვები. სიტყვები. სიტყვები“. განდი ხომ არა ვარ, სიტყვა და საქმე რომ არ გამეყოს.

„უშრომელი ქონება დაღუპავს მსოფლიოს“.

უშრომელი ქონების პატრონებმა უნდა ნახონ ეს ფილმი, რათა ჭკუა-გონებას რომელიმე ნერვი (დაფი) მაინც გაუტოკდეთ.

ცოდვის კითხვაა. ჩვენი ბუნების (წყალ-მინის) პატრონი რომ შიმშილით კვდებოდეს. არამია ჩვენზე ასეთი სამშობლოს ქონა. ზის კაცი ეზო-კარში და მისებურად უმუშევარ და ზარმაც მეზობელს ნარდს ეთამაშება. მათი მანდილოსნები კი ცხრა მათს გადალმა ჭირის ოფლის ღვრით შოულობენ საჩრო-საბადებელს. ფილმში მონარდე მეზობელი მამაკაცები არაა გადაღებული. ეს იგულისხმება. მეტი იგულისხმება, ვიდრე ჩანს. და ნაგულისხმეში ჩვენა ვართ საცოდავნი და უმწეონი. ანკი ამერიკელებს რას ვერჩით. სამომსახურეოდ არ გვეპატიჟებიან. გვიშლიან ხელს კიდევაც, რათა სამსახური გავუწიოთ. ვიზების გაცემას განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებიან. ამას განზრახ სჩადიან თუ ალაღად?

საგანზრახო რა აქვთ. მხოლოდ ქართველები როდესაც ეტანებიან ამერიკას. ამერიკაში მოჯამაგირეობას.

„სხვათა მოჯამაგირეობას ადვილად იტყვის ენაო“, ეს ამ ჩანანერის სათაურად უნდა გავიტანო. დოლარმა დაიმორჩილა თითქმის მთელი დედა-მინა. დოლარს წოვსო, თქვა ძუძუს ჩვილზე ოდესღაც მაიაკოვსკიმ, ამერიკა რომ მოიარა. შრომობსო, ესე იგი. ღონეს იკრებსო.

ღამე არ მიძინია-მეთქი. მეპატრონოს თუ ჩემი ნუნდელი უძილობის კვალი ამ ჩანანერმაც შეინოვა. უფრო სალი და ფხიზელი გონებაა საჭირო, რათა ეს ყველაფერი უფრო თვალსაჩინო შეიქნეს.

დიდი მადლობა, ბატონო ლევან, ერთხელაც რომ შეგვახსენე და დაგვანახე ჩვენივე თავი, ჩვენი უმწეობა და ჩვენი დღეის-დღე, ჩვენი საქართველო და არა — ჩვენი ამერიკა. დიაგნოზი. რაც აუცილებელია ავადმყოფობის გამოსავლენად. თუმცა, ცხადია, ზუსტი დიაგნოზის დასმაც ვერ შეცვლის, ვერ უშველის ავადობას. დიაგნოზი იმისაა, რომ სათანადო წამალი გამოინახოს და კიდევ არაა საკითხავი, მიუდგება თუ არა წამალი ავადობას, დაგვიანებული ხომ არაა თავში ხელის ცემანი თუ თითზე კბენანი.

„დოკუმენტურად გეუბნებიო“, ამბობდა ხოლმე ცხოვრებული ოთარ მამფორია. ანუ, საბუთიანად, ანუ, აქ საეჭვო და საორგემაციო არაფერიაო.

იგივე უნდა ითქვას შენს დოკუმენტურ ფილმზე, ბატონო ლევან.

ვნერ ამას და ვფიქრობ: სწორ გზას ადგანან ჩვენი მანდილოსნები თუ მრუდე გზას? მამაკაცები არიან თუ არა დამნაშავეები იმაში, რაც ეკრანზე ვიხილეთ? პასუხი?

ჩვენი მანდილოსნების საქციელი თითქმის ქრისტიანულია — უმწეო ადამიანების (მოხუცებულების) მოვლა-პატრონობა, ზრუნვა-გადაყოლა. თითქოს-მეთქი. ხომ უფრო ქრისტიანული იქნებოდა ჩვენი მდიდარი ქალბატონები (გვეყვანან კი?) ამდგარიყვნენ და გამგზავრებულებიყვნენ უცხო მოხუცებულთა და შეჭირვებულთა მოსავლელად და სანუგეშოდ, უანგაროდ (უსასყიდლოდ). აი, ეს იქნებოდა ჭეშმარიტად ქრისტიანული საქციელი, ჩასულიყვნენ არა ამერიკაში, არამედ სადმე სხვაგან, ანუ უღარიბეს ქვეყანაში, სადაც ერთი ცენტრიც კი არ გააჩნიათ და დედიშობილანი ლაფავენ სულს.

არის ეს პასუხი თუ არ არის?

ფილმში დროდადრო ქართული ჰანგები ისმის. „სად არის სხვაგან ახალი ქარაზი. სად არის ჭალარა მთანმინდა?“ ანუ „სხვა საქართველო სად არის?“ და მისთანანი. საქართველო იქ არის, სადაც არის თუნდაც კაკალი ქართული. და საქართველოც ისეთია, როგორც არის ის კაკალი ქართველი. ანუ საქართველო ამ ფილმის მიხედვით არის იქ, სადაც არიან სამშობლოდან საშოვარზე გადახვენილი ქართველი მანდილოსნები (თურქეთი არ დაგვაგინყდეს!). ანუ, ამ ფილმის მიხედვით, საქართველო დაბრუნებულია საქართველოში.

P.S. ამ ბოლო ხანებში, რაზედაც უნდა ვფიქრობდე (ვენერდე), ლიტერატურაზე, ენის საკითხზე, სადღეისო ვითარებაზე, მუდამყამს ჩვენი უპირველესი მესიტყვის — ჭაბუა ამირეჯიბის — მოკლე შეგონება ამეკვიატება, როგორც წესი, და ვერ ვიშორებ, რითაც მინდა გავასრულო ეს ჩემი მორიგი ნაცოდვილარიც:


„ჭკუით, ქართველებო!“

გია ხოფერია

სიკვდილ-სიცოცხლის ომი

(მამუკა ნიკლაურის
„შავი არაგვის შვილები“
და „ღიაოხის მიწა“)

ერთად შეკრებილ გაბრაზებულ ლომებს შეადარა მამუკა ნიკლაურმა არაგვი - დაუნდობლად მოქუხარე და ფაფარაშლილი; დიდებული სახე წამოიმართა: ყალყზე შედგა პოეტის მიერ დანათესავებული სიტყვებიცა და ლამის კალაპოტიდან ამოვარდნილი მდინარეც. „შავი არაგვის შვილების“ ავტორი თავიდანვე წამოგვერია და იმ აყელყელავებულ ზვირთებში გვიკრა თავი. ვინ სანამდე შერჩა იმ ზვირთებს, ჩემგან ძნელი გასაკითხია, საკუთარ დაუნდობლად ბურთობაზე კი მოგახსენებთ.



მხატვრული სახის, სიტყვებით მხატვრობის (თუ გნებავთ ფერებითაც), სიტყვების თუნდაც რუდუნებით აკინძულობის, თითქოსდა ქვეტექსტურობის თუ ზეტექსტურობის, მეტაფორულობის და ა.შ. რა სახელდებითაც უნდა მოვხათლოთ და შევამკოთ ეგრეთწოდებული მხატვრული მოცემულობა, კაპიკია ან უფრო ნაკლები მისი საღირალი, მითუმეტეს მხატვრულობაზე ზედმეტია ლაპარაკი, როცა ამ მოცემულობაში ყოველი სიტყვა გაყინულია და მათ გალლობას კარგა ხანს არ დაადგება საშველი.

მამუკა ნიკლაური სწორედ იმ უცნაური ნიჭითაა ღვთისაგან დაჯილდოებული, რომელი ძალაც, ჯადოსნურობაც თუ წინასწარგამხედობაც ზუსტად იმ სიტყვას თუ სიტყვიერებას აპოვინებს, საელქსო ციხე-სიმაგრის ასაგებად რომაა საჭირო. სწორედ რომ ციხე-სიმაგრის ან ტაძრის, ერთით რომ უნდა იომო და მეორეთი ილოცო.

არაერთხელ ითქვა ამ დიდებული ოსტატის შესახებ. საკმარისად არა, მაგრამ მაინც ითქვა.

„შავი არაგვის შვილებს“ რომ წაიკითხავ, ვერ დადგები, ვერ მოისვენებ, უსახელო და თითქოს მოუნელებელი ტკივილების მშობიარობა დაგეწყება. პოეტი კი არა, გამეხებული, თანაც ჟამიერების ტოლი და ყოვლისმომსწრე არაგვი შემოდის შენში, მეგობრის თვალითაც გიყურებს და მტრის თვალითაც, ძნელია გაუმარტოხელდე ამ თვალების შემომრისხანებას, გაუმკლავდე შენზე ბევრად დიდ სიმძლავრეს.

ასეთ არაგვზე რომ დანერო, თანაც პოემა, ნახევარი არაგვი მაინც უნდა იყო (ფერს არა აქვს მნიშვნელობა!). ამ პოემამ ერთად მოუყარა თავი ყველა იმ მამუკა ნიკლაურს, რომლებიც ადრე ვიცოდით სხვა პოემებით, სხვა ლექსებით, სხვა დანეროლობებით. ეს კი ნამდვილად ნახევარი არაგვია, თუ მეტი არა.

ოსტატთან შეხვედრა იმიტომაცაა ბედნიერება, რომ მისი ნათქვამი იშვიათადაა ერთფეროვანი და სწორხაზა. უცებ ვერა, მერე და მერე, ნელ-ნელა ჩახვდები მისი სიტყვის მრავალძარღვობასა და

წონადობას, ჩახვდები და ფიქრიც გაგიტყდება, იოლად გაიხედავ ნაპირისკენ. ერთბაშად ვერ ჩაიხედავ ოსტატის სულში, ვერ გაუტოლდები მას. იოლად გახვალ-მეთქი, მაგრამ არც ისე ხელნამოსაკრავია, გაექცე სიტყვის ზემოქმედებას.

„შავი არაგვის შვილებში“ არაგვი, ერთი მხრივ, ჩვეულებრივი დაუდევარი მდინარეა, მეორე გახედვით — პოეტის მესხიერებაა, თვითონ პოეტია, მესამეთი - უზარმაზარი, უკიდევანო და უსახელო, დაუნდობელი, უმკაცრესი დრო და მეოთხეთი — ამ დროზე მიბმული თუ თანაარსებული მთელი ცხოვრება, ჩვენი წინაპრების, თითოეული ჩვენგანის პატარა-პატარა ნაკვალევთა ნაერთი.

საიდანაც უნდა გავხედოთ, ეს პოემა უზარმაზარია. ყველგან დიდი მადლი აქვს მოდებული სიტყვას, ყველგან საცრისოდენა თვალებით იმზირება თითოეული ნაშენი თუ მინაშენი, ყველგან ნამდვილი ცრემლია, ყველგან ემადლიერები არაგვს, გარდასულ ცხოვრებას მართლად რომ ანათებს, მისგან დანახული სიცოცხლეა უკვდავი სიცოცხლე, თუმცა არა ყველა, რაში სჭირდება ვინმე უამრავთაგანი მარაგის შესავსებად შემოინახოს, ტყუილად აივსოს კალთა უფერულობით, იგი ღმერთით დიდი გემოვნებისაა — თვითონაც ბევრი კარგი მოუკლავს და მის არემარეზეც შესწრება რჩეულთა განსვლას წუთისოფლიდან.

რაც უფრო ახლოს მიგვაქვს ობიექტივი პოემასთან, რაც უფრო ახლოდან გადავიხედავთ მასში, უფრო ვგრძნობთ ყოველ სიტყვაზე აკიდებული ტვირთის სიმძიმეს, მართლაც არაგვის ზვირთივით გხვდება გულზე აბობოქრებული გოდება, უწყვეტი შავმოსილობით რომაა განფენილი მთელ პოემაში, თავისებურად დათუთქული სიმღერაა ეს გოდება, ლირიკის ნაირსახეობად თუ ლირიკულ ტრაგედიად რომ აღიქმება და მანამდე გიბურღავს სულს, სანამ თავისკენ არ ჩავითრევს, ცრემლად არ გაგათარანებს.

ამის შემდეგ შეგიძლია თქვა, რომ გაუმშობლიურდი „შავ არაგვს“, მოიპოვე უფლება გაიმზირო მისკენ, ძალაც იმდენი მოიკრიბე, რამდენადმე მაინც გაუძღვებ მის შემონათებას, რომ გჯერა პოეტის ამონათქვამი „ისტორიაც ხარ, მომავალიც, დღე-დღევანდელიც“, „მაგ შენს ჩანჩქერებში პაპაჩემის ჭაღარა ღვივის, ეგ კლდე კი არა — მამაჩემის რკინის გულია და დედაჩემის თვალები გაქვს, როცა მიყურებ“, გზარავს უკაცურობით მუდმივად ჩაღამებული ნასახლარებ-ნასოფლარები, მარტოსულობისა თუ მიტოვებულობის შიში, ამოდენა ვაჟკაც მდინარესაც რომ გადადებია და შესაძლებელია უნებურად შენც ამოგცდეს — „რალა გაჩერებს“?..

ამ პოემის ლექს-შენაკადებში ყოველი სახე მკაფიოდაა განათებული, არსად კროსვორდული ჯვები არ გხვდება, ტექსტთან შეგუებაც მალე იწყება, მაგრამ თითოეული ტაეპის ბრჭყალები ისე ჩაგერჭობა სულში, ეს შეგუება დიდხანს გრძელდება, არ მთავრდება და, ალბათ, არასდროს მოგცილდება, ვინაიდან ძნელია გაქრეს შენი მესხიერებიდან იონა და ეკა, მედეა, გეგე, „ყაჩაღები“, საბა, ქალ-ალი, დევები, ...მგლები, შურთხი, ვერხვი, წნორები...

ეს პოემა ტკივილების ზემოქმედებით, ბედნიერია პოეტი, ეს ტკივილები რომ სტიკია, რომ დღემდე შემორჩა ისინი მისი სულის ღრანტებებს და, ალბათ, უფრო ბედნიერი, მეც და, საერთოდ, ჩვენაც რომ გვაზიარა მათ. სწორედ ამ ზიარების საიდუმლოებაზე როცა მიდგება საქმე, როცა გვინდა ამ საიდუმლოებაში ჩავიხედოთ, ბუნების ხიდზე უფრო ვინრო ხიდზე გვინვეს გასვლა. გულიდან ლოდი მოცილა ამ პოემის დაწერით ავტორმა, მაგრამ ის ლოდი ჩვენს გულში ჩაჯდა, გვინდოდა თუ არ გვინდოდა, შემოკალათდა ჩვენს გულში და დაგვამძიმა, უსახელო სადინარით შეგვეერთა პოეტის სულის საცეცებთან. მარტო სიტყვები არ კმარა ამ ზიარების-

თვის, ცარიელა სიტყვები უგერგილო კენჭებით მიმობნეულებს ჰგვანან.

ამიტომაც არ დამინყია საუბარი ეგრეთწოდებული „განხილვის“ წესით. ამიტომ არ „გამომინარსებია“ ცალკეული სტრიქონები. მამუკა ნიკლაური არაა ის პოეტი სკალპელის გამოყენებით „გაუოპერაციო“ ლექსი.

აი, თუნდაც ჩავიხედოთ პოემის ერთ სარკმელში — „შენ წყლის ბუკი ხარ!“ თავიდან მკრთალი სხივით ინთება ეს სარკმელი, მაგრამ ნელ-ნელა იმოდენა მუხტს იძენს, იმოდენა ენერგია გროვდება, ეს ცალკე ლექსი თუ განტოტება პოემისა, გავარჯარებულ თონეში ამოკრული პურივით გენეპება გულზე და თვალებით მიღებულ ხატებს, ყურებით შესმენილ ხმებს, ანთებულ გოდებას, ბრჭყალებით ჩამოფრენილ სტრიქონებს იმდენი ძალა გამოესხმება, სადღაც გადაგკარგავენ. დავინახოთ და მოვისმინოთ ეს სარკმელი:

**აი, ამ ქვის ქვეშ მომღერალი გაბრიელი წევს -
მისი სიმღერა ხატის მალალ მუხებს ასდევდა,
მერე კი ღამე ისრუტავდა , ზეცა იშრობდა
და მოკაშკაშე ვარსკვლავებში ნაწილდებოდა.
ხომ გეცოდება გაბრიელი, შავო არაგვო!
ვინ იცის, როგორ ენატრება ერთი ხელადა
კახური ღვინო, ჩვენს წყაროში ჩაცხებილი!
ანდა, ვინ იცის, როგორ უნდა ერთი სიმღერა -
აქ დარჩენილი სიყვარულის ამომღერება!
შავო არაგვო, შენ იმღერე მის სიყვარულზე -
ღამაზ ციოზე, ცისკარით ბრიალა ქალზე,
გაბრიელის ძვლებს შენი ხმა და შენი სიმღერა
გადახრილ ჭიქით თქმულ შენდობად დაეღინება.
იასთვის და იესესთვის იმღერე,
ანდრესათვის, ირინესთვის, ანანოსთვის იმღერე...
ენთე იმათთვის, წყლის სანთელი ხარ, ილოცე მათთვის.
ენთე იმათთვის, წყლის სანთელი ხარ,
ჩაბნელებული საიქიოს გამნათებელი.
შენ წყლის ბუკი ხარ — შენმა მტრებმა ჩავბერეს სული,
შენ წყლის ბუკი ხარ —
სიყვარულის მომწოდებელი.**

უიშვიათესია ასეთი ხელწერა, ასეთივე ძალის გამოცემი. რაგინდ პათეტიკურადაც ჩამეთვალოს, მაინც ვიტყვი ჩვენებური ნათქვამისდაგვარად — ერთი სიკვდილი აქვს გათავებული თუნდაც ამ ლექსის დაბადებისას პოეტს! ამის მსგავსი კიდევ ოცდარვა სარკმელი, ლექსი თუ შენაკადია აქ. თავისთავი არ დაუნდვია ამ ლექსების დედას და ჩვენ რას დაგვინდობდა!

მართლაც უცნაური და ჯადოსნურია მხატვრული ტექსტის ზნე და თვისება. ქამელეონივითაა — რა თვალ-განწყობითაც შეხედავ, იმ ფერსა და ჭკუაზე დაგიჯდება, ამიტომაც თუ გულით საუბრობ, რამდენჯერაც შეხვდებით ერთმანეთს, იმდენჯერვე ორივენი მართალი იქნებით, იმდენჯერვე დაგწყდებათ გული ერთმანეთზე...

როგორც ამბობენ, ერთი და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, ვერც ერთსა და იმავე არაგვში მოგინვეს ორჯერ შესვლა, არც ეს პოემა გაგიჩერდება ერთსახედ, არც ორჯერ შესვლით იკმარებს შენსკენ გამოხედვას... და რამდენჯერაც არ უნდა შეტოპო მის ტალღებში, ვერასდროს მოახერხებ უკან გამობრუნებას.

აგერ, ახლახან, მამუკა ნიკლაურმა კიდევ ერთი პოემა შემოგვთავაზა („ჩვენი მწერლობა“, 2013, №2). „შავი არაგვის შვილებმა“ თავი რომ გამახსენა, მეორე-მესამედ რომ გადავიკითხე, თანაც ემზარ კვიტიანიშვილის გულდაგულ დაწერილიც წამომეშველა („პოეტის ცხოვრების წიგნი“), შემა-

თამამა და შემადგომი „არაგვი“, იმისი ტკივილებითა და ბიძგებით მოსვენება მქონდა დაკარგული, „ილბლად“ ესეც არ შემომემატა, ეს „დიაოხის მინა“, და ორ ცეცხლს შორის მოვექეცი!

„დიაოხის მინა“ დიდი შემოძახებაა საჩვენოსთვის. ამ პოემის მიზანდასახულება დაახლოებით იმდაგვარია, მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში ახალგაზრდა თერგდალეულები საჭიროდ რომ თვლიდნენ ჩაძინებული ერის გამოღვიძებას და ხან ისტორიისაკენ გაახედებდნენ რომელიმე გამოღვიძებულს, ხანაც სარკის წინ დააყენებდნენ და ხმამაღლა ეუბნებოდნენ, სიცარიელე რომ იყო, უმამულო და ურწმუნო და თავისი „გორის“ წინაპარს რომ დამსგავსებოდა, მისი სისხლის გამგრძელებელი ყოფილიყო, უნდა მიეხედ-მოეხედა, გაეგო, შეეგრძო ეროვნულობის ფასი და დამჩვარული ქართველობის ნაჭუჭიდან გამომძვრალიყო.

ძალიან შორიდან მოდის ქართული სისხლის აფეთქება ამ პოემაში. მამუკა ნიკლაური თავად ის დიაოხია, რომელიც ოდესღაც იყო, უშველებელი და უგრძესი გზა გამოიარა და ახლაც არის და იქნება. ეს პოემა ჩვენი ისტორია და თანამედროვეობაა, ჩვენი დრამატული ცხოვრების კიდევ ერთხელ მძაფრად წარმოჩენის სურვილი.

პოემაში სამი სივრცეა ერთმანეთზე მიბმული: ფესვი თუ ფესვები, ისტორიის მწარე, მაგრამ საუკეთესო მაგალითები და დღევანდლობა. ეს არის დიაოხთა, ტაოხთა, ტაოელთა... ქართველთა გარდასული ხვედრის, ბრძოლის, გადარჩენის, წამების უტყუარი ამონარიდები ჟამთა სვლის ნაკადებიდან.

პოემის შესავლიდანვე გონიერად ყურისდამგდებათა მიმართ აღვლენილია ღვთიური ღალადისი. ერის, ქვეყნის მამის, დედის, უფლის დარიგებას ისმენენ დიაოხნი. ეს სამუდამო წინსვლისათვის საჭირო დარიგება, სწავლებაა, ყოვლადსიბრძნის სამოსით მოსილი ნაწრთობი სიტყვაა. არ უნდა უღალატო ამ სიტყვას, არ უნდა განერიდო, არ უნდა დაივიწყო, არ გაეცალო მის მაგიურ სამყაროს, თორემ განწყდება ჯაჭვი და ერთი რგოლი, რაც უნდა მძლეთამძლე იყო, ჩაიკარგები ჟამიერების განუკითხავ უფსკრულში. აი, ეს ხმაც, აგერ, ჩემამდეც რომ უწევს ხაფად და სულში ყრუოლის ბუსუსებს მიჩენს:

**არ შეგეშინდეთ თქვენსკენ ჯიქურ წამოსულ მტრისა,
არ შეგეშინდეთ ჭრილობებიდან ამომსკდარ სისხლის,
ვიდრე სისხლია, სიცოცხლესაც არ აქვს საზღვარი!
ისე დადექით, რომ ქარები გაცვდნენ ქროლაში,
ისე იარეთ, არ ჩავიცდეთ უფსკრულში ფეხი,
ისე იცურეთ, რომ სამარედ არ გექცეთ წყალი!..**

უფალმა წინასწარ აჩვენა დიაოხებს „დანისლული... ჟამთა უღელტეხილები“, თავიდანვე შეაგუა ისინი უსიამოვნო მოულოდნელობებს, სხვაგვარად სიცოცხლე ვერ გაგრძელებოდა. რომ იცოცხლო, უნდა იბრძოლო, რაც უფრო მეტად გესევა მტერი, რაც უფრო მეტად გიჭირს, გიტალახებენ სულს და ფეხით შეგდგებიან, უფრო აქტიურობს გენი, ერთადერთი საშუალება რომ იყოს დარჩენილი შენს გადასარჩენად, იმასაც მიაგნებ, ნემსის ყურში გაძვრები, ოღონდ არ გაჩერდეს სისხლი. და მითუმეტეს, თუ იცი:

**ქარის ენაზე დიაოხი სიცოცხლეს ნიშნავს,
დაუსაზღვრავ და დაუშრობელ სიცოცხლეს ნიშნავს,
წვიმის ენაზე დიაოხი გაზაფხულს ნიშნავს,
სიცოცხლის ხეზე აყვავებულ ყვავილებს ნიშნავს,
ზვავის ენაზე დიაოხი მეომარს ნიშნავს
და თვით სიკვდილზე ამხედრებულ
სიცოცხლეს ნიშნავს.**

და თუ იცი ასე კარგად, ასე „ლირიკულად“, ამ გავარვარებულიმა სტრიქონებმა ჩვეულებრიობიდან უნდა ამოგავდოს, ცოტა უფრო გაგზარდოს, მაშინ მე და შენ ვირწმუნებთ —

**ჩვენ მხოლოდ მაშინ დავცემით, თუ მზე დაეცა,
მაშინ გავქრებით,
თუ მზე ჩაქრა და დაილია...**

„დიაოხის მინა“ ჩვენი ისტორიის ბევრ ნაცნობ მონაკვეთს აცოცხლებს, მაგრამ პოეტი ისეთი სიმძაფრითა და თავისებური ხელწერით მიგვახედებს ხოლმე მათკენ, ძნელია, ყელში ბურთი არ გაგეჩაროს, ცრემლი არ მოგადგეს, ზოგჯერ უსუსურობისა და ბედუკუღმართობის და ზოგჯერ სილაჩრე-ღალატის გამო, თუმცა ისიც გეამაყება, რომ ჩვენი ქვეყანა აუღებელ ციხე-სიმაგრედ ვინც აქცია, ერთმა, ორმა, სამმა, ცოტამ თუ ბევრმა, დღევანდლობას ისევე მამულიშვილური შემართებით გადმოცქერიან, არც შენ გრცხვენია იქით გახედვა. ეს არაა უბრალოდ წარსულიდან გადმოზეგება. ისინი: დავით აღმაშენებელი, ქეთევან წამებული, დიმიტრი ყიფიანი, თუ უფრო შორეულიდან სიყვარულით ანთებულ გოგო-ბიჭი, უფსკრულში რომ გადაემგნენ გამოღვიძებული მტრის გამწვანებლები, ყველანი ერთად დღეს ჩვენთან არიან, ჩვენ გვეხმარებიან, ჩვენს სულს აწრთობენ, გვამაგრებენ. ისინი დიაოხის დიდმა უფალმა შექმნა და ამ უფალისვე ნებით წარამარა მოემართებიან აქეთკენ. სხვა დროში, სხვა მომავალშიც გაგრძელებიან, რომ ისევე ბრმად არ მოვექცეთ მტრის ალყაში, აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან, რომ საბოლოოდ შევიგნოთ — მზე მხოლოდ აღმოსავლეთიდან ამოდის... არ გვემწარებოდეს — თენდებოდეს და დილა არ მოდიოდეს. ჩვენ, საქართველოს ანუ დიაოხს ისეთი დილა გვენატრება, „რომელიც სერებს თეთრად დააფრინდება და შურთხის სტვენას აიტყროცნის მზით სავეს ცისკენ“.

„დიაოხის მინა“ კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ჩვენს შავბედითობას — უფლის ტოლი კაცი ათას წელიწადში ერთხელ რომ გამოგვერიოს, მისანივით რომ ულოცავდეს თავის ერს, სოფელ-ქვეყანას, ვერ ვიგუებთ, ვერ ვითავსებთ, წინამურთან ჩავუსაფრდებით და ბერდანკის ტყვიით გავუხვრეტთ შუბლს და შემდეგ ვინანებთ ამ უგუნური და უმუხთლესი ნაბიჯის გადადგმას.

პოემა იმავე სულისკვეთებით მთავრდება, რითაც იწყება, რომ ბრძოლა და განუწყვეტელი მოძრაობაა საჭირო ხვალის მოსატანად, ზეგეს დასაბადებლად, საერთოდ, მომავალი რომ მოვიდეს. ესაა სიკვდილისა და სიცოცხლის ბრძოლა, ესაა ჩვენი უპირველესი წინაპრის, ჩვენი უფლის არსებობის გამართლება, მისი დარიგების ჭეშმარიტად აღქმა... იგი ებრძოდა და ებრძვის სიკვდილს, გასავათებულია ამ შერკინებაში. პოეტი გამჭვირვალე ქვეტექსტით მიგვანიშნებს, რომ არ უნდა დადგეს იმ დიდი სიკვდილის ჟამი, რომელიც მისი საბოლოო გამარჯვება იქნება, გამარჯვება დიდ გენზე, დიდ სისხლზე, რომელიც უზარმაზარი სადინარით მოდის ფესვებიდან და კვებავს თითოეულ ჩვენგანს. არ უნდა დავუშვათ ასეთი ჟამის დადგომა...

სხვაგვარად არ იქნებოდა — ერთ სიტყვასაც ვერ დავძრავდი, რომ არა უწყვეტ-უწყვეტელი პათოსი „შავი არაგვის შვილებსა“, „დიაოხის მინისა“, რომ არა მიბიძგავი მუხტი და წამლეკავი ენერგია შეგუბებული ერთ ტაძრად, ერთ ციხე-გალავნად ამ პოემებში, რომ არა პოეტის ხაფი ხმა, რომლითაც ახალ სინდელედ უნდა იქცე, გამოძვრე ძველი პერანგიდან...

ეს პოემები დიდი რწმენითა და იმედითაა დაწერილი, ეს პოემები ჩემი და შენი იმედია, ყოველი სიტყვა და სტრიქონი ქართული სუნთქვით სუნთქავს, ქართველი ბერძუნისა და ბექდილ-დაწერილია.

ვივი ალბაზიშვილი

დღიური

29 აგვისტო

წინათ და ამ დროში დაშვებული უამრავი შეცდომის შედეგებს ვიძიებ. პროვოკაციას არ უნდა ავყოლოდით. ასეთი ბედი გვაქვს, პირველივე ანკესს წამოვეგებით ხოლმე. ახლა რა, დავრჩით კუთხეებჩამორთმეული და ბუფერულ ზონებად დაყოფილი. რაც დავგრჩა ის მაინც შევინარჩუნოთ. არარეალურად ვაფასებთ ჩვენს ძალებს -ესეც არის.. ძალის თავი სწორედ აქ არის დამარხული. ამდენი ტრაზახი და ტაშ-ფანდურა, არაადეკვატური ქმედებები, სიბრძნის დეფიციტი, იმპულსურობა, უგუნურება და ა.შ.

მე, ფილოლოგმა, პოეტმა ვიცოდი, რომ თუ შევიჭრებოდი ცხინვალში - აუცილებლად გვიპასუხებდა რუსეთი. დეშაში შესაბამისი კანონი მიიღეს თავის მოქალაქეების დასაცავად/არაფერს ვამბობ ამ კანონის ხელოვნურობასა და კონკრეტული მიზნების შეუნიღბაობაზე/, საქართველოს ხელისუფალმა არ იცოდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ცხინვალში შეჭრას?!

მე, ფილოლოგმა, პოეტმა ვიცოდი რომ საპაერო თავდაცვის დანადგარები თუ არ გვქონდა საკმარისი, ისე ომის დაწყება სიბრყვე იყო და მთავარსარდალმა არ იცოდა რომ რუსეთთან ომი თავისთავად უგუნურება იყო?! მოფრინდნენ რუსული ბომბდამშენები და რაც მოყვა მათ გამორჩენას საბრძოლო პოზიციებსა თუ სამხედრო ობიექტებზე, სამწუხაროდ, კარგად ვიცით.

სულ მგონია, რომ სააკაშვილი დასავლეთიდან ფარულად შეაგულიანეს, თორემ ასეც სისულელეს როგორ ჩაიდენდა. თუ შეაგულიანეს, მითუმეტეს უნდა დაფიქრებულიყო და გენანალიზებინა ის ვერსია, რომელშიც ჩააგდო ქვეყანა. მომდევნო სვლების დათვლა არ უყვარს, ყოველთვის პოსტფაქტუმ ეძებს გამოსავალს.

ვზეიმობდით ოცი თვითმფრინავის ჩამოგდებას. ბიჭებმა მართლაც ივაჟკაცეს, მაგრამ რუსულ თვითმფრინავებს რომ ვერ გამოვლევდით არ უნდა გვცოდნოდა?! რა იყო ეს, მორიგი მსხვერპლშენიერვა თუ იმპულსური პროვოკაცია?! დავკარგეთ დიდი და პატარა ლიახვის ხეობები თავის უძველესი სოფლებით, რომელსაც ადრე ვაკონტროლებდით და სადაც ჩვენები ცხოვრობდნენ, ყველა მათგანი საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. დავკარგეთ კოდორი, გმირულად რომ შეინარჩუნეს იქაურებმა. ახლა ვზივართ და ველოდებით, როდის ინებებს და გაბრძანდება რუსი ჩვენი ქვეყნიდან, მაგრამ არ გადის.

დამნაშავეს ვეძებ, დიახ, დამნაშავეს და ვხვდები რომ დამნაშავე ჩვენში გაბატონებული სიბრყვე და ეს ყველასათვის თვალში საცემია, მხოლოდ ეგაა თვითონ ვერ ვამჩნევთ.

ჭიდაობაში, კრიკში, ძალოსნობაში არსებობს წონითი კატეგორიები. ვინ თქვა, რომ სამხედრო თვალსაზრისით არ არსებობს სუსტო და ძლიერი, თუნდაც სიმრავლით, ალჭურვილობით, სიდიდით და ა. შ. ეს ჩვენ ვიცით და სახელმწიფოს მთავარსარდალმა არ იცის?!

...მოსკოვის საპატრიარქოს ეკლესიათა საგარეო კავშირების განყოფილების გამგის მოადგილემ ვსევოლოდ ჩაპლინიმა მოუწოდა რუსეთის მთავრობას კიდევ უფრო გაზარ-

დოს სამხედრო სიძლიერე.. რადგან სულიერ სიძლიერესთან ერთად საჭიროა სამხედრო სიძლიერე შემდგომი გამარჯვებებისთვის. ასეთივე შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა რუსეთის მუსულმანთა ერთ-ერთმა ლიდერმა ტალიგან ტაჯუდინმა, კერძოდ მან მოუწოდა მუსლიმებს და მართმადიდებლებს წმინდა ომისკენ/ჯიხადისკენ/ სატანის იმპერიის /აშშ/ წინააღმდეგ. თავუდინმა ბრძანა: **Теперь в союзе с Москвой у нас есть все шансы расквитаться за все те страдания, которые американцы принесли исламу миру**". - ამ ფრაზის თარგმნა აღარ მინდა, იყოს ასე ორიგინალის ენაზე. რუსი მაჰმადიანები და მაჰმადიანები ერთად აპირებენ წმინდა ომში ჩართვას. არ გამიკვირდება, რუსეთში არსებულმა სხვა კომფესიებმაც დაუჭირონ მხარი რუსეთის ხელისუფლების წამოწყებულ ჯიხადს. მათი აგრესიის ობიექტი ჩვენი ქვეყანაც არის დასავლური ორიენტაციის გამო.

რადგან პოლიტიკური ორიენტაცია სხვადასხვაა, ერთმორწმუნეობა კი აღარაფერს ნიშნავს და მხოლოდ სასაპეკუ-ლაციო ყბედობაა.

30 აგვისტო

დღეს კიდევ 17 უცნობი ჯარისკაცი დაკრძალეს ძმათა სასაფლაოზე. ვფიქრობდი ავსულიყავი მუხათგვერდის სასაფლაოზე, მაგრამ არ გამომივიდა. შეუძლოდ ვიყავი.

გუშინ ვუსმინე პუტინის ინტერვიუს "სინენზე" - სრული საბჭოური პათოლოგია. პუტინი ისე იქ დგას, სადაც დააყენეს და ისე იმ ღირებულებებს იცავს, რასაც ვერძოდი მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება. როგორც მისი საუბრიდან გაირკვა, თურმე უნგრეთი დასხმია თავს სსრკ-ს 1956 წელს, ხოლო 1968-ში ჩეხოსლოვაკია დამუქრებია სსრკ-ს, მოგვიანებით კი ავღანეთი და ბალტიის ქვეყნები. როცა ჟურნალისტმა ჰკითხა თავდაუსხმელობის გარანტიას თუ მისცემთ თქვენს მეზობელ ქვეყნებს?! პუტინმა უპასუხა: ასეთ გარანტიას ვერავის მივცემთ, თუ ჩვენს მოქალაქეებს დაესხმინათ თავს, ცხადია ადეკვატურად მოექცევიან. პუტინს ექვემდებარება მართლმადიდებლური ეკლესია და რუსეთის მაჰმადიანი მოსახლეობა. მტრის ხატიც შექმნილია - აშშ. მიუხედავად დაუფარავი ზიზლისა და სიძულვილისა ყველასა და ყველანაირი მიმართ, ვინც და რაც არ ემორჩილება რუსეთს, პუტინის მმართველობის ხანა იქნება უმძიმესი შედეგების მომტანი რუსეთისთვის. მისი იდეოლოგია მართმადიდებლებისა და მუსულმანების კავშირს ეფუძნება, რომელიც მზად იქნება "წმინდა ომი გამოუცხადოს აშშ-ს - სატანის საცხოვრებელს".

ჩვენ ჩვენი სადარდებელი გვაქვს, რუსეთის დაშლას მე ვერ მოვესწრები და არც ეს არის ჩემი მთავარი მიზანი. თქვენც გირჩევთ საკუთარი ქვეყნის პრობლემებით იცხოვროთ.

დღეს პრეზიდენტ ბუშის პრესმდივანმა მშვიდად შეგვატყობინა, რომ საქართველოს მისცემენ "მაპ"-ს, როგორც კი მზად იქნება საამისოდ. ჯერ უცნობია, როდის იქნება საქართველო ნატოსთან ინტეგრაციისთვის მზად, როცა დაღეწილი და განადგურებულია მთელი სამხედრო ინფრასტრუქტურა, როცა საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფლად ვერ გადაადგილდებიან მოქალაქეები, როცა უკანონო ბლოკ-საფუშაგოებია გახსნილი ე.წ. ბუფერულ ზონებში, როცა ფაქტობრივად ბლოკირებულია ფოთის პორტის მიმდებარე ტერიტორია და ეს მაშინ, როცა რუსული სამშვიდობო ძალები გამოცხადებულია უკანონო და საოკუპაციო ჯარებად. ესენი მაინც არ გადიან და ნატოსკენ გზაც არ ჩანს.

აშკარაა რომ ეს პრეზიდენტი უნდა შევინარჩუნოთ პუტინის ჯინაზე. როცა ყველაფერი ჩანყნარდება და სამშვიდობოს გავალთ, მერე უკვე არ აგვცდება საპრეზიდენტო არჩევნები.

ხალხიც საკმაოდ აღრენილია. დღეს გამოვიგზავნეს რეზერვისტების საიტებზე გამოქვეყნებული წერილები, თმა ყალყზე დამიდგა და შემრცხვა, იმ არაპროფესიონალიზმისა

* დასაწყისი იხ. „ჩვენი მწერლობა“ № 9

და უპასუხიმგებლობისთვის, რაც მათ ნახეს საკუთარი თვალით და რასაც თვითონ გადაანწყდნენ. შესაძლოა ამოვარჩიო ზოგიერთი დოკუმენტური მასალა და აქ ჩაებეჭდო. აქვე აღვნიშნავ, რომ ეს სრულებითაც არ შეურაცხყოფს ჯარისკაცების გმირობის და თავგანწირვის მრავალ ეპიზოდს, უბრალოდ საჭიროდ ვთვლი ეცნობოს მას, მათ, ვისაც რეზერვისტთა ბედი ებარა და ვინც არსებულ დეზორგანიზებულობაზე თავის თანამდებობით აგებს პასუხს. ვის აქვს უფლება ათასობით რეზერვისტი მიატოვოს უფუნქციოდ და უპატრონოდ უღრან ტყეებში, რომლებმაც გამოსავლის არქონის გამო გადაწყვიტეს რომ უბრალოდ დამალულიყვნენ.

რეზერვისტის ჩანაწერი

(ეს ჩანაწერი სოციალურ ქსელზე გავრცელდა ანონიმურად. გადავწყვიტე ერთი მონაკვეთი ჩამერთო ჩემს დღიურში, თუნდაც იმიტომ, რომ რეზერვისტის ნაამბობი მიმეტანა მკითხველამდე (სტილი დაცულია).

იგოეთამდე ნახევარი მანძილი გავლილი გვექონდა უკვე და სულთი სახლში ვიყავით, როცა კავშირი აღსდგა და ჩვენი დანიშნულებაც შეიცვალა — ქარელი, მეორე მხარე გორიდან, ვიდრე იგოეთი. მოვატრიალეთ ავტობუსი, ჩავუარეთ გორს და გავემართეთ ქარელისკენ. ზემოდან კარგად ჩანდა რამდენიმე დამწვარი კორპუსი გორის შესასვლელში. საფრთხესთან მიახლოებამ ეტყობა კარგად იმოქმედა, საბრძოლო სულმა ისევე მალა დაიწყო აწევა და პიკს მიაღწია, როცა სადღაც საღამოს 4 საათისთვის ქარელის გადასახვევში ჩავუხვიეთ და იქვე გავჩერდით; მთელი რეზერვისტობა აქ იყო გაშლილი ტყეში და იმალებოდა, რასაც აქტიურად უწყობდა ხელს მთელი გზის გასწვრივ ჩალაგებული ყვითელი ავტობუსები. ამჯერად უცებვე გააქრეს ავტობუსები და ყველასა და ყველაფრისგან მოწყვეტილები დავრჩით ტყეში. სადღაც დან ხმა მოვიდა, რუსეთს ულტიმატუმი დაუყენებია – 6 საათამდე ტრაკს თუ არ მოგვცემთ, გორს დავბომბავთ და ჯარი გამოვვარდის. ახლა კონსპირაციულად ვართ ტყეში წამოწოლილი და ველოდებით 6 საათს, რა მოხდება. ჯერჯერობით სირუშა. საღამოვდება. ექვსი საათიდან, მალეიძარის სიხუსტით ბაყაბუყი ისმის გორის მხრიდან. ჩვენებიც ისვრიან, თანაბარ ზალზე ეტყობა. ალბათ დადუღაბებულა იქაურობა, ძალიანაც კარგი. ყოველ ნახევარ საათში ერთხელ თითო პატარა ავტობუსი გამოდის ჩვენთან და რამდენიც ეტევა და რამდენიც არ ეტევა, ყველა მიყავს, როგორც ამბობენ აგარაში. რა ხდება აგარაში ხუი ევო ზნაეტ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენც უნდა ნავიდეთ. რალაც თეთრი მარშრუტკა აჩერებს და ვილაც კაცი შენუხებულ სახით კითხულობს “ჩემი ბიჭი ხომ არ ვინახავთ?” რა უნდა ვუთხრა? საბოლოოდ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჩვენც ამ მარშრუტკაში ვართ ჩაწყობილები ორ სართულად და აგარაში მივდივართ.

რალაც ბენზოკალონკის გარშემო ხალხი შეკრებილი, ცოტა მოშორებით ავტობუსებიც ჩანს და რაც მთავარია, გადასახვევის პირას ავბედითი და სულისშემძვრელი წარწერა — “ცხინვალი 50”. ნამდვილად ვერაა კარგი ამბავი ახლა თუ ჩვენ ცხინვალში ნაგვიყვანეს, თან ისეთი პოტენციაა, აქამდე მოვედით და ახლა ბოლო მომენტიდან.. ჩვენი წარგზავნილი ფრიად დამწვარებული სახით დაბრუნდა უკან და გვამცნო — ვისაც უნდა ცხინვალში წავა და ვისაც არა და ჩააბარებს იარაღს და სახლისკენა. აი, მანდ დამენძრა. ბავშვობიდან მეშინოდა სიკვდილის, უფრო სწორად ასე მეგონა, რომ მეშინოდა, მერე ცოტა რომ გავიზარდე და დაფიქრების უნარი შევიძინე, აღმოჩნდა რომ სინამდვილეში ის, რისიც ადრე მეშინოდა, სხვა არაფერი იყო თუ არა გაქრობის შიში, უკვალოდ გაქრობის. და იქ, აგარის გადასახვევთან კიდევ ერთხელ ძალიან მწვავედ ვიგრძენი ეს შიში, არ მინდოდა უკვალოდ გაქრობა. დაახლოებით ნახევარი საათი ვიჯექი ამოყრილ ტანსაცმელთან და დავყურებდი ზემოდან. ჩავიცვა ეს და ნავიდე სახლში ასე

მშვიდად აუღელვებლად და დაველოდო, როდის მომაკითხავენ თუ გავაკეთო კიდევ ერთი სისულელე, დავიკიდო ყველა და ყველაფერი და ნავიდე გაურკვევლობაში? ბიჭებს ავხედე, რომლებიც იდგნენ ასე შუაში გაჩხერილები და უხერხულად ილიმებოდნენ. მერე შარვალი გაუბედავად ავიღე და ჩანთაში ჩავტენე. ღამე ვილაცის ეზოში გავატარეთ, კბილების კანკანის და შორიდან მომავალი გრუხუნის ფონზე. მთელი ღამის განმავლობაში გვიბერავდა გამყინავი ქარი, რომელიც ყველაფერში ატანდა და ჩვენც, რომ არ გავყინულიყავით, ტელეფონის და გვერდზე ჩავლილ-ამოვლილი კამაზების შუქზე ვთბებოდით. კამაზები და პიკაპები კი ბევრი დადიოდა, ზოგი ზევით, ზოგი ქვევით, მოგვაშუქებდნენ პროექტორებს, ძლივს ჩაძინებულებს გამოგვაფხიზლებდნენ და იკარგებოდნენ. ქარი მაინც არ იყო.. დაახლოებით 4 საათზე ვილაცების ყვირილმა წამიგვყარა.

გზაზე აშკარად რალაც ხდებოდა. უფრო და უფრო მეტი ავტობუსი, მსუბუქი და სატვირთო მანქანები მოძრაობდნენ და რაც ყველაზე უცნაური იყო, უკვე მხოლოდ ერთი მიმართულებით — ქვემოთ. მთელი გადმოსახვევი უცნაურ ქაოსს მოეცვა, ხალხი მორბოდა, იარაღებს აქნევდა და რაც მთავარია, სხვადასხვა ცნობებს ავრცელებდა, რომელთა აზრიც საბოლოოდ ერთი გამოდიოდა — უკან ვიხევთ, ჩვენები გამოდინან, ჩავისვარეთ, და ა.შ. ერთი ცრუ განცემის მერე ლეიტენანტმა რემზომ ისევე ეზოში შეგვყარა და დავაიმიედა, დანყნარდება აქაურობა და ნავალთო. ჩვენც მეტი რა დავგრჩენოდა, უფრო თბილად მოვეწყვეთ დასაძინებლად, მაგრამ არ დავცალდა. ამჯერად უკვე ნამდვილი განცემი იყო, ყველაფერი მოვზიკეთ რაც გვექონდა, ტყვიებით სავსე და ნახევრად დაცარიელი ცინკები, “ცხინვალში ლაშქრობის” წინ პიკაპებიდან ახვეტილი რაჟოკები, რომელსაც ხალხი ისევე უპრაგონოდ ყრიდა, როგორც მოუხდებოდა და პაპუტკებს აჩერებდა თბილისისკენ მიმავალს, ჯერ კიდევ შეღამებამდე, რამდენიმე ზედმეტი კასკა და ავტომატი, რომელსაც პატრონი არ გამოუჩნდა და ყველაზე მძიმე ამ ტვირთში — საკუთარი ტრაკები. არცერთ გალულუნებულ ლოგინიდან არ გამჭირვებია ტრაკის ატევა, და სადმე წასვლა, როგორც აქედან. უზარმაზარი სიყვითის ქვეშ ორად მოხრილი ვიდექი შუა ტრასაზე მწყობრში და გაურკვევლობას ველოდებოდი.. არ დააყოვნეს და ჩვენი 121 ბატალიონი, უფრო სწორად, მისი მოქმედი ნაწილი, საიდანაც გაჩენილ ყვითელ ავტობუსში ჩასხდა, მოგვაძახა, ქარელში შევხვდებითო და სიბნელები გაქრა და საოცარ მიმზიდველ პოზიციაში აღმოვჩნდით შუალაშისას, ტრასაზე, კბილებამდე შეიარაღებულები და მეთაურის გარეშე. დაახლოებით ნახევარი საათი გამაგრებული გვექონდა ადგილი ავტობუსებთან, ფორმაგახდილი და გრაჟდანებში გამოწყობილი, ან უკვე რეზერვისტებისგან ვიცავდით და ისე ვივაჟობით, რომ გამთინვისისას ჩვენს ძველ ადგილებზე ვიყავით წამოწოლილი ბუჩქის ძირას, ქარელის გადასახვევში. მთელი 102-ე ბატალიონი ესლა ვიყავით დარჩენილი, ერთი ბუჩქის ქვეშ შეწოლილი ათი კაცი. თვალი რომ გავახილე, უკვე გაათენებულყო, ჩვენს გარშემო კიდევ სხვა ბატალიონების წარჩენებიც იწვნენ და სუხოი პაიოკების პაკეტებს აფრიალებდნენ. ცოტა კუჭები ამოვიყორეთ და ისევე ავტობუსებში ჩავგვსხვ, ამჯერად წინა დღეებისგან განსხვავებით, ცოტა შემინებული სახე ჰქონდა ოფიცერს, უკან ვიხვეთ ქარელისკენო. მესამე დღეა იარაღი მაქვს ასხმული და აღმა-დაღმა დავდივართ. ახლა ქარელის ახლო ტყეში ვართ “გამაგრებული” ორმოცდაათიოდე კაცი და ველოდებით. ორმოცდაათივე რეზერვისტია. ერთი პოლკოვნიკი გვყავს და ერთი კაპიტანი, მაგარი როაჟაა ეს კაპიტანი, თემურ გაბისონია. რომ შესხვდავ რემზოს გავს ქვევითაც და ვიდზე. სამი დღის განმავლობაში პირველად გავიხადე ხებე, ბატინკებზე შნუროკები მოვუშვი და ჩემს ჭუჭყიან წინდებს დღის სინათლე ვაჩვენე. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს კვირაზე მეტია აქ ვართ”.

აქ წყდება ჩემი პირველი და ბოლო ჩანაწერი. ამის მერე ბევრი აღარ გავგიტრაკებია, სალამოსკენ გავიგეთ, რომ პიზ-დეც რეზერვისტამ, დავსხედით რალაც პიკაპზე და კოჯრისკენ დავანექით რიხინ-რიხინით. იქვე ჩავაბარეთ ჩვენთ ბედკ-რული და ტყვიანობის იარაღები, რომელიც სამი დღე ჯართად გვანჯა ბეჭებზე და ათ აგვისტოს, სალამოს სახლში ვიყავი. ასე დამთავრდა ჩვენი ამბავი, ამბავი უდიდესი სისულელისა და უთავობისა.

ამბავი თემურ კეკელიასი

სოხუმში პირველად სამოცდაშვიდ წელს ჩავედი ცოლის ნათესავებთან. მეუღლის ბიძები და დეიდები, ბაბუამისის ძმა და დები, იქ ცხოვრობდნენ ე.წ. ტრაპეციაზე თავის განაყოფებით და მჭიდრო ნათესავურ კავშირს ინარჩუნებდნენ. მიყვარდა ამ სტუმართმოყვარე და სიცოცხლითსავსე ადამიანებთან სტუმრობა და ზაფხულობით ჩავდიოდი ხოლმე ცოლ-შვილთან ერთად. ჩემი მეუღლის ბიძაშვილი ლერი/ბერუ/კეკელია იმით გამოირჩეოდა ბიძაშვილ დეიდაშვილებში, რომ უწყინარი და ზედმეტად მშვიდი, ამასთან ნიგნიერი ბიჭი იყო და მთელი დღე, განუწყვეტილად ხატავდა ტანკებს და თვითმფრინავებს. ისე ზუსტად ხატავდა რომ დაეჭვდებოდა კაცი, ამას ეს ყმანვილი ვერ დახატავდაო. ისე გაირბინა წლებმა და ისე აირია ქვეყანა, ლერის ველარ შევხვდი, მერე რამდენჯერმე გადავეყარე სამძიმარზე.

მერე ისევ დავეკარგეთ ერთმანეთს მე და ბერუ. ვიცოდი რომ იგი ვიცე-პოლკოვნიკი იყო და ტიპური სამხედრო კაცი, აფხაზეთში დაბრუნებაზე მეოცნებე.

ცხინვალის მოვლენებისას, ხელახლა წამოტივტივდა ბერუს პიროვნება, მაშინ, როცა ტელევიზიით თვალი მოვკარი ერთ ახალგაზრდა ოფიცერს, რომელსაც თურმე რამდენიმე რუსული ბომბდამშენი ჩამოუგდია. თემურ კეკელია ყოფილა, კარგად გავიგონე და ვიფიქრე ჩემი ცოლ-ლეურების - კეკელიების ნათესავი იქნება ან უბრალოდ მოგვარე. დავურეკე ხანდაზმულ ქალბატონს, მეუღლის დეიდას და მისგან გავიგე რომ ის ახალგაზრდა ოფიცერი თემურ კეკელია, იმ ვიცე-პოლკოვნიკ ბერუ კეკელიას ბიჭი აღმოჩნდა, ბავშვობაში რომ დღედაღამ ტანკებსა და თვითმფრინავებს ხატავდა.

იოლად გავერკვიე საქმეში და ბერუსაც მივავენი და მის ბიჭსაც, მოველაპარაკე და დავპატიჟე ჩემთან. ეს სიმპატიური 26 წლის ოფიცერი, უფროსი ლეიტენენტი, მეუღლესა და ათი თვის შვილთან ერთად მესტუმრა.

ჩვენ ცალკე გავედით და ქალები სასტუმრო ოთახში დავტოვეთ. როგორც თემურმა მიაშბო ცხინვალის მისადგომებთან ჩამოუგდია ოთხი ბომბდამშენი: სუ-27, სუ-25 და მიგ-29, ეს თვითმფრინავები და კიდევ მეოთხე მიზანი, რომელიც ვერ იპოვეს, განადგურებული აგვისტოს ცხრაში და ათში. ესროდა ბუკ-მ 1 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსიდან. აცილების შემთხვევაში სათუთა ხმელეთიდან მსროლელის გადარჩენა. უმრავლეს შემთხვევაში საპასუხო დარტყმით ნადგურდება ჰაერიდან. მიგ-ს ჩამოგდება უაღრესად ძნელი ყოფილა, როგორც წესი მიგს ანადგურებენ ორი ან სამი რაკეტით, თემურ კეკელიამ კი ჩამოაგდო ერთი გასროლით. ისე გამოვიდა რომ ოთხი რაკეტით განადგურებული აქვს ოთხი სამიზნე ანუ ოთხი ბომბდამშენი. მიგის ჩამოგდებისას იგი ერთდროულად



ებრძოდა ოთხ მიგს, მაგრამ ერთ-ერთი მათგანის განადგურების შემდეგ, დანარჩენი სამი მიიშალა.

ზედმეტ ხოტბა-დიდებას არ აღვავლენ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რაც სინამდვილეა, იგი ნამდვილი გმირია და სამხედრო კარიერას გმირის რანგში და გმირის შეგნებით გააგრძელებს.

თემურ კეკელია მამამისს — ბერუს, ვიცე-პოლკოვნიკს, მოზარდობიდანვე კადეტთა კორპუსში მიუბარებია, რომელიც დაამთავრა კიდევ 90-იანი წლების მიწურულს და როგორც ნარჩინებული კადეტი გააგზავნეს საბრძოლეთის საზღვაო აკადემიაში სასწავლებლად.

ისწავლა თითქმის ხუთი წელი და დაიწყო სამსახური სანაპირო დაცვაში. იყო სამხედრო კატარლის კაპიტანი, მერე კი გადავიდა საინჟინრო ბატალიონში. მსახურობდა აგრეთვე კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში. ბოლოს კი იგი მსახურობდა ჰაერსაწინააღმდეგო ძალებში, გაიარა ხარკოვში შესაბამისი მომზადება და დაეუფლა ბუკ-მ 1 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის დანიშნულებასა და გამოყენებას, რაც გამოიყენა კიდევ სამშობლოს საჰაერო სივრცის დაცვისასა.

დიდხანს ვისაუბრეთ და შემოგვალამდა, ათი თვის ბავშვი გაჰყვიროდა, დედა ველარ ამშვიდებდა და ჩვენც შევწყვიტეთ საუბარი. პირობა დავდეთ, აღარ დავვიწყებდით ერთმანეთს და დროდადრო ვესტუმრებოდით, მოვინახულებდით.

ამას წინათ, ტელევიზიით თქვეს, რომ თემურ კეკელია დააჯილდოვეს ვახტანგ გორგასლის ორდენით.

31 აგვისტო

ყველა ხვალინდელ დღეს ელოდება, ევროკავშირის საგანგებო სამიტო ბრიუსელში, სადაც საქართველოს რუსეთისგან ოკუპაციის საკითხს განიხილავენ. გუშინვე ქვეყნდებოდა ინტერნეტში ცნობები თუ როგორ ცდილობდა მედვედევი პუტინის დავალებების შესრულებას, როგორ ესაუბრა მერკელს, ბრაუნს, ხოლო ლავროვმა სატელეფონო მოლაპარაკება გამართა შტაინმაიერთან. რუსები ცდილობენ ევროკავშირის გადანყვეტილებაზე შემოქმედებას. ვფიქრობ, ევროკავშირი უფრო თავშეკავებული იქნება, ვიდრე ამას მოელოდა ქართული საზოგადოება. არა მგონია რაციონალურმა ევროპამ, აღმოსავლეთ ევროპისა და ბრიტანეთის გამოკლებით, უარი თქვას პრავდატიზმზე და კალკულატორზე არ გადაიანგარიშოს რუსეთთან ურთიერთობის გაუარესების რეალური ღირებულება.

ვნახოთ, ღმერთმა ქნას ჩემი პროგნოზი გამტყუნდეს.

ე.წ. ბუფერულ ზონაში აქტიური მშენებლობა გააჩაღეს რუსებმა. არსად წასვლას არ აპირებენ ან უნდათ დატოვონ შთაბეჭდილება, თითქოს არსად მიდიან.

ქალაქ გორიდან დევნილები გორში დაბრუნდნენ. დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებიდან გამოდევნილები კი თბილისში არიან, ის მხარე საერთოდ მოსპეს, გადანვეს და ტრაქტორებით გადაუარეს. გორის რაიონის სოფლებიც დატოვლილია. რუსები ზურგს უმაგრებენ მაროდიორებსა და მკვლელებს. ამაზე დიდი ტრაგედია რა გინდა, ჩამოსახლებული ხიზნები ქართველებს მიერეკებიან მათი მამა-პაპის უძველესი ნაფუძარიდან.

თანამედროვე პოლიტოლოგია, კომფლიქტოლოგია არაფერად აგდებას ამა თუ იმ ეთნოსის განსახლების ისტორიულ მნიშვნელობას და შემოიფარგლება მხოლოდ დღევანდელი, არსებული რეალობით. ისე, კაცმა რომ თქვას, ოსებთან ქართველებს არავითარი პრობლემები არ ჰქონდათ, ვიდრე ხელოვნურად არ შექმნეს 1989 წელს, როცა ცხინვალს თბილისიდან ავტობუსების კოლონა მიადგა.

პროვოკატორები ყოველთვის აღწევდნენ მიზანს და იოლად წამოიკიდებდნენ ხოლმე ქართულ საზოგადოებას. ასე იყო მაშინაც, “ადამონ ნიხასის” პროპაგანდისტულმა, საზიზღარი სიცრუის მქადაგებელმა პუბლიკაციებმა გამოიწვია საყოველთაო ვნებათაღელვა, პუბლიკაციათა უმრავლესობის ავტორი ბატონი ჩოჩიევი რუსეთის სპეცსამსახურების დაკვეთას ასრულებდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ჩვენი წამოკიდებისთვის. ყოველივე ამას მოჰყვა 90-იანი წლების კონფლიქტი და იქვე გაჩნდა რუსეთი, “ცნობილი მშვიდობის მტრედი, კავკასიური საკითხების სპეციალისტი,” შუღლის მთესველი, დაპირისპირების ავტორი.

ყაზბეგმა და ეგნატე ნინოშვილმა თავის მოთხრობებში ლამის დოკუმენტური სიზუსტიდ აღწერეს მეცხრამეტე, მეოცე საუკუნის დასაწყისის რუსული ეგზეკუციები საქართველოში. ახლანდელი მშვიდი “ყაზახები” ერთი საუკუნის წინანდელი ოკუპანტების კონკრეტული შთამომავლები არიან, ამიტომაც, ისევე იქცევიან, როგორც მათი წინაპრები. სოფელს ანერენ საკვებს, აბა რომ არ ვაჭამოთ დაგვერევიანო, მითხრა ერთმა ჩხორონყულმა გლეხმა. რუსის გენერლებმა მშვენივრად იციან, რომ მათი მშვიდი სალდათები და ოფიცრობა საკვებს მოიპოვებენ “პო უსმატრენიუ.” ახლა ეგზეკუციას ბუფერული ზონა ჰქვია, ხოლო საქართველოს დაქუცმაცებას და გაფანტულ ბლოკ-საგუშაგოებს დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში – ლიბანიზაცია.

“გაგონდება თუ არა კარაღეთის დღეები”..

დევნილთა ერთი ნაწილი საბავშვო ბაღებში განთავსდა. საბავშვო ბაღის ერთმა პედაგოგმა ლიმილისმომგვრელი ამბავი გამომიხლა: ბაღის გამგესთან შემოვიდა თურმე რამდენიმე ახალგაზრდა ქალბატონი და მოითხოვეს მისი კაბინეტი, საკუჭნაო და სანყობი დაეთმო მათთვის, ერთი უბრალო მიზეზის გამო, რათა იმდენ ხალხში ვერ ახერხებდნენ ღამითაც კი ქმრებთან ყოფნას და რომ მორიგეობით მაინც ევლოთ “ინტიმის ოთახში”,

ეს სახელწოდება, როგორც მასწავლებელმა ხაზგასმით აღნიშნა, თვითონ დაარქვეს. ბაღის გამგე სრულიად ახალგაზრდა გოგო, გაოგნდა, დაიბნა და აღარ იცოდა რა ექნა. მასწავლებელი, რომელიც ამას მიაშობდა, მოელოდა, რომ მეგავიკორეები და მეგავიცხავი იმ ქალბატონებს და ავყვებოდი მის სიტყვებს, რა თავისმოჭრაა, რა დროს ეს არის, სირცხვილია. ავუხსენი, რომ სულაც არ არის სირცხვილი, ადამიანი ცხოვრებას ნებისმიერი გასაჭირისას აგრძელებს. ასე ყოფილა გულაგის ბანაკებშიც კი, როცა მავთულხლართების მიუხედავად, წყვილი ახერხებდა სქესობრივ კავშირს, ეკლიანი მავთულის წინააღმდეგ კი დაიძლეოდა უკიდურესი სურვილისას. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ნამდვილი ამბავია. თვითონ გულაგელების ნაამბობი ვიცი — ოტია პაჭკორია, გვირ მალულარია. შალამოვს, თუ არ ვცდები, უწერია კიდევ.

ადამიანი, თუ იგი ჯანმრთელია, ნებისმიერ სიტუაციაში აგრძელებს პოპულაციას ან ცდილობს საამისო პირობები მოიძიოს. ეს ბუნებაა და ბუნებას ვერაფერს ალუდგება წინ.

1 სექტემბერი

ბატონი პუტინი შორეული აღმოსავლეთის ნაკრძალში ბრძანებულა. საფანგში მომწყვდეული ძუ ვეფხვისთვის სპეციალური იარაღით ზუსტად უსვრია ამპულა, რის მერეც

ცხოველს დაუძინია. ბატონ პუტინს თვითონვე შეუბამს ვეფხვისთვის რგოლი, რისი მეშვეობითაც დააკვირდებიან მეცნიერები, მის შემდგომ გადაადგილებას.

ცხოველთა დამცველებთან უსაუბრია გულითადად, უთქვამს რომ დასაცავია ლეოპარდის უსურეული სახეობა, თორემ გადაშენების პირას არისო. გულისამაჩუყებელია პრეზიდენტ მედვედევის დირექტორის, პუტინის ყურადღება და თავგამოდება მტაცებელი ცხოველების დაცვის საქმეში. სრულიად სიმბოლურია, პუტინი რომ ეამბორო მიძინარე ძუ ვეფხვს და ხელიც მოუთათუნა. ახალი იმპერატორი, თავის იდეოლოგიას რომ აყალიბებს ორი კომფესიის, მართმადიდებლური და ისლამური მრევლის გაერთიანებით და წმინდა ომის მოწოდებით აშშ-ს, სატანის სამშობლოს წინააღმდეგ, დაუფარავად ემუქრება დანარჩენ მსოფლიოს. ხოლო მართმადიდებლობისა და მაჰმადიანობის რუსულ სინთეზს და ერთობლივ ჯიხადს – ალბათ მაჰმადიდებლობა ჰქვია.

უსურეული ვეფხვის თუ ლეოპარდის სახეობებზე პუტინური ზრუნვა, როგორც აღვნიშნე, სიმბოლურია და მტაცებელი იმპერიის გადარჩენას ნიშნავს. საინტერესოა რომელი იმიჯპეიკერის ტვინში დაიბადა ეს პრიმიტივი?!

ამკარად ჩანს, რომ რუსეთი ყოფილი დსთ-ის ქვეყნებს, ტერიტორიებს და ხალხებს აცხადებს თავისი გავლენის სფეროდ და არავის მისცემს უფლებას თავის სტრატეგიული გეგმების განსაზოციელებლად. ძნელი არ არის ამოვიკითხოთ ჩვენი ქვეყანა, ნატოში ჩვენი შესვლის მოლოდინი და ა. შ. როგორც ჩანს არ აინტერესებს რუსეთს ჩვენი აზრი და არც რეფერენდუმი მიღებული არჩევანი. ძალაზეა და რას უზამ?! ჯერ ვერ ვხედავ რუსეთის საპირწონე ძალას, მაგრამ სამწუხაროდ არ ჩანს, რადგან რუსეთი ომის ზღვარზე აყენებს ცოვილიზებულ სამყაროს და თავის სიშლეგით თრგუნავს. ამა-სობაში ჩვენ ვისრისებით, ვინგრევით, ფსიქოლოგიურად ვნადგურდებით.

დღევანდელი დღე ფრიად საყურადღებო იყო ჩვენთვის და მთელი მსოფლიოსთვის. ცოცხალი ჯაჭვი, რომელშიც ჩაება მილიონნახევარი მოქალაქე საქართველოში და საკმაოდ მრავალი თანამემამულე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ფაქტობრივად მორიგი, უახლესი რეფერენდუმი იყო, როცა ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ უარი თქვა დასავლური ორიენტაციის შეცვლაზე. დღევანდელი მშვიდობიანი მანიფესტაციით კიდევ ერთხელ დაგუპირისპირდით რუსეთის ძალადობრივ მოთხოვნას,

ვინც წაიკითხა ევრო-კავშირის დღევანდელი დადგენილების პროექტი, ალბათ დამეთანხმება, რომ დასავლეთმა გააკეთა ყველაფერი საკუთარი კეთილდღეობისთვის და სიტყვიერად დაგმო რუსეთის აგრესიული შემოჭრა საქართველოში, ამასთან, აღნიშნა, რომ ევროკავშირის ქვეყნებისთვის მიუღებელია რუსული ჯარის ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე. არაფერს ვამბობ რამდენიმე კანფეტის დაპირებაზე — თავისუფალ ვაჭრობასა და სავიზო რეჟიმის მომავალში გამარტივებას, რომ შეეხება.

რუსულმა ძალადობამ გაჭრა და ეს მოხდა ენერგორესურსების ბერკეტებით. ეს კი ნიშნავს მომავალში ამ ქვეყნების სრულ დამოკიდებულებას რუსეთზე თუ ენერგეტიკული ალტერნატივის ძებნა არ დაიწყო ევროკავშირმა. მსოფლიოში ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური რეალობა, რასაც არავინ მოელოდა, მაგრამ ყველას მოუწევს ანგარიშის განწევა.

მთლად 1921 წელი არ არის, მაგრამ რაღაცით ნააგავს, თითქმის ისეთივეა, თუ ამერიკამ არ შეინუხა თავი. ეს ის ევროკავშირია, რომელიც რუსეთის ბრძანებას შეასრულებს და არ მიიღებს საქართველოს ნატოში. ლავროვს თუ დაუვჯე-

რებთ, ის კი პუტინს ახმოვანებს, საქართველო აღარ უნდა შე-
აიარალოს აღარავინ, არც ამერიკამ და არც ევროკავშირმა,
იყოს ასე დედააფეთქებული და გაცამტვერებული, და რაც
მთავარია, აუღიარებელი ე.წ. რესპუბლიკების მოსახლეობა
უნდა იყოს დაცული, საქართველო კი მიგდებული. მოკლედ,
რაც ჩაიფიქრა პუტინმა ასრულებს კიდეც. ახლა აშშ-ს გან-
ცხადებების მოლოდინში ვართ. ვაი, ჩვენი ბრალი!

ასეთი მოლოდინები გამანადგურებელია.

პ.ს. ევროკავშირის დადგენილების დღევანდელი პროექ-
ტი, დაახლოებით ისეთია, როგორსაც მოველოდი, მაგრამ მა-
ინც დამწყდა გული. როგორც ჩანს ქვეცნობიერად მაინც მქონ-
და მეტი მოლოდინი.

მოკლე ხანში სარკოზი ჩადის მოსკოვში, მერე ჩვენთან ჩა-
მოდის. ოფიციალურად ინიშნება ევროკავშირიდან წარმო-
მადგენელი, ვინც ცნობილი, ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების
შესრულებას გააკონტროლებს. ეს, ის ხელშეკრულებაა, რო-
მელსაც რუსეთი არ ასრულებს, სადაც ამოიკითხა არარსებუ-
ლი ბუფერული ზონები და ათასი ჯარისკაცი და მძიმე შეიარა-
ღება, ჯავშანტექნიკით პატრულირება შიდა ქართლში,
საჩხერის რაიონში და სამეგრელოში, ფოთიდან ჩხორონწყემ-
დე.

მონიტორები სექტემბრის ბოლოს, ოქტომბრის დასაწყის-
ში ჩამოდის. მერე უნდა მოჰყვეს მოგვიანებით ინტერნაციო-
ნალური სამშვიდობო ძალები. ეს კი უკვე ხანგრძლივი პრო-
ცესია.

თუ სამშვიდობოს ჩანაცვლებამდე დარჩნენ რუსები, კარ-
გად ყოფილა ჩვენი საქმე. გუშინ, სატელეფონო საუბარში
მედევედეს უთქვამს სარკოზისთვის, რომ გაიყვანენ ჯარებს 7
აგვისტოს პოზიციებზე. აღარაფერი მჯერა ამ რუსების, ცრუ-
ები და მოძალადენი არიან.

2 სექტემბერი

დღეს ცნობილი გახდა ევროკავშირის საგანგებო სამიტის
დადგენილების პროექტის სრული ტექსტი. უტრირებულად
დაახლოებით ასეთი შინაარსის: თქვენ, რუსეთო, ცუდად იქ-
ცევით, მაგრამ იმედი გვაქვს ამა და ამ თვის განსაზღვრულ
რიცხვამდე ჯარს გაიყვანთ საქართველოს ტერიტორიიდან
და კარგად მოიქცევით და ჩვენ ისევ გავაგრძელებთ თანამშ-
რომლობას. ხოლო თუ ჯარს არ გაიყვანთ საქართველოდან
და ცუდად მოიქცევით, მაშინ ჩვენ მივიღებთ სანქციებს
თქვენს წინააღმდეგ..

მე არ ვიცი, როგორ შეხედავს რუსეთი გამოსასწორებელ
ვადას და გაიყვანს თუ არა ჯარს.

საერთოდ, სრული აბსურდია შუაგულ საქართველოში მა-
თი ტანკების გადაადგილება და ფოთთან დაცემული ნოინის
კარავი. ყველაფერთან ერთად მათი აქ ყოფნა და თვითნებუ-
რი გადაადგილება ფსიქოლოგიური ზენოლა და ჩვენი ქვეყნის
დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათელვაა.
მრავალი ადამიანი მტკიცებულად განიცდის ოკუპანტების გა-
ნუკითხავ პარპაშს. ...სამუდამოდ კი არ დგას ჩვენი სამშვი-
დობო ნაწილები, დადგება დრო და გაიყვანთ... ასე განაცხა-
და ევროკავშირში რუსეთის წარმომადგენელმა ამხანაგმა ჩი-
ჟოვმა. არ ამბობენ, ვერ ამბობენ, ჯერ რუსეთის ეროვნულ
ლიდერს, მედევედის დირექტორს და მთავარ მკვლელს არ
გადაუნწყვეტია, როდემდე გააგრძელებს დანარჩენი მსოფლი-
ოს დაშანტაჟებას. პუტინი ჯერჯერობით უსურრის ფეფხვის,
ლეოპარდის და ენოტის პოპულაციაზე ზრუნავს და წუხს,
რომ ეს უნიკალური ჯიშები გადაშენების პირასაა და უნდა
ვიზრუნოთ მათზე. მას შეუძლია თვალისდაუხამხამებლად
გაანადგუროს 200 000 მშვიდობიანი მოქალაქე ჩეჩნეთში, მი-
სივე აფეთქებული სახლების გამო, ნორდოსტში და ბესლანში
აჩვენოს ნამდვილი სახე მთელ მსოფლიოს, ახლა კი ზის და
მტაცებელი ცხოველების პოპულაციაზე წუხს. აი, ეს გახ-
ლავთ სკიხედური ცინიზმი, რუსეთის ეროვნული ლიდერისა.

მხოლოდ ბუფერული ზონიდან, შიდა ქართლის სოფლები-
დან რამდენიმე ათასი ადამიანია გამოდევნილი. ბუფერული
ზონის ნამდვილი მიზანი, სწორედ ეთნიკური წმენდაა და თუ
ეს დროზე არ შეჩერდა, კაცობრიობის წინაშე დანაშაული
დღესაც გრძელდება დაუსჯელად.

გული მიტირის ამ ამბების გამგონეს და არ ვიცი რა ვიღონო
და რომ არ ვიცი, საკუთარი უმწეობა მანადგურებს. ამჟამად ამ
დღეშია ქართველების უმრავლესობა. პუტინი კი აგრესორე-
ბად გვაცხადებს და არა მსხვერპლად, რადგან თვლის რომ რუ-
სული ბომბები ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს რომ აცვიოდა,
ჰუმანიტარული დახმარება იყო. დიდი და პატარა ლიხვის მი-
წასთან გასწორებული სოფლებიდან და ბუფერული ზონიდან
დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს მკვიდრი მოსახლეობის
გამოდევნა. – გაუგონარი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

ყოველდღე ვფიქრობ შევეშვა დღიურის წერას, მაგრამ ამა-
საც ჩაყოლა სცოდნია და მეც ჩავეყვი. ვოცნებობ იმ დროზე,
როცა შედარებით მშვიდი დღეები გათენდება და დავინწყებთ
ჭრილობების მოშუშებას და რაც არასოდეს მოშუშდება სულ-
ში მის გადამალვას და მასთან ერთად სიცოცხლეს. ეს ყოფილა
ჩვენი ხვედრი, ეს ყოფილა ფასი თავისუფლების. როგორც
ჩანს ერთიდაიგივე შეცდომა უამრავჯერ უნდა დაგვეშვა...

3 სექტემბერი

„პოლიტიკური გვამი“, ასე უნდა სააკაშვილს რუსეთის
ფსევდოპრეზიდენტმა - მედევედემ. მაკვირვებს ამ ბუტაფორი-
ის განცხადებები, რადგან თვითონ არარაა და ამდენად გვამა-
დაც ვერასოდეს იქცევა. ამ ხალხს სულ არ აქვს ჭკუა. რაც უფრო
ხშირად აგინებენ სააკაშვილს რუსეთში, მით უფრო აქტიურად
უჭერენ მხარს საქართველოში. ეს მარტივი მექანიზმი რახანია
წარმატებით მუშაობს. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ეს შეგნებულად
კეთდება. ვფიქრობ, მაპის მილებამდე არავითარი შიდაპოლიტი-
კური დებატები და მკვეთრი დაპირისპირება არ იქნება.

რუსეთმა შუააზიაში წამოიწყო სამხედრო სწავლება.
არავინ იცის როდემდე გაგრძელდება მსოფლიოს დაშანტაჟე-
ბა ან რა აქვს ჩაფიქრებული ვეფხვებსა და ლეოპარდებზე
მზრუნველ პუტინს. აშკარაა რომ ნატოს კონტიგენტს ემუქ-
რება, რომელიც თავის დროზე განლაგდა შუააზიაში, მოლა-
პარაკების შემდეგ, რათა იქიდან უფრო მოხერხებულად დახ-
მარებოდა ანტიტერორისტულ ბრძოლებს ავღანეთში.
პარალელურად რუსეთი ცდილობს თურქმენეთის დაშინებას.
რუსეთმა უკვე გადაწყვიტა რომ ააშენებს გაზსადენს თურქ-
მენეთიდან უზბეკეთის ტერიტორიის გავლით, და ასე და ამ-
რიგად თვითონ იქნება ევროპისთვის ენერგორესურსების
ერთადერთი მიმწოდებელი. ეს აჩქარება რუსეთისა მიზნად
ისახავს დასავლეთს წაართვას ინიციატივა დამოუკიდებლად,
რუსეთის გარეშე ეძებოს ენერგორესურსი. თუ რუსეთმა ამ
წარმატებასაც მიაღწია მისთვის დამახასიათებელი სამხედ-
რო მუქარით და ძალადობით, მაშინ ევროპა მთლიანად აღ-
მოჩნდება რუსი მიმწოდებლების ტყვეობაში.

ვიდრე დასავლეთი ფიქრობს და ეძებს გამოსავალს შექმ-
ნილი ვითარებიდან პოლიტკორექტურობის დაცვით და მათ-
თვის დამახასიათებელ გაბმულ დებატებზე დემოკრატიული
კოკეტობით, როცა უამრავი დრო იკარგება ერთი ადგილის
ტკეპნაში, რუსი მოქმედებს. ასეთ ვითარებაში დემოკრატიუ-
ლი ინსტიტუტები უმწეონი არიან რუსულ ტოტალიტარიზმ-
თან შედარებით, რაც იმას უნდა კარნახობდეს ევროპას და
აშშ-ს, რომ დროა რაღაც შეიცვალოს და რომ მათი მოუქნე-
ლობა ძვირად არ დაუჯდება მათაც და დანარჩენ, დაუცველ
მსოფლიოსაც.

ერთი ჩემი მეზობელი ხუმრობდა: ისევ ჯუნგლების კანონები მოქმედებს ამ ცივილიზებულ სამყაროში. თავს დაესხა რუსი საქართველოს, ცოტა ხნის შემდეგ ბათუმში შემოვიდნენ ნატოს ხომალდები და მონიშნეს ადგილი. საპასუხოდ რუსული სამხედრო გემები შემოვიდნენ

აფხაზეთის გასწვრივ და მონიშნეს ადგილი აფხაზეთთან, ერთ-ერთ ტერიტორიულ ნადავლთან.

თქვა პუტინმა “ვუპასუხებთ!” და უპასუხა. დაიწყო სამხედრო წვრთნები შუაზღვაში, გაუფრთხილებლად, ფეხზე არ ჰკიდია ხუთივე რესპუბლიკა?! რუსეთმა მონიშნა ადგილი შუაზღვაში. რუსეთს უკვე აღიზიანებს ნატოს ბაზა შუაზღვაში, საიდანაც ავღანეთში დაფრენენ მათი თვითმფრინავები ანტიტერორისტულ ოპერაციებზე.

ახლა ვნახოთ სად მონიშნავს ადგილს აშშ?! ესენი უფრო ცივილურად იქცევიან. დიკ ჩეინი დღეს ჩაფრინდა ბაქოში, ხვალ ჩამოვა ჩვენთან, ხოლო მერე უკრაინაში გაფრინდება. აშშ აფიქსირებს თავის გეოპოლიტიკურ ინტერესებს.

ნათან ბააზოვის ინფორმაციას თუ დავუჯერებ, მწერალთა კავშირის ყოფილ შენობაში – მაჩაბლის 13 / სარაჯიშვილის და ბოლოს კი ხომტარიას საცხოვრებელი ბინა/ ეკონომიკის სამინისტრო შესახლდა.

ადრე ხელისუფლება არწმუნებდა მწერლებს, კავშირის წევრებს და არანწევრებს, რომ ამ შენობაში/მაჩაბლის 13/ დაფუძნდებოდა ლიტერატურთა სახლი, რომელსაც ეყოლებოდა ადმინისტრატორი, იფუნქციონერებდა ბიბლიოთეკა, საპრეზენტაციო დარბაზები და ა. შ. აღარ დაიკავებდნენ კაბინეტებს მდივნები და თავმჯდომარე, შეიცვლებოდა სტრუქტურა და იქნებოდა კლუბის ტიპის ლიტერატორთა სახლი.

დავუკავშირდი ერთ ცნობილ მწერალს, რომელიც დაახლოებულია კულტურის მინისტრთან და მან დაადასტურა ის ფაქტი, რომ ეკონომიკის სამინისტრო დროებით გადადის მაჩაბლის 13-ში, რათა იქ, ისევ არ შეცვივდნენ მწერ. კავშირის ხელმძღვანელები და წევრები.

მე კი ვფიქრობდი, რომ მითავრობა დანაპირებს შეასრულებდა, მაგრამ ესეც ბლეფი აღმოჩნდა. ნეტა თვითონ თუ სჯერა ჩემს მეგობარ მწერალს, რომ ეკონომიკის სამინისტრო დროებით განთავსდა მაჩაბლის 13-ში და “ტრანზიტული გზით”, ეს მისი გამოთქმაა, “ისევ ლიტერატორთა სახლი დაფუძნდება იქ, მომავალში”. რომელ მომავალზეა საუბარი? ნეტავ იმ მომავალს ხომ არ გულისხმობენ, ჩვენ რომ ვერ მოვესწრებით?!

ჩვენს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, არ ვიცი, რომელ ტელეგადაცემაში, სიენენზე თუ ბიბისიზე ... მოკლედ, არ ვიცი სად და როდის, მაგრამ დანამდვილებით უთქვამს პუტინთან კონტექსტში, უზარმაზარი აუდიტორიის გასაგონად, თან მოურიდებლად - “ლილიპუტინ” და გაუკენწლია ტანმორჩილობის გამო. თვითონ რომ ჭარბი სიმაღლისაა პუტინმაც იცის და ჩვენც მოგვეხსენება. ახლახან, აგვისტოს დაბომბვები რომ დასრულდა და ქართლის გზის გახსნა იწვევს რუსებმა და ბლოკ-საგუშაგოები აიღეს ტრასიდან, გამახსენდა სააკაშვილის მიერ ტირაჟირებული “ლილიპუტინ“-ის სავარაუდო ავტორი და მყისვე დაფურეკე. უფროსმა კოლეგამ ჯერ იუარა, მერე კი თავისი სხვა მინიმალისტურებიც გაიხსენა და აღიარა, რომ მათ შორის ლილიპუტინ-ი ყველაზე პოპულარული გახდა მიზეზთა გამო. ამას რომ ამბობდა მაშინაც ხუმრობდა. ის არ ვიცი, ვინ უამბო სააკაშვილს ამ ერთსიტყვიანი “ხუმრობის”, მახვილსიტყვის შესახებ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ სწრაფად და მარჯვედ გამოიყენა და შესაძლოა გაანაწყენა კიდევ რუსეთის პრეზიდენტი, რომელიც ჩემს თვალის ზომას

თუ დავუჯერებთ, არც მეტი, არც ნაკლები, ამ ერთსიტყვიანი “იაზვობის” ავტორის ტოლია სიმაღლით.

ავტორს, ჩემს უფროს კოლეგას ვუთხარი:

— შენ დაგინწყიათ რუსეთ-საქართველოს ომი და არ ვიცოდი! ხუმრობა იქით იყოს და, როგორც შევნიშნე, “ბადრიოტი“-ც მისი უნდა იყოს. ეს უკვე მაშინდელია, პატარკაციშვილი რომ აიყოლია პოლიტიკამ და სამუხაზროდ, ამ შეცდომამ დალუბა კიდევც.

ასე აისახება მინიმალისტში უფრცვლესი პოლიტიკური ამბები და როგორც ჩანს “ლილიპუტინ“-ით ომის პროვოცირებაც ყოფილა შესაძლებელი. ჩემი უფროსი კოლეგა ვერ დავარწმუნე, რომ ომი მისი დანყებულია, უფრო სწორად, მისი ერთი მახვილსიტყვა “ლილიპუტინ” საკმარისი გამოდგა ჩვენი ტრაგედიისთვის.

ისე, ნებისმიერმა პრეზიდენტმა უნდა გააცნობიეროს რა შეუძლია სიტყვას, რომ სიტყვამ შესაძლოა მისამართი და სემანტიკა შეიცვალოს და უფრო დიდხანს გაძლოს ხალხის მენსიერებაში, ვიდრე “სახელმწიფოს - დროებითი რეალობის ავტონომიის” თავკაცმა.

4 სექტემბერი

შეერთებული შტატების და ევროკავშირის ფინანსურ-ეკონომიკური დახმარების მასშტაბი განსაცვიფრებელია. პოლიტიკური მხარდაჭერაც მკვეთრია, მაგრამ ევროპა რასაც აკეთებს, რუსეთზე ენერგორესურსებით დამოკიდებულობის ფონზე, ვფიქრობ, შესაძლებლობის მაქსიმუმი.

საყურადღებოა კონდოლიზა რაისის დღევანდელი განცხადება, კერძოდ ის ფრაზა, რომელიც უმნიშვნელოვანესია: რა გააკეთა რუსეთმა საქართველოზე თავდასხმით? დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ იარაღი აქვს. საპასუხო ძალა აშშ-ს და ევროკავშირს არ გამოუყენებია და ეს მშვენივრად იცოდა რუსეთმა, რომ სამხედრო ძალით წინ არავინ აღუდგებოდა, რომ დასავლეთი მესამე მსოფლიო ომს არ წამოიწყებდა. რუსეთმა კარგად იცის ისიც, რომ გონიერი მსოფლიო ყოველთვის შეეცდება თავი აარიდოს ღია კონფრონტაციას და ძალის დემონსტრირებისას და სწორედ ამიტომ, ომის ზღვარზე ყოფნით და გამუდმებული მუქარით, რუსეთი მუდამ სპექულირებს საკუთარი სამხედრო ძალით და დასავლეთის თავშეკავებულობით. რუსეთს მოენატრა დაიბრუნოს საბჭოთა კავშირის ფუნქცია, უნდა რომ თავზარს სცემდეს დანარჩენ მსოფლიოს – სულ ეს არის პუტინოლოგია – პრიმიტიული, ძალადობრივი, იმპერიული, პერმანენტულად დესტრუქციული, რაც არასრულფასოვნების კომპლექსზე და დანარჩენი მსოფლიოს დაუფარავ ზიზლსა და დემოკრატიული ღირებულებების სიძულვილზე მიუთითებს.

ერთი საფიქრალი ის დამრჩენია, მორიგი სისულელე არ წამოვიწყებოთ და ისევ ხაფანგში არ გავყოთ თავი. თუმცა, პროვოკაციაზე წამოგება იყო თუ დასავლეთის შეგულიანებას აპყვავა სააკაშვილი, არავინ იცის; რუსეთთან ომს ვერ წამოიწყებდა, რომ არა იმედი დასავლეთისა, ასე რომ გაუცრუვდა და ახლა უწევს ათასნაირი ტყუილი ვერსიის გამოგონება, რასაც თვითონვე იჯერებს და მოგვიანებით არგუმენტად კი არა, მტკიცებულებად ასალებს.

პრობლემა ჩვენშია, ეს უკვე შეუიარაღებელი თვალთ ჩანს. ხელმოცარული შოუმენი მსოფლიო სცენაზე ცდილობს დასახლდეს და გამუდმებით უმტკიცოს ყველას, რომ ის არის დემოკრატიის შუქურა, გამუდმებული ტრაბახი კარგახანია მოწყინდათ საქართველოშიც და დასავლეთშიც. დადგა რუდუნების დრო. ყბედობა აღარავის აინტერესებს. დასავლეთიც გაბეზრებულია უკონტროლო, არაადეკვატური და არადიპლომატიური ნაბიჯებით, ლაყობით და ფიქციათა კასკადით. მას აქვს დადებითი უნარები, რომლის გამოყენება უკვე შეძლო და გარკვეულწილად დაატყო კიდევ ხელი ქვეყანას, რაც დადებით და მკვეთრად უარყოფით ცვლილებებში გამო-

იხატა. ამ ომმა საბოლოოდ დაარღვია ბალანსი და ჯვარი დაუსვა მის საპრეზიდენტო მანდატს, თუმცა ეს ჩემთვის გაცილებით ადრე, 2007 წლის 7 ნოემბერს მოხდა, როცა სადარბაზოში სდიეს დემონსტრანტებს და სასტიკად გაუსწორდნენ განსხვავებული აზრისთვის.

მან ამოწურა მთელი შესაძლებლობები, რაც გააჩნდა და ამას კარგად ხედავენ შინაც და გარეთაც. ახლა, ჯერ უნდა იყოს, რუსეთის ჯიბრზე, აბა, მავათ ჭკუაზე ხომ არ გავივლით?!

სულ ვეჭვობ, რატო მოითხოვს რუსეთი ამ მთავრობის შეცვლას? იმიტომ ხომ არა, რომ ჩვენ ასე ვიფიქროთ. არა, რუსეთის ჭკუაზე არ გავივლით!

დიკ ჩინის დღევანდელი ვიზიტი უაღრესად მნიშვნელოვანია.

დღეს უპრეცედენტო რამ მოხდა, მონიტორები არ შეუშვეს რუსმა სალდათებმა ბლოკ-საგუშაგოს იქით და დაემუქრნენ კიდევ. კარალეთის იქით ბუფერული ზონაა, მაროდიორებისა და ბანდორობების სათარეშო სივრცეა. ვიდრე მთლიანად არ გაიტანენ ნაძარცვს, არავისაც არ შეუშვებენ. ეს რა ჭირია ჩვენს თავს და ვინ მამაძალღმა გამოიწვია დაგეშილი ძალები ჩრდილოეთიდან? ვინ შემოგვისია ეს ურდოები?

სამწუხაროდ, ამ დღიურის გამოქვეყნება არ შემოიძლია ამჯერად, იმის შიშით რომ შვილს უეჭველად გამიგდებენ სამსახურიდან.

ქრონიკების დინამიკა და განწყობილება მერყეობს სასოწარკვეფისა და გადაჭარბებულ იმედს შორის. შეგნებულად არ ვასწორებ შინაარსს და ვინარჩუნებ პირვანდელ დიკუმენტურობას.

ეს, ის ტექსტია, მტანჯველმა დღეებმა რომ მიკარნახა, როცა პრეზიდენტიც პანიკაში იყო და ტელევიზიით, პირდაპირ ეთერში გავრცელა ყურმოკრული ინფორმაცია, რომ რუსული ტანკები თბილისისკენ დაიძრენ, შემდეგ დღეებში კი ისევ გამოვიდა გაუფრთხილებლად და გვაუნწყა, რომ ჯავშანტექნიკა ქუთაისისკენ მიემართება, რაც საბედნიეროდ არ აღმოჩნდა მართალი, მაგრამ ვიდრე მის შეცდომას გაასწორებდნენ, ჩვენ ჩვენი დაგვემართა. ეს ის დღეებია, როცა ფინლებით და ნაჯახებით შეიარაღებულ და თბილისის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაცვას მოგვინოდებდნენ.

ეს ის დღეებია, როცა არაერთი მაღალჩინოსანი ოჯახებს ხიზნავდა სამშვიდობოს, ჩვენ კი მოგვინოდებდა... ეს ის პერიოდია, როცა მთავარსარდალი საჰაერო თავდასხმას დაემალა და ტალახში გაგორდა ტელეკამერების წინ. თუმცა აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი. ხალხი უფრო მობილიზებული აღმოჩნდა, ვიდრე ხელისუფლება. აი, ეს არის უმთავრესი იმ მწარე დღეებში, რაც აღმოვაჩინე და მიგხვდით, რომ ეს ხალხი მონაწილე არჩევნებზე თავის ნებას, ახლა მაინც, უშეცდომოდ გამოხატავს.

5 სექტემბერი

დღეს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ვიყავი. მთელი შენობა დევნილებით არის გადავსებული. ერთ მოზარდს გამოველაპარაკე, სოფელ ვანათიდან აღმოჩნდა.

იქაური თანამშრომლების უკმაყოფილებაც მესმის. ამბობენ რომ დევნილებმა დაიწყეს ყველა კაბინეტის შემტვრევა და რაც მოეწონებოდათ იმ ნივთების გადანაწილება ან სულაც გაყიდვა. ამ დილით სადარბაზოში თავზე წადგომიან კომპიუტერებს რომ მიეზიდებოდნენ.

პროცესორები და ერთი მონიტორი დერეფანში დარჩენილი. მიჭირს ამ ფაქტის კომენტირება. როგორც ჩანს განუკითხაობის ინერცია კარგა ხანს არ შეჩერდება. ზარალის ამდაგვარად შევსება წარმოუდგენელი სიბნელეა. ისე, ვერც ამ ხალხს ვდებ ბრალს ასეთი საშინელების გადატანის შემდეგ, მაგრამ ისინიც ასე თვლიან, რომ ყველაფერი ეპატიებათ.

ამ საქმეში მომრიგებელ-მოსამართლედ ვერ გამოვდგები. შესაძლოა დანესებულების ხელმძღვანელობა აჭარბებს, არც ისაა გამორიცხული, რომ ცალკეული შემთხვევები ქურდობისა შეინიშნებოდა კიდევ. არ ვიცი, ამ გამწარებულ ადამიანებს რა ეშველებათ. როდისღა დაუბრუნდებიან ისინი თავიანთ სოფლებს ან თუ დაუბრუნდებიან ოდესმე, როგორი იქნება მათი ხვალისდელი დღე, ხალხისა ბომბებისა და ტყვიების წვიმას რომ გამოექცა, ხოლო ვინც შეეყოვნდა ან დარჩენა დააპირა, სეპარატისტებმა დააპატიმრეს, სახლებს ცეცხლი წაუკიდეს და აიძულეს უგზო-უკვლოდ გაქცეულიყვნენ სადმე შორს, ოღონდ აქედან შორს. და აი, ზოგი მათგანი ამ შენობაში მოხვდა აღმაშენებლის გამზირზე.

გული მტკივა და გამოსავალსაც ვერ ვპოულობ მათი შემყურე.

ვეებერთელა ხომალდი გამოჩნდა ფოთის პორტში. ბათუმის მერე ეს პირველი მერცხალია ფოთში. შეეგებნენ მოქალაქეები, საზემო მიტინგიც გამართეს. რუსების უაზრო პოსტიც იქვეა. რუსული აბსურდის თეატრი ფოთთან. თუმცა რატომ მხოლოდ ფოთთან? ნებისმიერი ტოპონიმის დასახელება შეიძლება, სადაც თვითნებურად ბლოკ-საგუშაგოები გასხნეს.

რუსები ძალიან ნერვიულობენ: რა საჭიროა ამხელა ხომალდი, რა მოაქვთ საქართველოში?!

ჰუმანიტარულს ტყუილად არქმევენ, ნამდვილად იარაღია!

გამიკვირდა რუსეთის მორჩილმა რესპუბლიკებმა რომ არ აღიარეს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. მხოლოდ ლუკაშენკო აპირებს თურმე ნიკარაგუას მაგალითის გამოკრებას. დსთს ქვეყნებმა თითქმის ისეთივე ტექსტი მიიღეს, როგორც შანხაის კლუბის წევრებმა ცოტახნის წინათ. არც მწვადი დანვეს არც შამფური. გაამართლეს რუსეთის შეჭრა ს.ო-ში და ზოგადად საქართველოში და არ აღიარეს ს. ო. და აფხაზეთი.

ჯერ კიდევ წინ არის ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების და ევროკავშირის გადამწყვეტილებების აღსრულება, კერძოდ კი 7 აგვისტოს პოზიციებზე ჯარების დაბრუნება და ეს ეხება რუსეთს. რვაში სარკოზი ჩამოდის, 13-ში მონიტორების ერთი ჯგუფი, ხოლო 15- სა 16 სექტემბერს თბილისში იმართება ნატოს გასვლითო სხდომა. ვნახოთ, რას მოგვითანს ცხოვრების დაძაბული რიტმი და ეს არნახული მხარდაჭერა ჩვენი და "ნაბუქო"-ს პროექტისა.. დიახ, რეალობა ეს არის, დასავლეთი იბრძვის რუსეთის გვერდის ავლით ჰქონდეს კასპის რეგიონიდან გაზსადენი. რაც უნდა სამწუხარო იყოს ჩვენი გეოსტრატეგიული მდებარეობა და ჩვენი პოლიტიკური არჩევანი განიხილება, როგორც გადამწყვეტი პაკეტი იმისა თუ ვინ დაეპატრონება ამიერკავკასიის ენერგორესურსების დერეფანს. აზერბაიჯანიც უმძიმეს დღეშია. არ გამოვრცხვავ, მასზეც იძალადოს მოსკოვმა.

ვნახოთ, როგორ დასრულდება რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირება. რუსეთის ნადავლი, მტაცებლური მონაპოვარი – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, როდემდე შერჩება მტაცებელს, ერთი ვნახოთ.

სამეგრელოში "სამშვიდობოები" სახლებში ეჭრებიან მოსახლეობას და საკვებს იარაღის მეშვეობით მოიპოვებენ. შიდა ქართლში სამარადილო სივრცეს, ე. წ. ბუფერულ ზონას აკონტროლებენ, რათა ბანდებმა ყველაფერი წაიღონ, რაც წასაღებია და გადაწვან, რაც გადასანვაგია. აი, რისთვის ჩატოვა ჯარი რუსმა. აშკარაა დაგეგმილი შურისძიება, შემოსეუ-

ლი მშვიდი ჯარისკაცები. ხელსაც ვერ ახლებ და ადგილსაც ვერ მიუჩენ, ეგრევე რაციით დაუკავშირდებიან ხელმძღვანელობას და ასი იმდენი ოკუპანტი გაჩნდება. იმავე შტაბიდან მიღებულ ბრძანებას ასრულებენ, როცა მოსახლეობას ძარცვავენ. საქართველოში შეიარაღებული ბოგანოები ბოგინობენ. ყოველივე ამის უკან პროვოკაცია იმალება, რომელსაც შესაძლოა მორიგი, ფართომასშტაბიანი ოკუპაცია მოჰყვეს. ჩაფიქრებული ასე აქვთ, რა გამოუვათ და როგორ, არ ვიცი. რაც უფრო გაჯანჯლდება ეუთოს ეგიდით დამკვირვებლების გამოგზავნება საქართველოში, მით უფრო მაღალია პროვოკაციის რისკი.

6 სექტემბერი

როგორც იქნა გადანყვიტეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა და თვის ბოლოს გამოაგზავნიან რამდენიმე ასეულისგან შემდგარ შერეულ პოლიციურ დანაყოფს, მონიტორებთან ერთად რომ განლაგდება — კომფლიქტური რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ევროკავშირი ცდილობს ზუსტად შეასრულოს რუსების მოთხოვნა, რათა მათ როგორმე დატოვონ საქართველოს ტერიტორია. ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები მოითხოვენ ჩატარდეს გამოძიება და დაადგინონ ვინ წამოიწყო კომფლიქტი რუსეთ-საქართველოს შორის და ვინ იყო პროვოკაციის ავტორი...

საინტერესოა, როგორ დაადგენენ ომის მაპროვოცირებელ მხარეს. დეტალური ძიება გაძნელებდა, მაგრამ შესაძლებელია. საიდან დაიწყებენ გამოკვლევას, პასპორტიზაციის დანყვიდან თუ კონკრეტულად ექვსი სექტემბრის ღამიდან? ან იქნებ ორასწლიან ისტორიულ ექსკურსს გაჰყვებიან, როგორც სააკაშვილმა აღნიშნა ერთ-ერთ ტელეარხზე და მოხერხებულად აუარა გვერდი კონკრეტულ შეკითხვას. თბილისიდან წასული ავტობუსებით ცხინვალზე "გალაშქრებაც" შესაძლოა გაიხსენონ და 1989 წლიდან დაიწყონ ძიება. არ მესხმრება, მაგრამ მწარედ ვხუმრობ. არ ვიცი რას ისახავს მიზნად ეს გამოძიება. რატომ არ უნდა გამოიძიონ რას აკეთებდა რუსის ჯარი ფოთთან და სენაკთან, დღესაც ხომ დგანან?! ან ვინ გადაწვა ქართველების სოფლები ცხინვალის რეგიონში და ვინ მოაწყო მათი ეთნოწმენდა?

და საერთოდ უთხარით ამ ხალხს, რომ ისინი ენერებიან ენერგოდერეფანზე გავლენის მოპოვების კონკურენტ ზესახელმწიფოთა ინტერესებს, მომავალ გაზაფხულზე და ნავთობსადენებს, ევროპისკენ რომ უნდა აიღონ გეზი, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით, რათა რუსეთი არ იქცეს ენერგორესურსების ერთადერთ მიმწოდებლად. რუსეთი კი გამძვინვარებული ცდილობს ენერგორესურსების მიმწოდებელ მონოპოლისტად დარჩეს და დაიქვემდებაროს ევროპა. ეს ინტერესიც რომ არ არსებობდეს, რუსეთი საბაბს გამოიხატავს. კი არ მაღავეს, ჩვენი იმპერიის ნაწილია საქართველო, შეგვახსენებენ ხოლმე.

...მაგრამ ვინ დაიწყო ომი ისევე საინტერესოა, როგორც რატომ დაიწყო, ან რა ხეირს ელოდა ამ ომისგან ის, ვინც დაიწყო ომი, როცა შედეგი წინასწარ იყო ცნობილი ან იქნებ შედეგზე არც უფიქრია?!

ომი ყველაფერს ჩამოწმებს! ვის ავადმყოფ ფანტაზიაში დაიბადა ეს ავანტიურა?!

ამტიკცებენ, რომ რუსი მაინც შემოვიდოდა. შემოვიდოდა კოდორში და ამავე დროს გაამაგრებდა ცხინვალის რეგიონს. რა მოიტანა ცხინვალის აღება და გამარჯვების ხანმოკლე ეიფორიამ, დღეს ყველასთვის ნათელია. უამრავი დევნილი, განადგურებული ძირძველი შიდაქართლის სოფლები, დაკარგული და მიწასთან გასწორებული დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლები, დანგრეული გორი, დატერორებული და გაჩანაგებული ხალხი ბუფერულ ზონებში — დასავლეთ და აღ-

მოსავლეთ საქართველოში, ფოთის მისადგომებთან ჩაბუნაგებული სალდათები, დანგრეული სენაკის ბაზა და გორის სტრატეგიული, სამხედრო დანიშნულების შენობები. პრეზიდენტის უკონტროლო და გადაუმონმებელი განცხადებებით დაპანიკებული ხალხი თბილისსა და ქუთაისში, შუაზე განყვეტილი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო და რუსული ბომბდამშენების ინტენსიური შეტევებისგან დასახიჩრებული ადამიანთა ფსიქიკა, საჰაერო თავდასხმისას დაფეთებული, ტალახში პირქვეჩამხობილი პრეზიდენტი, შემინებული რომ იმზირებოდა უმისამართოდ.

გმირები. ცხადია, იყვნენ გმირები, იყვნენ ანტიგმირებიც, გაქცეულებიც და შეწირულებიც.

ვის ჰქონდა იმედი, რომ ამ ომს მოიგებდა?! მხოლოდ ავადშეპყრობილს შეეძლო ასეთ პროვოკაციას წამოეგებოდა და რუსეთის ოცნება აესრულებინა. მე მხოლოდ ერთი კითხვა მიჩნდება: რა იყო ეს, იმპულსური გადანყვიტელება თუ ლალატი? ლალატს გამოვრიცხავ, რადგან იმპულსური გადანყვეტილებების მთელი კასკადი განხორციელდა ჩვენს თვალწინ და ხელწერაც ნაცნობია. ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე.

ალბათ, რაღაც უნდა ვისწავლოთ ამ დამამცირებელი და გამანადგურებელი მარცხისგან.

უნდა მივხვდეთ, რომ ომის პარტია ჩვენთვის დამლუპველია, გარდა ერთისა თუ თავდაცვა არ გვიწევს აგრესორისგან. დამლუპველია საომარი რიტორიკა და იმის ილუზია, რომ კარგად აღჭურვილი და განვრთნილი ჯარი საკმარისია ჩვენი, თუნდაც ისტორიულად და ზნეობრივად გამართლებული სურვილების დასაკმაყოფილებლად. გავაცნობიეროთ, რომ გვყავს მეზობელი, რომლის ისტორიული მუხსიერება მეფის რუსეთის იმპერიის საზღვრებს ითვალისწინებს, როგორც სანყის მდგომარეობას და არ სურს შეეგუოს სხვა რეალობას.

ნიკოლოზ მეორეს და მისი დახვერტილი ოჯახის რეაბილიტაციაზე ამბობენ უარს და არა მის დატოვებულ საზღვრებზე. სხთამორის, საქართველოშიც შეგვხვედრივარ კულტურულ ადამიანებს, რომლებიც თვლიან, რომ ტრაქტატის დადების შემდეგ საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილია და რომ ჩვენი მეფე უნდა იყოს რომელიმე რომანოვი და რომ კულტურული ავტონომია ჩვენთვის სრულიად საკმარისია. ასეთი ორიენტაციის ადამიანებიც არსებობენ. ისინი თვლიან, რომ დღეს არაპოპულარულია მათი პოლიტიკური ხედვა, მაგრამ სავესებით ლეგიტიმურია.

ავვისტოს მოვლენების შემდეგ დამთავრდა რუსეთი საქართველოში. განშორება სისხლიანი და დამთრგუნველი გამოდგა. ავტონომიების წართმევა რუსეთს კარგახნის წინათ ჰქონდა გადანყვიტელი და ახლა აპირებდა კიდევ, მაგრამ პროვოკაციის ანკესს, რომელსაც სულელი თევზივით წამოკვეთე და თან უკვე მერამდენედ და ისევ რუსეთის საქმე გავაკეთე, საფიქრალი და სადარდელი ეს არის. ეს ჩვენი ვითომ-ლიბერალი პრეზიდენტი ფეოდალური სამყაროს გადმონაშთივით საუბრობს და აზროვნებს, მისი ლექსიკაც ნაციონალ-პატრიოტულია და შუასაუკუნეების გმირების მაგალითების მიბაძვას გვიკიჟინებს, პარალელურად ჯეო-ბარით მოაქვს თავი, თან ნაციონალ-ბილშევიკობაც სცადა ხანგრძლივი დროის მანძილზე, კულტურა საკუთარი მხარდამჭერების დონეზე ანტიერესებს და ისიც სხვათაშორის და მის კიჩურ გამოვლენებს ეწირება მთელი ქვეყანა. რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი თამაშობს სახელმწიფოებანას, რომელსაც პრეზიდენტი კი არა, თავის შოუმენი ჭირდება, რათა ხალხს შეუქმნას კეთილდღეობის ილუზია. ამ თამაშს იმედგაცრუება და მრავალათასიანი მიტინგები მოჰყვა შარშან ნოემბერში, ხელისუფლებამ რომ სასტიკად დაარბია, რაც ვადამდედ საბრეზიდენტო არჩევნებში გადაიზარდა და მორიგი ფიქციის შედეგად მივიღეთ ის, რაც პროფანაციას უნდა მოჰყოლოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბესიკ გვაზავა

ახალი სიტყვა ახალ ურთიერთობებში

მაღლი უფალს, გართული ვარ იმით, რაც მიყვარს...
ნომადი ბართაია

ამა წლის 13 მარტს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა **პროფესორ ნომადი ბართაიას** წიგნის: „საქართველო და ირანი — უპრეცედენტო ურთიერთობათა 20 წელი“ პრეზენტაცია. ამ ღონისძიების უმთავრესი პერსონაჟი გახლდათ შესანიშნავი პოეტი, მთარგმნელი და ირანისტი ნომადი ბართაია.

სანამ უშუალოდ ღონისძიებისა და ახალგამოცემული წიგნის შესახებ ვისაუბრებდეთ, ორიოდ სიტყვა ვთქვათ მის ავტორზე, ლირსულ პიროვნებაზე ნომადი ბართაიაზე, რომლის შემოქმედება, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მრავალნახნაგოვანია — საესაი იმპროვიზაციით, მუსიკალურობით, ბგერათა შეხმატკბილებით.

დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ ლეხანდრაოში, სადაც დაამთავრა კიდეც საშუალო სკოლა. 1966 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ირანული ფილოლოგიის განხრით. მისი კვლევის საგანია ქართულ-სპარსული ლიტერატურულ-ენობრივი ურთიერთობები. სამეცნიერო ხარისხიც ამ მიმართულებით აქვს დაცული. როგორც თვითონ წერს ერთგან, მის ირანისტად ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა საოჯახო ბიბლიოთეკაში შემთხვევით აღმოჩენილმა ამბაკო ქელიძის მიერ სპარსულიდან ნათარგმნმა კრებულმა „ირანელი ლირიკოსები“. ნომადი ბართაია რამდენიმე ათეული წელია ლექციებს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირანული ფილოლოგიის მიმართულებას ხელმძღვანელობს, ასევე არის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს ჟურნალ „კალამის“ რედაქტორი, პროფესორი.

ნომადი ბართაიას მოღვაწეობა უხმაურაა, ეს ალბათ სხვა მიზეზებთან ერთად იმითაცაა განპირობებული, რომ, საყოველთაო აღიარებით, თავმდაბალი პიროვნება გახლავთ. საქართველოსა და ირანის ურთიერთობებს ძალიან დიდი ისტორია აქვს, მაგრამ განსაკუთრებული ძვრები მაინც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მოხდა. საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ ირანთან თავიდანვე თბილი და მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. ამ პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს რა თქმა უნდა ნომადი ბართაია ასრულებდა. ის თავიდანვე ამ სათავეებთან აღმოჩნდა. არაერთხელ ყოფილა ირანის სხვადასხვა ქალაქში კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ბევრი ადამიანი გაუცნია, საკუთარი თვალთ უნახავს და აღუწინსხავს საინტერესო ფაქტები, განცდილი და ჩანიშნული კი წიგნად უქცევია.

წიგნის ავტორი იხსენებს შეხვედრებს ფერეიდნელ ქართველებთან: „ფერეიდნელმა ქართველმა საიდ მულანმა გამომიგზავნა თავისი წიგნი „ქართველთა ადგილი ირანის ისტორიასა და კულტურაში“ ასეთი წარწერით: „დიდად მსურველი ვარ, რომ ეს წიგნი ქართულად თარგმნოთ და დაბეჭდოთ, რათა თანამემამულეებმა გაიგონ, რომ თუმცა ჩვენს ფესვებს მოწყვეტილნი ვართ (შორსა ვართ ჩვენი ძირისგან), ქართული ბუნება და ხასიათი არ დაგვიკარგავს...“ მონატრება და სიყვარული რომ ორმხრივია, ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ნომადი ბართაიას შესანიშნავი ლექსი, რომელიც ფერეიდნელ ქართველებს უძღვნა:

ფერეიდანში არ ახსოვთ,
ქართველს მოეკლას ქართველი.
რანი ვყოფილვართ, რანი ვართ,
აი, ეს არის სათქმელი.

გასულა წელი ოთხასი,
და გავა კიდევ რამდენი.
ფერეიდანში არასდროს
ქართველს არ მოკლავს ქართველი.

საკმაოდ სქელტანიანი და თანამედროვედ ილუსტრირებული წიგნი: „უპრეცედენტო ურთიერთობათა 20 წელი“ არამარტო ირანისტებსა და სპარსული პოეზიით დაინტერესებულ ადამიანებს დაინტერესებთ, არამედ რიგით მკითხველსაც დიდ სიამოვნებას მიაჩნტებს, რადგან მასში უხვდაა ლირიკული გადახვევები.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ ღონისძიებას, რომელსაც ესწრებოდნენ: ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი მაჯიდ საბერი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მაყვალა გონაშვილი, ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი ეჰსან ხაზაი, ქართული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და მოწვეული სტუმრები, სტუდენტები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა **სერგო ვარდოსანიძემ**:

„საქართველოსა და ირანის ურთიერთობა მრავალსაუკუნოვანია. ამ ხნის მანძილზე გვექონია კეთილმეზობლური თანაცხოვრებისა თუ მძაფრი დაპირისპირების პერიოდები; ამ ფონზე განსაკუთრებულია ბოლო 20 წლის ურთიერთობა, რომელიც სწრაფად განვითარდა მეგობრობისა და კეთილმეზობლობის კუთხით. სწორედ ბოლო პერიოდის ურთიერთობის დინამიკაა ასახული პროფესორ ნომადი ბართაიას წიგნში, რომელიც გამოიცა ჩვენი უნივერსიტეტისა და ალ მუსტაფას სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ. ჩვენს დღევანდელ შეხვედრას უფრო მეტი მიზანი აქვს, ვიდრე ფართო საზოგადოების წინაშე ერთი კარგი წიგნის წარდგენა:

მე როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტის რექტორი, დიდ მადლობას მოვასხენებ ბატონ ეჰსან ხაზაის, რომელიც მალე ამთავრებს თავის დიპლომატიურ მისიას საქართველოში. ჩვენი დღევანდელი შეხვედრა მასთან გამომშვიდობებაცაა; ჩვენ სიმბოლურად დავამთხვეთ ერთმანეთს ირან-საქართველოს მეგობრობისადმი მიძღვნილი წიგნის წარდგენა და ბატონი ეჰსან ხაზაისადმი ოფიციალური მადლობის გადახდა. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ბოლო 20 წლის დინამიკა არის კარგი მოდელი სხვა სახელმწიფოებისთვისაც, რომ მიუხედავად წარსულის გარკვეული კატაკლიზმებისა, 21-ე საუკუნეში მაინც შევძლოთ არსებული მეგობრული ნახნაგების განვითარება და ცივილიზებულ სახელმწიფოთა ურთიერთობის ჩამოყალიბება“.

დამსწრე საზოგადოებას საპასუხო სიტყვით მიმართა ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში, ბატონმა **მაჯიდ საბერმა**. მან ყურადღება გაამახვილა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ლიდერის მეგობრობაზე, ისაუბრა ბატონი ხაზაის მოღვაწეობაზე საქართველოში და დასძინა, რომ კულტურის ატაშეები მიდიან, მაგრამ ურთიერთობები რჩება და გრძელდება. მან მადლობა გადაუხადა პროფესორ ნომადი ბართაიას საინტერესო ნაშრომის შექმ-


ნისათვის და ისაუბრა ირანის უნივერსიტეტებისა და ქართული უნივერსიტეტის თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობის შესახებ. სიტყვის დასასრულს ბატონმა მაჯიდ საბერმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა ბატონებს სერგო ვარდოსანიძესა და ნომადი ბართაიას.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ქალბატონი **მაყვალა გონაშვილი**, რომელმაც ისაუბრა ამ წიგნის დიდ მნიშვნელობაზე. ირანის ისლამური რესპუბლიკისა და საქართველოს ურთიერთობის, ახალი ნაშრომის შესახებ ისაუბრა პროფესორ **ქალან ფარიბაიმ** — ირანის ალ-მუსტაფას საერთაშორისო უნივერსიტეტის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, რომელმაც აღნიშნა, წიგნი დიდად უწყობს ხელს ჩვენი ხალხების დაახლოებას.

მოსხენებებით გამოვიდნენ ქართული უნივერსიტეტის პროფესორები მანანა ტაბიძე და ტარიელ ფუტყარაძე. ამონარიდები მათი გამოსვლიდან:

მანანა ტაბიძე: „ჩვენ წინაშეა სრულიად სპეციფიკური ჟანრის წიგნი, რომელიც მეტისმეტად პოეტურია იმისთვის, რომ სამეცნიერო ნაშრომი იყოს, უაღრესად დოკუმენტურია იმისთვის, რომ სუბიექტურ მემუარებს მივაკუთვნოთ, და მეტისმეტად დიპლომატიურია იმისთვის, რომ ინდივიდუალისტი-მწახველის შთაბეჭდილებებზე მივიჩნიოთ... ასეთი სინთეზური ჟანრისკენ ამკარად მიუწევს გული თანამედროვე საზოგადოებას. წიგნის სწორედ ეს ჟანრული თავისუფლება აძლევს საშუალებას ავტორს, ერთდროულად ისაუბროს ქართულ-ირანულ ურთიერთობებზეც, ირანის ისტორიაზეც, ეთნოგრაფიაზეც, ლიტერატურასა და არქიტექტურაზეც, საერთოდ, მთლიანად კულტურულ და პოლიტიკურ თავისებურებებზეც და ენაზეც. მადლობა ავტორს, რომ ასეთი ნაშრომი გვაჩუქა... შეიძლება ფრაზა გაცვეთილადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ მაინც ვიტყვი: „ეს წიგნი ყველამ უნდა წაიკითხოს“.

ტარიელ ფუტყარაძე: „ერებისა და სახელმწიფოების ურთიერთობა ადამიანთა ურთიერთობის მსგავსია: ყველას აქვს თავისი ინტერესები, მაგრამ თანაცხოვრების პროცესში აუცილებელია ისეთი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომ ზიანი კი არ მივაყენოთ, არამედ დავეხმაროთ ერთმანეთს. კარგი ადამიანების ურთიერთობა ურთიერთთანადგომასა და პატივისცემა-



ზეა აგებული. არაიშვიათად ორი ადამიანის კარგ ურთიერთობას მესამე უშლის ხელს; ჩვენმა სახელმწიფოებმა უნდა შეძლონ ერთმანეთის ღირებულებათა პატივისცემაზე აგებული ამჟამინდელი ურთიერთობის განვითარება. ამ პროცესს უთუოდ შეუწყობს ხელს ნომადი ბართაიას ეს წიგნი, რომელიც წინა პლანზე წამოსწევს ქართველებისა და ირანელების ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს“.

დასასრულს, ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩსა და დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა პროფესორმა ნომადი ბართაიამ, რომელმაც კიდევ ერთხელ გაიხსენა ირანში გატარებული უმშვენიერესი დღეები.

ვთქვათ ისიც, რომ ნომადი ბართაიას ახალ წიგნს საგანგებო ბროშურა მიუძღვნა მისმა კოლეგამ **მიხეილ ჩაჩუამ, იგივე მიხეილ**

კოლხმა, რომელმაც აღმატებულ ხარისხში ისაუბრა უმცროსი მეგობრის შესახებ. გთავაზობ ფრაგმენტს:

„ნომადი არის განონასწორებული, ტაქტიანი, სასიამოვნოდ თვალმისაცემი, უბრალოებით გამორჩეული კაცი. რაც შეეხება წიგნს, დანერვილია ისე, როგორც გაგიხარია. ვერანაირ მკითხველს ვერ დატოვებს იგი გულგრილს. რა უნდა დაუნუნოს მკითხველმა ავტორს, როცა წიგნს არც ლამაზი თხრობა აკლია და არც პოეტურობა, და თუ გნებავთ, არც იუმორი? საკმარისია, ეს წიგნი წაიკითხოს ნებისმიერმა ქართველმა (და არა მარტო ქართველმა), თუ მეტი არა, სიმპათიით მაინც განეწყოს ირანისა და მისი ხალხის (ხალხების) მიმართ. წაიკითხავთ ნ. ბართაიას მოგონებათა წიგნს ირანზე და თქვენ იმოგზაურებთ თქვენთვის ნაცნობ, მაგარამ უცნობ ირანში. აქვე გვინდა შემოგთავაზოთ მიშა კოლხის ექსპრომტად დანერვილი ლექსი ჩვენი წერილის გმირზე. მართლაც, რომ საუცხოოდ ესადაგება ნომადი ბართაიას პიროვნებას:

...ამის დამწერი ნომადი კაცია, რომლის ნობა ღირს. ჯერ კაცი არის მოსილი ბაჯალლო პატიოსნებით, მერე გიყვარდეთ მგოსანი, მართლაც და დასალოცავი! თუმცა სიკეთეს თესავს ბევრს, მზესავით ითხოვს არაფერს.

„ლურჯი ფანჯრიდან“ სივრცეში

28 მარტს კინოთეატრ „ამირანის“ კაფეში „ანრიენტე“ გაიმართა თემურ ცერცვაძის პოეტური კრებულის „გვირგვინოსანი“ პრეზენტაცია. საღამოს ესწრებოდნენ პოეტის ახლო მეგობრები და კოლეგები: **იკა ქადაგიძე, გუბაზ მეგრელიძე, თამარ შაიშმელაშვილი**, მისი მასწავლებელი **ინეზა გაბუნია** და პოეტები, ახლა რომ იწყებენ ასპარეზზე გამოსვლას.

თემურ ცერცვაძე ათწლიანი ემიგრაციიდან ისევ მწერლობაში დაბრუნდა და მესამე წიგნი შესთავაზა მკითხველს. აქამდე შოუბიზნესში სცადა ბედი, ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ სამოდელო სააგენტოს, სინამდვილეში ეს იყო მოძრაობის თეატრი, თავისუფლების გამოხატულება, რადგან თავისუფლების გარეშე სიყვარული არ არსებობს. „თუ სიყვარული არ არსებობს, ლექსს ვერ დანერ, მხოლოდ მშობლიურ მინაზე განიცდი ადამიანი ღმერთთან სიახლოვეს“.

თემურ ცერცვაძე სასხვათაშორისოდ იტყვის: „სიტყვა „გვირგვინოსანი“, ანუ ხელოვნება შუქების ანთებისა, მე არ მომიგონია. ეს არის ადამიანთა ახალი ტიპი, რომლებიც იბადებიან გენიოსებად და იდიოტებად არ უნდა დაიხოცნონ. ადამიანი, რომელიც დაიპყრობს მწვერვალს, ხშირად უნდა განერიდოს საზოგადოებას, საკუთარ თავს ჩაულმჩავდეს.“

პოეტმა **იკა ქადაგიძემ** მოიგონა ის წლები, როცა ახალგაზრდები ერთად მუშაობდნენ, მართავდნენ საინტერესო ლიტერატურულ

ლონისძიებებს, და აღნიშნა, რომ „თემური ძალიან ბობოქარი და მემბოხე პიროვნება იყო და არის, რომ ის დამოუკიდებლად მოაზროვნე ხელოვანია“. გამომსვლელმა ისიც დასძინა: ავტორი აღიარებს ქალი მამაკაცზე ძლიერია. გვეჯეროდეს საკუთარი თავის.

ხელოვნებათმცოდნე **გუბაზ მეგრელიძე** ერთ-ერთ რედაქციაში მუშაობის ხანას გაიხსენებს — „გაზეთში ვმუშაობდით, არაერთი რეპორტაჟი მოგვიმზადებია, თუმცა თემური ყოველთვის ცხელ წერტილებს იჩენდა. ერთხელ წითელი ხიდიდან გააკეთა რეპორტაჟი, ფოტოების გადაღება აუკრძალეს, მაგრამ მაინც მოახერხა, ამის გამო აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა რამდენიმე დღით დააკავეს“.

მას ეკუთვნის ინტერვიუ ოტია იოსელიანთან, სადაც საკმაოდ პრობლემურ საკითხებზეა მსჯელობა.

თემურ ცერცვაძემ ყმანვილობისას დანერვილი ლექსი „ლურჯი ფანჯარა“ წაიკითხა, ასევე სტუდენტობის დროინდელი ლექსები, რასაც მან „ბოჰემური“ პერიოდის ლექსები უწოდა.

ზოგადად კი პოეტის ყველა ლექსი მინის სიყვარულზე და ნამდვილ ქართველზეა დანერვილი. „ჩვენ საზოგადოებას სჭირდება გემოვნებიანი მწერლობა და ჩვენ გვყავს ძალიან ნიჭიერი მწერლები, ისინი აღიარებას მოიპოვებენ“, — იმედია და დასალოცავი ბელი სიტყვა წიგნის ავტორმა.

სალომე ქავთარაძე

უილიამ ფოლკნერი

ჰალსტუხი

მთარგმნელის წინათქმა

ჯერ კიდევ 1931 წელს, ჯერ მხოლოდ 41 წლისა რომ იყო, ბორის პასტერნაკმა თავისი ლექსების იმ ციკლში, რომელსაც „მეორე დაბადება“ უწოდა და რომელიც საქართველოში პირველი სტუმრობის შთაბეჭდილებებით იყო შთაგონებული, გვამცნო თავისი სანუკვარი შემოქმედებითი ლტოლვა, რომელსაც ოციოდე წლის შემდეგ ეწერა განხორციელება. მაშასადამე, წინასწარ განჭვრეტა ეთქმოდა მომავლისა.

დასასრულისკენ (თუ აღსასრულისკენ?) შეუძლებელია, რომ ვითარცა მკრეხელობაში, არგაგონილ უბრალოებაში არ ჩავართოთ („...Нелзя не впасть к концу, как в ересь, в неслыханную простоту“).

გრძელი გზის მინურულში — არგაგონილი უბრალოება!
ტყუილად როდი არსებობს ასეთი გამოთქმა — ბიბლიური უბრალოებაო.

სწორედ არგაგონილი უბრალოებით სუნთქავს პასტერნაკის ლექსების ის ციკლი, რომელიც თარიღდება 1946-1953 წლებით და რომელიც უშურველად მიაწერა თავისი სახელგანთქმული რომანის მთავარი გმირის — ექიმ ჟივავოს მოყვარულ კალამს.

არტურ შოპენჰაუერი აღნიშნავდა: არაფერია იმაზე იოლი, ვიდრე წერო იმგვარად, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგოს და პირიქით, არაფერია იმაზე ძნელი, ვიდრე გადმოსცე სერიოზული აზრები ისე, რომ ყველამ ყველაფერი გაიგოს.

შოპენჰაუერი გვარწმუნებს, რომ ყოველი ქვეშაირი მოაზროვნე ცდილობს გამოთქვას თავისი ნააზრევი, რამდენადაც შესაძლებელია, სუფთად, უბრალოდ, ნათლად, ზუსტად და მოკლედ. ამისდა თანახმად, უბრალოება მუდამაჟამს ითვლებოდა ნიშნად არა მარტო ქვეშაირებისა, არამედ — გენიისაც.

დასასრულ, მკაცრი ვერდიქტი გერმანელი ფილოსოფოსისა: ბუნდოვნად თუ ცუდად წერა მეტყველებს იმას, რომ ბუნდოვნად თუ აბნეულად აზროვნებ.

გზის მინურულში — არგაგონილი უბრალოებაო, ასე ამბობდა პასტერნაკი.


სწორედაც არგაგონილი უბრალოებით არის შემოსილი უილიამ ფოლკნერის უკანასკნელი რომანი „The Mansion“ (ორიოდე სიტყვა რომანის სათაურზე. ქართულად რატომღაც „კარ-მიდამო“ შეარქვეს. ალბათ უმჯობესი იქნებოდა, რომ „პალატი“ ვუწოდოთ. ამ სიტყვას სულხან-საბა ასე განმარტავს: „ვრცელი და დიდი სახლი“, რაც ზუსტად შეეფარდება ინგლისურ დედანს). ფოლკნერის უკანასკნელ რომანში, ავტორთან ერთად, მთხრობლებად გამოდებიან მთავარი გმირებიც: ოლქის პროკურორი გევინი სტივენსი, პროვინციული კომივოიაჟერი ვ.კ. რეტლიფი და გევინის დისწული ჩარლზ მელისონი (ახალი თაობა! — ჩვილის ბაგეთაგან...).

ამჯერად თარგმნილ ფრაგმენტში მთხრობელის როლს ასრულებს ვი-კეი რეტლიფი. მონაწილეობენ გევინიც და ლინდაც, ასული იმ ქალისა, უიმედოდ რომ უყვარდა გევინს. ოლონდ არა ჩანს ყველაზე მთავარი პერსონაჟი — მინკ სნოუპსი, რომელიც კატორღაში იხდის ხანგრძლივ სასჯელს კაცის კვლისათვის და მოუთმენლად ელოდება თავისუფლებას, რათა ანგარიში გაუსწოროს თავის ახლო ნათესავს — ფლემ სნოუპსს, უკეთურებისა და უზნეობის სიმბოლოდ რომ შეურაცხავს ფოლკნერს. უბედური მინკი, ბოლოს და ბოლოს, გევინისა და ლინდას ხელშეწყობით, ვადაზე ცოტათი ადრე მოიხვეჭს საოცნებო თავისუფლებას, რის ვაივავლახით ჩააღწევს ქალაქ ჯეფერსონში და კლავს ფლემს (ამ სიუჟეტზე შექსპირიც არ იტყოდა უარს!); რომანი იწყება მინკით და მთავრდება მინკით — მამ ვინლა მთავარი გმირი და რაღაა დედააზრი რომანისა?

რაც შეეხება ჯერჯერობით თარგმნილ ფრაგმენტს, აქ, ძირითადად, იხატება თავად მთხრობელის, ფრიად კოლორიტული და კეთილშობილი კაცის, უნებური ავტოპორტრეტი.

ვ. კ. რეტლიფი

...მერე ჩამოდგა 1936 წელი, უფრო და უფრო ცოტა დრო რჩებოდა: მუსოლინი იტალიაში და ჰიტლერი გერმანიაში და, რა თქმა უნდა, როგორც იურისტი ამბობდა, ის ერთიც, ესპანეთში რომ არიო; და ერთ მშვენიერ დღეს იურისტმა მითხრა, „შეკარით თქვენი საკვოიაჟი. ხვალ დილით თვითმფრინავი მემფისიდან გაგვაფრენს.



— არა, არა“, — მეუბნება, „ნუ შიშობთ, რომ მათი გაცნობით ამჯერად რამე შეგეყრებათ. დაქორწინებას აპირებენ. მერე ესპანეთში მიდიან, რესპუბლიკის დასაცავად, და საქმრომ იმდენი უჩიჩხინა და ისე გაუწყალა გული, რომ ქალმა, ბოლოს და ბოლოს ამოღერდა, „ოჰ, ჯანდაბას, როგორც ვაგინარდება“.

„მამ ეგა თავაშვებულ-ლიბერალ და დედის წინ მორბენალ ხელოვანთა ჯოგოდან როდი ყოფილა“, ვეუბნები. „მამ საერთო ჩამოსხმისა ბრძანდება და ეგრე ჰგონია, გოგოსთან თუკი გინდა დანოლა, ჭერი და საქმელი უნდა უშოვო და ცოტაოდენი ჯიბის ფულიც ჩაუყაჭო, მშვიდად რომ იცხოვროს“.

„კეთილი, კეთილი“, მეუბნება. „გეყოფათ“.

„ოლონდ მატარებლით უნდა წავიდე“, ვეუბნები. „განა თვითმფრინავისა მეშინია. მატარებლით იმიტომ, რომ ვირჯინიას როცა გავივლით, თვალი მინდა შევავლო იქაურობას, სადაც სწორედ ის პირველი იმიგრანტი ვლადიმირ კირილიჩი გზას იკვალავდა შეერთებულ შტატებში“. ჰოდა, უკვე ქუჩის კუთხეში ვიდექი და საკვოიაჟიც ხელში მეჭირა, როცა მანქანით მომადგა, გააჩერა, კარი გამიღო და მერე, როგორც კინოშია, მსხვილი პლანიო, სწორედ ისე მომაშტერდა და ამბობს, „ოჰ, ჯანდაბა და დოზანა“.

„ჩემია“, ვეუბნები. „მე თვითონ ვიყიდე“.

„თქვენ და ჰალსტუხი“, მეუბნება. „თქვენს სიცოცხლეში არასდროს გიტარებიათ. საერთოდ არცა გქონიათ“.

„თქვენ არ მითხარით, ქორწილში მივდივართო?“

„მოიძრეთ“, მეუბნება.

„არა, ბატონო“, ვეუბნები.

„თქვენთან ერთად ვერ წამოვალ. თქვენთან ერთად ვინმემ რომ დამინახოს!“

„არა“, ვეუბნები. „ეგებ ქორწილისათვის არ გამიკეთებია. მე ხომ იქა ვბრუნდები, სადაც ვი-კეი რეტლიფი სათავეს იღებს და იქაურობამ თვალი პირველად უნდა მომკრას. ეგებ მნადია, რომ მათი შესაფერი ვიყო, ანდა სირცხვილით მაინც არ შემრცხვეს“. იმ ღამით მემფისის მატარებელში ჩავსხვილით და მეორე დღეს უკვე ვირჯინიაში ვიმყოფებოდით — ბრისტოლი, მერე როუნოკი და ლინჩბერგი და მივბრუნდით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ცისფერი მთების გასწვრივ, და სადღაც წინ, ზუსტად კი არ ვიცი, მგონი სწორედ იქ იმ პირველმა ვლადიმირ კირილიჩმა, ბოლოს და ბოლოს, იპოვა ადგილი, სადაც შეჩერება შეეძლო. თუმცა მისი გვარიც კი არ ვიცი, ანდა ეგებ გვარი არცა ჰქონია, ვიდრე წელი რეტლიფი, მაშინ ინერებოდა რეტკლიფი, ნაანყდებოდა. მეტი არც ვიცი არაფერი, რას აკეთებდა დაქირავებულ ჯარისკაცთა გერმანულ ლეგიონში, სარატოგასთან რომ მიბრეგვეს. მაგრამ კონგრესმა იუარა პატივი დაედო დანებების პირობებისათვის, მთელი მათი დასტა გამოაპანლურა, მთელი ექვსი წელიწადი ვირჯინიაში რომ ეჯახირათ, არც სათოხლავი ჰქონიათ, არც მაყუთი, და ზოგმა კიდე, იმ პირველი ვლადიმირ კი-

* ფრაგმენტი რომანიდან „პალატი“

რილიჩივით, მარტო მუნჯური იცოდა. მაგრამ იმას კი ამ სა-
მიდან არასდროს არც ერთი დასჭირვებია, რომ ასცდენოდა
არათუ სწორედ იმ მიდამოებს, არამედ სწორედ იმ სათივებს,
სადაც ნელი რეტკლიფი ეგებ ქათმის კვერცხებს ან რალაც
მისთანას ეძებდა და მაგას კი წააწყდებოდა. და არავითარი
ენის ცოდნა არ დასჭირვებია იმ სათოხლავის ქამას, ნელი
რომ უზიდავდა; და ეგებ არც არასოდეს სცოდნია რამე ფერ-
მერობისა იმ დღემდე, როდესაც ქალმა, ბოლოს და ბოლოს,
მზის გულზე გამოიყვანა თავისიანებისათვის საჩვენებლად;
და არც არასოდეს დასჭირვებოდა ხმის ამოღება შემოდგო-
მამდე, როდესაც ვილაძამ — დედამ ან მამამ ანდა
ძმებმა, ანდა ვინც არ უნდა ყოფილიყო, ეგებ უბრალოდ მე-
ზობელმა — შენიშნა ნელის გამობერილი მუცელი. აი, ასე და-
ქორწინდნენ და აი ასე, ამ ვლადიმირ კირილიჩმა ნაღდად მო-
იხვეჭა ნამდვილი, კანონიერი გვარი რეტკლიფი, და მისი ერ-
თი მონაგარი ტენესის შტატში დასახლდა და მერე იმისი მო-
ნაგარი კი მისისიპს მიადგა, იმხანად გვარი უკვე იწერებოდა
რეტკლიფი, და ამ გვარში უფროს ვაჟს ჯერაც ვლადიმირ კი-
რილიჩს არქმევინ და ჯერაც ნახევარ ცხოვრებას იმაში ატა-
რებს, რომ ლამობს, ეს საიდუმლო ვინმემ არ იყოსო.

მეორე დილით ნიუ-იორკში ვიყავით. დილაუთენია ჩავე-
დით; ჯერ შვიდი საათიც არ იქნებოდა. ძალიან ადრე იყო.
„ეგებ ჯერ საუზმეც არ მოუთავებიათ“, ვამბობ.

„რა საუზმე, რომელი საუზმე“, ამბობს იურისტი. „ალბათ
ჯერ დასაწოლადაც არ წასულან. ეს ნიუ-იორკია, იოკნაპა-
ტოფის საგრაფო ნუკი გგონიათ“. ასე რომ, გავეშურეთ
ოტელში, სადაც იურისტს ნომერი წინასწარ შეეკვეთა.
ოლონდ ეს ერთი ოთახი როდი ყოფილა, სულ სამი ოთახი იყო:
ერთი სასტუმრო ოთახი და ორიც საძინებელი.

„აქ შეიძლება ვისაუზმოთ კიდევ“, ამბობს იგი.

„ვისაუზმოთო?“, ვეკითხები.

„ჰო, აქ ამოგვიტანენ“.

„ეს ნიუ-იორკია“, ვეუბნები. „მე ვისაუზმებდი თუნდაც
საძინებელში ან სამზარეულოში ანდა სულაც უკანა შუშაბან-
დში, იოკნაპატოფის საგრაფოში რომ ვიყოთ, მაგრამ ეს ხომ
ნიუ-იორკია!“

ჰოდა, ჩავედით ქვევით, სასადილოში. მერე ვამბობ, „ნეტა
როდის საუზმობენ აქა? მზე რომ ჩადის, მაშინ? თუ როცა ილ-
ვიძებენ?“

„არა“, ამბობს ის. „ჯერ ერთი საქმე უნდა მოვაგვაროთ. —
არა“, ამბობს, „ორი საქმე გვაქვს“. ისევ ამ დასაწავს უყურებ-
და, თუმცა სამართალმა პური რომ ჭამოს, ეს დასაწავი ერ-
თხელაც აღარ უხსენებია იმ დროიდან, როცა მანქანაში ჩავე-
ჯექი ჯეფერსონში. და უცებ გამახსენდა, ერთხელ რომ მითხ-
რა, ნიუ-იორკი ეგებ არც მოერგება რომელიმე ცნობილ კლი-
მატს, მაგრამ თავად ნიუ-იორკზე, სულ ცოტა, ერთი ამინდი მა-
ინც არის მორგებული. და ამჯერად სწორედ ასეთი ამინდი
იდგა: თბილი, ცისფერი, მთვლემარე დღე, ადრეულ შემოდგო-
მაზე რომ იცის, როცა ზეცა ლბილი, ცისფერი ნისლივით თით-
ქოს ჩამოესვენება მინაზე, ხოლო ცათამბჯენები ზედ აწყდები-
ან და მერე ჩერდებიან, ბასრი კიდეები განზავდება, თითქოსდა
მზის შუქი სწორედ ამ წუთას კი არ ანათებდა, არამედ იყო რა-
ღაც ზუზუნის მსგავსი, მავთულეები რომ მღერიან ხოლმე. მერე
კი დავინახე ესა: მაღაზია, ვეებერთელა ვიტრინა და მთელ ვიტ-
რინაში არაფერი — ერთი, ერთადერთი ჰალსტუხის გარდა.

„მოიცა, მოიცა“, ვეუბნები.

„არა“, ამბობს. „არა გვიშავდა-რა, ვიდრე რკინიგზის კონ-
დუქტორები უყურებდნენ, მაგრამ ახლა მღვდელს როგორ
უნდა ეჩვენოთ?“

„არა“, ვეუბნები. „მოიცაო“. მეც ხომ მსმენია ცოტაოდენი
მანაც ნიუ-იორკის მოყურებულ მაღაზიებზე. „თუკი მთელი
ეს ვიტრინა ერთი ჰალსტუხისათვის არ ენანებათ, მაგაში
სამ-ოთხ დოლარს მაინც აგაფცქვენინა“.

„ვერაფერს გავანყობო“, ამბობს. „ეს ნიუ-იორკია. ნავედით“.

და შიგნითაც ბევრი არაფერი, მოოქროვილი სკამები და
ორი შავკაბიანი ქალბატონი და კაცი, რომელსაც კონგრესმე-
ნივით ეცვა ანდა მღვდელივით მაინც. იურისტს სახელით მი-
მართა. მერე — ოფისი, ტაბლაზე ყვავილები ვაზაში და ტან-
მორჩილი, ხორცხავსე, მოშავვერემანო ქალი ისეთი კაბით,
ამქვეყნად რომ არავის მოუხდებოდა, შეჭალარავებული თმა
ჰქონდა და უსანდომესი თაფლისფერი თვალები, მისდღემრი
მსგავსი არაფერი მინახავს, თუმცა ოდნავ გადმოკარკლული
იყო. გადაკონა იურისტი, იმან კი უთხრა, „მირა ალანოვნა,
ეს ვლადიმირ კირილიჩი გახლავთ“, ქალმა შემომხედა და რა-
ღაც თქვა; ჰო, მივხვდი, რომ რუსულად იტყოდა, და იურისტი
კი ეუბნება: „ერთი შეხედეთ ამას. ერთხელ მაინც შეხედეთ,
თუკი აიტანთ“, და მე კი ვამბობ,

„ნაღდად ეგრე ურიგოც არ არის. რა თქმა უნდა, მერჩივნა
ყვითელ-ნითელი ყოფილიყო, ნაცვლად ვარდისფერ-მწვანის-
სა, მაგრამ რაც არი, ეგ არი“ — და ქალი მეუბნება,

„ყვითელ-ნითელი მოგნონთ?“

„დიახ, ბატონო“, ვამბობ. მერე კიდევ ვამბობ, „კაცმა რომ
თქვას“ და გავეჩრდი. ქალი კი მეუბნება,

„დიახ, დიახ, მითხარით“, და ვამბობ,

„არაფერი. მე მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რომ თუკი ჰალ-
სტუხი მოგელანდება და მერე სწორედ იმას იპოვი და გაიკე-
თებ, ნითელი იქნებოდა, ზედ თაიგული ან ეგებ ერთი ეული
მზესუმზირა შუაგულში“, ქალი კი ამბობს,

„მზესუმზირა?“ და იურისტი უხსნის,

„ჰელიანტუსი“. მერე დასძენს, „არა, არასწორია. ტურნე-
სოლ. ზონენბლუმე“, და ქალი ამბობს, მოიცათო, მყისვე გა-
დის და ახლა მე ვამბობ, მოიცათ-მეთქი.

„ხუთდოლარისანი ჰალსტუხიც კი ვერ მოინაგრებს ამ მო-
ოქროვილ სკამებს“.

„უკვე გვიანია“, ამბობს იურისტი. „მოიძრე ერთი ეგა“. ოლონდ რომ მოიტანა, ზედ მზესუმზირა არ აჯდა და ნითე-
ლიც არა ყოფილა. მხოლოდ ღიწლი იყო. არა, სწორად ვერა
ვთქვი; ერთხანს უნდა უყურო, გარედან ატამს წაავაგს, ერთი
წუთი რომ შეჰყურებ და თვალებს არ ახამხამებ, გეჩვენება,
რომ საცაა ატმად გადაიქცევა, მაგრამ ნურას უკაცრავად.
უბრალოდ ოქროსფერი ღიწლი ადევს, მზეზე გარუჯული
გოგოს ზურგი გეგონება. „ჰო“, ამბობს იურისტი. „ვინმე გაგ-
ზავდეს და თეთრი პერანგი უყიდეთ. თეთრი პერანგიც არა-
სოდეს ჩაუცვამს“.

„მართლა არასოდეს?“, ამბობს ქალი. „მუდამ ცისფერი,
ხო? აი, ასეთი ცისფერი მუდამ? ისეთივე ცისფერი, როგორი
თვალებიც გაქვთ?“

„მართალი ბრძანდებით“, ვეუბნები.

„მაგრამ რანაირად?“ ამბობს ქალი. „გახსენდებთ ხოლმე?
თუ მხოლოდ რეცხვისგან?“

„მართალი ბრძანდებით“, ვეუბნები, „ვრეცხავ და სულ ეგ
არი“.

„ესე იგი, თქვენ რეცხავთ? თქვენ თვითონ რეცხავთ?“

„კერვითაც თვითონვე კერავს“, ეუბნება იურისტი.

„მართალი ბრძანებაა“, ვამბობ. „საკერავ მანქანებს ვყი-
დი. პირველი, რაც ამქვეყნად ვისწავლე, კერვა იყო“.

„რასაკვირველია“, ამბობს ქალი. „აი, ეს ერთი ახლა ინე-
ბეთ. ხვალ მეორეს მოგართმევთ, ნითელი იქნება და ზედ —
ზონენბლუმე“. მერე გარეთ გამოვედით. კიდევ ვლამობდი
მეთქვა, მოიცათ-მეთქი.

„ახლა ორივეს ყიდვა მომიწევს“, ვამბობ. „სერიოზული
მინდა ვიყო. გესმით, ეგება სცადოთ და დამიჯეროთ. ისევე
სერიოზული ვარ, როგორც თქვენისთანა გამოცდილი კაცი.
ნეტა რა ელირება აის ერთი, ვიტრინაში რომაა?“

და იურისტი არც კი ჩერდება შუაგულ ჯგროში, აქეთ-
იქით რომ მოძრაობს, და მხარიღლივ მეუბნება: „არ ვიცი. მა-“

გისი ჰალსტუხები ას ორმოცდაათამდეც ადის. ეს კი მხოლოდ სამოცდათხუთმეტი დოლარი იქნება“ — სწორედ იმას ჰგავდა, თითქოს ვიღაცამ ხელი ჩამაზილა კისერში და ვიდრე გონს მოვიდოდი, კედელს მიყრდნობილი ვიყავი, ჯგროს რომ არ გავეტანე. მაჟურიალებდა და იურისტი შემეხიდა. „ხომ გამოკეთდი უკვე?“ მეკითხება.

„არა, ჩემო ბატონო“, ვპასუხობ. „სამოცდათხუთმეტი დოლარი ჰალსტუხში? ვერ შევწვდები! არ მინდა!“

„ორმოცი ნელი მოგიყრიათ“, მეუბნება. „ნელინადში, მინიმუმ, ერთი ჰალსტუხი უნდა გეყიდათ მას შემდეგ, რაც პირველი სიყვარული იგემეთ. ეგ როდის მოხდა? თერთმეტისა რომ იყავით? თუ თორმეტისა? თუ ცამეტისა? ან ეგებ რვაცხრა წლისა, სკოლაში პირველად რომ წახვედით — თუკი მასწავლებელი პირველ კლასში, ცხადია, ქალი იქნებოდა. კეთილი, ჰა და ჰა, ოცი ვთქვით. მაშ ოცი ნელინადი, თითო ჰალსტუხში თითო დოლარი ყოველწლიურად. სულ ოცი დოლარი გამოვა. ცოლი არა გყავთ და არც არასოდეს გეყოლებათ. და არც ახლო ნათესავი გყავთ, სისხლი რომ გაგიშროთ და გაგაბეხრეკოთ თავისი ლოლიავით, ეგებ რამე დავცინცლოო. მაშ კიდე ორმოცდახუთი ნელინადი ზედა გაქვთ. ესეც თქვენი სამოცდახუთი დოლარი. გამოდის, რომ ალანოვნას ჰალსტუხს სულ რაღაც ათ დოლარად ყიდულობთ. დედა-მინის ზურგზე კაციშვილი არ მეგულებს, ალანოვნას ჰალსტუხი ათ დოლარად რომ ეშოვა“.

„არა, ჩემო ბატონო!“ ვეუბნები. „არა და არა“.

„კეთილი. მაშინ მე გაჩუქებთ“.
„არა, მაგას ვერ ვიზამ“, ვეუბნები.

„კეთილი. მაშ გნებავთ, რომ გავბრუნდეთ იქ და თქვენ ეტყვიოთ, ჰალსტუხი აღარ მინდაო?“

„განა არ გესმით, რომ მაგასაც ვერ ვიზამ?“

„კეთილი“, ამბობს. „წავედით. ცოტა არ იყოს, უკვე დავგავიანდა“. ჰოდა, იმ ოტელს მივადექით, პირდაპირ ბარში შევაბიჯეთ.

„თითქმის მისულები ვართ“, ვეუბნები. „კიდე არ მეტყვიოთ, ვინ უნდა ვნახოთ?“

არაო, მეუბნება. „ეს ნიუ-იორკია. ცოტათი მაინც უნდა გავერთო და გავიხარო“. და იმავე წუთში, როცა მივხვდი, რომ იურისტს ეს კაცი ადრე თვალითაც არ უნახავს, უმაღვე გამოვივთვალე, ასე დაფინებით რატომაც დამიმგზავრა. თუმცა ისიც გამახსენდა, რომ ამ შემთხვევაში იურისტს არავითარი შეწევნა არცა სჭირდებოდა, რადგან რაღაც გბოჭავს სულიერი ერთობითა თუ დაკნინებით, როგორც იმ კაცს, მთელი ოცდახუთი ნელინადი შენი ნაწილი რომაა, დიდი ნაწილი შენი უბრალო ბუნებრივად ნორმალური ტანჯვა-წვალებისა, ზუსტად ისეთისა, ხვალ რომ ისევე უნდა გაიღვიძო, როგორც იმან და მერე წამოვიძახე:

„მინა გამისკდეს და თან ჩამიტანოს. რავა ხარ, ჰოუკ?“ იმტომა, რომ სწორედ ის იყო, საფეთქლები ოდნავ შეჭადარავებოდა, უბრალოდ მზეზე გარუჯულის შესახებობა როდი ჰქონდა, არამედ მზეზე გარუჯული მდიდარი კაცისა და ამის დასამტკიცებლად სულაც არ იყო საჭირო მუქი ფერის



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

ძვირფასი კოსტუმი და არც ორი ლაქია, მისი მაგიდის გარშემო რომ დაკუნტრუშობდა, თავად კი უკვე მოკალათებულიყო და გველოდა აქ, სადაც იურისტმა ჩამოაბრძანა საიდანღაც დასავლეთიდან, ისევე როგორც მე ჩამოაბრძანა ამ საგანგებოდ დღისათვის. არა, ეს იურისტი არ ყოფილა, მაკკერონი და მე რომ ჩამოგვაბრძანა ათასი მილისა და ორი ათასი მილის სიშორეზე, რათა ჩვენ სამივენი სწორედ ამ წუთში შევხვედროდით ერთმანეთს ნიუ-იორკის რესტორანში. ამას სულ იმ გოგოს უნდა ვუმაღლოდეთ — იმ გოგოს, რომელსაც ერთი ჩვენგანი არასოდეს უნახავს, ხოლო ორი ჩვენგანისათვის, ფიცი-მტკიცე, დილა-მშვიდობისაზე მეტი არასოდეს არაფერი უთქვამს — იმ გოგოს, რომელმაც მგონი არათუ არ იცოდა, არამედ არც აწუხებდა იმის გაგება, რომ თავისი დედი-

კოსგან გამოჰყვა ჯადო, ოთხი კაცი რალაცნაირად მიეზიდა ამ ერთი მახრჩობელა თმის ქსელში; ხელის გაუნძრევლად შეგვეყარა ერთად ოთხივე — თავისი ქმარი, თავისი მამა და კიდევ ის კაცი, ჯერ კიდევ რომ ცდილობდა, თავისი სიცოცხლე, მისი დედიკოს ხათრით, ფიანდაზად გაეფინა, თუკი ამის მსურველს იპოვიდა და აგრეთვე მე, მთელი ოჯახის მეთვალყურე მეგობარი რომ შეიძლება მიწოდოთ — რათა მოწმებდა ავტუზულიყავით, როდესაც იგი მუნიციპალიტეტში ხელმოწერისას თანხმობას განაცხადებდა, ვიდრე გემზე ავიდოდნენ ევროპაში გასამგზავრებლად და მერე ყველაფრის გასაკეთებლად, რის გაკეთებაც ამ ომში მოუწევდათ. ასე რომ, მე უნდა მეთქვა, „ჰოუკ, ეს გახლავთ იურისტი სტივენსი“, და ახლა უკვე სამი ლაქია (ჰოუკს კოჭებში ემჩნეოდა, ძაან მდიდარი რომ იყო) აფუსფუსდა ჩვენს ირგვლივ, აბა კარგად მოთავსდითო.

„რას ინებებთ?“ ეკითხება იურისტს. „მე ვიცი, ვი-კეის რაც უნდა. — ბუშმილი. ერთი ბოთლი მოგვართვით“, მიმართა ლაქიას. „გეგონებათ, რომ ისევე შინა ხართ“, მეუბნება. „სწორედ ისეთი გემო აქვს, როგორც იმ ვისკის, კელვინ ბუკრაიტი რომ ხდიდა — გახსოვთ?“ მერე კი ამ დასაწვავს დააკვირდა. „ეს ალანოვნაა, არა?“ ამბობს. „ცოტა არ იყოს, თქვენც აშენებულხართ ფრანგისხვევის დროიდან, არა?“ მერე იურისტს შეხედა. ჭიქა გადაკრა და ლაქია უკვე მზად იყო ბოთლით ხელში, ვიდრე ანიშნებდნენ. „ნუ სწუხართ“, ეუბნება იურისტს. „მე სიტყვა მოგვცით. სიტყვას არ გავტყვ“.

„წურც თქვენ სწუხართ“, ვეუბნები. „იურისტს ხელში უჭირავს ლინდა. ყველაზე უწინ მაგას დაუჯერებს, თუნდაც ვინმე თავგზააბნეულმა ყველაფერი ჩაუკაკლოს“. შეგვეძლო იქვე გვესადილა, მაგრამ იურისტი ამბობს,

„ეს ნიუ-იორკია. შინ რომ ვიყოთ, ბიძია კელ ბუკრაიტის ვერანდაზე ვისადილებდით, მაგრამ ეს ხომ ნიუ-იორკია“. ასე რომ, ჩავედით ამ სასადილოში. მერე წასვლის დროც დადგა. ტაქსით გავემუშრეთ მუნიციპალიტეტისაკენ. როდესაც ვადმოვედით, სხვა ტაქსი მოქანდა და ისინიც გადმოვიდნენ. ბარტონ კოლო ზორბა არ იყო, მხოლოდ წაავგვდა ზორბას ფეხბურთელივით. არა, პროფესიონალი მოკრივე უფრო ეთქმოდა. ტლანქი და უმოწყალო იერი სულაც არ ჰქონია, რა-

დაც სხვა სიტყვა მოუხდებოდა. იტყვი, რომ გაგლახავდა ან შეიძლება შენ გაგელახა, მაგრამ ალბათ ამას არ იზამდი, ანდა შეიძლება მოეკალი ან შენ შეგეძლო მოგეკლა, თუმცა ალბათ არც ამას ჩაიდენდი. მაგრამ ის არასოდეს ჩაგენვრილმანდებოდა, ისე შემოგყურებდა თავისი უფერული თვალებით, ჩვენი ჰებ ჰემპტონისას რომ წაგავდა, ოღონდ ხისტი არ ყოფილა მზერა: უბრალოდ აუჩქარებლივ გიყურებდა და თხემით ტერფამდე გხედავდა, არაფერი გამორჩებოდა, თითქოს წინასწარვე იცოდა, რასაც დაინახავდა.

შევვდი თენობაში. ეს იყო გრძელი ჰოლი, ტალანით, წყვილები მწკრივად და ესენი ბოლოში იდგნენ, მაგრამ რიგს დასასრული არ უჩანდა, ბოლოში მდგომთ მყისვე მომდევნო წყვილი მოსდევდა და რიგი წინ მიინევდა იმ კარისაკენ, რომელსაც ეწერა „რეგისტრატურა“ და მერე — შიგნით. იქაც არ დაყოვნებულან; ორი ტაქსი ისევ გველოდა. „მამ ეს ყოფილა გრინიჩ ვილიჯი“, ვამბობ. შესასვლელი პირდაპირ ქუჩიდან. მაგრამ იქვეა მინის პანია ნაგლეჯი, რომელსაც ეზოს დაარქმევდი, თუმცა ქალაქელებს შესაძლოა ბალი დაერქმიათ; იქ ერთი ხეც იდგა და ზედ სამიოდე რალაც, გაზაფხულზე ან ზაფხულში უეჭველია ფოთლები იქნებოდა. მაგრამ თენობაში რომ შევვდი, ძალზე მეამა. ცხადია, ბლომად ხალხი, ორი ოფიციალტი ხელში ლანგრებით აქეთ-იქით შტრიალებს, ჭიქებით შამპანურს არიგებენ, თავშეყრილთაგან სამი თუ ოთხი კაცი მათ ეხმარება, აღარაფერი რომ არა ვთქვათ იმათზე, ვინც ამ ბინას იბარებს, ვიდრე ლინდა და მისი ახალწვეული ქმარი ესპანეთში იომებენ, ახალგაზრდა წყვილია, დაახლოებით იმავე ასაკისა. „ესეც მოქანდაკეა?“ ვეკითხები იურისტს.

„არა“, ამბობს იურისტი. „ეს მეგაზეთეა“.
 „ოჰ“, ვამბობ. „მამ ეგენი დიდი ხნის წინათ დაქორწინდებოდნენ“.

იქაურობა მომეწონა: ოთახი უამრავი ნათელი ფანჯრით; ნივთებიც ბლომად არის, მაგრამ ეტყობა უქმად როდია — კედელი სავსეა წიგნებით და როიალი და მიგზვდი, რომ აქ იყო ნახატებიც, ისინი კედელზე ეკიდა და ვიცოდი, რომ ზოგი იმ რალაც-რულაცებიდან ქანდაკება იყო, მაგრამ დანარჩენი რა იყო, არ ვიცოდი — დამზადებული ხის ან რკინის ნაჭრებისგან ანდა თუნუქისა და მავთულის ზოლებით. თანაც ვერავის ვკითხავდი, სულ იყვნენ პოეტები და მხატვრები, მოქანდაკეები და მუსიკოსები, მას კი მასპინძლობა უნდა გაენია, მერე კი ჩვენ — ის და ლინდა და იურისტი და ჰოუკი და მეც — უნდა დავთესილიყავით და გემისაკენ აგველო გეზი; მრავალთა და მრავალთ ნაღდად ახდენიათ ოცნება გრინიჩ ვილიჯში, მაგრამ ესეც ცხადია, რომ ქორწილი დიდი ამბავი იყო. ერთი მათგანი არც პოეტი ყოფილა, არც მხატვარი ან მოქანდაკე ან მუსიკოსი ან თუნდაც ჩვეულებრივი წესიერი ჟურნალისტი, არამედ ნაღდად წვრილმანებით მოვაჭრე, შაბათ საღამოს მოცდენილი. იმიტომ რომა, როგორც კი ოთახში შევაბიჯეთ, ამ დასანვავს არათუ დაამტერდა, ესეც არ იკმარა და თითებშუა მოიგდო. „ალანოვნა“, მეუბნება.

„მართალი ბრძანდებით“, ვეუბნები.
 „ოკლაჰომა?“ მეკითხება. „ნავთობი?“
 „ბატონო?“

„ოჰ“, მეუბნება. „ტეხასი. მაშინ ხარ-ძროხა. ტეხასში შენი მილიონი შეიძლება მოიხვეჭო ნავთობსა და ხარ-ძროხაში, არა?“

„არა, ჩემო ბატონო“, ვეუბნები. „მისისიპი. საკერავ მანქანებს ვყიდ“.

ცოტა ხანში კოლი, ბოლოს და ბოლოს, მომადგა, ჩემი ჭიქა კვლავ რომ შევესო.

„მე მგონი, თქვენ ლინდას დედასთან ერთად იზრდებოდით“, მეუბნება.

„მართალი ბრძანდებით“, ვპასუხობ. „ეს რალაც-რულაცები თქვენი ნახელავია?“

„რომელი რალაც-რულაცები?“ მეუბნება.

„აი, ამ ოთახში რომაა“, ვეუბნები.

„ოჰ“, მეუბნება. „გნებავთ, კიდევ სხვებიც ნახოთ? რატომ გნებავთ?“

„ჯერ არც ვიცი“, ვეუბნები. „ეს რამეს ნიშნავს?“ ჯგროში შევჩურთდით, სხვა გზა არ იყო, ჰოლში გავალწიეთ და იქიდან კიბით ზემოთ ავედით. და ეს იყო ყველაზე უკეთესი რამ: მანსარდა, თითქმის მთელი სახურავი მინისაა. ჩანს, ეს ადგილი საცხოვრებელი როდია, არამედ მოდის კაცი მარტომდმარტო და მუშაობს. ცოტათი ჩემს უკან იდგა, ხელი რომ არ შეეშალა და დასათვალიერებლად დროს და ადგილს მითმოზბდა, ვიდრე საბოლოოდ მეტყოდა:

„დაიშოკეთ? გადაირიეთ?“

მე კი ვეუბნები: „განა უნდა დამშოკოს და გადამრიოს რალაცამ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს აქამდე არასოდეს მინახავს?“

„თქვენს ასაკში ეგრეა“, მეუბნება. „მხოლოდ ბავშვებს ეამებათ სიურპრიზი. მოზრდილები კი ვერ იტანენ სიურპრიზს, თუკი წინასწარ არ დაჰპირდები, შენი იქნებოა“.

„ეგებ მე ამდენი დრო არა მქონია“, ვეუბნები.

„ახლა გაქვთ“, მეუბნება. კედელს მიყრდნო, ხელები ფეხბურთელივით გულზე დაიკრიფა. წვეულების ხმაური ამოდინდა ქვემოდან, სადაც უნდა ემასპინძლა. მე კი დროს არ ვკარგავდი და ვათვალიერებდი: ზოგსა ვხვდებოდი და ზოგის მიხედვრასაც შევძლებდი, საკმარისი დრო რომ მქონოდა. და ზოგსაც ვერასდროს მივხვდებოდი სავსებით და უეცრად ვიზრე, რომ ამას არცა აქვს მნიშვნელობა არა მარტო მისთვის, არამედ ჩემთვისაც, ვინაიდან და რადგან შეგიძლია დაინახო და ისმინო და იგრძნო და იყნოსო და იგემო ის, რასაც ელოდი, რომ დაინახავდი, მოისმენდი, იგრძნობდი, იყნოსავდი და იგემებდი, და იქნები თუ არ იქნები, ეს სულერთია. ასე რომ, როცა ძალგდის დაინახო, იგრძნო, იყნოსო, ისმინო და იგემო ის, რასაც არასდროს ელოდი და ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდი ამ წუთამდე, შესაძლოა სწორედ ეს არის ის, თუ რატომ ამოგარჩია მამაზეციერმა ერთი მრავალთაგან, რომ დაბადებულიყავი.

ამასობაში დადგა დრო პაემანისა, იურისტმა და ჰოუკმა რომ დათქვეს, თუმცა ჰოუკი ბუზღუნებდა, „რა უნდა ვუთხრა მას ან მის ქმარს და კიდე მის მეგობრებს?“ და იურისტი ეუბნება,

„ნეტავი რაში გჭირდებათ, ვინმეს რამე რომ უთხრათ? მე ყველაფერი მოვავგარე. როგორც კი პატარძლის სადღეგრძელოს შესვამენ, ხელი ჩასჭიდეთ და მოუსვით. ოღონდ არ დაგავიწყდეთ, რომ გემი თორმეტის ნახევარზე გადის“. ჰოუკი რალაცის თქმას კი ლამობდა, ორნი იდგნენ გასასვლელში, ნასვლას მზაობდნენ, ჰოუკი თავისი მუქი ფერის ძვირფას ქალაქურ კოსტუმში გამოწყობილი, ქვაბქუდა ხელში ეჭირა და ლინდა, პალტოს ქვეშ სამეჯლისო კაბით. ვერ იტყოდი, ერთმანეთს ჰგვანანო, რადგანაც არ ჰგავდნენ. ლინდა, ქალის კვლობაზე, ტანმალალი იყო, ისე მალალი, რომ აღნაგობა არც ემჩნეოდა (იმას ვგულისხმობ, რომ კაცებს აღტაცება არ აღმოხდებოდათ), ხოლო ჰოუკი, კაცის კვლობაზე, მალალი არ ყოფილა, ჩასკვნილი უფრო ეთქმოდა. მაგრამ თვალები კი ძან უგავდათ. ასეა თუ ისე, მე მგონი, ვინმე რომ შესხედავდა, როგორ არ იტყოდა, ნათესავები არიანო. ჰოუკი კვლავ ახსნა-განმარტებას ცდილობდა: „ძველი მეგობარი ვარ დედამისის ოჯახისა. მისი პაპა და ჩემი მამა, მგონი, შორეული ნათესავები იყვნენ“ — და იურისტი ამბობდა,

„კეთილი, კეთილი. გასწიეთ, დრო არ დაგავიწყდეთ“. და ჰოუკი ამბობდა: „დიახ, დიახ, ვისადილებთ „ოცდაერთში“ და მერე სტორკ-კლუბში ვიქნებით, თუკი დარეკვა დაგჭირდებათ“. ისინი წავიდნენ და სტუმრებიც გაიკრიფნენ გარდა სამი კაცისა. გავარკვეე, რომ მეგაზეთეები იყვნენ, უცხოელი კორესპონდენტები; და თავად კოლი თავისი ახალი მდგმურის ცოლს მიხმარა, რომ სპაგეტი გაემზადებინა და ჩვენ შე-

ვექცით მას და ცოტაოდენი ღვინოც დავაყოლებთ, ამჯერად ნითელი, და ისინი ლაპარაკობდნენ ომზე, ესპანეთსა და ეთიოპიაზე და ეს დასაწყისიო: მალე მთელს ევროპაში შუქი ჩაქრება და შესაძლოა აქაცო; ამასობაში პორტში წასვლის დროც დადგა. საძინებელ ოთახში კიდევ იყო შამპანური, მაგრამ იურისტმა პირველი ბოთლის გახსნაც ვერ მოასწრო, როცა ლინდა და ჰოუკი შემოვიდნენ.

„უკვე დაბრუნდით?“ ამბობს იურისტი. „ჩვენ გელოდით, სულ მცირე, ერთი საათის შემდეგ“.

„მან — არა, ჩვენ გადავიფიქრეთ სტორკ-კლუბი“, ამბობს ჰოუკი. „სამაგიეროდ ფიაკრი დავიჭირეთ და პარკში გავისერინეთ. ახლა კი“, ამბობს და თავისი ქვაბქუდა არც მოუხდია.

„დარჩით და ცოტა შამპანური მოვყლურნოთ“, ამბობს იურისტი და კოლიც რაღაცას ამბობს. მაგრამ ლინდამ ხელი უკვე გაუნოდა ჰოუკს.

„მშვიდობით, მისტერ მაკკერონ“, ეუბნება. „მადლობას მოგახსენებთ ამ საღამოსათვის და ჩემს ქორწილში რომ მობრძანდით“.

„ჰოუკს ჯერ ვერ მეძახი?“

„მშვიდობით, ჰოუკ“.

„მანქანაში დაგველოდეთ“, ამბობს იურისტი. „ერთ ნუთში შემოგიერთდებით“.

„არა“, ამბობს ჰოუკი. „სხვა მანქანას დავიჭერ და ამას კი თქვენ დაგიტოვებთ“. თქვა და წავიდა. ლინდამ კარი მიუხურა, იურისტს მიუახლოვდა და თავისი ჯიბიდან რაღაც ამოაძვრინა.

„აი“, ამბობს. ეს იყო ოქროს სანთებელა. „ვიცი, რომ არასოდეს იხმართ, რადგანაც ამბობთ, სანთებელასგან ჩიბუხს გაზის გემო ეძლევაო“.

„არა“, ამბობს იურისტი. „რასაც მე ვამბობდი, ის იყო, რომ მაგისი გემო ვიცი-მეთქი“.

„კეთილი“, ამბობს ლინდა. „ასეა თუ ისე, აიღეთ“. იურისტმა აიღო. „თქვენი ინიციალებია ამოკვეთილი: ხედავთ?“

„ჯი-ელ-ეს“, ამბობს იურისტი. „ეს ჩემი ინიციალები არაა. მე მხოლოდ ორი მეკუთვინის: ჯი-ეს“.

„ვიცი. მაგრამ მითხრეს, მონოგრამას სამი უნდა ჰქონდეს. ასე რომ, ერთი ჩემი გასესხეთ“. მის პირისპირ იდგა, თითქმის ისეთივე მაღალი, და თვალებში შეჰყურებდა. „ეს მამაჩემი იყო“, ეუბნება იურისტს.

„არა“, ამბობს იურისტი.

„ჰო“, ამბობს ლინდა.

„იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ეს თავად მან გითხრა?“, ამბობს იურისტი.

„თქვენ იცით, რომ არ უთქვამს. თქვენ დააფიცეთ, რომ არ იტყობა“.

„არა“, ამბობს იურისტი.

„მამ თქვენ დაიფიცეთ“.

„კეთილი“, ამბობს იურისტი. „გეფიცებით“.

„მე თქვენ მიყვარხართ“, ამბობს ლინდა. „იცით, რატომ?“

„მითხარი“, ამბობს იურისტი.

„ეს იმიტომ, რომ ყოველთვის, როდესაც ცრუობთ, ყოველთვის ვიცი, რომ თქვენს ნათქვამს არ გადათქვამთ“.

შემდეგ მეორე სენტიმენტალური მოგზაურობა. არა, მანამდე კიდევ მოხდა რაღაც. ეს იყო მეორე დღეს, შუადღით. „ახლა ჩვენ წავალთ ჰალსტუხის ამოსარჩევად“, ამბობს იურისტი.

„არა“, ვეუბნები.

„რაო, მარტოს გინდათ წასვლა?“

„სწორედ ვერა“, ვეუბნები. ასე რომ, კვლავ იმავე პატარა ოთახში მარტო ვიყავი. და ის ქალბატონიც იმავე კაბით, რომელიც ამქვეყნად არავის მოუხდებოდა, უკვე უყურებს ჩემს უჰალსტუხო საყელოს მანამდე, სანამ ჰალსტუხს და ას ორმოცდაათ დოლარს დავედები ტაბლაზე იმ ახალთახალის გვერდით, შიშით თითს რომ ვერ ვაკარებდი. ჰალსტუხი იყო ნითელი ფე-

რისა, ოდნავ ბაცი, ეკვლიბიტის ფოთოლს რომ დაჰკრავს შემოდგომაზე, და ზედ არც ერთი მზესუმზირა, მათი თაიგულიც კი არა, ოღონდ მიმოფანტული პანანკინტელა ყვითელი მზესუმზირები ბრილიანტებივით. ყოველ მათგანს ამშვენებდა პანანკინტელა ცისფერი შუაგული, თითქმის ისეთივე ცისფერი, ჩემი პერანგები რომ გახუნდებიან ხოლმე. შეხება ვერ გავბედე. „მომიტყვეთ“, ვეუბნები. „მაგრამ ხომ გესმით, მეწოთირება და რა ვქნა. მე საკერავ მანქანებს ვყიდი მისისიპიში. არ შეიძლება იქ შეიტყონ, რომ თითო ჰალსტუხი სამოცდათხუთმეტი დოლარი დამიჯდა. მაგრამ თუკი მე საკერავ მანქანებს ვყიდი მისისიპიში და არ შეიძლება სამოცდათხუთმეტდოლარიანი ჰალსტუხები ვატარო, თქვენ ჰალსტუხებს ჰყიდით ნიუ-იორკში და არ შეიძლება, რომ ხალხმა ატარონ ან დაგიკვეთონ ჰალსტუხები, ფული კი არ გადაგიხადონ. აი, ინებეთ“, ვეუბნები. „და მე გთხოვთ, მოილოთ სიკეთე და მომიტყვეოთ“.

მაგრამ ფულისთვის არც კი შეუხედავს. „ვლადიმირ კირილიჩი რატომ დაგიძახათ?“ მეკითხება. ვუთხარი.

„ჩვენ ხომ ახლა მისისიპი ვცხოვრობთ და წარსული უნდა დავივინყოთ. აი, ინებეთ“, ვეუბნები. „და მე ისევე გთხოვთ, მომი...“

„მომართეთ ეგ ჩემს მაგიდას“, მეუბნება. „მე ეს ჰალსტუხები გაჩუქეთ. არაფერი გაქვთ გადასახდელი“.

„ვერა ხედვებით, რომ ეგეც მეწოთირება?“ ვეუბნები. „იმა-სავითაა, ვინმემ საკერავი მანქანა შემიკვეთოს მისისიპიში და როცა შეკვეთილს მივართმევ, მითხრას, გადავიფიქრო“.

„მამ ასე“, მეუბნება. „თქვენ არ ძალგიდთ აიღოთ ჰალსტუხები და მე არ ძალმიძს ავიღო ფული. კეთილი. მამინ ასე გავაკეთოთ“ — რაღაც იღო მაგიდაზე, პანია დოქს რომ წააგავდა, გაატკაცუნა და თურმე სანთებელა ყოფილა. „მამ დავნვათ, ნახევარი ჩემი იყოს, ნახევარი თქვენი“, ვიდრე ვიტყვოდი,

„დაიცაო! დაიცაო!“ და გაჩერდა. „არა“, ვეუბნები. „არა, ფულს ნუ დავნვავთ“, და ის ამბობს,

„რატომ არაო?“ და ერთმანეთს შეეყურებთ, ხელში ანთებულ სანთებელა უჭირავს და ჩვენი ხელები ფულს გადაეფარა.

„იმიტომ, რომ ესაა ფული“, ვამბობ. „ვილაცა სადღაც ოდესღაც წვალობდა — მე იმის თქმა მინდა, რომ ვილაცას სადღაც ფული ძვირი დაუჯდა და ისეთი ტკივილი მიაყენა, რომ ფული არასოდეს ამად არა ღირს — იმის თქმა მინდა, რომ ეს არაა, რასაც ვგულისხმობ...“ და მეუბნება,

„მე ზუსტად მესმის, რასაც გულისხმობთ. მხოლოდ ხეპრე, უბირო, ლაჩარი და უჯიშო მოსპობს ფულს. მამ გაჩუქებთ და ნაიღებთ შინ — სად, როგორა თქვით?“

„მისისიპი“, ვეუბნები.

„მისისიპი. სადაც ცხოვრობს კაცი, რომელსაც არა, არ უჭირს: განა შეანუხებს ისეთი სიმდაბლე, როგორც გაჭირვება? კაცი, რომელსაც სწადია რაღაც, რაც ას ორმოცდაათი დოლარი ღირს — ვთქვათ, ქუდი, სურათი, ნიგნი, საყურე; რაც არასოდეს არასოდეს არასოდეს, ასე თუ ისე, არ იჭმევა — მაგრამ ჰგონია, რომ არასოდეს ექნება იგი, დიდი ხნის წინათ დაუკარგავს კიდევ, ოცნება კი არა, იმედი დაუკარგავს — ახლა ხომ გესმით, რასაც ვგულისხმობ?“

„ზუსტად მესმის, რასაც გულისხმობთ, იმიტომ რომ, ახლა ყველაფერი თქვით“, ვეუბნები.

„მამინ მაკოცეთ“, მეუბნება. და იმ ღამით მე და იურისტი სარატოგაში გავემგზავრეთ.

„თქვენ უთხარით ჰოუკს, სჯობს არა სცადო ოხრად ფულის მიცემარ თუ თავად მიხვდა, ასე აჯობებსო?“ ვეკითხები.

„ღიახ“, მეუბნება იურისტი.

„რომელი ღიახ?“ ვეკითხები.

„შესაძლოა ორივე“, ამბობს იურისტი. შუადღისას დოღს ვუყურებდით და მეორე დღით ბემის ჰეიტსა და ფრემენს ფარმისკენ გავემგზავრეთ. ბუნებრივია, რომ იქ არ ყოფილა მონუმენტი ერთი დაქირავებული ჰესენელი ჯარისკაცისა,

რომელიც ეგებ გერმანულადაც კი ვერ ლაპარაკობდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ამერიკულზე და, ბუნებრივია, იქ ვერ წავანყდით ვერც გორაკს, ვერც ხევს ან ჯირკს ან კლდეს, რომელიც ალაპარაკდებოდა და ხმაშემალი წარმოთქვამდა: ამ ადგილას შენი პირველი წინაპარი და გვარის ფუძემდებელი ვი-კეი სამარადისოდ განუდგა ევროპას და თავი შეაფარა შეერთებულ შტატებს. და ორი დღის შემდეგ შინ დავბრუნდით, ორ დღეში დაფარეთ ის მანძილი, რომელიც იმ პირველმა ვი-კეი ოთხი თაობის სიგრძეზე განელა; და ახლა ვუმზერდით, შუქი რომ ჩაქრა ესპანეთსა და ეთიოპიაში, წყვდიადი მიიზღაზნებოდა აღმოსავლეთისაკენ, ევროპისა და აზიის გავლით, ვიდრე მისი ჩრდილი წყნარი ოკეანის კუნძულებს დაეცემოდა და ამერიკასაც მისწვდებოდა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ წინ იყო, როდესაც იურისტი მეუბნება,

„ამოდით ოფისში“, და მერე ამბობს, „ბარტონ კოლი დაილუპა. თვითმფრინავი — ეს იყო დაძველებული სამოქალაქო-სამგზავრო კურიერი, შეიარაღებული 1918-ის ქვეითი

ჯარის ტყვიამფრქვევებით, თვითნაკეთი ბომბლიუკებით, საიდანაც მოყვარულთა ეკიპაჟი თვითნაკეთ ბომბებს ხელით აგდებდა ძირს; აი, ეს იყო, რითაც ისინი ჰიტლერის ლიუფტვაფეს ებრძოდნენ — თვითმფრინავი ჩამოვადეს და დაინვა, ასე რომ ლინდა ვერც ამოიცნობდა ქმარს, თუკი კატასტროფის ადგილზე მისვლას მოახერხებდა. არა გვწერს, თუ რას აპირებს ახლა“.

„შინ დაბრუნდება“, ვეუბნები.
„აქ?“ ამბობს. „აქ დაბრუნდება?“ მერე დასძენს, „ეშმაკმა დალახვროს, რატომაც არა? აქ ხომ მისი სახლია“.

„მართალია“, ვეუბნები. „ეს ბედისწერაა“.
„რაო?“ ამბობს. „რა თქვით?“
„არაფერი“, ვეუბნები. „მე მხოლოდ ისა ვთქვი, ასე მგონია-მეთქი“.

**ინგლისურიდან თარგმანა
თამაზ ნატროშვილმა**

**წმინდა დიმიტრის
ხსენების დღე ქვიშხეთში**

26 აპრილს ქვიშხეთში აღინიშნა **წმინდა დიმიტრი (ყიფიანის)** — სამშობლოსათვის წამებულის ხსენების დღე. სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ქვიშხეთის მაცხოვრის აღდგომის ეკლესიაში მამა **გიორგი (გელაშვილი)** გადანიშნა. პარაკლისს, ქვიშხეთელეთან ერთად, დაესწრნენ სტუმრები, დიმიტრი ყიფიანის შთამომავლები. შემდეგ მათ მონიხულეს დიმიტრი ყიფიანის შვილშვილის — **ნინო (ნუცა) ყიფიანის** განახლებული საფლავი.

ნინო ყიფიანის საფლავთან სიტყვით გამოვიდნენ: ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი, ისტორიკოსი **თამაზ ლაცაბიძე**, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ყოფილი გამგე, ისტორიკოსი **გივი გელაშვილი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პოეტი-აკადემიკოსი, პროფესორი **მურად მთვარელიძე**, დიმიტრი ყიფიანის შთამომავალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი **თამარ მიქაძე**.

საფლავის მონახულების შემდეგ სტუმრებმა და ღონისძიების მესვეურებმა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ეზოში გადაინაცვლეს, სიტყვით გამოვიდნენ: ამ სახლ-მუზეუმის მენეჯერი **რევაზ ნოზაძე**, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ ყორანაშვილი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ვაჟა შუბითიძე**, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი **ავთო სულაბერიძე**, თეატრისა და კინოს მუზეუმის დირექტორის მოადგილე **გუბაზ მეგრელიძე**, საზეიმო შეხვედრას უძღვებოდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი **კლარა გელაშვილი**.

დიმიტრი ყიფიანის პირდაპირ შთამომავალს, მეექვსე თაობის წარმომადგენელს, ქალბატონ **თამარ მიქაძეს** გადაეცა **დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალი** (მხატვარი **ჯანო მუზაშვილი**) — ამ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. მედალი გადასცა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **გიორგი ბერაიამ**.

ეს მედალი შარშან დაარსდა და გადაეცა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **თამაზ ჯოლოგუას**, მონოგრაფიისა და არაერთი ნარკვევის ავტორს დიმიტრი ყიფიანზე, აგრეთვე მის თხზულებათა სამტომეულის გამომცემელს ვრცელი კომენტარებით, ეპოქის თავისებურ ენციკლოპედიად რომ წარმოგვიდგება.



თამარ მიქაძე

ეს დღე ღირსშესანიშნავი იყო იმიტომ, რომ იგი გაალამაზეს: დიმიტრი ყიფიანის სახელობის ქვიშხეთის საჯარო სკოლისა და ამავე სახელობის ხაშურის სკოლა-პანსიონის მოსწავლეებმა, ასევე — ქვიშხეთის კულტურის სახლთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მთან-მინდა“, ხელმძღვანელი **ალექსანდრე (ალიკა) ტაბატაძე**, ქვიშხეთის კულტურის სახლის ვაჟთა გუნდმა, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის გოგონათა გუნდმა“.

თამარ მიქაძემ მაღლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი დახვედრისათვის: „დიდი მაღლობა რაიონს, ჩემს საყვარელ ქვიშხეთს... ჩვენი სიყვარული ექვს თაობას ითვლის, მომავალშიც, ყველა სასიკეთო წამოწყებაში მივიღებთ მონაწილეობას, რაც დაკავშირებულია წმინდა დიმიტრის სახელთან“, — აღნიშნა მან.

ამ შთამბეჭდავ დღეს ყველას აწუხებდა ის სავალალო რეალობა, რომელშიც დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმია — ის აღდგენასა და განახლებას საჭიროებს, მაგრამ დღემდე საამისოდ არაფერი იზრუნა. ქვიშხეთელები დიდ იმედს ამყარებენ ახალ ხელისუფლებაზე და ამბობენ, ახალი ხელისუფლება დაინტერესებულია მუზეუმის რესტავრაციით. მალე საპატრიარქოში გაიმართება დიმიტრი ყიფიანის ფონდის წარდგინება. ამ მიზნით მუზეუმში ჩამოსული იყო საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელი **თორნიკე კვინიკაძე**. მან მუზეუმის პრობლემები გააშუქა. სავარაუდოდ ფონდის ხელმძღვანელიც ის იქნება.

იქნებ ახლა მაინც დაინწყოს მუზეუმის ახალი სიცოცხლე. დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის სავალალო ყოფა არცერთ ჩვენგანს არ ეკადრება.

თამარ შავიშვილი

* * *

„ომეგას“ ხელოვანთა კლუბის შეკრებაა. მწერლები სალონში იყრიან თავს მაგიდების ირგვლივ, ჩვენს ჩინებულ მხატვართა მიერ შესრულებული სურათების გარემოცვაში.

გურამ დოჩანაშვილიც რომ ჩამოჯდება სკამზე, მიიხედავს, მოიხედავს და ზევითაც შეავლებს თვალს, რაღაც გაუკვირდება თითქოს, წამოდგება და უფრო ახლოდან დააცქერდება.

ნახატზე გისოსებია გამოსახული და პატიმრის სახე — მის მიღმა.

ესაა მამუკა ცეცხლადის ილუსტრაცია ზურაბ ლეჟავას მოთხრობისა „არსება, რომელიც შენ გიყვარს“.

გურამს გაეცინება.

— შეგნებულად ხომ არ შემირჩიეთ ეს ადგილი?!

— შეგნებულად რატომ?.. თავისთავად არ მოხდა ასე?

— თუ წინასწარ არ ყოფილა ჩაფიქრებული, მაშინ რაღაც შინაგანი კანონზომიერებაა, იმიტომ, რომ აქ მყოფთაგან მართო მე მომიწია გისოსებს იქით ყოფნამ.



მხატვარი ბაჩო სიხარულიძე

* * *

გალაკტიონ ტაბიძე ფრანგული აკადემიის მაგალითზე ეჭვქვეშ რომ დააყენებდა აკადემიკოსთა შერჩევის წესსა და მიზანდასახულებას, ორ სახელს მოიხმობდა სანიმუშოდ, როგორც ამ წესისა და მიზანდასახულების აშკარად ყალბი, ფარისევლური არსის თვალსაჩინოდ დამადასტურებელს — ონორე დე ბალზაკისა და ალფონს დოდესი: აკადემიის წევრს უკვდავის სახელწოდება, ხოლო მოკვდავის საბრალოსი — ბალზაკს და დოდესო!..

ვის შერქმეოდათ უკვდავი — დავინყებთ ბურუსში ჩაძირულთ, და ვის რგებოდა „საბრალო მოკვდავის“ ტიტული — სამუდამოდ რომ აღებეჭდათ თავიანთი სახელები საკაცობრიო კულტურის ისტორიაში, ყოველთვისაც რომ დაისაჭიროებდნენ მათ თხზულებებს, „მაგონის ტყავი“ იქნებოდა თუ „მამა გორიო“, „ტარტარენ ტარასკონელი“ თუ „წერილები ჩემი წისქვილიდან“...

გალაკტიონის ეს ირონიული, მეტიც, სარკასტული სტრიქონი გამომადგებოდა ბიოგრაფიული რომანის — „ბედი პავლე ინგოროყვასი“ — იმ მონაკვეთში, ამ დიდებული მოღვაწისა და საქართველოს სამეცნიერო აკადემიის მისთვის საგულდაგულოდ გადარაზული კარის ამბებს რომ გავისხენებდი.

ჰა, თითქოს ერთი-ორჯერ კიდევ უნდა გადაებიჯებინა ამ მოჯადოებული წრის მიღმა, მაგრამ მაშინაც ისეთ დამაბრკოლებელ ბარიერად აღიმართებოდა ხელისუფლებაც და ხელისუფლებისგან გულმოდცემული ცრუმეცნიერებაც, ყო-

ველგვარი მცდელობა პავლე ინგოროყვას თანამდგომი მწერლებისა ამო აღმოჩნდებოდა.

დაე ემტკიცებინათ: თუ ვინმეა ღირსი ჩვენი აკადემიის წევრობისა, უპირველესად ეს პიროვნებაო. გამგონი ვინ იყო... უხერხულობას ვინ იგრძნობდა...

მაგრამ ის, რაც მოჯადოებული წრე აღმოჩნდებოდა პავლე ინგოროყვასათვის, ყოველად იოლი გადასალახი შეიქნებოდა ბევრად კინი დამსახურების პატრონთათვის, რომ აღარ ითქვას — სრულიად უღირსთათვისაც.

და ერგებოდათ მათ უკვდავის სახელწოდება, ვერც სახელი და ვერც ნაღვანი რომ ვერ გავვისხენებია.

ხოლო მოკვდავის, საბრალოსი — პავლე ინგოროყვას.

რომანის იმ პასაჟის განმეორება ზედმეტი იქნებოდა ნაკვეთების ამ ციკლში, რომ არა მიხილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკის“ 1927 წლის ჩანანერი:

— ფრანგული აკადემიის წევრებად არ იყვნენ: ჰიუგო, დე ვინი, ოჟიე, მოლიერი, ბალზაკი, ფლობერი, გოტიე, დოდე, ზოლა, მოპასანი.

სულ ესაა, მაგრამ ქვეტექსტი საკმაოდ გამჭვირვალეა და ირონიით გაჟღენთილი — აი, ვის არ ერგოთ უკვდავის ტიტული, და სამაგიეროდო...

რაღაც აუცილებლობასავით გამოდიოდა — თუკი უკვდავის სახელს მართლა ინაღდებდი და საუკუნეებს თამამად გაჰყურებდი, ამ უკვდავების ოფიციალურად დადასტურებულ ქალაქს არავინ გიბოძებდა.



აკადემიის კარის ზღურბლი მოჯადოვდებოდა და ფეხს იქ არავინ შეგადგმევინებდა.

და ოფიციალურად რჩებოდი საბრალო მოკვდავის ტიტულის ანაბარა.

ლექსში სახეებით კმაროდა ორი სახელის მოხმობაც.

დღიურის ჩანაწერს კი დაე გავრცობილი სია შემოენახა.

ისე მიხეილ ჯავახიშვილს ძალიან გულდასმითაც არ ემუშავა ამ სიის შედგენაზე, თორემ გაცილებით შთამბეჭდავი გალერეა გადაიშლებოდა მკითხველის თვალწინ. თუმცა უბის ნიგნაკის ეს პასაჟი, ეტყობა, იმისათვის სჭირდებოდა, რომ მოგვიანებით სწორედაც გულდასმით გადაეხედა და დაეზუსტებინა თუ შეეცო. დაზუსტებისას კი უთუოდ ამოაკლებდა ვიქტორ ჰიუგოს სახელს, როგორც უკვდავთა აკადემიის წევრისა 1841 წლის 7 იანვრის შემდგომ.

ყოფითობის დრამატიზმს, მეტიც, ტრაგიზმს მინიშნებდა ამ ჩანაწერით, ჰამლეტური გულისტკივილისა არ იყოს: შეურაცხყოფა ღირსიულის უღირსისაგანო... და ეცინებოდა, ჩვენშიც რომ შეიქმნას აკადემია, ხომ ვიცი, ახლოს არავინ გამაკარესო. ცხადია, ასეც მოხდებოდა!..

* * *

ნოშრევან არაბული პოეტობიდან და პროზაიკოსობიდან მეცნიერებაშიც გადაინაცვლებდა და ზედიზედ გამოაქვეყნებდა ორ ჩინებულ ნიგნს — „ხევსურული დოლი“ და „ვარაუდები, ფიქრები (ხალხური ბალადა „შიოლა და მთრეხელი“)“ — რომლებიც პუბლიცისტური გზნებითაც დაიმუხტებოდა, თორემ სტილური ექსპრესიით მოთხრობილი მრავალმხრივი კვლევა-ძიება ხომ თავისთავად.

ამ ნიგნებს ბაბუა ალუდაურსაც გაუგზავნიდა და თან სთხოვდა: შენი აზრი მაინტერესებსო.

ეს ნიგნებს რომ გაეცნობოდა, მონონებასთან ერთად კაფიასაც გაუგზავნიდა:

— გაბუდაყდა ნოშრევანი შეისწავლა ჯომარდობა. ფოტოებშიც მეჯიბრება — მწერლობაში ხომ მაჯობა. შიოლას და მთრეხელს შორის დაუნყია თოლმაჯობა.

ცოტა ხნის შემდეგ ერთ დილასაც ნოშრევანი დაურეკავდა. ტელეფონს ბაბუას მეთლვე აიღებდა და მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ ეტყოდა:

— ალბათ ბაბუასთან დალაპარაკება გინდა, წუხელ სტუმრები ჰყავდა და აბაზანაშია შესული.

— ეტყობა „გამოდის“, ცოტა ხანში დაფურეკავ.

ნოშრევანი „პახმელიაზე“ გამოსვლას იგულისხმებდა.

— არა, ჯერ ვერ გამოვა, ახალი შესულია, — მიუგებდა თინა, რომელიც აბაზანიდან გამოსვლას იგულისხმებდა.

ცოტა ხანში ნოშრევანი მართლაც დარეკავდა და კაფიის პასუხს ჩაანერინებდა:

— პოეზიის ამანათო, ღმერთმა მოგცეს გამარჯობა. ყოჩაღ, ლექსი გამიბედე, დაამტკიცე ვაჟკაცობა. თუმცა უფრო მეხერხება სირაჯობა, სარაჯობა. შენთვის დღე-შუაღდგომაა, ყოველკვირა ხალარჯობა. მაინც იცლი, თვეში ორ დღეს ლექსებს ცაზე სდარაჯობა. P.S. ერთი მითხარ ქალის სახელ ირა სჯობა? სარა სჯობა?

გალაკტიონ ტაბიძემ როგორღა გააღწია მის მოჯადოებულ ზღურბლს?

მას რა, მიხეილ ჯავახიშვილზე ნაკლები მტერი და მოშურნე ჰყავდა?

გამონაკლისი ყველგანაა, და გალაკტიონი ამ გამონაკლისითა შორის მოჰყვებოდა, ჰიუგოსი არ იყოს.

ეგაა, პავლე ინგოროყვა ვერ აღმოჩნდებოდა გამონაკლისებში და ბეჭედდასმულ ქალაქს არავინ გამოატანდა შთამომავლობასთან: უკვდავად შეგვირაცხავს და თქვენც უკვდავად უნდა მიილოთო.

და ჩაიკარგებოდა იმ საბრალო მოკვდავებით, მიხეილ ჯავახიშვილის სია რომ გვამცნობს, და კიდევ უფრო ვრცელი სიაც შეიძლება შედგეს, თუკი ცოტა მეტად გავიწვებოთ.

...მე იქ ვინ შემიშვებსო, — ეჭვიც არ ეპარებოდა მიხეილ ჯავახიშვილს და... ალფრედ დე ვინისა თუ ემილ ოჟიეს, ჟან-ბატისტ მოლიერისა თუ თეოფილ გოტიეს, გუსტავ ფლობერის, ემილ ზოლასა თუ გი დე მოპასანის ლანდებს გახედავდა იმ მზერით, იოლად რომ ამოიკითხება: მე მაინც თქვენთან მიჩვენიაო!..

პავლე ინგოროყვასაც რა — ამათთან არ ერჩინა?!

ბოლო ორ სტრიქონს განმარტებას დააყოლებდა: რითმის დაკარგვა არ მინდოდა და „ირა“ და „სარა“ ამიტომ მოვიშველიეო.

ხოლო რის განმარტებასაც ის ზედმეტად მიიჩნევდა, მაგრამ მკითხველისათვის შესაძლოა გაუგებარი იყოს, ბარემ აქვე აიხსნას:

„დღე-შუ“ ნიშნავს: დღეგამოშვებით, — ხოლო ხალარჯობა — წლისთავის შემდეგ მიცვალებულის სახელზე რომ იშლება სუფრა — საბოლოო წესი მიცვალებულის გასასტუმრებლად.

ეს, წინა საღამოს ნასტუმრალი, ნაკლებად გახლდათ კაფიის გუნებაზე, უფრო „პახმელიაზე გამოსვლას“ ესწრაფოდა და ასე გაეპასუხებოდა:

— პოეზიით მარიაყო, პროზით კიდევ მირაყო. ეხლა „ნოშრეს“, „ირას“, „სარას“ ჩემთვის ქინთის სირა ჯობა.

და ისევ პანია ლექსიკონი ყოველგვარი გაუგებრობის გასაფანტავად:

ქინთი ტიკს ნიშნავს, ხოლო სირა — ტიკის ყელში დამაგრებული ხის მილია, საიდანაც არაყი („ჟიპიტაური“) გადმოედინება.

...პოსტ სკრიპტუმი კაფიაში უდავო სიახლეა და, როგორც ჩანს, ნოშრევან არაბულის ახალშექნილმა მეცნიერულმა თვისებებმა ასე იჩინა თავი ხევსურთათვის ამ თავმოსანონებელ ჟანრში.



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

ინგლისელი მხატვარი და ჩვენი მოქალაქე

ინგლისელ მხატვარს ბედი არ სწყალობდა. 1817 წლის შემოდგომაზე სტუმრად ეწვია საქართველოს და ოქტომბრის თვემ, საუკეთესო თვედ რომ შეიძლება ჩაითვალოს თბილისში, მაინცდამაინც რობერტ კერ პორტერს უმტყუნა. მისი სიტყვით, თითქმის გადაუღებლად წვიმა და თავი ლონდონში მეგონაო. უამინდობის გამო მხოლოდ ერთხელ მოუწია გასვლა თბილისიდან და „მშვენიერი კახეთის პროვინცია“ მოინახულა. ბეჯითად აღწერს იქაურ ბუნებას, ფლორა-ფაუნას, მინათმოქმედებას და მესაქონლეობას, დასძენს, რომ ყველა სიკეთესთან ერთად ჰავაც მომხიბლავი არისო და დაასკვნის, რომ ამ „ბედნიერი კუთხისათვის“ ზეცას თითქოს გამოუწურავს ესენცია ყველაფრისა, რაც კი აუცილებელია ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ავდარმა თბილისში გამოკეტა და, ბუნებრივია, რომ ინგლისელი მხატვრის ჩანაწერებში ყველაზე დიდი ადგილი ჩვენს დედაქალაქს დაეთმო.

აღწერილია თბილისი თავისი სიძველეებითურთ, აქაურ მკვიდრთა ზნე-ჩვეულებანი, სამოსელი ქალისა და კაცისა, არა მარტო მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა, არამედ მდაბიორთა ჩაცმა-დახურვაც. აღწერილია ტაძარიც და ბაზარიც, აბანო თუ მთავარმართებლის სასახლე. ინგლისელმა მხატვარმა ხაბაზის დუქანში თავისი თვალით ნახა ცხოზა იმ პურისა, ყველაზე გემრიელი რომ იყო მთელს მსოფლიოში — როგორც ამტკიცებდა ამას პორტერამდე საუკუნუნახევრით ადრე ფრანგი ვაჭარი ჟან შარდენი.

რომელი უცხოელი მოგზაური გაქცევია ქართველი ქალის ქებას და ინგლისელი მხატვარი რატომ იქნებოდა გამოჩინებული? თავდაჭერილი აღფრთოვანებით წერს: „სილამაზე ქართველი ქალისა შეუძლებელია სადავო იყოს. მშვენიერი, შავი და დიდრონი თვალები აქვთ; გამოირჩევიან პირისახის ძალზე სწორი ნაკვეთებით, მიმზიდველი და უმანკო გამომეტყველებით. ამ დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ბუნებით ისინი სათნონი და გულითადნი არიან“.

ინგლისელ მხატვარსა და მოგზაურს მოვლილი ჰქონდა ფინეთი, შვედეთი, რუსეთი, პოლონეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ახლო და შუა აღმოსავლეთი, მაგრამ ყველაზე მეტად გააკვირვა საქართველომ და სწორედ მას უძღვნა აღტაცებული ხოტბა: „დედამიწის ამ კუთხეს სამართლიანად უწოდებენ კაცობრიობის აკვანს... მთელი დედამიწის ზურგზე მიმოფანტული ყველა მოდგმა წარმოქმნილია ამ პატრიარქალური სამშობლოდან... მედეა თავის მაგიურ ჯადოს სწორედ ამ მიდამოებში ამზადებდა და ეთეროვან ნივთიერებათა მეოხებით, ანახლებდა ადამიანის დამბუნებულ სხეულს, ანიჭებდა სინორჩეს და მშვენიერებას“.

რობერტ კერ პორტერი აღნიშნავს, რომ საქართველოს შეერთებამ რუსეთთან მკვეთრად შეცვალა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ვითარება. დამყარდა კანონი და სამართალი, მოსახლეობა ეფექტურად დაცული შეიქნა როგორც ლეკთა თარეშისგან, ასევე ოსმალთა და სპარსელთა გაცილებით თავზარდამცემი შემოსევებისგან. რუსეთის იმპერატორმა ორდენ-მედლები და სამხედრო ტიტულები უწყალობა ადგილობრივ თავად-აზნაურობას. ყოველმხრივ აქეზებდა და ხელს უშართავდა „გულადსა და ერთგულ ხალხს“.

პორტერის სიტყვით, ქართველების სიმამაცე საუცხოოდ გამოვლინდა ბოლო თორმეტ-თოთხმეტი წლის მანძილზე, როდესაც

ისინი იბრძოდნენ რუსეთის დროშებქვეშ. ზოგიერთმა მათგანმა თავი ისე გამოიჩინა, რომ გენერლის ჩინიც კი დაიმსახურაო.

ინგლისელი მხატვარი შენიშნავს, რომ ახალმა ხელისუფლებამ იოლად მიაგნო საშუალებას, რათა ძველ იბერიელთა სული გაეღვიძებინა მათი ქართველი შთამომავლები სხეულში. მაგრამ კვალი იმ უბედურ ჟამთა, წარსულს რომ ჩაჰბარდა, ადამიანთა პირისახეზე კვლავ შეიმჩნევა — ღრუბელივით რალაც ეფინება შუბლს, თითქოსდა ნაში იმ წყვდიადისა, წინათ რომ თრგუნავდათო.

ქართველი მკითხველისათვის, რომელიც კარგად იცნობს იმდროინდელი საქართველოს ასავალ-დასავალს, ცხადი უნდა იყოს პორტერისეული მიმოხილვის ერთგვარი ტენდენციურობა და ეგებ ეჭვიც კი გაუჩნდეს, ამ ტექსტს თვით მთავარმართებელი საქართველოსი, გენერალი ერმოლოვი ხომ არ კარნახობდაო. მაგრამ, მეორე მხრივ, ინგლისელი მხატვრის მსჯელობას კვერს უკრავს ილია ჭავჭავაძე. კიდევ ერთხელ გავისხენოთ მისი წერილი „ასის წლის წინათ“ (გამოქვეყნებული 1899 წელს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე), სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ შემდეგს:

„ამ ღირსსახსოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა. დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე. გაჰქაა ცეცხლი, რომელიც



სწავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს. გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრად-ლა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგემ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს საწმენოების სადიდებლად და თავისი ვინაობის გადასარჩენად. დაიდგა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვერავინ გადმოლახა იგი საზღვარი, ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისსა მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული“.

მკითხველი, ალბათ, დაასკვნის, რომ სიბერე, თავისი უსიამო ატრიბუტებითურთ, პატარა ადამიანებსაც ატყდებოდა თავს და ერის გამორჩეულ, სათაყვანო შვილებსაც. დიახ, ყველაზე გამორჩეულსაც კი უქრება ახალგაზრდობისდროინდელი რადიკალიზმი, როდესაც უბრალო მოკვდავის სახელით აუნყებდა სამშობლოს თავისი გულის იდუმალ ხვაშიადს, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო და ლერმონტოვს უტრიზავებდა წყეული რუსული ხიშტის ქებას.

დიახ, ეწვია უღმობელი სიბერეო (ზოგს რომ სიბრძნე ჰგონია) და ვინ იცის, ეგებ, გულისტკივილით იმეორებდაო უკვდავ წინამორბედთა ნაღვლიან სიტყვებს: „სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმანვილისა დღენია“ ანდა დროითა და აზრით კიდევ უფრო ახლობელს: „სიჭაბუკისა ყვაილნი დამიჭკნო ჟამთა დენამა“.

ჯორჯ ვუდი

გაგვაპანლურებენ; მესამე: ყველაზე ნაკლებად სარწმუნოა — ეს კაცი სიმართლეს ლაპარაკობს!

ჯორჯ ვუდი — ოპერატიული ფსევდონიმი გახლდათ იმ კაცისა, რომელსაც სინამდვილეში ფრიც კოლბე ერქვა და ნაცისტური გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში მსახურობდა ვერმახტთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელის დოქტორ კარლ რიტერის უფროს რეფერენტად.

გერმანელი მსტოვრის ამერიკელი კურატორები, მოცლილობის უამს, თავს იმტვრევდნენ ხოლმე იმის თაობაზე, თუ საიდან და რატომ გაჩნდა ზემოთ დასახელებული ფსევდონიმი და იხსენებდნენ ყოველ წერილმანს, რაც კი უკავშირდებოდა ამ კაცის გამოჩენას ამერიკელთა თვალსაწიერში.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

1943 წლის აგვისტოს ერთ მშვენიერ საღამოს ჯერალდ მეიერი, თანამემწე ამერიკის შეერთებული შტატების დესპანისა შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში, ნებივრად თვლემდა თავის ოფისში, როდესაც იქ ეახლა გერმანელი დიპლომატი, რომელიც მივლინებით იყო ჩასული ბერნში და ცდილობდა კონტაქტის დამყარებას ამერიკულ დაზვერვასთან.

სტუმარმა თავისი ლაბადის შიდა ჯიბიდან მოგვძო კონვერტი ამოიღო, რამდენიმე ქაღალდის ფურცელი ამოაძვრინა და მეიერს მაგიდაზე დაუდო. ტექსტები გერმანულ ენაზე იყო დაბეჭდილი. ყოველ ფურცელს ზედა კუთხეში ამშვენებდა წარწერა: „სრულიად საიდუმლოდ“. ეს იყო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი დოკუმენტები, ხელმოწერილი პაპენის, აბეტციასა და ნოირატის მიერ; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — დეპუტატთა ასლენები გერმანიის საელჩოებიდან (ანკარაში, პარიზსა და პრაღაში) საგარეო საქმეთა მინისტრის იოახიმ ფონ რიბენტროპის სახელზე.

პარიზიდან აბეტცი აუწყებდა ბერლინს ვიშის სატელიტური მთავრობის ხელშეწყობით გერმანელი აგენტების შეგზავნას ბრიტანეთის ჯარების ზურგში; პრაღიდან ნოირატი აშუქებდა ვითარებას ოკუპირებულ ჩეხიაში, სადაც მიუხედავად სასტიკი ანგარიშსწორებისა ადგილობრივ მოსახლეობასთან (მაღალჩინოსანი ჰიტლერელის მკვლელობის გამო), გერმანელები შიშობდნენ, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა წელში გატეხილი არ იყო; ანკარიდან პაპენი ამცნობდა ბერლინს ინგლისელთა მცდელობას, თავიანთი მეთაულყოფილი შეეგზავნათ სტამბოლიდან ბალკანეთში.

მეიერს, სხვათა შორის, ევალებოდა თანამშრომლობა ნეიტრალურ შვეიცარიაში დამკვიდრებული ამერიკელთა საიდუმლო სამსახურის მაშინდელ მფუთან, შემდგომში საყოველთაოდ სახელმწიფოებრივ აღენ დალესთან და მეიერმა მას დაუყოვნებლივ ყველაფერი მოახსენა.

დალესი საგონებელში ჩავარდა. დაეჭვდა — მოგზავნილი ხომ არ არის? მსჯელობის საგნად ექცა სამი ვარაუდი. პირველი: გერმანელები შეეცდებიან გაშიფრონ ჩვენი საიდუმლო კოდი, რადგანაც იმედოვნებენ, რომ ჩვენ ამ ინფორმაციას გადავცემთ შტატებში და რამდენადაც ისინი ისმენენ შვეიცარიის რადიოგადაცემებს, ჩვენს დაშიფრულ დეპუტატებსა ჩაავლებენ, ინფორმაციის შინაარსი ხომ ცნობილი იქნება მათთვის და არ გაუჭირდებათ გასაღების პოვნა ჩვენი კოდისათვის; მეორე: ეს კაცი აგენტი-პროფაიტორია, გადმოგვცემს ინფორმაციას, მისი დაგვაბეზებს შვეიცარიის პოლიციაში და შპიონაჟის ბრალდებით აქედან

დალესმა ინება, რომ პირადად გაეცნო ეს კაცი. ფრიც კოლბე ჩასკვნილი და ტანდაბალი კაცი იყო, ტყავის ქურთუკი ეცვა და მოტვლეპილი თავი უკრიალებდა. სანამ ქურთუკს გაიხდიდა, ჯიბეში ჩაიყო ხელი და მასპინძლები შეკრთნენ, ახლა პისტოლეტი არ დააძროსო, მაგრამ სტუმარმა დიდრონი, ყავისფერი კონვერტი დააძრო და საყურნალო ტაბლაზე მოათავსა.

მეიერმა გადაფურცლა ძღვენი. ეს იყო საიდუმლო ინფორმაცია, სადაც აღინერებოდა რუსეთის ფრონტზე მყოფი ჰიტლერული ჯარების მორალური მდგომარეობა, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მიერ გერმანიისათვის მიყენებული ზარალი, იაპონიის ელჩის ვიზიტები რიბენტროპთან და სხვ.

თურმე კოლბეს ჯერ ბრიტანეთის საელჩოსათვის მიუმართავს. იქ უთქვამთ, თქვენი ფინანსური პირობები მოგვაცხენეთო. არავითარი ფინანსური პირობები არ მაქვსო, მოუხსენებია კოლბეს. ამაზე ინგლისელები გადარეულან — რაო, მასხრად გვიგადავებო? ვერაფრით ვერ დავეჯერებინათ საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა უსასყიდლოდ!

ამერიკელებმაც იგივე შეკითხვა დაუსვეს.

ფრიც კოლბე: ბატონებო, მე მძულს ნაცისტები. ჩემთვის ისინი ნომერ პირველი მტრები არიან. ბოლშევიკების მიმართაც იმავეს განვიცდი. ერთი-ც და მეორე-ც წარმოადგენს საფრთხეს მთელი მსოფლიოსათვის. მაგრამ ახლა ხომ ომია და იტანჯება ხალხი. სცადეთ ირწმუნოთ, რომ მე მართლაც გერმანელი პატრიოტი ვარ, სინდისი გამაჩნია და ჩემნაირები გერმანიაში ცოტანი როდი არიან. მე ვითხოვ ჩემთვის მხოლოდ დახმარებას და მხარდაჭერას ომის შემდეგ — როგორც მორალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით.

— ახლა ძნელია გამოვიცნოთ, თუ რა იქნება ომის შემდეგ, ჯერ უნდა მივიგოთ ომი! — წარმოთქვა დალესმა და მარჯვენა ხელის თითები დაარაკუნა მაგიდის ზედაპირზე (არ დავითარსოთო!).

როგორც ფიქრობენ, სწორედ მაშინ დაიბადა გერმანელი სტუმრის ოპერატიული ფსევდონიმი. ინგლისურში „ვუდ“ ხომ ტყეს, ხეს, შუმას, ფიცარს ნიშნავს...

ჯორჯ ვუდად მონათლული ფრიც კოლბე თითქმის ორი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ამერიკელებს და ათას ორასზე მეტი საიდუმლო დოკუმენტი მიართვა საჩუქრად. 1200 დოკუმენტში ერთი კაპიკიც არ აუღია!

მაგრამ 1944 წლის ზაფხულში კინაღამ გული გაუხეთქა დალესს. მოახსენა, არალეგალური მოღვაწეობა მომზებრდა, გერმანული წინააღმდეგობის მოძრაობის „სრულფასოვანი წევრი“ მინდა გავხდეთო. თავის მომავალზე ზრუნავდა — მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ უშიშროების გარანტია რომ ჰქონოდა.

დალესს ელეთმეღეთი ეცა. რამდენიმე საათი დასჭირდა, რათა დაერწმუნებინა თავისი უძვირფასესი აგენტი — შენს პოსტზე შეუცვლელი მარგალიტი ხარ და ვერ შეგეღვეითო. სიტყვა მისცა: ახალ, თავისუფალ, დემოკრატიულ გერმანიაში უბატონოდ ხმას ვერავინ გაცემსო! ალენ დალესი სიტყვის კაცი გამოდგა. დაჰპირდა და შეასრულა დანაპირები.

ზღვარი პოეზიასა და მუსიკას შორის

3 აპრილს სამების საკათედრო ტაძარის ახალგაზრდულ ცენტრში, ახალგაზრდა პოეტთა საღამო გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქართული როკ-ჯგუფის „ზღვარის“ წევრები. ეს იყო მათი კიდევ ერთი არაჩვეულებრივი საღამო და მცდელობა პოეზიასა და მუსიკას შორის არსებული საზღვრის წაშლისა. მუსიკალურ ტონალობაში წაკითხული ლექსები დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე.

საღამოს ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი სერგი ლომაძე უძღვებოდა. იგი მისთვის ჩვეული სიტყვაუხვობითა და რიხით წარადგენდა კოლეგებს. საკუთარი ლექსები წაკითხნეს **კახა ბაციკაძემ, გიორგი ზუხზაიამ, ვასო ლომაძემ**. ღონისძიების წამყვანმა თანამედროვეობის ყველაზე უნიკალური პოეტი და გამოუცნობი პიროვნება უნდა კახა ბაციკაძე და ლექსის ნასაკითხად მიიწვია. პოეტმა საოცარი ემოციურობით და გრძობით წაკითხა საკუთარი ლექსები: „მე პოეზიით ვარ შეპყრობილი“, „გრძნობა, როგორც სამყარო“, „ქარიშხლიანი უღელტეხილი“. ასევე გაახმოვანეს მისივე ლექსი „თავ-

მაჰალი“. ვასო ლომაძემ წაკითხა „ბაღში რალაცა გამოიცვალა“ და ასაკოვან ადამიანებს მიუძღვნა. საზოგადოებას სერგი ლომაძემ გაცნო გიორგი ზუხზაიას ლექსი „სიკვდილისჯილი“ და „აბსოლუტური პოეტი“.

ორიოდე სიტყვით ამ სახელოვნებო ჯგუფის შესახებ: „ზღვარი“ 1999 წელს ჩამოყალიბდა პოეტ სერგი ლომაძის მიერ. ჯგუფის წევრები არიან: **კახა ბაციკაძე, გიორგი ზუხზაია, ვასო ლომაძე, გია მიჩიტაშვილი, ლუკა ამირანაშვილი**. ისინი ქართული როკის ერთ-ერთი ფუძემდებელი არიან. შექმნილი აქვთ რამდენიმე ალბომი. ხოლო ჯგუფის დამაარსებელს ეკუთვნის ნაშრომი „ქართული როკის ისტორია“. „ზღვარმა“ შექმნა რაიმ-როკის სტილი საქართველოში.

აღსანიშნავია ისიც, თუ როგორი სიყვარულით და სითბოთი ესაუბრებიან ისინი საკუთარ მსმენელს თუ მკითხველს. სამებაში გამართული საღამოც, როგორც ყოველი მათი შეკრება, მეგობრული გარემოთი გამოირჩეოდა.

მეგი ქაჩნაშვილი